კვირის პალიტრა

ფიფა

N9(38) . 1/III. - 7/III.2001 .
ფასი 60 თ.

აფხაზეთს დენს გარდაბანი აწვდის?!

„მკვლელობასთან ერთად მამათმავლობაც ბრალდება...“

კარნავალი რიოში

1168
2001

ღუტა: ჩამჭრეს და მამომაპანლურეს...

მთავარი თემა: აზარტი

„ფანტაზია“

უკან ბავშვობისკენ...

„ფანტაზირებს“
მკითხველი

რევოლუციის
ბოდიში?!

ᲙᲕᲘᲠᲘᲡ ᲞᲐᲚᲘᲢᲠᲐ
ᲒᲚᲐ
№9 (38)
1 - 7 ᲛᲐᲠᲢᲘ 2001
ᲤᲐᲡᲘ 60 ᲗᲗᲗᲘᲠᲘ

ᲛᲘᲜᲘᲐᲢᲣᲠᲔᲑᲘ
„ᲗᲔᲑᲔᲠᲕᲐᲚᲝ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲒᲐᲖᲐᲤᲮᲣᲚᲘ ᲮᲐᲠ!“ 3
ᲔᲜᲔᲠᲒᲔᲢᲘᲙᲐ
ᲕᲘᲜ ᲛᲝᲒᲕᲪᲔᲛᲡ ᲓᲔᲜᲘᲡ? 4
ᲙᲝᲜᲤᲚᲘᲥᲢᲘ
ᲠᲐ ᲐᲠᲘᲡ „ᲪᲔᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘ“ – ᲓᲐᲛᲝᲣᲙᲘᲓᲔᲑᲔᲚᲘ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲐ ᲗᲣ ᲝᲤᲘᲪᲘᲝᲖᲘᲡ „ᲡᲐᲗᲑᲣᲠᲘ“? 6
ᲨᲔᲐᲛᲝᲬᲛᲔᲗ ᲗᲥᲕᲔᲜᲘ ᲪᲝᲓᲜᲐ
ᲢᲔᲡᲢᲘ ᲔᲠᲣᲓᲘᲪᲘᲐᲖᲔ 8
ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲐ
ᲗᲠᲔᲤᲘᲙᲘᲜᲒᲡ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡ ᲔᲛᲔᲚᲝᲜᲔᲑᲨᲘ ᲛᲤᲐᲠᲕᲔᲚᲝᲑᲔᲜ?.. 9
ᲡᲐᲡᲐᲠᲒᲔᲑᲚᲝ ᲐᲖᲠᲔᲑᲘ
ᲐᲤᲝᲠᲘᲖᲛᲔᲑᲘᲡ ᲔᲜᲪᲘᲙᲚᲝᲞᲔᲓᲘᲐ 11
ᲛᲡᲐᲮᲘᲝᲑᲘ
ᲓᲣᲢᲐ ᲡᲮᲘᲠᲗᲚᲐᲫᲔ: ᲧᲕᲔᲚᲒᲐᲜ ᲐᲖᲐᲠᲢᲣᲚᲘ ᲛᲝᲗᲐᲛᲐᲨᲔ ᲕᲐᲠ 12
ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲡᲘᲧᲕᲐᲠᲣᲚᲘ
ᲒᲣᲚᲨᲘ ᲠᲐᲓᲐᲪᲐ ᲐᲤᲐᲠᲗᲮᲣᲜᲓᲐ ᲓᲐ ᲛᲘᲕᲮᲕᲓᲘ, ᲨᲔᲧᲕᲐᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲕᲘᲧᲐᲕᲘ 14
ᲫᲘᲠᲘᲗᲐᲓᲘ ᲗᲔᲛᲐ
• ᲙᲐᲖᲘᲜᲝ: ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲐ, ᲛᲘᲗᲔᲑᲘ, ᲡᲘᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚᲔ 15
• ᲗᲐᲛᲐᲨᲔᲑᲘ 17
• ᲐᲖᲐᲠᲢᲘᲡ ᲫᲘᲠᲘ ᲐᲡᲔᲗᲘᲐ: ᲘᲖᲔᲑᲡ ᲘᲡ, ᲕᲘᲜᲪ „ᲐᲗᲐᲛᲐᲨᲔᲑᲡ“... 18
• ᲤᲣᲚᲘᲡ ᲧᲐᲓᲠᲘᲡ ᲛᲪᲝᲓᲜᲔ ᲙᲐᲪᲘ ᲓᲘᲓ ᲤᲣᲚᲖᲔ ᲐᲠ ᲗᲐᲛᲐᲨᲝᲑᲡ 20
• „ᲡᲘᲖᲛᲐᲠᲨᲘ ᲑᲘᲚᲔᲗᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲤᲡᲝᲜᲔᲑᲘ ᲐᲠ ᲛᲐᲡᲕᲔᲜᲔᲑᲓᲐ...“ 22
ᲐᲜᲢᲘᲓᲔᲞᲠᲔᲡᲐᲜᲢᲘ
ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲣᲚ-ᲨᲔᲛᲔᲪᲜᲔᲑᲘᲗᲘ ᲙᲝᲚᲐᲟᲘ ᲒᲝᲩᲐ ᲓᲕᲐᲚᲘᲡ ᲨᲑᲘᲡ ᲬᲘᲒᲜᲐᲙᲘᲓᲐᲜ 22
ᲙᲠᲘᲛᲘᲜᲐᲚᲘ
• „ᲛᲙᲕᲚᲔᲚᲝᲑᲐᲡᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲓ, ᲛᲐᲛᲐᲗᲛᲐᲕᲚᲝᲑᲐᲡᲐᲪ ᲐᲑᲠᲐᲚᲔᲑᲔᲜ...“ 24
• ᲒᲐᲜᲐᲩᲔᲜᲘᲗ ᲝᲠᲘᲕᲔ ᲛᲮᲐᲠᲔ ᲣᲛᲐᲧᲝᲤᲘᲚᲝᲐ 26
ᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚᲘ ᲐᲛᲑᲐᲕᲘ
„ᲚᲐᲘᲙᲐ“ ᲐᲜᲣ ᲙᲐᲮᲣᲠᲘ ᲝᲘᲜᲘ 28
ᲢᲔᲡᲢᲘ
ᲔᲠᲗᲑᲣᲚᲘ ᲛᲙᲘᲗᲮᲕᲔᲚᲘ 29
ᲨᲔᲩᲔᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲜᲐᲛᲘ
ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲔᲚ ᲕᲐᲠᲡᲙᲕᲚᲐᲕᲗᲐᲜ ᲓᲐ ᲯᲔᲠ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲣᲪᲜᲝᲑ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚ ᲒᲝᲒᲝᲜᲐᲡᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲓ 30

ᲕᲘᲜ ᲛᲝᲒᲕᲪᲔᲛᲡ ᲓᲔᲜᲘᲡ?



ᲒᲐᲠᲓᲐᲑᲜᲘᲡ ᲗᲑᲝᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲡᲐᲓᲒᲣᲠᲘᲓᲐᲜ (ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲐᲛᲟᲐᲛᲐᲓ, ᲒᲔᲜᲔᲠᲐᲪᲘᲘᲡ ᲞᲠᲐᲥᲢᲘᲙᲣᲚᲐᲓ ᲔᲠᲗᲐᲓᲔᲠᲗᲘ ᲬᲧᲐᲠᲝᲐ ᲛᲗᲔᲚ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ) ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲔᲜᲔᲠᲒᲘᲐᲡ ᲘᲦᲔᲑᲡ ᲐᲤᲮᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲡᲔᲞᲐᲠᲐᲢᲘᲡᲢᲣᲚᲘ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐ.

4

„ᲒᲐᲖᲐᲤᲮᲣᲚᲘᲡ ᲡᲘᲜᲓᲠᲝᲛᲔ“ – ᲠᲝᲒᲝᲠ ᲓᲐᲕᲫᲚᲘᲝᲗ ᲘᲒᲘ?..



ᲛᲘᲡᲘ ᲓᲐᲛᲐᲠᲪᲮᲔᲑᲘᲡ ᲣᲢᲧᲣᲐᲠᲘ ᲘᲐᲠᲐᲦᲘᲐ ᲕᲘᲢᲐᲛᲘᲜᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲫᲚᲘᲔᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲘᲦᲔᲑᲐ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲛᲐᲥᲡᲘᲛᲐᲚᲣᲠᲘ ᲔᲤᲔᲥᲢᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲦ�წᲔᲕᲐᲓ ᲐᲣᲪᲘᲚᲔᲑᲔᲚᲘᲐ ᲕᲘᲢᲐᲛᲘᲜᲔᲑᲘᲡ „ᲐᲜᲐᲑᲐᲜᲘᲡ“ ᲗᲣᲜᲓᲐᲪ ᲖᲔᲓᲐ�პᲘᲠᲣᲚᲘ ᲪᲝᲓᲜᲐ, ᲠᲐᲪ ᲧᲝᲕᲔᲚᲓᲦᲘᲣᲠᲘ ᲠᲐᲪᲘᲝᲜᲘᲡ ᲨᲔᲓᲒᲔᲜᲐᲨᲘ ᲓᲐᲒᲕᲔᲮᲛᲐᲠᲔᲑᲐ.

37

„ᲛᲙᲕᲚᲔᲚᲝᲑᲐᲡᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲓ, ᲛᲐᲛᲐᲗᲛᲐᲕᲚᲝᲑᲐᲡᲐᲪ ᲐᲑᲠᲐᲚᲔᲑᲔᲜ...“



ᲕᲘᲪᲝᲓᲘ, ᲠᲝᲛ ᲛᲐᲛᲐᲗᲛᲐᲕᲚᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲘ ᲰᲥᲝᲜᲓᲐ ᲒᲐᲕᲐᲠᲓᲜᲘᲚᲘ, ᲐᲛᲘᲢᲝᲛᲐᲪ ᲖᲕᲘᲐᲓ ᲧᲝᲩᲘᲨᲕᲘᲚᲡ ᲕᲗᲮᲝᲕᲔ ᲬᲐᲛᲧᲝᲚᲚᲝᲓᲐ. ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲛᲔ ᲑᲝᲗᲚᲘ ᲨᲐᲛᲞᲐᲜᲣᲠᲘ ᲕᲘᲧᲘᲓᲔᲗ ᲓᲐ ᲬᲐᲕᲔᲓᲘᲗ. ᲔᲠᲗᲘ ᲑᲝᲗᲚᲘ ᲓᲐᲕᲚᲘᲔᲗ ᲓᲐ ᲓᲕᲘᲜᲘᲐᲨᲕᲘᲚᲡ ᲛᲘᲡᲕᲚᲘᲡ ᲛᲘᲖᲔᲑᲘ ᲕᲣᲗᲮᲐᲠᲘ.

24

„ᲧᲕᲔᲚᲒᲐᲜ ᲐᲖᲐᲠᲢᲣᲚᲘ ᲛᲝᲗᲐᲛᲐᲨᲔ ᲕᲐᲠ“

ᲗᲔᲐᲢᲠᲐᲚᲣᲠ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲨᲘ ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲔᲑᲐᲛᲓᲔ, ᲯᲔᲠ ᲢᲣᲠᲔᲑᲘ ᲣᲜᲓᲐ ᲒᲐᲒᲕᲔᲕᲚᲝ. ᲛᲔᲡᲐᲛᲔ ᲢᲣᲠᲖᲔ „ᲩᲐᲛᲭᲠᲔᲡ“ ᲓᲐ „ᲒᲐᲛᲝᲛᲐᲞᲐᲜᲦᲣᲠᲔᲡ“, ᲓᲠᲝ ᲐᲦᲐᲠ ᲓᲐᲕᲙᲐᲠᲒᲔ ᲓᲐ ᲡᲐᲑᲣᲗᲔᲑᲘ ᲡᲐᲡᲬᲠᲐᲤᲝᲓ ᲛᲣᲡᲙᲝᲛᲔᲓᲘᲘᲡ ᲤᲐᲙᲣᲚᲢᲔᲢᲖᲔ ᲒᲐᲓᲐᲕᲘᲢᲐᲜᲔ.

12

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ფსიქოლოგიური თამაში

განსაგზღვრეთ თქვენი გონებრივი პოტენციალი 31

სამყარო

კარნავალი რიოში – წლის მოვლენა 32

ადამიანი

რატომ არის მეხანძრის ვედრო წვეტიანი? 34

ჯანმრთელობა

- „მთელი ცხოვრება თავს არასასურველ ქალად ვთვლი...“ 36
- „გაგაფხულის სინდრომი“ – როგორ დავძლიოთ იგი?.. 37

ჟოლორიტი

„ბიძინიჩი“ 39

საოცრება

სამუსიკო სახლში ვენის სახელგანთქმულ ორკესტრსაც უდირიჟორებ 42

სპორტის ლეგენდები

რომანტიკული ფეხბურთის „უკანასკნელი მოჰიკანი“ 45

ესკიზები

ივანე ჯავახიშვილი: „მძიმე ტვირთის გამნაწილებელი არავინ მყოლია“ 48

ნოველა

ბესიკ კეკელიძე. ლიმონი 50

ავტო 54

პარსკვლავი

ჰოლივუდური წყვილის ბობოქარი რომანი 56

ბიზნესი

„მონოპოლია“ – თამაში, რომელიც მსოფლიოს მოედო 58

სკანვორდი 61

ჰოროსკოპი

კვირის (5.03-11.03) ასტროლოგიური პროგნოზი 62

ტესტი

გემუქრებათ თუ არა ნერვული სტრესი? 63

ჟალეიდოსკოპი

ჭრელ-ჭრელი ამბები 64

გარეკანზე: გიორგი ჟორჟოლიანის კოლაჟი

საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „გზა“ გამოდის კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით

გაზეთ „კვირის პალიტრის“ დამატება

ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს.

მთავარი რედაქტორი: ზურაბ აბაშიძე

რედაქტორი: გოჩა ტყეშელაშვილი

მენეჯერი: კიაზო ბიჩინაშვილი

მისამართი: თბილისი, აკურის ქ. №8 ტელ: 33-50-32

ჟურნალი იბეჭდება გამომცემლობა „ჟოლორში“

კაზინო: ისტორია, მითები, სინამდვილე



კაზინო ის დაწესებულებაა, რომელიც შემთხვევითობასა და ფულს უკავშირდება, მას მუდმივად თან სდევს გარკვეული მითები: ყველაზე ძველი და სიცოცხლისუნარიანი გვამცნობს, რომ ახალბედებს მუდამ უმართლებთ.

15

თრეფიკინგს უმაღლეს მუელონებში მფარველობენ?..

დეპორტაციის იმედზეა დავრჩით – ყველაფერი შემოგველია. რამაგმა დაშინება დაგვიწყო – ვინც ფეხს გაადგამს აქედან, საქართველომდე „ტრუსიკიანს“ ვარბენინებო – რაღა არ გვაკადრა! მარინა დიდ გულზეც კი იყო: რა პრეტენზიები გაქვთ – ჩამოგიყვანეთ და ბულგარეთი გიჩვენეთო!

9

კარნავალი რიოში



მართალია, რიო-დე-ჟანეიროში გამართული კარნავალი ბრაზილიური ფიესტის „სავიზიტო ბარათი“ გახდა, მაგრამ მთლიანი ზეიმი ისეთივე მრავალფეროვანია, როგორიც თვით ეს უზარმაზარი ქვეყანა.

32

ლიმონი



– ნუ გეშინია, მამა, ნუ გეშინია, – დაამშვიდა ბავშვი, თავზე ხელი გადაუსვა და შუაბანდში გავიდა. სანთელი აანთო, ხერხს დაუწყო ძებნა. იპოვა და ჯუჯიკოს წინ ჯალათივით დადგა.

50

„თებერვალი, საქართველოს გაზაფხული ხარ!"

თებერვალიც მიილია გუშინ – ჩვენთვის ყველაზე საყვარელი და ტკბილად მოსაგონარი თვე და ბოლო ათი წლის განმავლობაში პირველად – ნეტარი მოგონებებისა და გარდასულ დიდებაზე ფიქრების გარდა, იმედიც დაგვიტოვა თებერვალმა. სწორედ ისე, როგორც იმ ბობოქარ 1921 წელს, როდესაც სახელოვანი წითელი არმია მხსნელად მოგვევლინა უდღეური „დემოკრატების" ბატონობისაგან!

ჩვენი – ქართველი კომუნისტებისა და მარქსისტულ-ლენინისტურ-იგორისტული იდეოლოგიის აღორძინების დრო მოვიდა!

ჩვენ საბჭოთა პერიოდში გავიზარდეთ და წერა-კითხვაც იაკობ გოგებაშვილისეულისა და პიონერულ-ოქტომბრული ნაზავის „დედაენით" ვისწავლეთ, რომლიდანაც „აი ია"-სა და „სამშობლო ხევსურისას" გარდა, ორი „მშვენიერი" ლექსი დამამახსოვრდა: ერთი ასე იწყებოდა: „საბჭოთა ჯარისკაცია, სალ კლდეზე უფრო მაგარი...", ხოლო მეორე – ასე მთავრდებოდა: „თებერვალო! საქართველოს გაზაფხული ხარ!"

საბჭოთა პედაგოგიური მეცნიერების, საბჭოთა სასკოლო პროგრამის დახვეწილობისა და საბჭოთა მასწავლებლების პროფესიონალიზმზე მეტყველებდა ისიც, რომ საბჭოთა, „პიტალო კლდესავით მაგარი ჯარისკაცის" ლექსს, ზუსტად 23 თებერვლისთვის – წითელი არმიის დაარსების დღისთვის გვასწავლიდნენ, „საქართველოს გაზაფხულს" კი – „კაკ რაზ" 25 თებერვალს.

ერთი სიტყვით, თებერვალი, განსაკუთრებით – თვის ბოლო, „პრაზნიკებით" იყო დახუნძლული და 30-ით ან 31-ით რომ ყოფილიყო ეს თვე, კიდევ ერთი დღესასწაული არ აგვცდებოდა და რა გული გაუძლებდა ამდენ სიხარულს.

მაგრამ, ვაგლახ! დემოკრატიის ნიღაბაფარებულმა ვაი-პატრიოტებმა ჩაგვაშხამეს ეს „სიხარულები", გეოგრაფიის ცოდნაშიც შეგვეჯიბრნენ და ჩვენი „შეცდომა გამოასწორეს" – მზე ჩრდილოეთიდან კი არა (ვითომ მაგათ უსტაბაშს არ დაედგინოს), დასავლეთიდან ამოდისო...

მაგრამ ბოლომდე ვერ ჩაკლეს ჩვენში ის ნაპერწკალი, რომლიდანაც, როგორც დიდი ლენინი ამბობდა, ალი აინთება!

და აჰა – იმ დიდი 25 თებერვლიდან ზუსტად 80 წლისთავზე ამ ალმა გაღვივება დაიწყო:

„ძია ლენინი მომკვდარა,
არ მჯერა, არა, არაო!.."

დაახლოებით ამ ლექსის ტონითა და პათოსით იყო გაჟღენთილი, რამდენიმე დღის წინ თბილისის ჭადრაკის სასახლეში ჩატარებულ ქართველ კომუნისტთა ფორუმზე, ცუგრუმელა პიონერი გოგონას გამოსვლა და მისი პატარა გულიდან ამოხეთქილი ვედრება:

„ძია იგორ! ჩამოდით, გელით! თქვენ უნდა გადაგვარჩინოთ!"

იყო „ხანგრძლივი, მქუხარე აპლოდისმენტები", „საიუზ ნერუშიმი"-ს სიმღერა და შემდეგ ლენინ-სტალინის სურათებით მარშირება რუსთაველის გამზირზე.

დალოცვილი ძველი დრო – რაიკომებით და კომუჯრედებით, პიონერული ყელსახვევებით და კარაქის ტალონებით, საშვიდნოემბრო დემონსტრაციებით და საბჭოთა ჯარების „ინტერნაციონალური მისიებით" სხვადასხვა „მოძმე" ქვეყანაში...

ეჰ, რაც არის, არის – კომუნისტებს არ შეფერით ნოსტალგია და პესიმიზმი, მით უმეტეს, რომ მომავალი ნათელია: ჩამოვა თეთრ ცხენზე ამხედრებული წმინდა იგორი და განგმირავს იმ გველეშაპს, რომლის ერთი თავი დემოკრატიაა, მეორე – საბაზრო ეკონომიკა, მესამე – კორუფცია, მეოთხე – თავისუფალი მასმედია, მეხუთე – მრავალპარტიული არჩევნები და ა.შ.

თუმცა სიფრთხილეც გვმართებს – მტერი ძლიერია და ვერაგი. იგი ყველაფერს იკადრებს, უკანონო კანონებით მანიპულირებს და არც რეპრესიებზე იტყვის უარს (რეპრესიები მაშინ ნახონ, ჩვენ რომ დავბრუნდებით!)

ასე რომ, დღეს როგორც არასოდეს გვჭირდება ერთმანეთის თანადგომა და ძალების დარაზმვა. ამიტომ დღესაც აქტუალურია ჩვენი უკვდავი ლოზუნგი: „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!"

P.S. კონსპირაცია ყოველთვის იყო პარტიული,განსაკუთრებით ბოლშევიკური, მუშაობის ერთ-ერთი მთავარი კომპონენტი – თვით ლენინ-სტალინ-კამოც ხომ კონსპირაციის მიზნით გამოგონილი პარტიული ფსევდონიმები იყო. იმავე კონსპირაციის მიზნით, კამომ ფრიად „ორიგინალური" სადილი მიირთვა და ეტყობა, ისე მოეწონა და ისეთი რეკლამა გაუწია თავის თანამოაზრეებში, რომ აგერ უკვე საუკუნე ხდება, კოვზი ხელიდან არ გაუგდიათ... ამიტომ ჩვენი ორგანიზაციებისთვისაც კონსპირაციულ, თანაც შესაფერის სახელებს გთავაზობთ:

კომუნისტური პარტია – დეგენერატების პარტია.

კომკავშირი – ნაძირალების საბჭო.

პიონერული ორგანიზაცია – ცინგლიანი ლაწირაკების კავშირი.

ოქტომბრელები – დებილი ბავშვების გაერთიანება.

ხოლო ლოზუნგი ასე შევცვალოთ: „ტვინგაყინულებო ყველა ქვეყნისა, აზრზე მოდით!"

პროვოკატორი

„ეი-ი-ეს თელასის“ ინფორმაციით, თბილისის 350 ათასი ოჯახიდან 220 ათასი მომხმარებლის მრიცხველები გარეთ არის გატანილი, რაც იმას ნიშნავს, რომ თბილისის მოსახლეობის 60%-ზე მეტს ელექტროენერგიის მოპარვის საშუალება პრაქტიკულად აღარ აქვს. საკმაოდ შთამბეჭდავი ციფრია. თუმცა, როგორც ჩანს, აღრიცხვიანობის პრობლემის მოგვარება ელექტრომომარაგების პრობლემის გადაჭრას სულაც არ ნიშნავს.

ვინ მოგვცემს დენს?

თბილისის ელექტრომომარაგება დისპეტჩერის გუნება-განწყობაზე ყოფილა დამოკიდებული

ლაჩი ნანუკაძვილი

მიუხედავად იმისა, რომ ენერგოსექტორში ბევრი პასუხისმგებელი პირი არსებობს, დღემდე უცნობია, თუ საკუთრივ ვინ არის მართლა პასუხისმგებელი თბილისისთვის ელექტროენერგიის მიწოდებაზე?

როგორც ხშირად სჩვევიათ ენერგეტიკის სათავეებთან მყოფ პირებს, ჩვენც დასავლეთ ევროპა, ამერიკა თუ იაპონია გავიხსენოთ, ოღონდ არა ტარიფების გაზრდის აუცილებლობის მტკიცების გამო. „იქ“, ქალაქის თუ რეგიონის ელექტრომომარაგებაზე პასუხს ის ორგანიზაცია აგებს, ვინც მომხმარებლისგან დენის საფასურს იღებს, ჩვენში კი...

როცა „ეი-ი-ეს-მა“ თელასი შეისყიდა, ქართული მხარის წყალობით, ხელშეკრულებაში შავით თეთრზე დაფიქსირდა, რომ ამერიკული კომპანია ანუ, როგორც „ეი-ი-ეს-ს“ ხშირად უწოდებენ – „სტრატეგიული ინვესტორი“, სულაც არ არის პასუხისმგებელი თბილისის ელექტროენერგიით მომარაგებაზე. „ეი-ი-ესი“ დედაქალაქს მიაწვდის იმდენს, რამდენსაც ენერგოსისტემა „გაიმეტებს“.

სხვათა შორის, ამჟამად თბილისში შემოდის „სომხური“ დენი, რომლის იმპორტსაც „ეი-ი-ესი“ ახორციელებს, რასაც შეიძლება კეთილი ნების გამოხატულებაც ვუწოდოთ – ფაქტია, იურიდიულად ამის ვალდებულება ამერიკულ კომპანიას სულაც არ ეკისრება.

პარადოქსები ამით, რა თქმა უნდა, არ ამოიწურება. „ეი-ი-ეს თელასი“ საქართველოში ელექტროენერგიის საფასურის უმსხვილესი და, პრაქტიკულად, ერთადერთი გადამხდელია. მიუხედავად ამისა, თბილისს ნამდვილად არ მიეწოდება იმდენი ელექტროენერგია, რამდენიც ეკუთვნის და უფრო მეტიც – რამდენის საშუალებაც აქვს ენერგოსისტემას.

„ეი-ი-ეს თელასი“ ხშირად აქვეყნებს ინფორმაციას, საიდანაც ირკვევა, რომ თბილისი საქართველოს ენერგოსისტემის მიერ გამომუშავებული ენერგიის 20-25%-ს იღებს, საუკეთესო შემთხვევაში კი – 30%-ს. ეს მაშინ, როცა გარდაბნის თბოელექტროსადგურიდან (რომელიც ამჟამად, გენერაციის პრაქტიკულად ერთადერთი წყაროა მთელ საქართველოში) ელექტროენერგიას იღებს აფხაზეთის სეპარატისტული ხელისუფლება, ხოლო მის მიერ დახარჯული დენის საფასურის გადახდა საქართველოს მთავრობასა აქვს ნაკისრი (წელიწადში 20-25 მლნ ლარი).

არა მარტო აფხაზეთი – ელექტროენერგიას საქართველოში თითქმის ყველა არგადამხდელი იღებს. სანდო წყაროს ინფორმაციით, პრაქტიკულად ყველა რეგიონი თუ ქარხანა მოიხმარს ლიმიტით გათვალისწინებულზე მეტს. არადა, მათ შორის, საფასურის ამოღების საერთო მაჩვენებელი 10-11%-ს არ აღემატება. ამავე დროს, თბილისს, ზამთრის პერიოდში, ჯერ ერთხელაც არ მიუღია არათუ მეტი, არამედ ლიმიტით დადგენილი რაოდენობაც კი.

იმაზე, თუ როგორ ნაწილდება ენერგოსისტემის მიერ მოწოდებული ელექტროენერგია, როგორი გრაფიკია თბილისში (თუ საერთოდ ითქმის გრაფიკი იმ ქაოსზე, რომელიც ბოლო პერიოდში ხდება) და როდის გამოსწორდება მდგომარეობა, ვესაუბრებით თბილისის მთავარ დისპეტჩერს – „ეი-ი-ეს თელასის“ სადისპეტჩერო ცენტრის უფროსს, *მალხაზ ბროლაძეს*.

— როგორია დენის გრაფიკი თბილისში?

– შეიძლება ითქვას, რომ გრაფიკი პრაქტიკულად არ არსებობს – მოქმედებს მხოლოდ ქალაქის იმ ნაწილში, რომელსაც დენი სომხეთიდან მიეწოდება. ჩვენი მეზობელი ქვეყნის ენერგოსისტემა დენს გრაფიკის მიხედვით გვაწვდის. ამიტომ, მოწოდებაც განსაზღვრულია. სომხეთი დადებულ პირობას ასრულებს.

— მაინც, რომელი უბნები მოიხმარენ სომხურ დენს?

– სომხურ დენზეა ვაკე, ვერა, საბურთალო მთლიანად და, თუ სომხეთიდან ელექტროენერგიის მოწოდება დიდია, მაშინ ემატება დიდი დიღომი და დიღმის მასივი, ასევე „დინამოს“, თბილისის „თეცის“, დიდუბისა და ჩულურეთის ქვესადგურები.

— დანარჩენ უბნებში რა ხდება?

– თბილისის დანარჩენ რაიონებში, რომლებიც დენს საქართველოს ენერგოსისტემიდან იღებენ, ყოველგვარ გრაფიკზე ლაპარაკი ზედმეტია. „საქენერგოდან“, შეიძლება ითქვას, „ნარჩენებს გვიგდებენ“: მხოლოდ იმას გვაწვდიან, რაც სხვა მომხმარებლის დაკმაყოფილების შემდეგ რჩებათ.

თბილისის მიერ დღეში მოხმარებული დენის რაოდენობა შემთხვევითია და ყოველდღიურად იცვლება. ჩვენ გვინდოდა, როგორიც არ უნდა ყოფილიყო, მაინც დაგვედგინა გრაფიკი. ვითხოვთ მოწოდების ყოველდღიურ გრაფიკს. არადა, კომუნისტების დროს ყოველი საათის მიხედვით დადგენილი გრაფიკი დგებოდა. მიუხედავად ჩვენი დიდი ბრძოლისა და უამრავი წერილისა, ეს დღემდე არ გაკეთებულა.

ლოგიკურია, როცა წინასწარ არ ვიცით, რამდენს მოგვაწვდიან, მაშინ ყოველგვარ გრაფიკზე საუბარიც ზედმეტია.

— ნუთუ ვერანაირად ვერ ხერხდება პროგნოზირება?

— დღეს ენერგოსისტემაში განუკითხაობაა, ფაქტობრივად, უმართავი სიტუაციაა და სუბიექტური მოსაზრებით, რამდენსაც უნდათ, იმდენს მიაწვდიან დედაქალაქს. ამიტომაც არაა გრაფიკი.

შეიძლება გაგიკვირდეთ, მაგრამ ის, თუ რა გრაფიკით ექნება თბილისს ამა თუ იმ დღეს დენი, იმაზეცაა დამოკიდებული, რომელი დისპეტჩერი მორიგეობს „საქენერგოში“...

— რამდენიმე დღეა, თბილისის ელექტრომომარაგება შედარებით გაუმჯობესდა. რა იყო ამის მიზეზი?

— შაბათს, გვიან ღამით, გამოირთო 500 კვ-იანი ელექტროგადამცემი ხაზი — „ქართლი-2“, რომელიც „დიდი ზესტაფონისა“ და „ქსნის“ ქვესადგურებს აკავშირებს. ეს დასავლეთი და აღმოსავლეთი საქართველოს უმძლავრესი სატრანზიტო ხაზია.

ამჟამად, დასავლეთ საქართველოში, მით უმეტეს „ენგურჰესზე“ გამომუშავება პრაქტიკულად ნულის ტოლია და ამიტომ სიმძლავრე, პირიქით, აღმოსავლეთიდან მიდის დასავლეთისკენ.

ამ ტრანზიტული ხაზის დაზიანების გამო, დასავლეთში ელექტროენერგია აღარ მიეწოდება და, ძალაუნებურად, „საქენერგომ“ ქალაქი მაქსიმალურად დაგვატვირთვინა.

სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს, მაგრამ ჩვენ კიდეც გვიხარია, რომ ეს ხაზი დაზიანდა. დასავლეთში ყველაზე დიდი მომხმარებელი აფხაზეთია. რადგან „ენგურჰესი“ არ მუშაობს, აფხაზეთს დენი აღმოსავლეთიდან, პრაქტიკულად, გარდაბნის თბოელექტროსადგურიდან მიეწოდება.

— ხშირად ხდება, რომ 5 წუთის განმავლობაში შუქი შეიძლება სამჯერ ჩაქრეს და ისევ მოვიდეს. მაინტერესებს, ვისი „დამსახურებაა“ ეს?

— იმ დროს, როცა ენერგოსისტემა პარალელურ რეჟიმში არ მუშაობს რუსეთთან, ენერგოსისტემა სიხშირეს ვერ „იჭერს“ — სიხშირე ეცემა. სიხშირის ამომრთველი მოწყობილობები ავტომატურად ამუშავდება და ჩვენი ქვესადგურების მკვებავი ხაზები ირთვება. საუბარი მაქვს 220 კვ-იან — „ლისი“, „დიდუბე“, „დინამო“ და „გლდანის“ ქვესადგურებზე. აქედან დავუწყებთ ჩხუბს „საქენერგოში“ — ისევ ჩართავენ, მერე ისევ დაეცემა სიხშირე და იგივე მეორდება.

— ე.ი. „თელასის“ ბრალი არ არის?

— ასეთ შემთხვევებში არა. თუმცა, შეიძლება ხანდახან ჩვენი ბრალიც იყოს. მხოლოდ მაშინ, თუ დაზიანებულია ფიდერი, შეიძლება დისპეტჩერმა გამოსცადოს ფიდერი — ჩართოს, მაგრამ ისევ დაზიანდეს და იძულებულია, გამორთოს.

— მაინც რამდენსაათიანი გრაფიკია მოსალოდნელი უახლოეს პერიოდში?

— რამდენიმე დღეა, თბილისში 14-16 საათიანი გრაფიკია. თუკი „თბილსრესში“ სამმა ბლოკმა იმუშავა, თუკი რუსეთიდანაც იქნება ელექტროენერგიის მოწოდება, — არსებობს რესურსი, რომ თბილისი თითქმის მთლიანად, 24 საათი იყოს განათებული.

თუ მოხდება ელექტროენერგიის განაწილება გადახდის მიხედვით, მაშინ თბილისს, როგორც საუკეთესო გადამხდელს, უნდა ჰქონდეს 24 საათიანი დენი. წესით, გადამხდელისთვის დენის მიწოდება ელექტრობაზრის ინტერესებშიც უნდა შედიოდეს.

— როდის გამოსწორდება ელექტრომომარაგება?

— მდგომარეობა აპრილიდან გამოსწორდება. ე.ი. კიდევ ერთი თვე უნდა გავძლოთ. მაშინ ელექტროენერგიის მოხმარებაც მოიკლებს და გამომუშავებაც გაიზრდება.

— სულ რამდენი ელექტროენერგია სჭირდება თბილისს, უწყვეტი ელექტრომომარაგების შემთხვევაში?

— ქალაქს ამჟამად მიაქვს 460 მგვტ. სულ რომ ჩაირთოს, 30-35 მგვტ-ღა სჭირდება კიდევ. რადგან ეს დღეები თითქმის სულ იყო დენი, „პიკური“ მოხმარებაც შემცირდა.

სწორედ ამას ვუმტკიცებთ „საქენერგოს“: რაც მეტი ექნება თბილისს დენი, ელექტროენერგიის ხარჯი მით უფრო ნაკლები გამოდის.

■

რადგან „ენგურჰესი“ არ მუშაობს, აფხაზეთს დენი აღმოსავლეთიდან, პრაქტიკულად, გარდაბნის თბოელექტროსადგურიდან მიეწოდება.



რა არის „ცეკავშირი“ - დამოუკიდებელი ორგანიზაცია თუ ოფიციოზის „სათბური“?

საქართველოში აღარავის უკვირს, რომ საქმიანობის ნებისმიერ სფეროში „კბენაი, ღრენაი, კბილების ღრჭენაი“ და დედის გინება ურთიერთობის ჩვეული ფორმაა. განსაკუთრებით მაშინ, როდესაც საქმეში „ვერცხლი“ ტრიალებს.

ამიტომ, პარლამენტში „ცეკავშირის“ მიერ მოწყობილი შოუ, გაწევ-გამოწევითა და სხვა თანმდევი ატრიბუტებით, საზოგადოებამ ინერტულად მიიღო, რასაც ვერ ვიტყვით პარლამენტის წევრებზე, გიორგი ბარამიძის მეთაურობით, რომელიც ეტყობა, გააღიზიანა ცეკავშირის თავმჯდომარის მიერ არჩევნების შესახებ გადაკრულმა სიტყვამ. ამდენად, უკვე ლაპარაკია მავანთა პოლიტიკურ ინტერესებსა და კლანების გავლენის სფეროების ახალი გადანაწილების შესახებ. „ცეკავშირის“ თანამშრომლების დიდი ნაწილი კი, აქტიურად ილაშქრებს თავმჯდომარის — გოგი ქათამაძის წინააღმდეგ, გაუცემელი ხელფასების, ამბიციურობისა და ავტორიტარიზმის გამო, რასაც, როგორც ამბობენ, 5 წელია უდრტვინველად იტანდნენ.

მანანა იაშვილი

გია ბარამიძე, პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე.

— პარლამენტშიც აღნიშნულა და თქვენც არაერთხელ გითქვამთ, რომ პარლამენტმა სასათბურე პირობები შეუქმნა „ცეკავშირს“ და მის ხელმძღვანელობას. რაში გამოიხატება ეს პირობები?

— მიუხედავად იმისა, რომ „ცეკავშირი“ პრაქტიკულად კომერციული ორგანიზაციაა, კერძო სამართლის იურიდიული პირია და ბიზნესითაა დაკავებული, მასზე შეიქმნა სპეციალური კანონი თვით პრეზიდენტის ინიციატივით.

— რატომ გახდა საჭირო ცალკე კანონის მიღება?

— „ცეკავშირი“ უკვე ჩამოყალიბებული სტრუქტურა იყო და ახალ რეალობაში უნდა შეესრულებინა საქართველოს სოფლის მეურნეობის საბითუმო ბაზრის ჩამოყალიბების ფუნქცია. უნდა დახმარებოდა გლეხებს, რათა მათ მოწეული პროდუქციის გასაღების პრობლემა არ ჰქონოდათ.

— გლეხი სხვაგვარად ყიდის თავის პროდუქციას და რაღა რჩება „ცეკავშირს“?

— დიახ, გლეხი სხვასთან ყიდის თავის საქონელს. ეს სწორედ იმიტომ მოხდა, რომ „ცეკავშირმა“ არ შექმნა ის სისტემა, რომელიც იმუშავებდა. ადრე ისინი ასრულებდნენ მსგავს სამუშაოს. მათ თავისუფლად შეეძლოთ საბითუმო ბაზრის ჩამოყალიბება და თავიანთი მოუქნელობით დაკარგეს ეს სფერო. მათ გასაკეთებელს სხვები აკეთებენ და ეს სისტემა ახლა იდგამს ფეხს. მათ კი უდიდესი „ფორა“ ჰქონდათ, სტრუქტურაც და მუშაობის უდიდესი გამოცდილებაც. უბრალოდ, ამას სჭირდებოდა პატიოსანი, ნორმალური, კარგი ხელმძღვანელი — მენეჯერი, რომელიც ამ საქმეს გაუძღვებოდა და „ცეკავშირს“ არ შეხედავდა ისე, თითქოს მას უნდა „გამოსწოვო წვენი“, დაანგრიო და უვარგისი გადააგდო.

— გოგი ქათამაძემ დააშავა?

— დამნაშავეობის საკითხს სხვა ორგანოები დაადგენენ, მაგრამ მისი „საქმიანობის“ ერთ-ერთი გამოხატულება იყო კანონის მოთხოვნის არშესრულება. მან არ განსაზღვრა ამ სტრუქტურაში, ვინაა მეპაიე. აქედან გამომდინარე, რადგან მეპაიე არ არსებობს, არავინაა უფლებამოსილი, თავის ქონებაზე და თავისი ქონების განკარგვაზე საფუძვლიანად იდავოს. გარდა ამისა, მან შექმნა ისეთი სიტუაცია, რომ, ფაქტობრივად, მისი მოქმედების კონტროლი შეუძლებელია: „ცეკავშირის“ საბჭოში შეიყვანა ის ხალხი, რომლებიც, იმავდროულად, გამგეობის წევრებიც არიან. საბჭომ კი გამგეობა უნდა გააკონტროლოს. წარმოიდგინეთ, როდესაც გამგეობიდან 13 კაცი საბჭოს წევრიცაა, რა კონტროლზე შეიძლება იყოს საუბარი. აი, ასეთი ატმოსფეროა „ცეკავშირში“.

— თქვენ რატომ დაინტერესდით ამ საქმით?

— ქათამაძე არის „მოქალაქეთა კავშირის“ თავმჯდომარის მოადგილე. „ცეკავშირში“ ბევრია ჩვენი წევრი. რაღაცნაირად დამკვიდრდა აზრი, რომ ჩვენ დარღვევებს ვხედავთ და ხელს ვაფარებთ. ამიტომ ჩავთვალე საჭიროდ, მეთქვა სათქმელი. არავითარი პიროვნული დაინტერესება არა მაქვს არც ბატონ გოგისთან, არც სხვებთან მიმართებაში.

— დედათქვენი „ცეკავშირის“ ერთ-ერთი განყოფილების გამგეა...

— ამიტომაც ყველაფერი ვიცი, რაც იქ ხდება. ხელისგულზე არის ორგანიზაცია ჩემთვის გაშლილი.

— ამ ფაქტორმა ხომ არ განაპირობა თქვენი რეაქცია?

— დედაჩემის ფაქტორმა სწორედ ის განაპირობა, რომ ამდენი ხანი გაჩუმებული ვიყავი. ხომ იცით, არსებობს საქართველოში რაღაც კოლეგიალობის ფაქტორი. ამიტომ ბ-ნ გოგისთან, ამ სამი წლის განმავლობაში, რამდენიმე არაფორმალური საუბარი მქონდა „მოქალაქეთა კავშირის“ მთავარი საბჭოს სხდომებზე და სხვა სიტუაციაშიც. ამდენად, დედაჩემის იქ მუშაობამ უფრო შეაფერხა, ვიდრე დააჩქარა მოვლენები. ბ-ნი გოგისაგან კი სულ გვესმოდა, რომ ყველაფერი კარგადაა, მიმდინარეობს მუშაობა და ა.შ. ასე იყო, სანამ ხალხმა არ იხუვლა და ისეთი სერიოზული, არგუმენტირებული საბუთები არ დაგვიდეს იმაზე, თუ როგორ ხდება „ცეკავშირში“ ქონების განიავება, არაგონივრული მოხმარება. სამწუხაროდ, ფაქტი სახეზეა: მან ვერ შეძლო აემუშავებინა „ცეკავშირი“, რათა მას შეესრულებინა ის ფუნქცია, რის გამოც პრეზიდენტმა, პარლამენტის მხარდაჭერით, კანონით უზრუნველყო. მე იძულებული ვიყავი, გამ-

ოვსულიყავი და მეთქვა, ვიდრე სხვა იტყოდა. მეუბნებიან — უხერხული იყო. უხერხული სწორედ ის იქნებოდა, რომ თვალი დაგვეხუჭა ზღვარგადასულ დარღვევებზე.

— ბატონი გოგი ამბობს, რომ „ცეკავშირს“ არავითარი პრივილეგიები არა აქვს და იგი ჩვეულებრივი კომერციული ორგანიზაციაა.

— ჩვეულებრივ კომერციულ ორგანიზაციას ცალკე კანონს არ უქმნის სახელმწიფო, ჩვეულებრივი კომერციული ორგანიზაციის ხელმძღვანელი მთავრობის სხდომებს არ ესწრება, ჩვეულებრივი კომერციული ორგანიზაციის ხელმძღვანელს მთავრობასთან ახლო ურთიერთობა არა აქვს. ამდენად, „ცეკავშირი“ და მისი ხელმძღვანელი მართლაც „არაჩვეულებრივია“, სადაც სერიოზულ დარღვევებს აქვს ადგილი.

— კონტროლის პალატამ ხომ დიდი ვერაფერი აღმოუჩინა?

— თავის გასამართლებლად, კონტროლის პალატის მასალებზე დაყრდნობა აბსურდია, რადგან სწორედ ამ მასალებში ჩანს, რომ გოგი ქათამაძე არის უნიათო მენეჯერი და უნიათო ხელმძღვანელი. ტუალეტის რემონტზე 17 ათასი არ უნდა დახარჯო, როდესაც შენს კოლეგებს თვეობით არ აუღიათ ხელფასი, და არც ორჯერ უნდა გამოიცვალო, თუნდაც რუსული წარმოების მანქანა. ეს კარგად მეტყველებს იმაზე, თუ როგორი დამოკიდებულება აქვს მას თანამშრომლებთან.

გოგი ქათამაძე, „ცეკავშირის“ თავმჯდომარე.

— რისი იმედი გქონდათ, როდესაც პარლამენტის საკომიტეტო მოსმენა მოითხოვეთ?

— არაფრის იმედი არ მქონია — ამას აქვს თავისი წინაისტორია. ხომ არ შეიძლება დაუსრულებლად ლაპარაკი: „გაიყიდა“, „დაიქცა“, „დაინგრა“. შემმოწმებლებსაც ვთხოვეთ, ენახათ ყველაფერი. ნახეს და დაკმაყოფილდნენ. მაგრამ მომჩივან მხარეს ეს არ აკმაყოფილებს. ჩვენს სისტემაში მიდის რეფორმა. ეს ვერავის გავაგებინე. მივიღეთ კანონი, მივიღეთ კანონში ცვლილებები, ზოგს კი ისევ ის „ცეკავშირი“ ჰგონია — როდესაც მოდიოდა ეშელონები და ამ ოთახიდან რიგდებოდა, დაწყებული ტელევიზორიდან, დამთავრებული ცოცხით. ჩვენ მოვსპეთ ცენტრალიზაცია და მივეცით ავტონომია „რაიკავშირებს“. მათ კი, თავიანთი კავშირი დააფუძნეს. ადრე პირიქით იყო. ჩვენ დღეს მათ ქონებაზე პასუხს არ ვაგებთ, ისევე, როგორც ისინი არ აგებენ პასუხს ჩვენს ქონებაზე.

— თქვენ რალა ქონება გაქვთ, „რაიკავშირების“ გარეშე?

— თავის დროზე, მოგების ხარჯზე და ცენტრალიზებულად მოზიდული სახსრებით აშენდა საწარმოები და შენობები. ეს იყო და დარჩა ასე. ამ ქონებას განკარგავს ცენტრალური კავშირი და მას მეპაიე არ ჰყავს. ეს არის განუყოფელი ქონება.

— თქვენ 916 ობიექტი გაყიდეთ, გქონდათ ამის უფლება?

— 911 ერთეულია გაყიდული და არა ობიექტი. ამ ერთეულში შედის შენობაც და ღობიდან ამოვარდნილი აგურიც. ეს მასალები გვაქვს. მათ შორის 103 ძველი ავტომანქანაა გაყიდული. ფაქტობრივად, ახლა ჯართია — მანქანისა არაფერი შერჩენია. დანგრევას „ესენი“ ეძახიან იმას, რომ რეფორმა მოხდა და „რაიკავშირებს“ დავუმტკიცეთ ქონება.

— აბა, რატომ კითხულობენ — არსებობსო „ცეკავშირი“?

— როგორ არ არსებობს, როდესაც წელიწადში 10 მილიონი საქონელბრუნვა გვაქვს და 2,7 მლნ — ბიუჯეტში შედის. ესაა არარსებობა? ბევრი აქვთ ასეთი ორგანიზაციები?

— რატომ არიან უკმაყოფილონი?

— უნდათ, პენსიასავით ღებულობდნენ ფულს და არ იმუშაონ. ჩვენ საერთოდ მოვსპეთ კომერციული სამსახური და აღარ ვეწევით კომერციულ საქმიანობას.

— რას აკეთებთ და ბიუჯეტში როგორლა შეგაქვთ თანხები?

— ჩვენ ვართ კავშირი. ჩვენ უნდა გავხდეთ ლობისტური ორგანიზაცია და ვართ კიდეც — კანონის „გატანისთვის“ პარლამენტში, პრეზიდენტთან, დავიცვათ „რაიკავშირების“ ინტერესები საერთაშორისო ორგანიზაციებთან, შევქმნათ დოკუმენტაცია და, კანონის ფარგლებში, ვიყოთ მათი წარმომადგენლები.

— თქვენ მოგენიჭათ საკმაოდ დიდი უფლებები, ვიდრე ჩვეულებრივ მეწარმეებს, მაგრამ ისინი უფრო კარგად ყიდულობენ და ყიდიან საქონელს. რატომ?

— არავითარი სასათბურე პირობები არა გვაქვს. ერთადერთი, რაც კანონში წერია და მივაღწიეთ, ის არის, რომ ქონება გამოცხადდა საკუთრებად და სახელმწიფოს მასში წილი არა აქვს და ჩარევის უფლებაც არ გააჩნია. აქ, შემოწმებაზე მხოლოდ საგადასახადოს შეუძლია შემოსვლა.

— მაშინ კონტროლის პალატამ რატომ შეგამოწმათ?

— იმიტომ, რომ ამ ხალხმა იჩივლა დეპუტატებთან: „შეჭამეს, გადაჭამეს, არიქა — გვიშველეთ!“ ზოგმა პარლამენტარმა არ

— ქათამაძე არის „მოქალაქეთა კავშირის“ თავმჯდომარის მოადგილე. „ცეკავშირში“ ბევრია ჩვენი წევრი. დამკვიდრდა აზრი, რომ ჩვენ დარღვევებს ვხედავთ და ხელს ვაფარებთ. ამიტომ ჩავთვალე საჭიროდ, მეთქვა სათქმელი.

ტესტი ერუდიციაზე

1. რამდენგზის მსოფლიო ჩემპიონია მარადონა?

ა) 1;
ბ) 2;
გ) 3.

2. რამდენი დიდი კუნძულისგან შედგება იაპონია?

ა) 2;
ბ) 4;
გ) 6.

3. რამდენჯერ განათხოვარი ძალი მიჰგვარეს შვილებმა გეკინა სამანიშვილს:

ა) ორჯერ;
ბ) სამჯერ;
გ) ხუთჯერ.

4. რამდენი ქულაა ნარდში „ელამის“ სინონიმი?

ა) 7;
ბ) 9;
გ) 11.

პასუხები იხილეთ 61-ე გვერდზე

იცის კანონი. ვინც იცის, მათ უპასუხეს, რომ ასეთი შემოწმება მათი კომპეტენცია არ არის. „ცეკავშირს“ ჰყავს თავისი სარევიზიო სამმართველო და იქ მიაკითხეთო. ამათ ეს არ აძლევთ ხელს. კონტროლის პალატამ თავიდან მოიწერა, რომ ეს მათი კომპეტენცია არაა. უფლება არა აქვთ. მე თვითონ ვთხოვე მოლაშვილს, რომ მოსულიყვნენ შესამოწმებლად, რადგან ამას 28 დეპუტატი მოითხოვდა. მოვიდნენ და ნახეს, მაგრამ როდის ყოფილა, მომჩივანი გადასულიყო თავისი ჩივილის თემას...

— თანამშრომლების ნაწილი ჩივის, რომ მათ ხელფასებს არ აძლევთ, შენობის ქირად კი, წელიწადში 400.000 ლარს იღებთ?

— სუყველაფერი შემოწმებულია კონტროლის პალატისა და პროკურატურის მიერ ათჯერ. რაზეა ლაპარაკი? 300.000 ლარიდან, რომელიც შემოდის, 120 ათასი ლარი რესპუბლიკის ბიუჯეტში შედის: ეს მეწარმეობაა და რადგან ვაქირავებ, ვიხდი კიდეც. აქ კიდევ, მიწის რენტის გადასახადი, შენობის გადასახადი, სინათლის გადასახადიო... დამქირავებელი კი კვადრატულ მეტრში 10 დოლარს გიხდის...

— შტატების შემცირებაზე რას გვეტყვით? შემცირება ყველგან მტკივნეული პროცესია...

— ქუჩაში კი არ ვყრი უფულოდ — ვეუბნები, რომ შექმნან შპს-ები: მივცემ რაღაც ქონებას და აამუშაონ. მაგრამ ეს არ ნებავთ. საანგარიშოებით დარბიან და უჩხაკუნებენ, გაგიჟდება კაცი!

— ახლო მომავალში რას აპირებთ?

— გვაცალონ მუშაობა — მეტი რა უნდა დავაპიროთ?! ჩვენ შევინარჩუნეთ „ცეკავშირი“. იცით, თქვენ, პოსტსაბჭოური დროის სენია ყველაფრის დანგრევა და ყველაფრის ხელში ჩაგდება. სხვა რესპუბლიკებში დატაცებულია უკვე — ყაზახეთში, ყირგიზეთში საერთოდ დაიშალა. ჩვენ კი შევინარჩუნეთ, პრეზიდენტისა და ზურაბ ჟვანიას ხელშეწყობით, კანონი მივიღეთ... მე რომ სხვა ინტერესები მქონოდა, გადავცემდით ყველაფერს ქონების მართვის სამინისტროს და გავყიდდით ერთად. ბევრი რამ დანგრეულია, ამ დროს გვეუბნებიან — სად წავიდა ეს ფული, 900 ობიექტი გაყიდეთო? 3 წელი და 6 თვეა, პროკურატურა და კონტროლის პალატა გვამოწმებდა. ვის აქვს ორი თავი ან ვინაა ქათამაძე, რომ დაეფარათ, თუ რამე დავაშავე?! გეტყვით, სად წავიდა ეს ფული. დებულებაა ასეთი, რომ რაიონებში მეპაიეთა კრება წყვეტს, გაყიდონ თუ არა თავიანთი ქონება. შემდეგ მოდის აქ ოქმი და ჩვენ მას უბრალოდ, ვამტკიცებთ გამგეობაზე. მე არა მაქვს უფლება, ვინმეს რაიონში ქონება გავუყიდო. ადრე, შეთანხმების გარეშე ყიდდნენ ადგილებზე ქონებას. ზოგჯერ „რაიკავშირის“ თავმჯდომარემ არც იცოდა, რომ მისი ობიექტი გაყიდულია. ამის გამო არიან ესენი გაგიჟებულები, რომ გადავუჭერით შემოსავლის წყარო. ორი ინსტიტუტი გვაქვს და ბოლო 15 წლის განმავლობაში აქ ახალგაზრდა სპეციალისტი არ მიუღიათ. სხვედან და ამბობენ — არ წავალთ, აქედან უნდა გაგვასვენოთო. 40-45 წელია აქ მუშაობენ და ხომ გითხარით — „ჩოთქებით“ დარბიან, კომპიუტერის სახელიც არ გაუგიათ. როგორ მივცე ასეთ ხალხს ხელფასი?! თვეში 15 ათასი ლარია საჭირო — ეს 140 კაცზე, თორემ ადრე 400 კაცი იყო შტატში. ერთი გენახათ — ვაჭრობის სამმართველოში გვქონდა, — ტრიკოტაჟის ჯგუფიო, ფეხსაცმელების ჯგუფიო, ელექტროსაქონლის ჯგუფი, მზა ტანსაცმლის ჯგუფი... ვეუბნები — „ხალხნო, რა ჯგუფი გაქვთ, სადაა ან ტრიკოტაჟი ან მზა ტანსაცმელი? ან ფეხსაცმელი სადაა?“ წარმოიდგინეთ, „შრომისა და ხელფასის სამმართველო“ — რისი შრომისა და ვისი ხელფასის? რა დროს ესაა?! ამიტომაც გადამეკიდნენ, რომ ასეთი დროწასული რაღაცების გაუქმება და ახლის, ნორმალურის შემოღება, ახალი სტანდარტებით მუშაობა მინდა.

■

მე რომ სხვა ინტერესები მქონოდა, გადავცემდით ყველაფერს ქონების მართვის სამინისტროს და გავყიდდით ერთად. გვეუბნებიან — სად წავიდა ეს ფული?.. 3 წელი და 6 თვეა, პროკურატურა და კონტროლის პალატა გვამოწმებდა.

შეგახსენებთ, რომ თრეფიკინგი გახლავთ მიგრანტთა შრომის ექსპლუატაცია, ადამიანის ღირსებისათვის დამამცირებელ პირობებში. ეს შეიძლება იყოს მეურნეობის ნებისმიერი დარგი, აგრეთვე სექს-ბიზნესი. თრეფიკინგი მსოფლიოში მესამე კრიმინალური ბიზნესია — იარაღითა და ნარკოტიკებით ვაჭრობის შემდეგ; ეს არის, ფაქტობრივად, კონტრაბანდა ადამიანებით — მონებით ვაჭრობის თანამედროვე ფორმა, რომელსაც მილიონობით დოლარის მოგება მოაქვს.

მედეა გოგსაძე

ცეკვავენ: მარინა სინჯიაშვილი და რამაზ ფირცხალავა

თრეფიკინგს უმაღლეს ეშელონებში მფარველობენ?..

ვის აძლევს ხელს ყოველივე ეს?

21 თებერვალს, მიგრანტთა და უცხოელ მოქალაქეთა უფლებებისა და უსაფრთხოების დაცვის ცენტრში ჩატარდა პრესკონფერენცია, რომელზეც ჟურნალისტების წინაშე წარდგა თრეფიკინგის შედეგად დაზარალებულთა ჯგუფი. მათ დამსწრე საზოგადოებას შპს „შავი ცხენის“ მოღვაწეობის დამანტრიგებელი დეტალები აუწყეს. დირექტორმა, ვინმე მარინა სინჯიაშვილმა, ქეთევან გონაშვილსა და რამაზ ფირცხალავასთან ერთად, შარშან, 16 ოქტომბერს, ბულგარეთში ავტობუსით გაამგზავრა მოქალაქეთა ჯგუფი, რომელთაც ადგილზე შრომით მოწყობას შეჰპირდნენ. ლაპარაკი იყო ქათმების შეფუთვასა და სხვა ელემენტარულ სამუშაოზე, თვეში 500 დოლარი ანაზღაურებით. ფირმა კისრულობდა სამსახურში მოწყობამდე, სასტუმროში ერთი კვირით დაბინავებას, სამჯერადი კვებით. გაფორმდა ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც კლიენტს ფირმისათვის უნდა გადაეხადა 500 დოლარი; აქედან 60% — კონტრაქტის ხელმოწერისას, დანარჩენი — გამგზავრების წინ. ისმის კითხვა — რატომ გამგზავრების წინ და არა სამსახურში გაფორმების შემდეგ? როგორც მოვლენათა შემდგომმა განვითარებამ ცხადყო, „ორგანიზატორებმა“ ყველაფერი წინასწარ გათვალეს — ადგილზე ფულს მათ ასე ადვილად აღარავინ მისცემდა.

ხათუნა პერესტაევა:

— შეთანხმებისამებრ, ჩასვლისას სასტუმროში მოგვათავსეს, თანაც არცთუ ისე ურიგო პირობებში, მაგრამ მეოთხე დღიდან აღარაფერს აღარ გვაჭმევდნენ, ამ დროს, შვიდი დღის განმავლობაში სამჯერად კვებაზე ვიყავით მოლაპარაკებულნი. მეორე დღესვე ვიგრძენი, რომ საქმე ცუდად იყო; მარინა და რამაზი ვითომ სამუშაოს დამკვეთთან წაბრძანდნენ, მაგრამ იმავე დღეს ნასვამები დაბრუნდნენ და გამოგვიცხადეს — დამკვეთმა „გადაგვაგდოო“. ხალხს მაშინვე დაბრუნება შევთავაზე, მაგრამ ჯგუფში ერთსულოვნება არ იყო — ყველას თავისი ფინანსური პრობლემები ჰქონდა. ზოგმა წამოსასვლელად პროცენტიანი ვალიც კი აიღო. ასე გაგრძელდა რამდენიმე დღე — მიდიოდნენ, ვითომ სამუშაოს მოსაძებნად და ნაქეიფარნი ბრუნდებოდნენ. ზოგმა ჭკუა იხმარა და წამოვიდა, სხვებმა ერთ თვემდე იწვალეს. ვისაც კი რა ჰქონდა ხელზე ძვირფასი, ყველაფერი გაყიდა, თორემ შიმშილით დავიხოცებოდით. ჩვენთან ერთად ოჯახიც კი იყო წამოსული — ცოლ-ქმარი ოთხი წლის ბავშვით — წარმოიდგინეთ მათი საცოდავი მდგომარეობა. შემდეგ მოინახა ვიღაც კატია, რომელმაც ყურძნის კრეფა შემოგვთავაზა. მარინა გვპირდებოდა, თითო კილოში ჩვენს ფულზე ხუთ ლარს გადაგიხდიანო. მაშინვე ვიეჭვე, ამდენს ვინ მოგვცემს-მეთქი, მაგრამ ვინ გისმინა! რამაზმა და მარინამ ისევ ფული აკრიფეს — „ჩამოდით“, ვის რამდენი შეგიძლიათო. ზოგმა 20 დოლარი დადო, ზოგმა 30. მოიყვანეს ავტობუსი, ჩავჯექით და გზაში ისევ მე დავაყენე საკითხი — წესიერად გავარკვიოთ, სად მივდივართ, უარეს დღეში არ ჩაგვყარონ-მეთქი. მართლაც „ბლეფი“ აღმოჩნდა. კატიამ აგვიხსნა — კილოში კი არა, დღეში 5 ლარი, ისიც თუ ერთ ტონაზე ნაკლებს არ დაკრეფთო. დროებითი სამუშაო აღმოჩნდა — მხოლოდ ერთი კვირით მივყავდით. ატყდა ერთი ვაი-ვაში. მე მარინას ვეძგერე — როგორ გვიბედავ მოტყუებას-მეთქი?! მიპასუხა — შენ გაჩერდი და პირველივე ბორნით უკან გაგიშვებ — ესენი წავიდნენ, რაში გენაღვლებაო?! ისევ კატიას შევებრალეთ — მიგვიყვანა ახლობლებთან და დღეში ერთხელ გვაჭმევდნენ. ბოლოს, გადავწყვიტეთ ბულგარეთის ტელევიზიისთვის ან ჩვენი საკონსულოსთვის მიგვემართა. დეპორტაციის იმედზეღა დავრჩით — ყველაფერი შემოგვეღლია. რამაზმა დაშინება დაგვიწყო — ვინც ფეხს გაადგამს აქედან, საქართველომდე „ტრუსიკიანს“ ვარბენინებო — რაღა არ გვაკადრა! ჯგუფში ერთსულოვნება რომ არ იყო, ეს აფუჭებდა საქმეს. მე პირადად, ჩემი ხარჯებით წამოვედი. სხვებს თითოოროლა „კაპიკი“ მიუგდეს. მარინა დიდ გულზეც კი იყო: რა პრეტენზიები გაქვთ — ჩამოგიყვანეთ და ბულგარეთი გიჩვენეთო!

მაია გოგოლაძე:

— როდესაც ჩამოვაღწიეთ, შედგა საერ-

რამაზ ფირცხალავა, მარინა სინჯიაშვილი (შუაში) და ჯგუფის ერთ-ერთი წევრი

თო კრება ქალბატონ ელენე ქევხიშვილის (ჯგუფის წევრი – ავტ.) ბინაზე. მობრძანდა „მეფე-დედოფალი“ – რამაზი და მარინა. მოვთხოვეთ ფულის დაბრუნება. ხელშეკრულებაში გარკვევით წერია: „შემსრულებლის ბრალეული ქმედების შედეგად ხელშეკრულების შეწყვეტისას შემკვეთს უბრუნდება გადახდილი თანხის მთლიანი ოდენობა“. გარკვეული პასუხი არ მოგვცეს. ისე, მარინა თავიდან არ გვემალებოდა და რაღაც ზღაპრებით გვისტუმრებდა – ვითომ, ჩემს ძმას ქათმების ფაბრიკა აქვს, როდესაც სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე კრედიტებს გამოიტანს, ფაბრიკის სახელზე ავიღებთ და ყველაფერს დაგიბრუნებთო. მოკლედ, ასე ტყუილ-ტყუილებით დრო გაჰყავდა. ახლა დამალულია.

ხათუნა პერესტაევა:

– მე რომ ჩამოვედი, მაშინვე შევეცადე ჩივილს. ადრე მარინა სინჯიაშვილი „მოღვაწეობდა“ ფირმა „ალბატროსში“, რომელიც ეწეოდა ანალოგიურ საქმიანობას. დირექტორი იყო ვინმე ლელა მათიაშვილი. „ალბატროსმა“ ზუსტად ასევე „გააცურა“ ხალხი – ვითომ ნორვეგიასა და ავსტრალიაში გაუშვა სამუშაოდ. მერე დაიშალა და მარინამ საკუთარი შპს დაარსა. მე წინა ჯგუფების საჩივარს შევუერთდი. საინტერესოა, რომ ჩვენი საჩივარი „შავი ცხენის“ მიმართ, რატომღაც დაუკავშირეს სხვა ანალოგიური ფირმის უფროსის – გლოველის საქმეს (ეს პიროვნება ახლა დაპატიმრებულია) – თითქოს მარინამ ჩვენი ფული გადასცა და მან კი მოატყუა, ე.ი. სინჯიაშვილი აქეთ დაზარალებული გამოიყვანეს. ტყუილად კი არ გვიტრიალებდა ცხვირწინ მუშტებს – ფეხებსაც ვერ მომჭამთ, პროკურატურაში 9 ათასი დოლარი „ჩავყარეო“... რამაზი კი თავისი ქურდი ძმაკაცებით გვემუქრებოდა. სხვათა შორის, მარინა ფულს ვერ მისცემდა გლოველს თუნდაც იმიტომ, რომ იმ პერიოდში გლოველი, უკვე დაპატიმრებული იყო. დასკვნები თავად გააკეთეთ.

ელენე ქევხიშვილი:

– მე პირადად, შევიტანე განცხადება შსს-ში. პასუხად, სისხლის სამართლის სამძებროს მთავარი სამმართველოს, არასრულწლოვანთა და სტუდენტ ახალგაზრდობას შორის დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველოს უფროსი, რ. ფაილოძე გვამცნობს, რომ საგამოძიებო ორგანოთა დასკვნით, მოქ. მ. სინჯიაშვილის ქმედებაში არ მოიპოვება დანაშაულის შემადგენლობა, ხოლო თანხის დაბრუნების საკითხი წარმოადგენს სამოქალაქო დავას – და გვირჩევს, სასამართლოს მივმართოთ. ანალოგიური პასუხი მიუვიდა მაია გოგოლაძეს. მადლობის მეტი რა გვეთქმის?! სხვებს პასუხიც არ აღირსეს...

ისმის კითხვა: ჯერ ერთი – სად სტუდენტობას შორის დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლა და სად თრეფიკინგი? ეს არის მომჩივანის ტიპური „მოშორება“. მეორე: ხელშეკრულების 33-ე გ პუნქტის თანახმად, ფირმას უნდა მოეხდინა სამუშაოს მიმცემი ორგანიზაციის მოძიება, მასთან ოფიციალური შეთანხმება და შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმება, რაც არ განხორციელებულა; მესამე: საქართველოში ჯერ არ არსებობს კანონი შრომითი მიგრაციის შესახებ, ამდენად თავად შრომითი მოწყობის შეთავაზება და ხელშეკრულების დადება წარმოადგენს დარღვევას, რომელსაც შესაბამისი კვალიფიკაცია უნდა მიეცეს; მეოთხე: ხელშეკრულების გაფორმების მომენტში შპს „შავი ცხენი“ უკვე გაუქმებული იყო და არც ჰქონდა საქმიანობის უფლება.

საინტერესოა, რის საფუძველზე გააკეთეს საგამოძიებო ორგანოებმა თავიანთი „მიუკერძოებელი“ დასკვნა?

მამაკაცი, რომელმაც ინკოგნიტოდ დარჩენა ისურვა:

– ჩემმა ახლობელმა, პროკურატურის თანამშრომელმა, „ძმურად“ მირჩია – დროს ნუ კარგავ, ჩვენთან მაინც ვერაფერს მიაღწევ, ისევ ქურდებს მიაკითხეო...

„თბილისი-პარიზი-თბილისი“

ქალბატონი ნანული ბასიაშვილი არასამთავრობო ორგანიზაცია – WOMEN AID INTERNATIIONAL-ის საქართველოს ფილიალის მესვეურებმა, ლელა ბაქრაძემ და ქოლეთ სელმანმა გამაცვნეს. პარიზში გადასროლილი და განუკითხავად მიტოვებული, ხანში შესული ქალბატონისა და მამაკაცის ამბავი, რომელიც მხოლოდ ბედნიერი შემთხვევის წყალობით დასრულდა ჰეფი-ენდით (შინ მშვიდობიანად დაბრუნებით).

– მე და ედუარდმა (გვარს არ დავასახელებ) აგვისტოში მივმართეთ ფირმა „ანას“, რომელსაც ხელმძღვანელობს ბაქოს ქუჩის №10-ში მცხოვრები ინა გიორგაძე. დაგვპირდა, რომ გაგვამგზავრებდა ესპანეთში. წასასვლელი ფულის საშოვნელად ბინის დაგირავება მომიხდა და ამ ქალბატონმა ეს ჩინებულად იცოდა. ჯერ ვითომ მოსკოვზე გავლით გვიშვებდა, საქმე აჯანჯლა და ფულები გვძალა. გაითვალისწინეთ, რომ ამასობაში, უკვე დეკემბერიც დაგვიდგა. მერე, ვითომ, პარიზიდან გაგიშვებთო. მივედით მე და ედუარდი საფრანგეთის საკონსულოში. კონსული თვალითაც არ გვინახავს. იქ დაგვხვდა ორი ქართველი გოგონა – ლელა და თეა. გასაუბრება სახლისა და სამსახურის ტელეფონის ჩაწერით ამოიწურა. 7 დეკემბერს, საქმის დასაჩქარებლად, ინამ მოიტანა ყალბი ბილეთები – „კუკლები“, თითქოს მეორე დღესვე მივფრინავდით. პასპორტებისთვის 5 საათზე დაგვიბარეს. სანამ ჩვენ მივიდოდით, ფირმის ვიღაც წარმომადგენელმა მიგვასწრო და პასპორტები ინას ხელში აღმოჩნდა. მან გვითხრა, რომ ესპანეთში ჩავბარდებოდით, როგორც ხელისუფლებისაგან შევიწროებული ლეიბორისტები. გააკეთა საბუთები: ლეიბორისტების ყალბი მოწმობა, გერბიანი გამოძახება პროკურატურიდან ოფისის დარბევის განცხადების საპასუხოდ და ცემის ფაქტის დამადასტურებელი ექსპერტიზის დოკუმენტი. ყველაფერი ეს, ცელოფანში შეფუთული, მხოლოდ გამგზავრების მომენტში ჩაგვაბარა. „ანას“ თანამშრომელმა, ასმათმა დაგვაიმედა – ჩემი მეუღლე, ლადო ესპანეთშია, ტელეფონით გავაფრთხილე და სამსახურს დაგაწყებინებთო. ანაზღაურებას კი თვეში 500 დოლარს გვპირდებოდნენ. მთელი ეს სპექტაკლი, საერთო ჯამში, 1.400 დოლარი დამიჯდა. სხვათა შორის, ფული ბილეთის გადაცემის მომენტშიც მომთხოვა და როდესაც აღარ მივეცი, ბილეთი უდიერად გადმომიგდო, თან დააყოლა – დაიცადე, ღმერთი დაგსჯისო! მოკლედ, იცოდა რაზეც გვაგზავნიდა. 22-ში გამოვფრინდით და ადგილზე „სასიხარულო“ სიურპრიზი გველოდა – სასტუმროში სხვადასხვა სქესის ორ ადამი-

ანზე, ერთსაწოლიანი მათხოვრული ოთახი დაგვახვედრეს, თანაც, წინასწარ გაფრთხილებულნი ვიყავით — სასტუმროში სამი დღე უნდა გაჩერდეთო. უბედური ჩემი თანამგზავრი ღამეს მეტროში ათევდა. ვალენსიაში წასვლა 120 დოლარი დაგვიჯდა. მარტოდმარტოდ, უპატრონოდ ჩავედით და ლადოს დავურეკეთ. უარზე დადგა — მეუღლეს ჩემთვის არაფერი უთქვამს, მაგრამ რადგანაც ჩამოხვედით, მოვალ და დაგხედავთო. ხუთი საათი ვუცადეთ, მაგრამ არ გამოჩნდა, თანაც, „მობილი“ გამორთო. ეს ყველაფერი ხდება 27 დეკემბერს. ბედად, უკან წამოსასვლელი ბილეთიც გვქონდა და 29 დეკემბერს დავბრუნდით. შემდეგ მივხვდი ინას ჩანაფიქრს — ვიზას ვადა 6 იანვარს გასდიოდა და იმედი ჰქონდა, რომ იქამდე შევყოვნდებოდით. ამასობაში, ბილეთიც გაუქმდებოდა. მერე, ეშმაკმა იცის, რა გველოდა — ალბათ ქუჩაში შიმშილით დავიხოცებოდით. ღმერთმა სწორი გადაწყვეტილება მიგვაღებინა.

განცხადება პირდაპირ შსს-ში შევიტანე. გამოძიება გონელი წითლიძეს დაეკალა. ცუდს მასზე ვერაფერს ვიტყვი, აშკარა ზეწოლის მიუხედავად, თავისი მოვალეობა მაინც შეასრულა. არც კი მერიდებოდნენ, გაჰყავდათ ეს კაცი გარეთ და რაღაცას უმტკიცებდნენ. მისი პასუხიც მესმოდა — რას ლაპარაკობთ, დაზარალებული აქ მიზის, განცხადება ხელში მაქვს, უყურადღებოდ როგორ დავტოვოო?! უკვე გამოიძია და ჩააბარა ჩულურეთის პროკურატურის საგამოძიებო განყოფილებაში. თაღლითობის მუხლი შეუფარდა.

მკითხველი ალბათ მიიჩნევს, რომ ამ კონკრეტულ შემთხვევაში „სამართალმა პური ჭამა“, მაგრამ ეს ნაადრევი დასკვნაა. ჯერ ერთი, დასახვეწია კანონმდებლობა — თაღლითობის მუხლი აშკარად არაადეკვატურია და არ ასახავს თრეფიკინგის მთელ სიმძიმეს, თუმცა დასახელებულ შემთხვევაში, არ გვაქვს ამ მოვლენის კლასიკური მაგალითი; საბედნიეროდ, ყველაფერი მიგრაციითა და მატერიალური ზარალით ამოიწურა. სამაგიეროდ, აშკარა საფრთხე შეექმნა მოქალაქეთა სიცოცხლესა და ჯანმრთელობას, თუმცა, ბედად, არ დაიბნენ და მოახერხეს უკან დაბრუნება. ყოვლად აუცილებელია, რომ სისხლის სამართლის კოდექსში თრეფიკინგი, როგორც ასეთი, ფიგურირებდეს. მეორე მხრივ, ბატონმა გონელი წითლიძემ რატომღაც საჭიროდ არ მიიჩნია საფრანგეთის საკონსულოს იმ ორი თანამშრომლის დაკითხვა, რომლებმაც ქალბატონ ნანულის პასპორტი რატომღაც უცხო პირს გადასცეს. ეს, რბილად რომ ვთქვათ, უცნაურად გამოიყურება.

როგორც ვხედავთ, საკანონმდებლო ბაზის არარსებობისა და სამართალდამცავი ორგანოების ინერტულობის პირობებში, ათასი ჯურის დამნაშავეს ფართო ასპარეზი ეძლევა უბრალო ადამიანების მოსატყუებლად. ცნობისათვის: მიგრანტთა და უცხოელ მოქალაქეთა უფლებებისა და უსაფრთხოების დაცვის ცენტრში, ზემოხსენებულ პრესკონფერენციაზე უშიშროების სამინისტროდან საერთოდ არავინ გამოცხადდა, იუსტიციის სამინისტროს წარმომადგენლებმა სანუგეშო ვერაფერი გვითხრეს, ხოლო შსს-ს პრესცენტრის უფროსის მოადგილე, ქალბატონი მაია მოსიძე, ძირითადად იმით იყო დაკავებული, რომ გაფთრებით იცავდა „ეშმაკლიურ“ უწყებას...

■

ჯგუფის წევრები. დგანან: შუაში — მარინა სინჯიაშვილი და რამაზ ფირცხალავა

ადამიანურ ქცევებზე



არ არსებობს დაბრკოლება მისთვის, ვისაც აქვს ნიჭი და შრომისმოყვარეობა.

ლუდვიგ ვან ბეთჰოვენი

დრო — ფასდაუდებელი ძღვენია, რაც გვეძლევა იმისათვის, რომ მასში გავხდეთ უფრო ჭკვიანი, უკეთესი, მომწიფებული და სრულყოფილი.

თომას მანი

მართ ოდენ მაშინ დაძარი სიტყვა,
როდესაც დუმილს სჯობს ლაპარაკი,
როცა იცი, რომ დატოვებ კვალსა,
როგორც ტილოზე — კარგი ნაქარგი.

პანჩატანტრა

ჭირსა შიგან გამაგრება ასრე უნდა,
ვით ქვიტკირსა.

შოთა რუსთაველი

გსურს გაზომო შენი ქცევა?
შეისმინე ბრძენთა რჩევა!

ჰაფიზი

დანაკლისიც კანონია, ზოგნი დაბლა ვარდებიან...

ამ ცხოვრების გზაზე, ძმაო, განა მხოლოდ ვარდებია!

აბუ ალი იბნ სინა (ავიცენა)

ვიდრე წერას დავიწყებ, სამ კითხვას ვაძლევ თავს: რა დავწერო, როგორ დავწერო და რისთვის დავწერო.

მაქსიმ გორკი

სამარცხვინოა, სხვათა შეცდომებში რომ ვიქექებით, ჩვენსას ვერ ვხედავთ.

დემოკრიტე

ძლიერი, მოკლედ გამოთქმული აზრები დიდად უწყობს ხელს ცხოვრების გაუმჯობესებას.

ციცერონი

უდიდესი გამარჯვება — საკუთარ თავზე გამარჯვებაა.

კალდერონ დე ლა ბარკა

მაშინ ჯერ კიდევ არ იცნობდნენ. როცა „გარიგება“ გამოვიდა ფართო ეკრანზე, მაყურებელმა გულით მიიღო ის თმაქოჩორა კახელი ბიჭი, რომელმაც ახალმოყვანილი ცოლი „პავაროტში“ დააყენა. მისთვის კახური იუმორი უცხო არ ყოფილა, რადგან თელავში დაიბადა და გაიზარდა. ბებია და პაპაც თელავის თეატრის მსახიობები იყვნენ, დედა კი თეატრის მხატვარი, ასე რომ, „თეატრალური“ საფუძველი უკვე არსებობდა. მერე უცებ მოვიდა პოპულარობა. ტელევიქტორინამ — „ვის უნდა ოცი ათასი“ დუტა სხირტლაძე საზოგადოების ყურადღების ცენტრში მოაქცია.

დუტა სხირტლაძე:

ყველაზე აზარტული მოთამაშე ვარ

მარინა ბაბუნაშვილი

ის კი არა, შედარებით გულუბრყვილოებს მართლაც სჯეროდათ, რომ დუტა ფულს „არიგებდა“ და ქუჩაში აჩერებდნენ: კაცი არა ხარ, ძალიან გვიჭირს და მოგვაგებინე ოცი ათასიო. ცოტა ხანში ანეკდოტების გორგალიც აგორდა, თუმცა, როგორც მოგვიანებით გავიგე, თავად დუტას „მხიარულთა და საზრიანთა“ კლუბის მიერ დადგმული ინსცენირება მოსწონს ყველაზე მეტად.

თითქმის ერთი თვე ვსდიე მოუხელთებელ რესპონდენტს. ბოლოს, ისევ „რუსთავი-2“-ის ერთ-ერთმა ჟურნალისტმა მირჩია, თეატრალურ სარდაფში, სპექტაკლის დაწყების წინ „ჩავსაფრებოდი“.

ასეც მოვიქეცი.

იმ დღეს ლევან წულაძის სპექტაკლის — „ეტ სეტერას“ ჩვენება იყო. დუტა სხირტლაძე ისეთი ელეგანტური და თმაზე მუსწასმული აღარ იყო, როგორიც ყოველი შოუს დროს, სამაგიეროდ, უფრო უშუალო და ბუნებრივი გახლდათ. სარდაფის მსახიობები ფაციფუცობდნენ, რადგან მალე სპექტაკლი უნდა დაწყებულიყო.

დუტამ ჩემი ვიზიტი სულაც არ გაიკვირვა. მხოლოდ ეს მთხოვა: მალე უნდა მოვრჩეთ ინტერვიუს, რადგან ფრიად „ეგზოტიკური“ როლი მაქვს და ჩემს „ცისფერ პერსონაჟს“ ისეთი გრიმი სჭირდება, დიდ დროს რომ მოითხოვსო.

— ვეცდები, დიდი დრო არ წაგართვათ, მაგრამ მაინც „შორიდან“ — თელავიდან უნდა დავიწყოთ.

— თელავი ჩემი მშობლიური ქალაქია. ბავშვობიდან ისე შემოიჭრა ჩემს გულში და იმხელა ადგილი დაიკავა, არა მგონია, ოდესმე მის დაჩრდილვას თუ შეძლებს სხვა ქალაქი, რაგინდ მდიდრული, ბრჭყვიალა და ლამაზიც უნდა იყოს. თელავის მერე ძალიან მიყვარს გალი, სადაც ახლა „ვიღაც-ვიღაცები“ დათარეშობენ.

— გალში რაღა გინდოდათ?

— ჩემი დეიდა იქ არის გათხოვილი. ყოველ ზაფხულს, როგორც კი არდადეგები დამეწყებოდა, იქ მისტუმრებდნენ და მეც სიხარულით „მივქროდი“. არაჩვეულებრივად კარგი და მხიარული დღეები მაქვს იქ გატარებული. მეგრულიც კი ვისწავლე.

— ვიცი, რომ თეატრალურმა გარემომ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა თქვენს ცხოვრებაში. და მაინც, როგორი იყო თქვენი პირველი მსახიობური ნაბიჯები?

— ოო... არცთუ ისე სახარბიელო. თეატრალურ ინსტიტუტში გამოცდებამდე, ჯერ ტურები უნდა გაგვევლო. ვაბარებდი კინოსა და დრამის მსახიობის ფაკულტეტზე. მესამე ტურზე „ჩამჭრეს“ და „გამომაპანღურეს“, დრო აღარ დავკარგე და საბუთები სასწრაფოდ მუსკომედიის ფაკულტეტზე გადავიტანე.

— მერე, სულ მღეროდით და ცეკვავდით?

— არა! სულ ვსვამდი და ვსვამდი.

— რატომ? ინსტიტუტში მოწყობას აღნიშნავდით?

— არა, ისე. ვსვამდი დილიდან საღამომდე, მერე კი... საღამოდან დილამდე.

— გახსოვთ თქვენი პედაგოგები?

— თქვენ გგონიათ, იმ დონეზე ვსვამდი, რომ პედაგოგებიც აღარ მახსოვს? ლევან წულაძე გახლდათ ჩემი პედაგოგი, რომელთანაც დღემდე საუკეთესო ურთიერთობა მაქვს. სტუდენტობიდან რაც მწარედ მაგონდება, ეს იყო ქართული ენის ლექციები. გრამატიკაში ცოტას „ვკოჭლობდით“ (მთელი ჯგუფი) და ქალბატონი მანანა გოშაძე გვეუბნებოდა: სანამ განცხადების წერას არ ისწავლით, მანამდე არ გაღირსებთ ნიშნებსო. როგორც იქნა, ვისწავლეთ განცხადების წერა და პედაგოგმაც ყველას „სამიანები“ „ჩამოგვიწიკწიკა“.

— პირველი როლი და პირველი სიხარული?

— სტუდენტობაში დადგმული ყველა სპექტაკლი დიდი სიხარული იყო ჩემთვის. რაც შეეხება კინოს, პირველი როლი ზაზა კოლელიშვილის „გარიგებაში“ მივიღე. სწორედ ამ როლს უკავშირდება ჩემი პირველი სიხარულიც.

— როგორც ვიცი, თავისუფალი დრო სულ არ გაქვთ. როგორ ეგუება ამას თქვენი მეუღლე?

— ცუდად!

— უთანხმოება მოგდით ხოლმე?

სცენა სპექტაკლიდან

– კი, ხშირად, მაგრამ მალევე ვზავდებით.

— ახლა გადავიდეთ მთავარ საკითხზე — „ვის უნდა ოცი ათასი“ შოუ არის თუ ინტელექტუალური თამაში?

– ერთიც და მეორეც.

— არ არსებობს თამაში (თვით ბავშვთა თამაშობანიც კი) აზარტის გარეშე. თქვენ მრავალი მონაწილე გინახავთ, იყვნენ თუ არა ისინი აზარტულები?

– რა თქმა უნდა, არიან, ძალიან აზარტულებიც და ნაკლებაზარტულებიც. ზოგი ფრთხილობს, ამიტომაც შედარებით მცირე თანხას ამჯობინებს, მაგრამ ზოგი ისე შედის აზარტში, რომ რისკზე მიდის.

— ტელევიქტორინაში რისკიანები უფრო ხშირად ყოფილან თუ გაუბედავები?

– თითქმის „ორმოცდაათი – ორმოცდაათზე“.

— მაგრამ შოუ საყურებლად მაშინ უფრო საინტერესო, როცა მონაწილე აზარტულია.

– გეთანხმებით. ამას წინათ, გამაკვირვა სამი შვილის დედამ, ქალბატონმა ზინაიდა საგანელიძემ, რომელმაც რვაჯერ გარისკა და 5 ათასი ლარი მოიგო. საოცრება ის იყო, რომ თავის პასუხში დარწმუნებული სულაც არ გახლდათ, მაგრამ თამაშმა ისე გაიტაცა, რომ უკან აღარ იხევდა.

— როგორ ფიქრობთ, ინტელექტუალურ თამაშში რა იმარჯვებს: ცოდნა, აზარტი თუ რისკი?

– სამივე ერთად, ამას დაუმატეთ ფორტუნაც.

— ეი. მონაწილეს ბედიც უნდა უღიმოდეს?

– დიახ, მე ასე ვფიქრობ. ტელევიქტორინაში იყო ერთი მონაწილე. საოცარ ინტელექტუალურ ცოდნას ამჟღავნებდა, ათას ლარამდე ისე ავიდა, რომ ერთი დახმარებაც არ გამოიყენა, მაგრამ 1.500 ლარიანი კითხვის პასუხში იმდენად იყო დარწმუნებული, დახმარების გარეშე გარისკა და წააგო კიდეც. გული ძალიან დამწყდა მისი მარცხის გამო.

— ბევრ მონაწილეს 100-ის ფარგლებში ეხმარებით ხოლმე, მაგრამ ხშირად აბნევთ კიდეც. ამას წინათ, ჩემმა ძმამ მიიღო მონაწილეობა შოუში და ისე დააბნიეთ, რომ წვენის ამოსაღებზე კინაღამ ქაფქირი ათქმევინეთ.

– როცა მონაწილეს, ერუდიციას ვატყობ და ჩემი მიზეზით შედის შეცდომაში, მაშინვე ვცდილობ, მივახვედრო და გამოვასწორებინო – თუმცა 100-ის მერე, ამის უფლება არ მაქვს. ბევრი მეხვეწება, ხან თვალებით მთხოვს დახმარებას, მაგრამ ეს შეუძლებელია. ისე, გარანტირებულ 1.500 ლარამდე, ხშირ შემთხვევაში, მეც არ ვიცი სწორი პასუხი.

— 1.500-ის მერე იცით?

– კი, მაგრამ ამას ხომ ვერ გავამჟღავნებ?!

— რა განცდა გეუფლებათ, როცა შოკირებულ, წაგებულ მონაწილეს უყურებთ?

– ლამის მეც შოკში ჩავვარდე, ძალიან მებრალება, მაგრამ რა ვუყოთ? ეს ხომ თამაშია? კარგია, როცა გჯერა, რომ მოიგებ, მაგრამ თუ ძალიან აზარტული ხარ და რისკიანი, შეიძლება გაბედულმა ნაბიჯმა არ გაგიმართლოს, რისთვისაც მზად უნდა იყო. არ დამავიწყდება სტუდენტი ბიჭი, რომელმაც ადამისა და ევას მესამე შვილი სწორად ვერ გამოიცნო და სახეზე ხელები აიფარა. იმ ბიჭის ემოცია მეც გადმომედო და რამდენიმე დღის განმავლობაში ძალიან მოუსვენრად ვიყავი.

— დიდხანს იარსებებს ეს ტელევიქტორინა?

– რა თქმა უნდა!

— რატომ ფიქრობთ ასე?

– იმიტომ, რომ ყველას უნდა ოცი ათასი.

— ოდესმე მოიგებს ვინმე ოცი ათასს?

– აუცილებლად.

— თეატრი რა არის თქვენთვის?

– თეატრი ჩემი ცხოვრებაა, მეორე სახლია, რომლის გარეშე ერთ დღესაც ვერ გავძლებ. სხვათა შორის, აზარტი ნებისმიერ საქმეში აუცილებელია, მით უფრო იქ, სადაც თამაშია. ასე რომ, მეც ყოველთვის აზარტული ვარ – ტელევიქტორინაშიც და სპექტაკლებშიც. ამის გარეშე, წარმოუდგენელია თამაში. აუ, ახლა გამიშვით, რა, გრიმი უნდა გავიკეთო, თორემ მომკლავენ დანარჩენი „ცისფერები“.

... მსახიობს თხოვნა ვერ შევუსრულეთ – სპექტაკლის მსვლელობისას რამდენჯერმე „ჩავაკარტიჩკეთ“. არადა, გვეუბნებოდა: რა არის, კაცო, ყველა გაზეთმა და ჟურნალმა ამ ფორმაში „გამომაჭენა“ – როლი როლია, მაგრამ არ მინდა, ძმაო – სულ „ცისფერი“ ხომ არ ვიქნები!..

რას იზამ – თეატრი თამაშია, ხან „ცისფერი“ იქნები და ხან „შავი“ და ყველა შემთხვევაში, ბოლომდე თუ არ დაიხარჯე, არაფერი გამოვა. დუტა სხირტლაძე ნამდვილად ბოლომდე იხარჯება.

■

გულში რაღაცა აფეთქებულა და მივხვდი შეშფოთებული ვიყავი

ნინო ჯავახიშვილი

„პირველი სიყვარული ყოველთვის დიადისადმი, ამაღლებულისადმი არის მიმართული. ბუნებას თითქოს სურს, რომ ერთმა სქესმა გრძნობისმიერ აღიქვას მეორეში კეთილი და მშვენიერი“, — ამბობდა გოეთე. ჭეშმარიტად ასეა! ასე რომანტიკულად არის განწყობილი სიყვარულისადმი სახალხო პარტიის თავმჯდომარე ბ-ნი **მამუკა გიორგაძე**. როდესაც განვუცხადე, აბსოლუტურად არაპოლიტიკური ინტერვიუ მინდა, ამჯერად სიყვარულზე მოგვიწევს საუბარი-მეთქი, გულღიად გაეცინა და უყოყმანოდ დამთანხმდა — მაგაზე კარგი სასაუბრო თემა არც მეგულებაო. თუმცა, უნდა გამოგიტყდეთ, რომ ბ-ნი მამუკა თავისი ბავშვობისა და ჭაბუკობის დროინდელ „ცოდვებზე“ მაინც ვერ ავალაპარაკე...

— ადამიანს სიყვარული წყალივით სჭირდება და ამიტომაც ყოველთვის სასურველი ობიექტის ძიებაშია. მუდმივად შეყვარებული უნდა იყო, რადგან შეიძლება უწყლობასაც და უშუქობასაც გაუძლო, მაგრამ უსიყვარულოდ ერთი წუთითაც კი ვერ გაძლებ... როდესაც გიყვარს და უყვარხარ, ბედნიერი ხარ, სილამაზესაც სხვანაირად აღიქვამ და გრძნობათა სამყაროც აღგზნებული გაქვს, რაც ძალიან სასიამოვნო მომენტია...

— თქვენ პირველად როდის მიხვდით, გრძნობათა სამყარო აღგზნებული რომ გქონდათ?

— სბავშვო ბაღისა და სკოლის დროინდელი სიყვარული უფრო გაუცნობიერებელი და გაურკვეველი გრძნობა იყო, ლტოლვა რაღაც შეუცნობლისაკენ. ახლა აღარც კი მახსოვს, მაშინ ვინ მიყვარდა. დედაჩემისაგან გამიგონია, თურმე პატარაობისას მეზობლის გოგონებს ხელს დავავლებდი, სახლში მომყავდა და ვამბობდი: ცოლი მოვიყვანე-მეთქი. ისე, სიყვარულის „რანგირება“ ძალიან ძნელია. როცა გიყვარს, იმ მომენტში გრძნობა ხომ ყოველთვის ახალია და პირველია, იმ წამიერია, რადგან მაშინ სწორედ იმ სიყვარულით ცოცხლობ.

— მაინც არაფერს ამბობთ პირველ სიყვარულზე, ალბათ, არ გაგიმართლათ და არ გინდათ გამოტყდეთ...

— რას ამბობთ, პირიქით. გამიმართლა და მერე როგორ! ოცნების ქალი ვიპოვე კიდეც და ჩემი შვილების დედაც არის... მეუღლე, ნონა კალანდაძე, ჩემი პირველი გაცნობიერებული სიყვარულია. მართალია, ცოტა გვიან შემიყვარდა და გვიანაც დავოჯახდი, მაგრამ რას იზამ... იქამდე სად მეცალა სიყვარულისთვის. ციხეში და მიტინგებზე ცოტა არ იყოს ძნელი იყო სიყვარულზე ოცნება. თანაც, ჩვენს წრეში ვინც ტრიალებდა, ყველა ქალი „ბაევაია პადრუგა“ იყო და ვინ შემიყვარდებოდა...

— თქვენი მეუღლე როგორ გაიცანით?

— ნონა ნათესავ-მეგობრების წრეში გავიცანი. 2-3 წელი ვიცნობდით ერთმანეთს, მისვლა-მოსვლაც გვქონდა ერთმანეთთან ოჯახებით, მაგრამ სხვა არაფერი განსაკუთრებული... ნონას უახლოესი მეგობრის ძმა ჩვენი პარტიის წევრი იყო და ნონაც ხშირად მოდიოდა ხოლმე ჩვენთან, მაგრამ მაშინ საქმის მეტი არაფერი მახსოვდა. ერთ მშვენიერ დღეს, მამიდაშვილს საავადმყოფოში გავყევი და შემთხვევით ნონას შევხვდი. ვისაუბრეთ და არ ვიცი, რატომ — უცებ სულ სხვა თვალით შევხედე. აღმოვაჩინე, რომ ის „ის“ იყო და გულშიც რაღაცა „აფართხუნდა“... მივხვდი, შეყვარებული ვიყავი...

— ხომ არ გაგიჭირდათ ნონას „დატყვევება“?

— არც ისე. ბოლოს და ბოლოს, ერთი გოგოს „აღება“ რა გახდებოდა?! მთავარია, ქალს დაანახვო რას გრძნობ, როგორ გიყვარს; მიახვედრო, როგორ განიცდი უმისობას, ეს არის და ეს ქალის მოხიბვლის მთელი ფილოსოფია.

— მაინც როგორ მოგხიბლათ, ლამის ბერბიჭობის ასაკს მიღწეული...

— რა ვიცი, ალბათ, ყველაზე მეტად ქალურმა სითბომ და სიმშვიდემ მიმიზიდა. რაც მთავარია, მივხვდი, ნონას ყველანაირი კაცი არ ეყვარებოდა. თვითონაც ღირსეული პიროვნული თვისებები აქვს და, ბუნებრივია, მამაკაცისგანაც ამას მოითხოვდა. მადლობა ღმერთს, ჯერ-ჯერობით ისეთი არაფერი მომხდარა, მის პატივისცემას და სიყვარულს რომ დამაკარგვინებდა.

— თუ საიდუმლო არ არის, როგორ ახერხებთ ამას? ხშირად სიყვარული უფერულდება ხოლმე...

— იცით, ქალი ყოველთვის სასურველი უნდა იყოს ქმრისთვის. ვის გვერდითაც იმყოფება, ყოველთვის უნდა იბრძოლოს მის მოსაპოვებლად, რაღაც ახალი უნდა შესთავაზოს ურთიერთობაში, უნდა გაეპრანჭოს. თავის მხრივ, კაცსაც უნდა ახსოვდეს, რომ ცოლი — ეს ის გოგონაა, ვის ფანჯრებთანაც ღამეებს ათენებდა და ვისზედაც ოცნებობდა. თორემ სხვა შემთხვევაში, ბოლოს და ბოლოს, საყვარელი ქალიც კი მოგბეზრდება თუ ის მარტო სექსუალური პარტნიორია. შეიძლება ძალიან რომანტიკულია, მაგრამ ყოველი ღამე პირველ ღამეს უნდა გაგონებდეს და სიყვარული უბრალოდ მოვალეობის მოხდად არ უნდა გადაიქცეს. როცა ასეა, სხვაგან ეძებენ ხოლმე სითბოსა და სიყვარულს...

— თქვენ არ გაქცეულხართ სხვაგან?

— რა თქმა უნდა, კაცისთვის საცდუნებელი ძალზე ბევრია, მაგრამ მორწმუნე კაცი ვარ და ცდუნებასთან გამკლავებაც უფრო მიადვილდება. მართალია, დღეს სიყვარული ლოგინამდე და სექსამდე დავიდა (თუმცა ესეც აუცილებელი და სასიამოვნო მომენტია), მაგრამ მთავარი მაინც სხვა რამეა — ჭეშმარიტი და ნაღდი სიყვარული, რომელიც არასდროს არაფერზე არ გაიცვლება, გინდ პირველი დაარქვით მას და გინდ უკანასკნელი...

■

ყველა ადამიანის ცხოვრებაში დგება მომენტი, როდესაც აზარტული თამაშის სურვილი ჩნდება. ჯაზინოების თბილისური „ბუმის" ჯვალობაზე შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ჩვენში თამაშის მოტრფიალეთა რიცხვი ბოლო წლებში მკვეთრად გაიზარდა. და მაინც, ბევრმა ცოტა რამ თუ იცის ჯაზინოების, ანუ სათამაშო სახლების ისტორიისა და რაობის, ჯონჯრეტულად თამაშების წესების შესახებ.

კაზინო

ისტორია, ეთიკა, სინამდვილე

თურმე ლას-ვეგასში კაზინოს სტუმართა 2%-ზე ნაკლები თამაშობს „რულეტკას", 45% „ბლექ ჯეკს" ანიჭებს უპირატესობას, 30% – ავტომატებს და 8% – კამათლით თამაშს. საშუალო ტიპის ამერიკული კაზინოს აღჭურვილობაში შედის „ბლექ ჯეკის" 30 მაგიდა, კამათლის სათამაშოდ ექვსი მაგიდა, ორი მაგიდა „ბაკარისთვის" და ერთიორი – „რულეტკის". ევროპაში „რულეტკას" უფრო ხშირად თამაშობენ. ეს იმით აიხსნება, რომ იყენებენ გამარტივებული ვარიანტის ბორბლით აღჭურვილ მაგიდებს, მათზე არ არის სექტორი „00", რაც მნიშვნელოვნად ზრდის მოთამაშეთა მოგების შანსს.

თვითონ სიტყვა CASINO იტალიურია და „ჯადოსნურ სახლს" ნიშნავს. როგორც წესი, აღნიშნულ დაწესებულებაში არ უნდა იყოს ფანჯრები და საათები. სათამაშო დარბაზებში, საათებზე ტაბუირების ტრადიცია ატლანტიკ-სიტისა და ლას-ვეგასის მშენებლობის დასაწყისში გაჩნდა: დიზაინერები ცდილობდნენ, მოთამაშეები გარე სამყაროს რეალობისგან მოეწყვიტათ, რათა მთლიანად თამაშზე ყოფილიყვნენ კონცენტრირებულნი. თუმცა, 2000 წლის 1 სექტემბერს ატლანტიკ-სიტიში ახალგახსნილ კაზინო „ქაიეთ ქეთიში" ტრადიცია დაირღვა, სათამაშო დარბაზის ცენტრში დიდი კოშკურა-საათი აღმართეს, მაგრამ სხვა სათამაშო სახლების მფლობელები სულაც არ ცდილობენ მიჰბაძონ ამ სიახლის წამომწყებებს.

რადგან კაზინო ის დაწესებულებაა, რომელიც შემთხვევითობასა და ფულს უკავშირდება, მას მუდმივად თან სდევს გარკვეული მითები: ყველაზე ძველი და სიცოცხლისუნარიანი გვამცნობს, რომ ახალბედებს მუდამ უმართლებთ.

50-იანი წლების დასაწყისში, ლას-ვეგასის დამფუძნებელმა განგსტერმა ბარნი ზიგელმა, უდაბნოში აშენებულ კაზინოში სტუმრების მოსაზიდად გაზეთების მესვეურნი მოისყიდა: მისი დაკვეთით, პრესაში უხვად იბეჭდებოდა სენსაციური ამბები უბრალო ამერიკელების შესახებ, რომლებმაც პირველად გადააბიჯეს კაზინოს ზღურბლს და ნახევარ საათში გამდიდრდნენ. გარკვეულწილად, ეს მითი არცთუ ისე უსაფუძვლო იყო. როგორც წესი, ადამიანი კაზინოში პირველად, ცნობისმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად შედის, შედარებით მცირე ფსონებს ჩადის, ორასი-სამასი დოლარის მოგების შემთხვევაში კი მაშინვე ფულს იღებს და იქიდან გაცლას ამჯობინებს. ორასი დოლარის მოგება შედარებით ადვილია – უფრო რთულია, ამ ორასი დოლარით ორი ათასის მოგება. კაზინოს უპირატესობაც ხომ თამაშის მათემატიკაშია ჩადებული. ალბათობის თეორიის თანახმად, „რულეტკა" „0"-ითა და „00"-ით 5,6%-ის უპირატესობას ანიჭებს კაზინოს, მოთამაშესთან შედარებით, „რულეტკა" „00"-ის გარეშე – 2,7%-ს, „ბაკარა" – 1%-ს და კამათლებით თამაში დაახლოებით 0,5%-ს.

მოთამაშეებს ურჩევნიათ, არ იფიქრონ მათემატიკასა და ალბათობის თეორიაზე. მოთამაშე გამართლებაზე, ინტუიციაზე უფრო საუბრობს და ფორტუნის „გადმობირებას" საკუთარი, ტრადიციული რიტუალებით ცდილობს – სათამაშო მაგიდაზე გარკვეული ფორმით განალაგებს „ფიშკებს", იცვამს „ბედნიერების მომტან" პიჯაკს, გულდასმით არჩევს სათამაშო მაგიდას და დილერს, ბევრი პირჯვარსაც იწერს და ეს განსაკურთებით კომიკურია – თუ გავითვალისწინებთ, რომ, გადმოცემის მიხედვით, მონტე-კარლოს განთქმული კაზინოს დამაარსებელმა მორის ბლანმა, თურმე „რულეტკის" საიდუმლოსთვის სული ეშმაკს მიჰყიდა. აღნიშნული „კონტრაქტი", რა თქმა უნდა, არავის უნახავს, მაგრამ „რულეტკაზე" განლაგებულ რიცხვთა ჯამი კი დაითვალეს და 666 მიიღეს!

ყველაზე გამოცდილ მოთამაშეებს გარკვეული სისტემა აქვთ შემუშავებული. იმ სისტემის არსებობა, რომლის წყალობითაც შეიძლება მოგება – კიდევ ერთი კლასიკური მითია. მართალია, კაზინოს პერსონალი ირწმუნება, რომ სათამაშო ბიზნესი – წმინდა წყლის მათემატიკაა და გამართლებას იქ ადგილი არა აქვს, მოთამაშეები მაინც დაუღალავად უამბობენ ერთმანეთს დაუჯერ-

ებელ ამბებს: მაგალითად, თურმე 1963 წლის იანვარში, პირველმა და საუკეთესო „ჯეიმს ბონდმა“ – მსახიობმა შონ კონერიმ იტალიურ კაზინო „სან-ვინსენტში“ ზედიზედ სამჯერ დადო ფსონი მე-17 ნომერზე და მისმა მოგებამ 30 ათასი დოლარი შეადგინა. ჰყვებიან იმასაც, რომ ასევე მსახიობი – არჩილ გომიაშვილი, რესტორან „ოქროს ოსტაპის“ მფლობელი და ოსტაპ ბენდერის როლის შემსრულებელი, თურმე უზომოდ გამდიდრდა „რულეტკის“ თამაშის წყალობით.

სისტემების შექმნაზე წლები მიდის, მათ აღწერას კი ათასფურცლიანი მანუსკრიპტები სჭირდება. ზოგი მათგანი რიცხვის, ფერისა ან ლუწი/კენტის ამორჩევას ეყრდნობა – მანამდე ამოსული რიცხვების საფუძველზე. ნებისმიერ კაზინოში შეიძლება შეამჩნიოთ მოთამაშე, რომელიც ქაღალდის ფურცელზე აფიქსირებს ბურთულის „არჩევანს“. პრობლემა მხოლოდ ის არის, რომ „რულეტკის“ ბორბალს მეხსიერება არ გააჩნია და მისი წინა არჩევანი არავითარ ზეგავლენას არ ახდენს შემდგომზე. სხვა სისტემები დაყრდნობილია იმაზე, რომ „რულეტკის“ ბორბალი არ არის სავსებით სიმეტრიული, სავსებით ბალანსირებული და მისი უჯრედები არ შეიძლება იყოს აბსოლუტურად იდენტური. ასე რომ, დიდი ხნის დაკვირვების შედეგად თუ „რულეტკის“ „გადახრას“ აღმოაჩენთ, მოგება გარანტირებული გექნებათ...

ამგვარ მსჯელობებში შეიძლება იყოს სიმართლის მარცვალი, მაგრამ მსგავსი იდეა ხომ მხოლოდ მოთამაშეებს არ ებადებათ – ამიტომ ყველა კაზინოში არის სპეციალისტი, რომლის მოვალეობაში შედის „გადახრის“ მქონე „რულეტკის“ გამოვლენა. აშშ-ში კი ყველაფერი იმით დასრულდა, რომ 1985 წელს ნევადის შტატის გუბერნატორმა რიჩარდ ბრაიანმა (სწორედ მის ტერიტორიაზეა ლას-ვეგასი), ხელი მოაწერა კანონპროექტს, რომლის თანახმადაც, მოთამაშეებს აეკრძალათ ისეთი დამხმარე მოწყობილობების გამოყენება, თამაშის შედეგის გამოცნობაში რომ შეუძლიათ დაიხმარონ, მათ შორის არის – პორტატული კომპიუტერი და კალკულატორი. ანალოგიური კანონი მოქმედებს ნიუ-ჯერსიში, რომლის ტერიტორიაზეც სახელგანთქმული ატლანტიკ-სიტი მდებარეობს.

პროფესიონალი მათემატიკოსები მსგავს „გამოთვლებს“ საკმაოდ სკეპტიკურად უყურებენ. როცა აინშტაინს ჰკითხეს, არსებობდა თუ არა, მისი აზრით, რაიმე სისტემა რომელიც „რულეტკის“ თამაშისას ასპროცენტიანი მოგების გარანტიას მოგვცემდა, მათემატიკოსმა უპასუხა: „მე მხოლოდ ერთი მეთოდი ვიცი – მოიპარეთ მაგიდიდან „ფიშკები“,როცა კრუპიე არ გიყურებთ“.

კაზინოს თამაშებისა და წესების სრულყოფა, თაღლითებთან მუდმივი ბრძოლისა და ისეთი პირობების შემუშავების ისტორიაა, რომელიც სრულიად გამორიცხავდა თაღლითობას.

აზარტული თამაშების ლეგენდარული ამერიკელი მკვლევარი და მცოდნე ჯონ სკარნე ირწმუნება, რომ მხოლოდ ნევადის შტატის კაზინოები მოთამაშეებისა და კრუპიეების გარიგებათა შედეგად ყოველწლიურად კარგავდნენ და ახლაც კარგავენ მილიონობით დოლარს. და ეს ყველაფერი იმ მკაცრი კონტროლისა და იმ სისტემის მიუხედავად ხდება, რომელიც წარსულში ცნობილი, პროფესიონალი მოთამაშეების კონსულტაციების მეშვეობით შემუშავდა. თაღლითები საქმეში პარიკებს, ყალბ საბუთებს, მისაწებებელ წვერულვაშსა და უამრავ სხვა ხერხს იყენებენ. ხშირად შულერები არა მარტო კაზინოს, არამედ მის კლიენტებსაც ატყუებენ – მაგალითად, „ფიშკებს“ ჰპარავენ.

თუმცა უკვე XX საუკუნის დასაწყისში კაზინოც არ რჩებოდა ვალში და სამუშაოდ კრუპიე-შულერებს იღებდა, მათ საჭირო კარტის დარიგება ან მაგნიტისა და სპეციალური პედლის საშუალებით „რულეტკის“ „დროულად“ შეჩერება შეეძლოთ. მაგრამ ამგვარი რამ უკვე წარსულს ჩაბარდა. მკაცრი კონკურენცია აიძულებს სათამაშო სახლებს გაუფრთხილდნენ რეპუტაციას. აშშ-ში არსებობს მონაცემთა საერთო კომპიუტერული ბაზა, მასში საეჭვო პირები არიან აღნუსხულნი. ამ ბაზის გამოყენება კი ნებისმიერ კაზინოს შეუძლია.

როგორც წესი, დიდი კაზინოები სათამაშო მაგიდასთან მსხდარ სტუმრებს უფასო საჭმლითა და სასმლით უმასპინძლდებიან, უფასო ტაქსისა და, საჭიროების შემთხვევაში, დაცვასაც აახლებენ. ბევრ კაზინოში ესტრადის ვარსკვლავთა კონცერტები და ავტომობილების გათამაშება იმართება. ამასთან, ყველა კაზინო ცდილობს, რაიმე ორიგინალური მოიფიქროს კლიენტების მისაზიდად.

ფსიქოლოგები სამ ძირითად მიზეზს გამოყოფენ, რის გამოც ადამიანი კაზინოს ხშირი სტუმარი ხდება. ეს არის მოწყენილობა, მძაფრი შეგრძნებების ძიება და ბედის გამოცდა. მაგრამ მაინც არიან ადამიანები, ვინც თამაშობს და ვინც იგებს. პირველი კატეგორიისთვის წაგებას ან მოგებას მნიშვნელობა არ აქვს – მათ თამაშის პროცესი იზიდავთ. მეორე კატეგორიისთვის მთავარი – მოგებაა. სწორედ ისინი იმტვრევენ თავს სათამაშო სისტემების შექმნაზე და კაზინოში ათენ-აღამებენ.

აღსანიშნავია ასევე თვით თამაშისადმი ლტოლვაც: აშშ-ში მოთამაშეთა ანონიმური ორგანიზაციებიც კი არსებობს. ფსიქოთერაპევტები აღნიშნავენ, რომ თამაშისადმი ლტოლვა ისეთივე ავადმყოფობაა, როგორიც, მაგალითად, დეპრესია. ევროპაში სპეციალური კლინიკებიც არსებობს – ნარკომანების სარეაბილიტაციო კლინიკების მსგავსი, სადაც მოთამაშეები მთლიანად იზოლირებულნი არიან გარე სამყაროსგან.

ასე რომ, თუ კაზინოს ხშირი სტუმარი ხართ, ქუჩაში მანქანების ნომრების ციფრებს აჯამებთ და ყველგან უპირატესობას „ბედნიერ“ რიცხვებს ანიჭებთ – ფრთხილად იყავით!..

თამაშები

პოკერი



დღეს არსებული სახით ეს თამაში XIX საუკუნის 20-იან წლებში, ახალ ორლეანში გაჩნდა. ითვლება, რომ თამაშმა სახელწოდება ძველი გერმანული თამაშიდან POCHEN (ან POCH) და ფრანგული POQUE-ისგან მიიღო, მაგრამ მის წინამორბედთა შორის უცილობლად იყო სპარსული ას-ნასი, ფრანგული ბრელანი და კიდევ თორმეტიოდე ძველი, ამავე ტიპის თამაში. თანამედროვე პოკერის საფუძვლები, დაახლოებით 1870 წელს ჩაისახა. თამაშში მონაწილეობს 52 კარტიანი დასტა ყველა მასტის ორიანიდან ტუზამდე. „უფროსი“ კარტი ტუზია, ყველაზე „უმცროსი“ – ორიანი. ყოველი დარიგების წინ ბანქოს დასტა უნდა აიჭრას.

თამაშში მონაწილეობს რამდენიმე მოთამაშე, რომლებიც ერთმანეთისგან დამოუკიდებლად დილერის წინააღმდეგ თამაშობენ. თითოეული მათგანის წინ მაგიდაზე დახაზულია ორი მართკუთხედი, რომელსაც „ბოქსები“ ეწოდება. ერთს აწერია ANTE (საწყისი ფსონი), მეორეს კი BET (ფსონი). ANTE ბოქსის ზემოთ დახატულია რგოლი, რომელშიც ჩაწერილია ლათინური B (ბონუსი). ყოველი დარიგების წინ მოთამაშე ჩადის ფსონს – ერთ ან რამდენიმე სათამაშო „ფიშკას“ ათავსებს ბოქსზე ANTE. ფსონი უნდა იყოს გარკვეულ დიაპაზონში: მინიმალური და მაქსიმალური ფსონის რაოდენობა შეიძლება მაგიდაზე მოთავსებული ცხრილიდან გაიგოთ. სხვადასხვა მაგიდაზე განსხვავებული დიაპაზონია. დარიგებისას დილერი ყველა მოთამაშეს (საკუთარი თავის ჩათვლით) 5-5 კარტს ურიგებს. კარტი რიგდება სათითაოდ, რიგრიგობით, დახურულად, დილერის ბოლო კარტი კი იხსნება. დარიგების შემდეგ მოთამაშე ჩაიხედავს საკუთარ კარტში და აფასებს მათ ძალას. თამაშის მიზანია – რაც შეიძლება მაღალი პოკერის კომბინაციის მოგროვება. ყოველი წყობა 11 პოკერის კომბინაციიდან ერთ-ერთს შეესაბამება. ესა თუ ის კომბინაცია ფასდება მიღებული კარტების სიძლიერით და ასევე მათი მასტებით. რაც უფრო მაღალია კომბინაცია, მით უფრო მაღალია წყობის საფასური. შეფასების შემდეგ მოთამაშე აკეთებს არჩევანს: 1. დანებდება – ეი. კარტს აწყობს მაგიდაზე დახურული სახით და ANTE ფსონს კარგავს; 2. განაგრძობს თამაშს დარიგებული კარტით, ათავსებს მათ BET ბოქსზე, კარტს ზემოდან კი დამატებით BET ფსონს, რომელიც საწყის ფსონზე ორჯერ მეტია. 3. შეცვლის ერთ კარტს წყობის გასაუმჯობესებლად. კარტის გაცვლის საფასური არის ANTE ფსონი. კარტის ნახვის შემდეგ მოთამაშე ან ნებდება, ან ათავსებს კარტს BET ბოქსზე. როცა მოთამაშეები თავიანთ არჩევანს გააკეთებენ, დილერი ხსნის საკუთარ კარტს. ხდება მისი წყობის მოთამაშეთა წყობასთან შედარება. თუ მოთამაშის წყობა უარესია, ის კარგავს ყველაფერს, რასაც კი ჩასულია ბოქსებზე. თანაბარი წყობის შემთხვევაში მოთამაშე ინარჩუნებს ფსონს. თუ კრუპიე აგებს, ANTE ბოქსზე გაკეთებული ფსონი მოთამაშეს უნაზღაურდება თანაფარდობით 1:1, ხოლო BET ფსონის ანაზღაურება ხდება მოთამაშის პოკერის კომბინაციის გათვალისწინებით.

„რულეტკა“

თვლიან, რომ „რულეტკა“ 1657 წელს ფრანგმა ბერმა გამოიგონა. სათამაშო მაგიდაზე განლაგებულია 0-დან 36-ის ჩათვლით ნომრიანი ბორბალი და სათამაშო ველი, რომელზეც ნაჩვენებია ფსონის ყველა შესაძლო კომბინაცია. თითოეულ მაგიდაზე არის სხვადასხვა ფერის „ფიშკების“ კომპლექტები, ნომინალის გამოსახულების გარეშე. მოთამაშეები დილერისგან, განსაზღვრული ფერის ფიშკებს იძენენ და მათ კონკრეტულ საფასურს ასახელებენ. „რულეტკის“ სათამაშო „ფიშკებს“ მოთამაშეებს ნაღდი ფულის ან სალაროში აღებული „კეშ-ფიშკების“ სანაცვლოდ აძლევენ. თამაშის დასრულებისას აუცილებელია სათამაშო „ფიშკების“ „კეშ-ფიშკებზე“ გადაცვლა. თამაშის დასაწყისში დილერი აგორებს ბურთულას და მოთამაშეებს ფსონების დადებას სთავაზობს. როცა ბურთულა სვლას ანელებს, დილერი აცხადებს, რომ ფსონები აღარ მიიღება. ბურთულის გაჩერების შემდეგ ცხადდება მოგებული ნომერი, სათამაშო ველი თავისუფლდება წაგებული „ფიშკებისგან“ და ხდება მოგებული თანხის გადახდა. ამის შემდეგ უკვე დასაშვებია ახალი ფსონების ჩამოსვლა.

„ბლექ ჯეკი“



თამაშში მონაწილეობს ერთმანეთში არეული 52 კარტიანი (ორიანიდან – ტუზამდე) ექვსი დასტა, ანუ 312 კარტი (ე.წ. დიდი დასტა). მეფე, დამა და ვალეტი 10 ქულას უდრის, ტუზი, მოთამაშის სურვილის მიხედვით, – 11 ან 1 ქულაა, დანარჩენი კარტები – რანგის მიხედვით ფასდება. მასტს მნიშვნელობა არა აქვს. თამაშის მიზანია, 21-თან მიახლოებული ქულათა ჯამის შეგროვება. 21 – მაქსიმუმია, გადაჭარბება წაგებას ნიშნავს. რაც უფრო მაღალია ჯამი, მით მეტია კარტების საფასური. ტუზი და 10 ქულიანი კარტი – იგივე „ბლექ ჯეკი“ – ყველაზე ღირებული კომბინაციაა. თავიდან მოთამაშეები ჩამოდიან ფსონს – სპეციალურად დახაზულ ბოქსებზე ათავსებენ „ფიშკებს.“ შემდეგ დილერი ყველას სათითაოდ ურიგებს თითო კარტს (საკუთარი თავის ჩათვლით) და შემდეგ ისევ არიგებს თითო კარტს (კარტები რიგდება ღია სახით). შემდეგ კრუპიე იწყებს მუშაობას თითოეულ მოთამაშესთან („ბლექ ჯეკი“ ანაზღაურდება 3:2 თანაფარდობით, ყველა დანარჩენი მოგებული კომბინაცია – 1:1 თანაფარდობით). „ბლექ ჯეკი“ ყველა ვარიანტში იგებს – იმ შემთხვევის გარდა, თუ „ბლექ ჯეკი“ სხვა მოთამაშესაც აქვს. თუ პირველი ორი კარტის ჯამი 9-დან 11-მდეა, შეიძლება ფსონის გაორმაგება. თუ კრუპიეს პირველი კარტი ტუზია, მოთამაშეს უფლება აქვს, გააკეთოს დამატებითი ფსონი – INSURANCE. ეს ფსონი 2:1 თანაფარდობით იგებს, თუ კრუპიეს „ბლექ ჯეკი“ მოუვა.

მოამზადა მანანა ღოღობერიძემ

ალბათ სიხარბე, ფულზე ბევრად უფრო ადრე არსებობდა. ფულის გამოჩენის დღიდან კი, ერთიორად გაიზარდა სიხარბეც და ბევრი ფულის მოპოვების სურვილიც. კაპიტალისტურ სამყაროში მცხოვრები ადამიანები ყველაფერს აკეთებენ იმისთვის, რომ ერთმანეთს რაც შეიძლება მეტი ფული „დააყრევინონ“. ლოგიკურიც არის — „კაპიტალიზმი“ ხომ, მარტივად „ფულიზმს“ ნიშნავს...

აზარტის ერი ხეთია: ხეგს 1, ანუ «ათამაშებს»...

დაჩი გრძელიშვილი

ფულზე დამყარებულ საზოგადოებაში, ბუნებრივია, ცხოვრების აზრი ფული გახლავთ. ნებისმიერი სიახლე, გაუმჯობესებული მომსახურება და ტექნიკური გამოგონება თავისი არსით, ფულის მოგებას ისახავს მიზნად. კაზინო კი უპირველესია ფულის მოპოვების საშუალებებს შორის და ადამიანის ერთ-ერთ ყველაზე დიდ სისუსტეზე — აზარტზეა „გათვლილი“. აქ საინტერესო კოლიზიასთან გვაქვს საქმე: კაზინოში ადამიანი ხომ ფულის საშოვნელად — მოგების მიზნით შედის. თუმცა, ხშირად სხვა ადამიანის — კაზინოს მეპატრონის მსხვერპლი ხდება ხოლმე. იქნებ იმიტომ, რომ კაზინოებსა და ლატარიებთან დაკავშირებული „ოქროს წესი“ ავიწყდება: იგებს ის, ვინც „ათამაშებს“ და არა ის, ვინც თამაშობს...

ჩვენი რესპონდენტი 40-ოდე წლის კაცია. სახელის გახმაურება თავად არ ინება — „რა ვიცი, მაგ ჟურნალს ათასი ვინმე კითხულობს — არ მინდა, ჩემი ცოლის ყურამდე მიაღწიოს ამ ამბავმა...“ აზარტული თამაშებით უკვე კარგა ხანია გატაცებულია.



— პირველად, დიდი თანხა რომ მოვიგე, მე-8 კლასში ვიყავი. პარალელურ კლასში ერთი ბუნჩულა ბიჭი სწავლობდა — მამამისი „ცეხავიკი“ და დიდი ფულის პატრონი იყო. ალბათ შვილს თვითონ „აწვებოდა“ ხოლმე — ეგეთი ნუ ხარ, თანატოლებში გაერიე, ცხოვრებას ალღო აუღეო... აუღო კიდეც: სარდაფში ბიჭები „სეკას“ ვთამაშობდით ხოლმე, ხურდა ფულზე. თამაში რომ შევთავაზე — ეტყობა, ჯიბეში ფული ედო, თან სხვებთანაც „გაუტყდა“ უკან დახევა და დამიჯდა. მოკლედ, ეს ჩემი ცხოვრების პირველი „ბულკი“ იყო. თავიდან — ვაგებინებდი და გათამამდა, „კონი“ გაზარდა...

ყველაფერი კი იმით დასრულდა, რომ სადღაც, 10 ათას მანეთამდე ავედით — 7-ად მანქანას იყიდდი მაშინ.

სულ ფერდაკარგული იყო საწყალი, რომ წავიდა. მე იქნებ არაფერიც არ მეთქვა — ბავშვი ვიყავი, „პროსტო“ უბანში გახმაურდა, დიდი ფული რომ მოვიგე. თან, როგორც გითხარით, მამამისიც კარგი „მოსაწველი“ იყო და ჩემი გასაკეთებელი ჩემმა უბნელმა, დიდმა ბიჭებმა გააკეთეს — ფულის „ამოღება“ იმათ გადავაბარე. მე ორი თუ სამი ათასი მერგო. კაი ხანი არ ვიცოდი, ამდენი ფულისთვის რა მექნა... ისე, შეიძლება ამანაც იმოქმედა, დღეს რომ ასეთი „აზარტნიკი“ ვარ: უცბად გაჩენილი დიდი ფულის გემო მომეწონა... თუმცა, მერე დაკარგვის სიმწარეც ბევრჯერ ვიწვნიე...

— ისე, როცა ატყობ, რომ „ხელი ცუდად მიდის“, არ შეგიძლია, თავი დაანებო?

— ეჰ, მაგაშია საქმე, ჩემო კარგო. ჩემი ნება უფრო თამაშის დაწყებაა, დამთავრებისა კი — რა მოგახსენო. სულერთია, ვაგებ თუ ვიგებ. თუ „ხელი კარგად წავიდა“, ვინ ოხერი — უნდა გავგიჟდე ან ქვეყანა უნდა დაიქცეს, რომ მაგიდას მოვშორდე. თუ ვაგებ და, სანამ ფსონისთვის ვარგისი რამე გამაჩნია, ნებით წამოვიდე კი არა, ძალითაც ვერავინ გამაგდებს.

— ხშირად, თამაშს და „წამალს“ ერთმანეთს ადარებენ ხოლმე...

— „წამალი“ რა მოსატანია?! მე პირადად, თამაშის დროს ბევრად უფრო დიდ სიამოვნებას განვიცდი.

— მაშინაც, როცა აგებ?

— თუნდაც. იმ წუთში, ვერ ვიტყვი, სიხარულით ცაში დავფრინავ-მეთქი, მაგრამ თვითონ შეგრძნება ისეთია — სხვა ვერაფერი განგაცდევინებს.

— ეი. გინდა თქვა, რომ ეს შენი „გატაცება“ ძალიან მოგწონს?

— რა მნიშვნელობა აქვს, მომწონს თუ არა, ან ვნანობ თუ არა?! თამაშის დროს, ვინმე და რამე კი არა, საკუთარი თავი არ მახსოვს ხოლმე. მერე... დილით, სახლში მისულს ხშირად შემზიზღებია თავიც და ყველაფერიც, რაც კი აზარტს და კაზინოს უკავშირდება. მაგრამ სულ ცოტა ხანში, ყველაფერი თავიდან იწყება ხოლმე. რაღაც საქმეები მაქვს და საკმარის ფულსაც ვშოულობ — იმდენს, ოჯახი რომ დამშეული და შიშველ-ტიტველი არ მყავდეს, მაგრამ რასაც ვშოულობ, ნახევარს თამაშზე ვხარჯავ. ამ ერთი თვის წინ მანქანა შევიძინეთ. ბავშვები ისეთი გახარებულები იყვნენ — ოჯახით ქალაქგარეთაც გავედით სასეირნოდ... ერთ მშვენიერ დღეს კი, ფეხით დავბრუნდი სახლში



ნოდარ კაპანაძე – ფსიქოლოგი

– მანქანა კარტში წავაგე...

— კი, მაგრამ, ოჯახში ამ ყველაფერს როგორ უყურებენ?

– აბა, რა გითხრა? ცოლმა ყველაფერი იცის, მაგრამ არ იმჩნევს ხოლმე... ხვდება, რომ „სცენების“ გამართვას აზრი არ აქვს. მე ხომ ნარკომანზე უარესი ვარ – თამაში ჩემთვის „წამალივით“ არის. როგორც არ უნდა ვეცადო, თავს ერთ კვირაზე მეტს ვერ ვიკავებ...

რა გითხრა... ალბათ თამაშის დროს ჩემში რაღაც ისეთი ხდება, რისი განცდაც ყველას და ყველაფერს მირჩევნია, ყველაფერს მავიწყებს...

და მაინც, რა „რაღაც“ ხდება ისეთი?

პასუხის მიღება ფსიქოლოგის დახმარებით ვცადეთ: ვესაუბრებით ექსპერტს, ბატონ ***ნოდარ კაპანაძეს.***

– აზარტი, თამაში და სხვა ამგვარი ცნებები შელამაზებული სახელია ყველაფერი იმისა, რასაც ბუნებრივი – ღმერთის კანონიდან გადახვევა ეწოდება და საზოგადოებაში რატომღაც „ადამიანურ“ სისუსტეებს უწოდებენ. ჩემთვის პირადად, ცნობილი არ არის და ალბათ არც თქვენ გეცოდინებათ ცნება – „მოთამაშე ვირი“, „აზარტული ღორი“...

ეს რაც შეეხება ხსენებული პრობლემის განხილვას ერთი მხრიდან. მეორე მხრივ, მე მახსენდება ე.წ. „ნარკომანი“ მოთამაშის ალბათ ყველაზე უფრო სრულყოფილი სახე, რომელიც კი რომელიმე მწერალს დაუხატავს – ეს არის გენიალური დოსტოევსკის „მოთამაშე“. თუ ამ კუთხით განვიხილავთ, აზარტი, როგორც სოციალური მოვლენა, არის ავადმყოფობა. ისეთივე, როგორიცაა ნარკომანია, წნევა, კიბო და ა. შ. შეიძლება გაგიკვირდეთ ბოლო ორი დაავადებისა და ნარკომანიის ერთ კონტექსტში განხილვა, მაგრამ ისევე, როგორც მრავალი სხვა დაავადება, ეს სნეულებებიც ცხოვრების წესის შედეგია და მათი გავრცელების მასშტაბი მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული საზოგადოების ცხოვრების წესზე.

— რამდენად განკურნებადია ეს „დაავადება“?

– ამ „დაავადების“ მასობრივი ხასიათი, ფსიქოლოგიურთან ერთად, მნიშვნელოვანწილად, სხვა მოტივებითაცაა გამოწვეული. ერთ-ერთი მათგანია ეკონომიკური მოტივი – სწრაფად გამდიდრების სურვილი. თუ გახსოვთ, 1992 თუ 1993 წელს გამოცემული წიგნი „საქმოსნები და თაღლითები“, იქ არის ერთი ძალზედ საინტერესო პასაჟი, რომელიც დაკავშირებულია დაახლოებით ამ ტიპის პრობლემებთან: „თაღლითობა არ მოისპობა მანამ, სანამ ადამიანები არ გადაეჩვევიან ფიქრს იმაზე, რომ ორ გროშად შეიძლება შეიძინონ 200.000-ის ღირებულების საქონელი“. ადამიანს ეჭვი უნდა გაუჩნდეს, როდესაც მას მეტისმეტად ხელსაყრელ წინადადებას სთავაზობენ, ვინაიდან, მარტივი კანონის თანახმად, თუ ვიღაც იგებს, ვიღაც აგებს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, თუ თქვენ გთავაზობენ ძალიან დიდ მოგებას, ვიღაც აუცილებლად ძალიან დიდ წაგებას ნახავს. დაფიქრდით, ვინ არის ის, ვინც წააგებს – თქვენ ხომ არა?..

თამაშისადმი ლტოლვის მეორე მოტივია ადამიანის ბუნებისთვის დამახასიათებელი სიზარმაცე: კაზინოში, მაინცდამაინც დიდი ენერგიის დაუხარჯავად შეიძლება დიდი შემოსავლის მიღება, მაგრამ რამდენად რეალურია, რომ ეს სისტემატურად მოხდება? ალბათობის თეორიის თანახმად, მრავალ გამართლებას აუცილებლად მოსდევს იმედგაცრუება. ამავე დროს – არა მგონია, ჩვენი კაზინოების კლიენტურა ალბათობის თეორიით შეიარაღებული შედიოდეს სათამაშოდ. აქედან გამომდინარე, მარტივი დასკვნის გაკეთება შეიძლება: ქარის მოტანილს ქარი წაიღებს – თუ მგელს შესაძლებლობა ექნება განსაკუთრებული შრომის გარეშე მოიპოვოს საკვები,იგი მძვინვარე მგლიდან სენტიმენტალურ მგლად გადაიქცევა... იყო ასეთი შემთხვევა: ერთ-ერთი ზოოპარკიდან გაექცათ ლეოპარდი, რომელიც წლების განმავლობაში გალიაში იჯდა – „მშვენიერ დიეტაზე“, საკვებით კარგად უზრუნველყოფილი. გამოცხადდა განგაში, გამოიძახეს სპეციალური რაზმი და... ორასი მეტრის მოშორებით,ბუჩქებში მკვდარი იპოვეს – სირბილს გადაჩვეულს, გული გასკდომოდა. დაახლოებით ასეთივეა ყველა იმ ადამიანის ბედი, ვინც უშრომლად ცდილობს დიდი შემოსავლის მიღებას. ამპლიტუდა საკმაოდ ფართოა: გულის მსუბუქი იშემიიდან – გაგიჟებამდე.

— ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ ბევრი აზარტული მოთამაშე თავის საქციელს იმით ამართლებს, რომ მოგება კი არა, თამაშისას განცდილი სიამოვნება იზიდავს და ფულსაც ამისთვის ხარჯავს...

– ესე იგი, ამ მოთამაშეებს მოზღვავებული აქვთ ენერგია, რომელიც უნდა დაიხარჯოს. გაცილებით უკეთესი იქნებოდა იმავე ენერგიის სხვა, უფრო სასარგებლო საქმისაკენ წარმართვა. ამ გადაწყვეტილების მისაღებად, მოთამაშეს უნდა ჰქონდეს ალტერნატივა – ისეთი საქმე, რომელშიც შეძლებს საკუთარი თავის რეალიზებას. თუ ადამიანი ვერ მოუძებნის კაზინოს ალტერნატივას, ის უბრალოდ, უმაქნისი ყოფილა და რაღაც გზა აქვს საპოვნი. ერთ მეტყველ მაგალითს მოვიყვან: ლეგენდარული ექიმი, მეჩნიკოვი წლების განმავლობაში ნარკომანი იყო, მაგრამ თავს მოერია და რა წარმატებებსაც მიაღწია მედიცინაში, გაგონილი მაინც გექნებათ.

ამდენად, „დაავადებას“ სოციალური ბუნებაც აქვს, ამიტომ, ჩემი აზრით, საჭიროა საზოგადოებრივი აზრის ფორმირება – ე.წ. „აზარტნიკების“ საზიანოდ და ჯანსაღი ცხოვრების წესის სასარგებლოდ. ■



ქართველები რომ ყველაფერში მაქსიმალისტები ვართ — არახალია. მით უმეტეს, თუ საქმე რაიმე უცხოს, ჩვენთვის ჯერ უჩვეულოს ან დიდი ხნის მივიწყებულს ეხება.

ასე მოხდა საქართველოში სათამაშო ბიზნესთან დაკავშირებითაც — კაზინოებისა და სპორტული ტოტალიზატორების რაოდენობით, თბილისი სათამაშო ბიზნესის ცენტრად შეიძლება ჩაითვალოს ევროპა-აზიის საზღვარზე, მით უმეტეს, თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ჩვენს მეზობელ თურქეთსა და აზერბაიჯანში სათამაშო ბიზნესი კანონით აიკრძალა, ხოლო სომხეთში ასეთი აკრძალვის არარსებობის მიუხედავად, მაინც ვერ მოიკიდა ფეხი — ეს ალბათ იქაურების ხასიათის წყალობით მოხდა — ყაირათიანი და ფულის ყადრის მცოდნე ადამიანი, ცხადია, არასოდეს ითამაშებს დიდ ფულზე.

ფულის ყადრის მცოდნე კაცი დიდ ფულზე არ თამაშობს

ბვიად გურული

თბილისში კაზინოების „ბუმი“, ასე თუ ისე, ჩაწყნარდა. ამასაც თავისი ლოგიკური ახსნა აქვს: ჯერ ერთი, კაზინოს გახსნას დიდი ფინანსური სახსრები სჭირდება, მეორეც – იმდენი ხალხი აღარ შედის კაზინოში, რამდენიც სამოითხი წლის წინ, და მესამე და მთავარი – კაზინოს ისეთი მყარი და „წყალგაუმტარი“ „კრიშა“ სჭირდება, როგორიც არც ერთი ბიზნესისთვის არ გახლავთ აუცილებელი: „შავებისგანაც“ და „წითლებისგანაც“ – ე.ი. ხელისუფლებაში მოკალათებული მაფიოზებისგან. სწორედ ეს „კრიშობა“ გახდა პრობლემატური, საქართველოს პრეზიდენტის მიერ კაზინოების დახურვის მოთხოვნის რამდენჯერმე გამეორების შემდეგ. მართალია, „რეფორმატორებმა“ კბილებით გაიტანეს ეს „რეფორმებისა და პროგრესის მონაპოვარი“ და პრეზიდენტის „თავდასხმებისგან“ დაიფარეს იგი, მაგრამ კაზინოს გახსნის მსურველ ქართველ თუ უცხოელ ბიზნესმენთა რიცხვი რომ ნულამდე დავიდა – ფაქტია. ერთადერთი ახალი სამორინე, რომელიც ამ ამბების შემდეგ გაიხსნა – ეს არის „ოსკარი“, ყოფილ კინოს სახლში რომ გაჩნდა, და ისიც, როგორც ამბობენ, „გვარს არ დავასახელებთ და, ჩვენი პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე რომ არის“, იმ კაცის ყოფილა, ამიტომ, რამდენიმე თვის წინ მის მიერ მოყვანილი არგუმენტები თემაზე: „რა სარგებლობა მოაქვს კაზინოს ბიუჯეტისთვის?“, უფრო „დამაჯერებელი“ ხდება.

სამაგიეროდ, ამ ფონზე, თითქმის კვირა არ გავა, რომ ახალი ტოტალიზატორი არ გაიხსნას ქალაქში და თუ კაზინოს შენახვას დიდძალი ხარჯი და, აქედან გამომდინარე, ბევრი მდიდარი კლიენტის მოზიდვა სჭირდება, ტოტალიზატორის გახსნა შედარებით ადვილია და მისი ფუნქციონირებისთვისაც სულ რამდენიმე კაცია საკმარისი. თანაც „თანამედროვე ქართული ბიზნესის“ ტიპური კანონების მიხედვით, თუ მოხდა სასწაული და ტოტალიზატორს მოთამაშეთა ვალი დაედო, არც „ათესვა“ გახლავთ ძნელი, რადგან იმავე კაზინოსგან განსხვავებით, მეპატრონეებს თითქმის არავითარი ქონება არ რჩებათ ნაქირავებ შენობაში. ესეც გახლავთ მიზეზი, რომ თუ ყოველთვიურად სამოითხი ტოტალიზატორი ჩნდება წლობით მიტოვებულ სარდაფებსა თუ სახელდახელოდ დადგმულ კონტეინერებში, თითქმის ამდენივე იკეტება. ტოტალიზატორზე თამაშის ესოდენი პოპულარობა საქართველოში სავსებით ბუნებრივია, თუ გავითვალისწინებთ ჩვენს ტემპერამენტიან, აზარტულ ხასიათს, სპორტის (ძირითადად ფეხბურთის) პოპულარობას საქართველოში და უცხოური თამაშების პირდაპირ ეთერში ნახვის ბოლო წლებში გაჩენილ შესაძლებლობას – ცხადია, როდესაც, მაგალითად, მადრიდის „რეალი“ და „ბარსელონა“ თამაშობენ, რომელთაგან არც ერთია შენი „ბიძაშვილი“ და არც მეორე, – კარგი ფეხბურთის ყურებასთან ერთად, ერთ-ერთი გუნდის გულშემატკივრობის რაიმე საფუძველი რომ გქონდეს, არ იქნება ურიგო. და ეს საფუძველი – შეიძლება ის ხუთიოდე ლარი გახდეს, რომელიც დიდად არ დააზარალებს საოჯახო ბიუჯეტს. ცხადია, აქ იმ შემთხვევებზე არ გვაქვს საუბარი, როდესაც მოთამაშეები ათასებს აგებენ და ეს უკვე ავადმყოფობაში გადადის.

სხვათა შორის, ტოტალიზატორის ერთ-ერთი მთავარი ფუნქცია (მოთამაშისთვის და არა მისი მფლობელისათვის) რომ სწორედ კონკრეტული შეჯიბრებისადმი ინტერესის გაღვივებაა, ამას ისიც ადასტურებს, რომ დასავლეთის ქვეყნებში, ცხენების ელიტურ დღეებზე, სადაც შესასვლელი ბილეთი დაახლოებით 100 დოლარი ღირს, თითქმის ყოველი მოთამაშე 5-10 დოლარს დებს რომელიმე ცხენზე. რასაკვირველია, მოგების შემთხვევაშიც კი, ისინი ბილეთის ფასსაც ვერ ამოიღებენ და არც ფინანსურად უჭირთ, მაგრამ ამ ხუთი დოლარით იმ ინტერესს „ყიდულობენ“, რომელიც მათ საშუალებას აძლევს, მთელი გულით და აზარტით უქომაგონ კონკრეტულ ცხენსა თუ ჟოკეის.

აქვე უნდა ითქვას, რომ იპოდრომი და ტოტალიზატორი ყოველთვის განუყოფელნი იყვნენ ერთმანეთისგან – თვით საბჭოთა ეპოქაშიც კი, როდესაც მონოპოლია ნებისმიერი ლატარიის ჩატარებაზე სახელმწიფოს ეკუთვნოდა და ოცდაათკაპიკიანი ლატარიითა და „სპორტლოტოთი“ ამოიწურებოდა, საბჭოთა კავშირის ყველა იპოდრომზე (მათ შორის – თბილისშიც) მოქმედებდა ოფიციალური ტოტალიზატორი. რად-

გან ისტორიას გადავწვდით, ცოტა უფრო შორსაც მივიხედოთ უკან და ვთქვათ, რომ თბილისში ჩატარებული არც ერთი შეჯიბრება არ ჩაივლიდა ოფიციალური თუ არაოფიციალური ტოტალიზატორის გარეშე – ცირკში გამართული ჭიდაობა იქნებოდა ეს თუ ძაღლებისა ან ვერძების ჩხუბი.

ინგლისში არსებობს ტოტალიზატორები (იქ მათ „ბუკმეკერული კანტორები“ ჰქვია), რომელთაც საუკუნეზე მეტი ხნის ისტორია აქვთ – „უილიამ ჰილი“, „რებერი“, „კორტნეი“... ამ დაწესებულებებს მრავალმილიონიანი შემოსავლები აქვთ მთელ მსოფლიოში გაფანტული ფილიალების საშუალებით და უზარმაზარი თანხაც შეაქვთ ბიუჯეტში გადასახადების სახით. თუმცა ბოლო წლებში, ინტერნეტისა და პლასტიკური კრედიტ-ბარათების საყოველთაო დამკვიდრებამ ბევრი დიდი ფილიალის საჭიროება მოუსპო სათავო ოფისებს – მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში მყოფ მოთამაშეს შეუძლია, ინტერნეტში ნახოს სასურველი თამაშების კოეფიციენტები სასურველ ტოტალიზატორში და, თავისი საკრედიტო ბარათიდან ფულის მყისიერი გადარიცხვით, „დაუსწრებლად“ ითამაშოს. უცხოურ ტოტალიზატორებში კიდევ ერთი საინტერესო „მომსახურების სახეობა“ აქვთ: გარდა იმ გამოცხადებული კოეფიციენტისა, რომელიც რომელიმე სპორტული შეჯიბრების (ფეხბურთის ან ჩოგბურთის მატჩი თუ საკრივო ბრძოლა) გამოცნობაზეა დაწესებული, მოთამაშეს შეუძლია, თვითონ შესთავაზოს ტოტალიზატორს რაიმე ნაძლევი და თანაც, არა მხოლოდ სპორტთან დაკავშირებული: მაგალითად, შარშან იმდენი ხალხი სთავაზობდა ტოტალიზატორებს, ჯორჯ ბუშ უმცროსსა და ალ გორს შორის საპრეზიდენტო არჩევნების გამარჯვებულის გამოცნობაზე ფსონის დადებას, რომ ბევრმა საბუკმეკერო კანტორამ ფსონები გამოაქვეყნა ამ „ორთაბრძოლის“ შედეგების შესახებ.

ხშირად, სრულიად ორიგინალური ფსონები იდება: მაგალითად, შარშანწინ ლონდონის ერთ-ერთ ტოტალიზატორში მივიდა კაცი, რომელმაც ასეთი ნაძლევი შესთავაზა მასპინძლებს: ორმოცდაათ გირვანქა სტერლინგს ვდებ იმაზე, რომ ჩემი ვაჟი, რომელიც გუშინწინ დაიბადა, „მანჩესტერ იუნაიტედში“ ითამაშებს, 2020 წელს გუნდის კაპიტანი იქნება და ჩემპიონთა ლიგის ფინალურ მატჩში გოლსაც გაიტანსო. ტოტალიზატორმა „მოსიყვარულე მამიკოს“ მაშინვე გაუფორმა ინდივიდუალური ფსონი და მისი 50 გირვანქის მაგივრად, მილიონის გადახდას ჰპირდება, თუ ყველაფერი მართლაც პირობისამებრ მოხდა.

საქართველოში ჯერჯერობით ასეთი „გრძელვადიანი პროგნოზები“ შეუძლებელია, თუნდაც უფრო სერიოზულ ვარიანტზე, ვიდრე შვილისა ან მეზობლის ბავშვის გაჩემპიონებაა, რადგან ვერც ერთ ქართველს ვერ დაარწმუნებ, რომ დღეს ჩვენს ქვეყანაში შესაძლებელია სადმე მცირე თანხის ჩადებაც კი, და ოცი წლის შემდეგ იმავე ხალხისგან დივიდენდის ან მოგებულის მიღება...

სხვათა შორის, საქართველოში არაოფიციალური ტოტალიზატორი ოცი-ოცდახუთი წლის წინათაც არსებობდა – „მუშტაიდში“, „კიროვის პარკში“, „გორკის კლუბში“ იკრიბებოდა ფეხბურთის გულშემატკივართა ჯგუფი, რომლებიც ერთმანეთში ნაძლევს დებდნენ (ანუ „მაზიანებს დებდნენ“) და თანაც, საკმაოდ სოლიდურ თანხებზე. რაც მთავარია – ეს ამბავი დღესაც გრძელდება და „მაზავშიკებმა“ თვით ტოტალიზატორების დარბაზებში გადაინაცვლეს – ბუნებრივია, როდესაც კერძო გარიგება ხდება, ორივე მხარეს ერთმანეთში თამაში უნდა ერჩივნოთ, ტოტალიზატორთან „ჭიდაობას“ და, როგორც წესი, ასეც არის ხოლმე: მაგალითად, თუ A და B გუნდებს შორის თამაშისას A-ს მოგებაზე დებ ფულს ტოტალიზატორში, ეს ნიშნავს, რომ ფრეზეც წაგებული ხარ და მეორე გუნდის მოგებაზეც. მაშინ, როდესაც შეიძლება მონახო „პარტნიორი“ (ასე უწოდებენ ერთმანეთს), რომელიც B გუნდის მოგებაზე აპირებს ფულის დადებას – და ერთმანეთს გადაუხდით წაგებულ-მოგებულს. სამაგიეროდ, იმ შემთხვევაში, თუ თამაში ფრედ დასრულდა, ორივე მოთამაშე თავისი ფულით დარჩება („ერთმანეთს გაეყრებიან“ – ესეც იქაური ტერმინია).

რა თქმა უნდა, ასეთი მოთამაშეების გარკვეული წრე არის ჩამოყალიბებული და უცხოს არ გაურიგდებიან, მით უმეტეს, რომ „გადაგდებაც“ არ არის გამორიცხული. კიდევ ერთი ფაქტორი, რითაც კერძო გარიგებებს ამჯობინებენ, ის არის, რომ წაგების შემთხვევაში, ფული მოგვიანებით – დათქმულ დღეს უნდა ჩაბარდეს. ტოტალიზატორში კი, ცხადია, წინასწარ უნდა დაიდოს თანხა.

ბოლო დროს თბილისში გახსნილ ტოტალიზატორთაგან რამდენიმემ, უკვე მოიპოვა მოთამაშეთა ნდობა – ინტერიერით, მოგების გაცემის ოპერატიულობით, სხვადასხვა თამაშის პირდაპირ ეთერში, იქვე ყურების შესაძლებლობით და ა.შ. მაგრამ დღეს ყველამ იცის, რომ როგორი პატარა და არცთუ ნდობის აღმძვრელიც უნდა იყოს „კანტორა“, ასი ან სამასი ლარისთვის არ გაიქცევა და ამიტომ ტოტალიზატორის არჩევისას, თუ მოთამაშე ასეთ მცირე თანხაზე თამაშობს, პირველ რიგში კოეფიციენტებს აქცევს ყურადღებას, თუმცა ისინი ცალკეულ თამაშებზე თითქმის ერთმანეთის ტოლია და მხოლოდ ერთდროულად რამდენიმე შედეგის გამოცნობისას იძლევა სხვაობას – ეს კი, როგორც წესი, იშვიათად ხდება და ტოტალიზატორს მოთამაშის ფული რჩება, ხოლო მოთამაშეს – ტელევიზორთან ღამის თევა (თუ შუქი იქნა) და ნერვების შლა.

ასეა თუ ისე, ტოტალიზატორები დღეს დიდ ინდუსტრიად იქცა და მრავალმხრივ სასარგებლოც შეიძლება იყოს: სახელმწიფოსთვის – თუ პატიოსნად გადაიხდიან ყველა გადასახადს, და მოთამაშეებისთვისაც – თუ იმაზე მეტ ფსონს არ დადებენ, რამდენსაც, თამაშის სანახავად სტადიონზე წასულები, ბილეთში გადაიხდიდნენ...

წინააღმდეგ შემთხვევაში, თითქმის უკურნებელი სენით დაავადება გარდაუვალია!

ინფორმაციულ-უფეხცნობითი კოლაჟი

ეიჩა დვალის უბის წიგნაკიდან:

1. ფრიდრიხ ბარბაროსა, ოტონ I, ჰენრიხ III, ჰენრიხ IV, ვლადისლავი, ჰერცოგი ალბა, სიგიზმუნდი, ფილიპე IV ლამაზი, ლუდვიგ მეფე. ეს ხალხი რომის პაპის ძალაუფლების შეზღუდვისთვის იბრძოდა.

2. პლუტარქეს „რჩეულ ადამიანთა ბიოგრაფიები“ პარალელიზმის პრინციპით არის აგებული.

3. კართაგენი აფრიკაში, დღევანდელი ალჟირისა და ტუნისის ადგილზე მდებარეობდა.

4. რომის იმპერატორმა ადრიანემ (117-138 წ.წ. ჩვენი წელთაღრიცხვით) ათენი მრავალი ახალი ნაგებობით დაამშვენა და ქალაქის ახალსა და ძველ ნაწილს შორის დადგა სვეტი, რომლის ერთ მხარეზე ეწერა: „აქ არის ათენი, თეზევსის ძველი ქალაქი“. ხოლო მეორე მხარე გვამცნობდა: „აქ არის ადრიანეს ქალაქი და არა თეზევსისა“.

5. ჰერცოგი მალბორო უინსტონ ჩერჩილის ბიძაშვილი გახლდათ.

6. დაკუთხვილლულიან გერმანულ შაშხანას შტუცერი ერქვა.

7. ხო ში მინის ნამდვილი სახელი ნგუენ ტატ თანია.

8. ბაირონის ლექსების პირველ კრებულს „მოცალეობის საათები“ ერქვა. P.S. თავისი ყოვლისმომცველი, მელანქოლიური განწყობილებით ბაირონი ეგრეთ წოდებული „მსოფლიო სევდის“ გამომხატველ პოეტად იქცა.

9. მონღოლთა სახალხო კრებას ყურულთაი ერქვა.

10. ბათო-ყაენი ჩინგის-ყაენის შვილიშვილი იყო.

11. ბერლიოზს ჰექტორი ერქვა.

12. რომის პირველ პაპად პეტრე მოციქული ითვლებოდა. იგი ნერონის იმპერატორობის დროს აწამეს.

13. აცტეკების მიერ განაწყენებული ღმერთი კეცალკოატლი აღმოსავლეთის მიმართულებით გაემგზავრა და წასვლის წინ დაიბარა: „მე დავბრუნდები ლერწმის წელიწადში. და ჩემი შვილები გახდებიან აქაურობის ბატონ-პატრონნი“. P.S. სწორედ ლერწმის წელიწადში იხილეს აცტეკებმა კონკისტადორი კორტესი.

14. რიჩარდ ლომგული, მერილინ მონრო, ლუციუს კორნელიუს სულა, სპარტაკი. აქ სულ ქერათმიანი ხალხია ჩამოთვლილი.

ჩემი რესპონდენტი ფეხბურთისა და აზარტული თამაშების დიდი მოტრფიალეა. ერთ დროს ტოტალიზატორების ხშირი სტუმარი გახლდათ. დღეს-დღეობით კი თეატრალურ ინსტიტუტში სწავლობს და, როგორც თვითონ ამბობს, სტუდენტურმა ცხოვრებამ და „კაი სიტუაციებმა“, საბედნიეროდ, „ლომკები“ უკვე მოუხსნა... საბედნიეროდ, რადგან გიორგი არაერთხელ „გადამხტარა“ ვალებში...

ნინო ჯავახიშვილი

„სიზმარში ბილეთები და ფსონები არ მასვენებდა...“

— ამბობენ, ახალბედებს მოგების დიდი შანსი აქვთო, მართალია?

— სხვათა შორის, მართლაც ასეა! ახალბედებს რატომღაც ფორტუნა სწყალობთ ხოლმე. პირველად ძალიან ცოტა — 5 ლარი მოვიგე. ის დღე იყო და წავიდა... ტოტალიზატორიდან სახლში დასაძინებლადაც აღარ მინდოდა წასვლა. ბავშვობიდანვე ძალიან აზარტული ვიყავი. „დურაკაში“ წაგებაზეც კი ვცოფდებოდი ხოლმე და იქამდე არ მინდოდა თამაშის დამთავრება, ვიდრე არ მოვიგებდი. საერთოდ, როცა სულ იგებ და იგებ, თითქოს თამაშს თავისი აზარტი და მუღამი ეკარგება. აზარტული ადამიანი თუ ბოლო კაპიკამდე არ გამოიცარიელებს ჯიბეს, ისე როგორ იქნება... როცა თამაშობ, ნერვიულობა და სიამოვნება ერთმანეთს ერწყმის. სულ ცდილობ, როგორმე წაგებული თანხა ამოიღო და ტოტალიზატორსაც თავს ვეღარ ანებებ...

— ან კიდევ, უფრო მეტი წააგო, არა?

— რა თქმა უნდა, ასეც ხდება, მაგრამ დამარცხებასაც ღირსეულად უნდა შეეგუოს კაცი. შენ ვერაფრით გათვლი — მოიგებ თუ წააგებ. ერთიც და მეორეც ადამიანის იღბალსა და იმ გუნდის მომზადებაზეა დამოკიდებული, რომელზეც ფსონს დებ. ერთხელ 10 ლარი დავდე და 550 მოვიგე. ეს იყო ყველაზე დიდი თანხა, რაც ოდესმე ტოტალიზატორში მომიგია. შენ როგორ გგონია, რა გავაკეთე მოგებული ფულით? 550 ლარიდან, გინდ დაიჯერე, გინდ არა, 20 თეთრიანი „ზაჟიგალკა“ ვიყიდე — ეგ იყო და ეგ. დანარჩენი ისევ ფსონზე დავდე და იქ დავტოვე კიდეც. კინაღამ გადამერივნენ ოჯახის წევრები...

— ალბათ შენი აზარტულობით ნაკლებად აღფრთოვანებულები იყვნენ, არა?

— იცი, რა, როცა საკუთარი ფული არა გაქვს, მართლაც ძნელია, მუდმივად ითამაშო... ბევრჯერ ყველაფერი გამიყიდია, რაც მებადა — წიგნიდან დაწყებული, ძვირფასი ნივთებით დამთავრებული., ახლა ძალიან კი მრცხვენია ამის თქმა, მაგრამ ბევრჯერაც სახლიდან ჩუმადაც ამიღია ფული. მერე ატყდებოდა ხოლმე ერთი ამბავი...

საუბარში გიორგის დაც შემოგვიერთდა და ცხოვრების „შავბნელი პერიოდი“ (როგორც თვითონ უწოდებს) ორიოდე სიტყვით გაიხსენა:

— უბრალოდ, ვერ წარმოიდგენ, რას ნიშნავს, როცა ოჯახის რომელიმე წევრი აზარტული თამაშებით არის გატაცებული. ახლაც ცუდად ვხდები ხოლმე, როცა ის კოშმარი მახსენდება. გიორგი ტოტალიზატორებში ათენებდა და აღამებდა. ჩვენც მეტი რა გზა გვქონდა — ხან რომლიდან „გამოვათრევდით“ და ხან რომლიდან... რა გუნებაზე დავდგებოდი, როცა ყოველდღე სახლში დაბრუნებული გამოგვიცხადებდა ხოლმე — 40 ან

20 ლარი მაქვს ვალი, წავაგეო. ლამის ისტერიკაში ვვარდებოდით. კაზინოები და ტოტალიზატორები მათთვის, ვისი მამიკოებიც დღეში და საათში აკეთებენ 10 ლარს, მშვენიერი გასართობია, მაგრამ დედაჩემი და მამაჩემი ნემსის ყუნწში ძვრებოდნენ, რომ თავი გაგვეტანა. გიორგი კიდევ, სახლში არ გვიჩერებდა ფულს, იპარავდა. ხანდახან მეზიზღებოდა კიდეც, იმდენ ტკივილს გვაყენებდა. ეგოისტი გახდა – ოღონდ თავისი გაეტანა და „გაესწორებინა“, არ ახსოვდა არავინ. მძიმე ოპერაცია გადავიტანე, სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარზე ვიყავი და გიორგიმ ერთადერთხელ მომაკითხა საავადმყოფოში: არ ეცალა... ვალების გასტუმრებას ხომ ვეღარ ავუდიოდით ხოლმე...

— მართლა დიდ ვალებს „იკიდებდი“ თამაშისთვის? — ვეკითხები გიორგის.

– არა უშავს რა... (იცინის) მაგრამ რაც იყო, იყო... ისე, აზარტული თუ ხარ და ფული არა გაქვს, ყველაფერზე წახვალ კაცი. მაშინ რა უნდა მექნა – არ შემეძლო თამაშის გარეშე ცხოვრება, ვერ ვუძლებდი ცდუნებას... აი, წარმოიდგინე, სიცხე რომ გაქვს და გაკანკალებს, ისე მემართებოდა. მთელი ღამე თვალს ვერ ვხუჭავდი, ერთი სული მქონდა, როდის გათენდებოდა, რომ ისევ ტოტალიზატორში გავქცეულიყავი. ყველაზე სასაცილო ის არის, რომ ნელი სიარულიც კი აღარ შემეძლო – თავქუდმოგლეჯილი გავრბოდი ხოლმე. სიზმარში სულ ბილეთები, ფსონები და ფეხბურთის მატჩები მელანდებოდა. ერთი სიტყვით, ლამის „გავრეკე“. აზარტი ავადმყოფობაა – დაგჯაბნის, თუ სუსტი ნებისყოფა გაქვს.

— ხომ იცოდი, რომ მოგების ალბათობა არც ისე დიდი იყო, რატომლა თამაშობდი?

– როცა ვაგებდი, ვბრაზდებოდი და იმიტომ! მინდოდა, ისევ მეთამაშა, თუმცა, არ დამიჯერებ და, როცა ვაგებდი, მაინც ნასიამოვნები და კმაყოფილი ვრჩებოდი ხოლმე.

— რაღაც ვერ გავიგე. არა მგონია, წაგება სასიამოვნო იყოს...

– ერთი კაცი დადიოდა ტოტალიზატორში, „ბაბუს“ ვეძახდით. იცი, როგორ უყურებდა თამაშს? – მის გვერდით კაციც რომ მოგეკლა, თვალს მაინც არ მოაშორებდა ეკრანს და არ დაინტერესდებოდა, ირგვლივ რა ხდებოდა. როგორ გგონია, ფსონზე ჰქონდა დადებული რამე? არაფერი! უბრალოდ, ფეხბურთი უყვარდა ძალიან... ასეა, გამდიდრების მიზნით არასდროს მითამაშია. ამიტომ წაგების შემთხვევაშიც კი ნასიამოვნები ვრჩებოდი – იმიტომ, რომ ვითამაშე! თითქმის ყოველთვის ვიცოდი, რომ 80%-ით მაინც წაგებული ვიყავი.

— ესე იგი. რისკიანი ხარ. აზარტული ადამიანი ხომ აუცილებლად რისკიანი უნდა იყოს?

– აბა რა! თამაში რისკია, სხვა არაფერი. ხომ იცით – ვინც არ რისკავს, ის შამპანურსაც არ სვამსო, ნათქვამია... ბევრჯერ გამირისკავს, ხან გამმართლებია და ხან – არა.

— თუ გაგიგია, რომ ვინმემ ძალიან დიდი თანხა მოიგო?

– კი, როგორ არა. 2000 წლის ევროპის ჩემპიონატის დროს ერთმა მოთამაშემ მგონი საფრანგეთის, იტალიის, ჰოლანდიისა და ესპანეთის გუნდებზე დადო ფსონი – 2.000 ლარი და 21.000 მოიგო. ის ბედნიერი, ამ მოგების შემდეგ ტოტალიზატორში მოსული აღარც მინახავს – ეტყობა, ჯერ კიდევ არ დაუხარჯავს ის ფული...

— ქალები თუ დადიან ტოტალიზატორში, ან საერთოდ, რა კატეგორიის ხალხი იკრიბება იქ?

– ძირითადად ახალგაზრდები მოდიან, მაგრამ არც ხანში შესულები უჩივიან უაზარტობას. ქალებიც შემიმჩნევია, თუმცა იშვიათად. პრინციპში, რა არის ამაში უცნაური – ქალები აზარტულები არ არიან? ეგ არის, რომ ფეხბურთის ყურების დროს, იქ ამბავია ხოლმე, ნუ იტყვი... თვალო, ნუ დაინახავ, და ყურო, ნუ გაიგონებ... (როგორც ერთ-ერთი ტოტალიზატორის ბატონ-პატრონმა მითხრა, თურმე, მსოფლიო ჩემპიონატის დროს, არც მეტი, არც ნაკლები, სამჯერ ჩაუსვამთ ფანჯრის მინები – ეგზალტირებულმა მოთამაშეებმა ჩაამსხვრიეს...)

— როგორ „უშველე“ თავს?

– არ ვიცი, შეიძლება ოდესმე კიდეც ვითამაშო, მაგრამ ახლა უკვე აღარა მაქვს ისეთი „ლომკები“, როგორიც მაშინ მქონდა. როგორღაც გადავეჩვიე, თუმცა ძალიან კი გამიჭირდა – ჯერ სასწრაფოდ რაიონში გამაგზავნეს „დასასვენებლად“ – სიტუაციას გამარიდეს. სამი-ოთხი თვე სოფელში ვიყურყუტე. მერე ინსტიტუტში ჩავაბარე და სხვა რაღაცებზე გადავერთე, თეატრალურში „კაი პონტებია“, თან ყველა ძმაკაცი მეუბნებოდა – რად გინდა, თავს რატომ იღუპავო – და ნელ-ნელა თავს მოვერიე, თუმცა ისეთი აზარტული ვარ, ბევრი ფული რომ მქონდეს, ახლავე, ამ წუთშივე კაზინოში „გავქანდებოდი“ და დიდი სიამოვნებით მოვიგებდი და წავაგებდი კიდეც, ანუ მთელ ჩემს ბიუჯეტს კაზინოში დავტოვებდი...

■

ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი

ეიჩა დვალის უბის წიგნაკიდან:

15. „ეკლესიის ისტორია ცთომილებისა და ძალადობის ნარევია“. – ამბობდა გოეთე.

16. იმ რომაელ ჯარისკაცს, რომელიც პირველი ავიდოდა ალყაშემორტყმული ქალაქის გალავანზე, ეგრეთ წოდებული ციხის გვირგვინით აჯილდოებდნენ.

17. ძველ გალთა ომის ღმერთს გეზუ ერქვა.

18. ათენის მოსახლეობა თეზევსმა სამ ფენად დაყო. ეს ფენები იყო: ევპატრიდები (კეთილშობილნი), გეომორები (მიწის მუშაკნი) და დემიურგები (ხელოსნები).

19. დაობლებული იოჰან სებასტიან ბახი უფროსმა ძმამ იოჰან ქრისტოფმა აღზარდა. P.S. ბახს არც ერთი ოპერა არ დაუწერია.

20. ბერლინი მდინარე შპრეეზე არის გაშენებული. P.S. იქაურ ცენტრალურ პროსპექტს უნდერ-დენ-ლინდენი ჰქვია.

21. ბეისბოლის პირველი ოფიციალური მატჩი ნიუ-იორკში 1820 წელს გაიმართა.

22. ჯორჯონეს ნამდვილი სახელი და გვარი ჯორჯო ბარბარელი და კასტელფრანკოა. P.S. იტალიელი მხატვრის სახელგანთქმული „ივდითი“ სანკტ-პეტერბურგში, ერმიტაჟში ინახება.

23. ჩოგბურთელი ანდრე აგასი, მომღერალი შარლ აზნავური და შერი წარმოშობით სომხები არიან.

24. ხეთაგათი კოსტა ხეთაგუროვის ნამდვილი გვარია.

25. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ასამბლეაზე ნიკიტა ხრუშჩოვმა თავისი ფეხსაცმლის ბრახუნით მთელ საბჭოთა კავშირს მოსჭრა თავი. P.S. სულ ტყუილად ცდილობდა აჯუბეი, ეს ამბავი ბრძნულ და გამიზნულ პოლიტიკურ აქტად გაესაღებინა, როცა ამტკიცებდა, ხრუშჩოვს ფეხსაცმელი ისე ეჭირა, რომ მისი ქუსლი მექსიკის დელეგაციისკენ იყო მიმართული და წვერი – აშშ-ის დელეგაციისკენო.

■

ზვიად ყოჩიშვილი და მისი ადვოკატი, მერაბ ჯორბენაძე

„მკვლელობასთან ერთად, მამათმავლობასაც აბრალებენ...“

ამ დანაშაულში პროკურატურას 30 ეჭვმიტანილი ჰყავდა

მეგი ცანავა

უზენაეს სასამართლოში, სიღნაღის რაიონში 7 წლის წინ ჩადენილი მკვლელობის საქმეს იხილავენ. სოფელ საქობოს მკვიდრის, 40 წლის გუგულა ღვინიაშვილის დანით აჩეხილი გვამი მისსავე სახლში 1994 წლის 22 ოქტომბერს იპოვეს. იმ დღიდან ორი წლის მანძილზე მკვლელობა გაუხსნელი იყო, გამომძიებლებს საქმეში 30 ეჭვმიტანილი ჰყავდათ.

სოფელ საქობოში დატრიალებულ ტრაგედიას ფარდა 1997 წელს აეხადა. მაისში სამართალდამცავებმა ამავე სოფელში მცხოვრები 23 წლის, აზერბაიჯანელი გუმბათ ალიევი დააკავეს. ამის მიზეზი მზესუმზირის ქურდობა გახლდათ. დაკითხვისას ალიევმა, ქურდობასთან ერთად, 1994 წელს ჩადენილი, გუგულა ღვინიაშვილის მკვლელობაც აღიარა. როგორც გაირკვა, პროკურატურას სხვა ეჭვმიტანილებთან ერთად მხედველობაში ისიც ჰყავდა და დაკავებიდან მეექვსე დღეს, გამომძიებლებმა მას აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით, სპეციალური დაკითხვა მოუწყვეს. გუმბათ ალიევის ჩვენებით, მკვლელობა ასე მოხდა:

იმ პერიოდში ალიევი 18 წლის ზვიად ყოჩიშვილთან მეგობრობდა, რომელიც სოფელ საქობოში თავის ბებიასა და ბაბუასთან ხშირად ჩადიოდა (თავად ზვიადი ქალაქ რუსთავიდან გახლდათ). 1994 წლის 22 ოქტომბერს ყოჩიშვილმა გუმბათ ალიევს სოფელში, მეზობლად მცხოვრები გუგულა ღვინიაშვილის სახლის დაყაჩაღება შესთავაზა. ალიევი დასთანხმდა. მათ იცოდნენ, რომ ღვინიაშვილი შინ იქნებოდა, ამიტომ რამდენიმე ბოლი შამპანური იყიდეს და მასთან, თითქოს სტუმრად, საქეიფოდ, სინამდვილეში კი — დაყაჩაღების მიზნით მივიდნენ.

ღვინიაშვილმა ისინი ჩვეულებრივად მიიღო. ერთი ბოთლი შამპანურიც გახსნეს და დალიეს, თუმცა სტუმრებმა თავიანთი განზრახვაც გაამჟღავნეს. ღვინიაშვილისგან, რა თქმა უნდა, წინააღმდეგობა შეხვდათ. ზედმეტი ყვირილისა და ჩხუბის თავიდან ასაცილებლად, ალიევმა მას შამპანურის ბოთლი ჩაარტყა, თუმცა ღვინიაშვილი მაინც არ დაეცა და მათი მოგერიებაც სცადა. მაშინ ყოჩიშვილმა მაგიდიდან დანა აიღო და კისერში დაჭრა, ალიევს კი უთხრა, გარეთ გასულიყო და ეზოდან რაიმე ჯოხი ან კეტი შემოეტანა. ალიევმა ოთახში მანქანის ნაწილი — რკინის ღერძი შეიტანა, რომელიც ყოჩიშვილმა ღვინიაშვილს თავში ჩაარტყა. სწორედ ამ დროს მეორე ოთახიდან ვიღაც ქალი (როგორც მოგვიანებით გაირკვა — ღვინიაშვილის ბებიის მომვლელი) გამოვიდა. ყოჩიშვილმა და ალიევმა იგი მეორე ოთახში შეაგდეს, ხოლო კარის სახელურებს ბაწარი გამოაბეს და ასე ჩაკეტეს. ღვინიაშვილი იატაკზე ეგდო, მათ კი სახლის მეორე სართულზე განლაგებული ოთახების ჩხრეკა დაიწყეს, თუმცა ბევრი ვერაფერი იპოვეს და წავიდნენ. ალიევის თქმით, მომხდარი ფაქტიდან რამდენიმე თვეში ზვიად ყოჩიშვილი რუსეთში წავიდა და მას შემდეგ არავის უნახავს.

ამ ჩვენების მიღების შემდეგ გამოძიება მალე დასრულდა. საქმის მასალები ძირითადად ალიევის სიტყვებზე აიგო. გაირკვა, რომ გუგულა ღვინიაშვილი მცირე ბიზნესით იყო დაკავებული, ის საქონელს ბოდბისხევის ბაზრობაზე ყიდდა. იგი უცოლშვილო გახლდათ და სოფელ საქობოში თავის ბებიასა და მის მომვლელ ქალთან ერთად ცხოვრობდა. პროკურატურის ინფორმაციით, მეზობლებში გავრცელებული იყო ხმა გუგულა ღვინიაშვილის მამათმავლობის შესახებ, თუმცა ვისთან ჰქონდა მას განსაკუთრებით ახლო ურთიერთობა ან ვინ სტუმრობდა მის სახლს ხშირად, მათ არ თქვეს. ზოგი, თურმე, იმასაც ამბობდა, რომ ღვინიაშვილი ნარკოტიკებით ვაჭრობდა. გამოძიების მასალებში არსებობს სოფლის რწმუნებულის — ყაჯაშვილის ჩვენება, რომელიც მას ნარკოტიკული ნივთიერებების რეალიზაციაში ამხელს. მართალია, პროკურატურას ამ ფაქტის ძიება ღვინიაშვილის გარდაცვალების გამო არ დაუწყია, მაგრამ ალიევის დაპატიმრებამდე, მკვლელობაში დამნაშავეებს, ძირითადად, ნარკომანებსა და ნარკოტიკებით მოვაჭრეებში ეძებდა. სწორედ, ამ მიზნით სამართალდამცავებმა 30 საეჭვო პირი დაჰკითხეს. საქმის ძიებაში შს სამინისტროს ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველოც ჩაერთო. თუმცა, ეჭვები ნარკოტიკებთან დაკავშირებით არ დამტკიცდა, არც პროკურატურის მიერ დადგენილი დამნაშავეები აღმოჩნდნენ ნარკომანები.

გუმბათ ალიევი ჩვენი კორესპონდენტის ობიექტივს დაემალა

სიღნაღის რაიონულმა სასამართლომ გუმბათ ალიევს ბრალდება დაუმტკიცა და მას აღნიშნული დანაშაულისთვის, 15

წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. რაც შეეხება ზვიად ყოჩიშვილს, პროკურატურამ მასზე ძებნა გამოაცხადა. სამართალდამცავებმა მისი დაკავება მხოლოდ ორი წლის შემდეგ, 1999 წლის შემოდგომაზე შეძლეს.

რუსეთში სამუშაოდ წასული ზვიად ყოჩიშვილი ადგილობრივმა მილიციამ რეგისტრაციის ვადის გასვლის გამო დააკავა. ყოჩიშვილს ახალი რეგისტრაცია არ ჰქონდა გავლილი, ამიტომ იგი მილიციის განყოფილებაში მიიყვანეს. სწორედ იქ შეიტყო, რომ სიღნაღის რ-ის პროკურატურას მასზე ძიება ჰქონდა გამოცხადებული.

გამომძიებელმა მარტაშვილმა გუმბათ ალიევი და ზვიად ყოჩიშვილი ერთმანეთს დაუპირისპირა. ალიევმა პირველი ჩვენებისას ნათქვამი სიტყვები გაიმეორა, ყოჩიშვილმა კი მისი მონათხრობი კატეგორიულად უარყო. მისი თქმით, მასა და ალიევს შორის ყაჩაღობაზე საუბარი საერთოდ არ ყოფილა. **ზვიად ყოჩიშვილმა** წინასწარი გამოძიებისთვის მიცემული ჩვენება უზენაეს სასამართლოშიც დაადასტურა:

„1994 წლის 22 ოქტომბერს გუმბათ ალიევმა მთხოვა, გუგულა ღვინიაშვილთან გავყოლოდი. საქმე მაქვსო – მითხრა, თან შამპანურები იყიდა, ხელცარიელი არ მივიდეთო... სუფრასთან დავსხედით. ცოტა ხანში ალიევმა და ღვინიაშვილმა აზერბაიჯანულ ენაზე დაიწყეს საუბარი, რას ლაპარაკობდნენ, არ მესმოდა. საპირფარეშოში მინდოდა წასვლა, იმ სახლში პირველად ვიყავი და ღვინიაშვილმა გზა მიმასწავლა. ოთახიდან გავედი. როცა დავბრუნდი, დავინახე, რომ იგი იატაკზე ეგდო, ალიევი კი მეორე ოთახში გასასვლელ კარს ბაწრით აბამდა. შევეკითხე – რა მოხდა-მეთქი, რაზეც მიპასუხა – რაც ნახე, არსად თქვაო. მაშინ ოთახიდან ისევ გარეთ გავედი, ალიევი მეორე სართულზე ავიდა, მე კი იქაურობა დავტოვე...

მკვლელობის მომენტში გარეთ ვიყავი, ოთახიდან ჩხუბის ან ყვირილის ხმა არ გამიგია. საპირფარეშო ეზოში, სახლიდან მოშორებით იდგა, თანაც ძალიან ცუდი ამინდი იყო, წვიმდა და ალბათ, ამიტომაც, ვერაფერი გავიგონე...“

ყოჩიშვილის თქმით, მეორე დღეს გუმბათ ალიევი მასთან სახლში მივიდა და დაემუქრა – რაც ღვინიაშვილთან მოხდა, არ უნდა თქვა, თორემ ან მოგკლავ, ან დანაშაულს შენ დაგაბრალებო. მიუხედავად ამისა, რამდენიმე თვის შემდეგ ზვიად ყოჩიშვილმა მომხდარის შესახებ თავის ბაბუას – სილიბისტრო ნიკვაშვილს მოუყვა. ამ უკანასკნელმა გუმბათ ალიევი მაშინვე ნახა და მასთან მოლაპარაკება სცადა, სთხოვა – მისი შვილიშვილისთვის თავი დაენებებინა. ალიევი ზვიად ყოჩიშვილზე ძალიან გაბრაზდა, იმის გამო, რომ მან დანაშაულის თაობაზე ბაბუას აცნობა. ნიკვაშვილმა სიკვდილის წინ ღვინიაშვილის მკვლელობისა და ალიევთან შეხვედრის ამბავი თავის მეუღლესა და შვილს (ყოჩიშვილის ბიძას) უთხრა, რაც აღნიშნული პირების ჩვენებებით დადგინდა.

ზვიად ყოჩიშვილის სიტყვები სიღნაღის რაიონის პროკურატურას დამაჯერებლად არ მოეჩვენა და, ალიევის მხილებაზე დაყრდრობით, მას ბრალი, დამამძიმებელ გარემოებაში განზრახ მკვლელობისა და ყაჩაღობის მუხლებით წაუყენა.

თუმცა, უზენაეს სასამართლოში, სადაც ამჟამად ზვიად ყოჩიშვილის ბრალეულობის საკითხს განიხილავენ, პროკურატურის მიერ გამოძიებული მასალები თავდაყირა დადგა. ეს კი სასამართლო კოლეგიისთვის მსჯავრდებულ გუმბათ ალიევის მიერ მიცემულმა ჩვენებამ გამოიწვია. ალიევმა წინასწარ გამოძიებაში დაფიქსირებული თავისი სიტყვები უარყო და განაცხადა, რომ ზვიად ყოჩიშვილი მკვლელობაში დამნაშავე არ არის.

მსჯავრდებული **გუმბათ ალიევი:**

„გუგულა ღვინიაშვილთან მხოლოდ საქმიანი ურთიერთობა მქონდა. მე მისთვის სოფ. ერისიმედიდან გასაყიდი საქონელი მიმქონდა, რასაც ის ბოდბისხევის ბაზრობაზე ყიდდა. სავაჭრო ნივთების რეალიზების შემდეგ ჩემს კუთვნილ თანხას მაძლევდა, თუმცა ბოლოს, ფულის მოცემა დააგვიანა და ამბის გასაგებად მასთან სახლში მისვლა გადავწყვიტე. არ მინდოდა მარტო მივსულიყავი, რადგან ვიცოდი, რომ მამათმავლის სახელი ჰქონდა გავარდნილი, ამიტომაც ზვიად ყოჩიშვილს ვთხოვე წამყოლოდა. რამდენიმე ბოთლი შამპანური ვიყიდეთ და წავედით. ერთი ბოთლი დავლიეთ და ღვინიაშვილს მისვლის მიზეზი ვუთხარი. რახან მას აზერბაიჯანული კარგად ესმოდა, მეც ამ ენაზე დავუწყე ლაპარაკი. ამ დროს ყოჩიშვილმა საპირფარეშოში გასვლა ითხოვა, გზა მივასწავლეთ და ოთახიდან გავიდა. ღვინიაშვილს შევატყვე, რომ ფულის მოცემას არ აპირებდა, ამიტომ ჩვენი საუბარი ხმამაღალ შელაპარაკებაში გადაიზარდა. მაშინ, აღელვებულმა, შამპანურის ბოთლი ჩავარტყი მას თავში. ღვინიაშვილი არ წაიქცა და მე მომწვდა, ცდილობდა, ჩემთვის ხელები დაეკავებინა. ამ დროს მაგიდიდან დანა ავიღე და მოვუქნიე... კისერში მოხვდა. მიუხედავად ამისა, ღვინიაშვილი ჩხუბს მაინც აგრძელებდა, დანა მეორედაც ჩავარტყი და წაიქცა, თუმცა ცოცხალი იყო. იმ მიზნით, რომ კვლავ არ წამომდგარიყო და ჩხუბი არ გაეგრძელებინა, გადავწყვიტე, ეზოდან რაიმე კეტი ან ჯოხი შემომეტანა. ავტომანქანის რკინის ღერძი ვიპოვე, შემოვბრუნდი და ის ღვინიაშვილს თავში ჩავარტყი. ამ დროს მეორე ოთახიდან ვიღაც, 60-65 წლის ქალი შემოვიდა. მას ხელი ვკარი და ისევ იმ ოთახში შევაგდე, კარის სახელურები კი იქვე დაგდებული ბაწრით გადავაბი, რათა კვლავ არ შემოსულიყო. სწორედ, მაშინ დავინახე ყოჩიშვილი, ეზოში ოთახის პირდაპირ იდგა და გაკვირვებული იხედებოდა. როცა შემოვიდა, მკითხა – რა მოხდაო? მე ვურჩიე, ხმა არ ამოეღო, რაც ნახა, არავისთვის ეთქვა. ეტყობოდა, რომ ძალიან ანერვიულდა და ისევ გარეთ გავიდა. ვუთხარი დამლოდებოდა და ფეხი არ მოეცვალა, მე მეორე სართულზე ავედი, რათა ჩემი კუთვნილი სავაჭრო საქონელი წამეღო. ფული ვერ ვიპოვე, მხოლოდ რამდენიმე იაფფასიანი ნივთი ავიღე და ძირს ჩამოვედი. ყოჩიშვილი იქ აღარ დამხვდა...“

გუმბათ ალიევის სიტყვები სასამართლო პროცესზე დაკითხულმა მისმა მეუღლემაც დაადასტურა. მისი თქმით, ქმარმა მას მომხდარის შესახებ სწორედ ასე მოუთხრო. აღსანიშნავია, რომ აღნიშნულ მოწმეს წინასწარი გამოძიებისთვის ზუსტად ისეთივე ჩვენება ჰქონდა მიცემული, რაც მის მეუღლეს. რაც შეეხება, ღვინიაშვილის ბებიასა და მის მომვლელ ქალს, მართალია, ისინი მკვლელობის დროს სახლში იმყოფებოდნენ, მაგრამ ამით გამოძიებაში ვერანაერი წვლილი ვერ შეიტანეს. პროკურატურამ ბებია – ხანდაზმულობის გამო არ დაკითხა, მომვლელმა ქალმა თავდაპირველად განაცხადა, რომ ოთახში მხოლოდ ერთი უცნობი მამაკაცი შენიშნა, მერე კი თავისი ჩვენება შეცვალა და ორ პიროვნებაზე – მაღალსა და დაბალზე მიუთითა.

მარინა ღვინიაშვილი, მოკლულის და:

„დღეს აწყობთ იმის თქმა, რომ ბებიის მომვლელი ქალი ფსიქიკურად ნორმალური არ არის და მას მკვლელობის დღეს ნანახის გადმოცემა ზუსტად არ შეუძლია. არადა, პროკურატურამ ის დაჰკითხა, სადაც მან ყველაფერი დეტალურად აღწერა და ისიც აღნიშნა, რომ ჩემს ძმას ორი მამაკაცი (ე.ი. ალიევი და ყოჩიშვილი) კლავდა. თანაც, გუგულა მაღალი იყო, ძლიერი აღნაგობა ჰქონდა და მას მარტო გამხდარი ალიევი ვერ მოერეოდა... მთე-

ლი სახლი არეულ-დარეული გახლდათ, ყველაფერს სისხლი ეტყობოდა... გუმბათ ალიევმა თავდაპირველად სიმართლე თქვა, მერე კი ჩვენება იმიტომ შეცვალა, რომ ის ყოჩიშვილის ნათესავებმა მოქრთამეს. ციხეში ყოჩიშვილის დედის პაემანი ალიევთან 7-ჯერ არის დაფიქსირებული, თავის შვილთან კი მხოლოდ ერთხელ. ეს, რა თქმა უნდა, იმას მოწმობს, რომ იგი ალიევთან მოლაპარაკებებს აწარმოებს, აფრთხილებს, რა და როგორ თქვას, სამგიეროდ არჩენს, აჭმევს და აცმევს მას. ამაზე ალიევის დათანხმება ადვილი იქნებოდა, რადგან მას მატერიალურად გაჭირვებული ნათესავები ჰყავს...“

ჩვენების შეცვლის ფაქტი გუმბათ ალიევმა იმით ახსნა, რომ მისი დაკავების პირველივე დღიდან პროკურატურა მასზე ზეწოლას ახდენდა, გამომძიებელმა მარტაშვილმა კი უთხრა, რომ თუკი ჩვენებისას ზვიად ყოჩიშვილსაც არ დაადანაშაულებდა — მას სამუდამო პატიმრობა ელოდა. მსჯავრდებულის თქმით, ის და მისი ცოლი კანონებში ოდნავადაც ვერ ერკვეოდნენ და გამომძიებლის სიტყვებს ბრმად დაუჯერეს. „გარდა ამისა, მაშინ მეგონა, რომ პოლიციელებთან ყოჩიშვილმა ჩამიშვა. მოგვიანებით შევიტყვე, რომ ის არაფერ შუაში იყო და გადავწყვიტე სიმართლე ვთქვა“ — განაცხადა მსჯავრდებულმა. თუმცა, სახელმწიფო ბრალმდებლის გადაწყვეტილებაზე გუმბათ ალიევისა და მისი ცოლის გამოსვლამ, მათთვის სასურველი გავლენა ვერ მოახდინა. მან ჩათვალა, რომ ალიევმა სასამართლოს ყოჩიშვილის დასახმარებლად ცრუ ჩვენება მისცა და განსასჯელის — ზვიად ყოჩიშვილისთვის 15 წლით თავისუფლების აღკვეთა მოითხოვა.

ერთ-ერთი ვერსიის თანახმად, გუმბათ ალიევი და ზვიად ყოჩიშვილიც, ღვინიაშვილის მსგავსად, მამათავლები არიან. 22 ოქტომბერს კი ღვინიაშვილთან მათ მორიგი ვიზიტი ჰქონდათ, ამიტომაც შეიძინეს შამპანურები... თუმცა, განსასჯელის ადვოკატი აღნიშნულ ვერსიას არ ადასტურებს.

მერაბ ჯორბენაძე, განსასჯელ ზვიად ყოჩიშვილის ადვოკატი:

„ამას საქმეში არც ერთი დოკუმენტი არ ადასტურებს. ალიევი მკვლელობამდე ღვინიაშვილის სახლში 3-ჯერ თუ 4-ჯერ იყო ნამყოფი, ყოჩიშვილი კი, საერთოდ პირველად მივიდა იქ მასთან ერთად“.

ადვოკატი ზვიად ყოჩიშვილის გამართლებას მოითხოვს და აცხადებს, რომ იგი მომხდარ მკვლელობაში სრულიად უდანაშაულოა.

მერაბ ჯორბენაძე:

„ჩემი სიტყვების სიმართლეზე საქმეში არსებული პროცესუალური დარღვევებიც ნათლად მეტყველებს. ჯერ ერთი, თავდაპირველი ვერსია ყოველგვარ ლოგიკასაა მოკლებული — საინტერესოა, რომელი ქურდი ან ყაჩაღი წავა ვინმეს დასაყაჩაღებლად სრულიად უიარაღოდ, შამპანურებით ხელში, თან ისიც იცოდეს, რომ სახლის პატრონი შინ იმყოფება?

იმას, რომ ალიევზე პროკურატურის თანამშრომლები ზეწოლას ახდენდნენ კანონის გვერდის ავლით ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებები ადასტურებს.

მსჯავრდებულ ალიევის დასაკითხად მისი №1 საპყრობილედან №5 საპყრობილეში გადაყვანა იყო საჭირო, მხოლოდ ამის შემდეგ შეეძლოთ მათ საგამოძიებო მოქმედების ჩატარება, რასაც დაკითხვა და დაპირისპირება ჰქვია.

ოქმი დათარიღებულია 15 ივნისით, არადა №1 საპყრობილეში არანაირი საბუთი არ არსებობს იმისა, რომ ალიევი სათანადო მოთხოვნის შედეგად №5 საპყრობილეში იყო გადაყვანილი. ე.ი. მისი დაკითხვა არაოფიციალურად შედგა. წესით და რიგით, ეს ოპერაცია ციხეში სპეციალურ ოთახებში ტარდება, ალიევი კი რატომღაც უფროსის მოადგილის — არახამიას კაბინეტში დაჰკითხეს და ყოჩიშვილსაც იქ დაუპირისპირეს. გამომძიებელმა ამის მიზეზად განაცხადა — ოთახები პატიმრებით გადატვირთული იყოო. თუმცა, ცხადია, ეს სიტყვები არ გახლავთ სარწმუნო და რეალური საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ ალიევისა და ყოჩიშვილის უკანონოდ, მოადგილის კაბინეტში დაკითხვა მათზე მორიგი ზეწოლის განსახორციელებლად დასჭირდათ. საპროცესო კოდექსის მიხედვით, კანონის დარღვევით ჩატარებული საგამოძიებო მოქმედების დროს მოპოვებული მასალა არ შეიძლება მტკიცებულებად ჩაითვალოს“.

განსასჯელ ყოჩიშვილის თქმით, დაპირისპირების დღეს ალიევს ის სულ რამდენიმე წამით შეახვედრეს, შეეკითხნენ — იცნობდნენ თუ არა ერთმანეთს, რაზეც თანხმობა მიიღეს და ისინი კვლავ დააშორეს.

სასამართლო პროცესზე სიღნაღის რაიონის პროკურატურის გამომძიებელი — მარტაშვილი და საპყრობილის უფროსის მოადგილე — არახამია დაჰკითხეს. მათ აღნიშნულ საქმეში დაინტერესება და ყოჩიშვილსა და ალიევზე ზეწოლის ფაქტი, რა თქმა უნდა, კატეგორიულად უარყვეს.

■

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეზოში 1999 წლის 23 დეკემბერს დატრიალებული ტრაგედია, რომელსაც ამავე უნივერსიტეტის სტუდენტის, 19 წლის გია კრიხელის სიცოცხლე შეეწირა, გასულ კვირას უზენაესმა სასამართლომ კიდევ ერთხელ განიხილა. 27 თებერვალს სისხლის სამართლის საქმეთა საკასაციო პალატამ კრიხელის მკვლელობაში ბრალდებული 19 წლის გიორგი შუბლაძის სასჯელთან დაკავშირებით საბოლოო გადაწყვეტილება გამოაცხადა.

ამ გახმაურებული მკვლელობის შესახებ ვრცლად ჩვენი ჟურნალის №23 და №29-ში მოგითხრობდით.

1999 წლის 23 დეკემბერს უნივერსიტეტის ეზოში მომხდარი მკვლელობის გარდა, გიორგი შუბლაძეს პროკურატურა, 1999 წლის 13 მარტს გუდაურში, 25 წლის გიორგი შავგულიძის მკვლელობაში მიღებულ მონაწილეობაშიც ადანაშაულებს. შუბლაძე ამ ბრალდებას კატეგორიულად უარყოფს. რაც შეეხება კრიხელს, მისი მკვლელობა აღიარა, თუმცა დანაშაულის ჩადენის წინასწარ განზრახვას უარყოფს. მიუხედავად ამისა, 2000 წლის 29 დეკემბერს უზენაესმა სასამართლომ მას, ბოროტი ხულიგნობის, ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის უკანონოდ შენახვა-ტარების, ხულიგნური ქვინაგრძნობით განზრახ მკვლელობისა და სხეულის განზრახ მძიმე დაზიანების მუხლები დაუმტკიცა და 18 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

მოსამართლე — ჯემალ ლეონიძის ამ გადაწყვეტილებით მსჯავრდებულის მხარე უკმაყოფილო დარჩა და განაჩენი საკასაციო პალატაში გასაჩივრა. თუმცა, საჩივარი შუბლაძის დამცველი ადვოკატის — დავით კორკოტაშვილის გარდა, დაზარალებულმა — მოკლულის დედამ, ლიანა კრიხელმა და პროკურორმა — ემზარ ღარიბაშვილმაც შეიტანეს. პალატას საკუთარი პოზიცია სამივე მათგანმა მოახსენა.

დავით კორკოტაშვილი, მსჯავრდებულის ადვოკატი:

„მიმაჩნია, რომ უზენაესი სასამართლოს კოლეგიის მიერ გიორგი შუბლაძის მიმართ გამოტანილი განაჩენი უსაფუძვლო და მეტად მკაცრია. ჩემი მოთხოვნაა, შეიცვალოს კვალიფიკაცია და შუბლაძის ქმედება, განზრახ მკვლელობის ნაცვლად, ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში ჩადენილად ჩაი-

განაჩენით ორივე მხარე უკმაყოფილოა

თვალოს, რაც სამართლიანი იქნება. შეკრებილი მტკიცებულებების საფუძველზე, სასამართლო კოლეგია იმ დასკვნამდე მივიდა, რომ შუბლაძემ მკვლელობა ხულიგნური ქცევაგრძნობით ჩაიდინა, ეს არასწორად მიმაჩნია, რადგან ბოხუას, კარტოზიასა და გოგიაშვილის ჩვენებებით დადგინდა – გოგონებს შეურაცხყოფა პირველად ბიჭებმა მიაყენეს. სასამართლო ამას აფასებს, როგორც ურთიერთშელაპარაკებას და უყურადღებოდ ტოვებს იმას, რომ თავად კრიხელმაც ჩაიდინა მართლსაწინააღმდეგო ქმედება. სწორედ შეურაცხყოფილი გოგონების დაცვა განიზრახა გიორგი შუბლაძემ. იგი 23 დეკემბერსაც თხოვნით შეხვდა კრიხელს, რომლისგანაც ისევ უცენზურო სიტყვები მიიღო – აი, ეს გახლდათ გასროლის მიზეზი. რაც შეეხება პისტოლეტს, შუბლაძე მასთან შეიარაღებული მხოლოდ თავის დაზღვევის მიზნით წავიდა. აღნიშნული გარემოებების მიუხედავად, სასამართლო კოლეგიამ მას 18 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. დავუშვათ, შუბლაძემ მართლაც ჩაიდინა ხულიგნური ქცევაგრძნობით განზრახ მკვლელობა – შემთხვევიდან ორი კვირის შემდეგ იგი თავად ბარდება პოლიციას, დანაშაულს აღიარებს, რითაც გამოძიებას მაქსიმალურად უწყობს ხელს. სამწუხაროდ, მოსამართლემ ამას ყურადღება არ მიაქცია, არ გათვალისწინა არც მისი ასაკი და არც დახასიათება.“

დავით აფციაური, დაზარალებულის ადვოკატი:

„ეჭვი არ მეპარება, რომ სასამართლომ აღნიშნული მკვლელობის გამოძიების მასალები სრულყოფილად შეისწავლა, თუმცა ჩემთვის დღემდე გაუგებარია,თუ რა პრინციპით გამოიცხა მან დანაშაულის ჩადენისას შუბლაძის მხრიდან მრავალ პირთა სიცოცხლისათვის საშიშროება და მას შესაბამისი მუხლი მოუხსნა. ცხადია, შუბლაძეს უნდა გაეთვალისწინებინა, რომ ტყვია, შესაძლოა, სხვასაც მოხვედროდა (ამ განმარტებაზე საკასაციო პალატის თავმჯდომარემ მერაბ ტურავამ ადვოკატს შეახსენა, რომ გაუთვალისწინებლობა კანონის ენაზე გაუფრთხილებლობას ნიშნავს, რის გამოც შუბლაძეს ზემოთ აღნიშნული მუხლი მოუხსნეს. – ავტ.). ასევე, საყურადღებოა ისიც, რომ საქმის წინასწარი გამოძიებისას თამარ გოგიაშვილის მიმართ სისხლის სამართლის საქმის არაღძრის შესახებ გამოტანილი დადგენილება უკანონოა, ვინაიდან იგი ეყრდნობა მხოლოდ გოგიაშვილისა და შუბლაძის ჩვენებებს. წინასწარმა და სასამართლო გამოძიებამ თამარ გოგიაშვილის ქმედებას არასწორი შეფასება მისცა, რადგან საქმის მასალებიდან ნათლად ჩანს, რომ იგი შუბლაძეს სპეციალურად ეძებდა და მას კრიხელის წინააღმდეგ აქეზებდა. 2000 წლის 22 მარტს გამომძიებელი ბაკურ ჩიქოვანი თბილისის უნივერსიტეტის რექტორს – როინ მეტრეველს უგზავნის წარდგინებას იმის შესახებ, რომ გოგიაშვილმა დანაშაულის ჩადენას გარკვეულწილად ხელი შეუწყო. მაშ, თუ თავად გამომძიებელი მიუთითებდა ამაზე – გოგიაშვილის წინააღმდეგ საქმე რატომ არ აღძრა? ამაოდ მოვითხოვთ, საქმე სასამართლო ძიებაში დაბრუნდეს და თამარ გოგიაშვილის მიმართ პასუხისგების საკითხი დადგეს“.

ლიანა კრიხელი, მოკლულის – გია კრიხელის დედა:

„მსჯავრდებულის ადვოკატმა აღნიშნა, რომ სასამართლომ შუბლაძის ასაკი და დახასიათება არ გათვალისწინა. რა უნდა გაეთვალისწინებინათ, როცა 18 წლის ასაკში მას უკვე რამდენიმე დანაშაული ჰქონდა ჩადენილი? ვიცი, პალატას სასჯელის დამძიმების უფლება არა აქვს, თორემ უმჯობესი იქნებოდა, ასეთი დამნაშავე უვადო პატიმრობით დაესაჯათ.“

კანონის თანახმად, თამარ გოგიაშვილის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმის აღძვრის საკითხი დაზარალებულს ან მის ადვოკატს გოგიაშვილის მიმართ საქმის არაღძვრის შესახებ, დადგენილების გამოტანიდან 5 დღის განმავლობაში უნდა დაეყენებინათ. მათ კი ეს მოთხოვნა სასამართლო გამოძიებისას წარადგინეს. ლიანა კრიხელის განცხადებით, იმ პერიოდში მას ადვოკატი არ ჰყავდა, თავად კი არ იცოდა, როგორ უნდა ემოქმედა. მისი თქმით, სწორედ ამან განაპირობა მოთხოვნის დაგვიანებული წარდგენა.

ემზარ ღარიბაშვილი, პროკურორი:

„გიორგი შუბლაძეს 1999 წლის 13 მარტს, გუდაურში გიორგი შავგულიძის მკვლელობაში მონაწილეობაშიც ედებოდა ბრალი, თუმცა სასამართლომ რატომღაც აღნიშნული ეპიზოდი სასამართლო გამოძიების ნაცვლად, წინასწარ გამოძიებაში დაბრუნა, შუბლაძის მიმართ კი ამ მხრივ ნაჩქარევი გადაწყვეტილება გამოიტანა. ამასთანავე უნდა აღვნიშნო, რომ ადვოკატი კორკოტაშვილი ქმედების გადაკვალიფიცირებას სრულიად უსაფუძვლოდ მოითხოვს, რადგან ფაქტის დროს ადამიანს მკვლელობის განზრახვა უკვე უჩნდება და ის მაშინვე სისრულეში მოჰყავს. შუბლაძე კი იარაღს ორი დღე დაატარებდა და დანაშაული მოელი ამბის გაანალიზების შემდეგ ჩაიდინა – ეს უკვე ფაქტი კი არა, განზრახ მკვლელობაა“.

საკასაციო პალატამ მსჯავრდებულისა და დაზარალებულის მხარეების არგუმენტები არ გაითვალისწინა და სასამართლო კოლეგიის მიერ 2000 წლის 29 დეკემბერს გამოტანილი განაჩენი უცვლელი დატოვა. დაზარალებულს – ლიანა კრიხელს, გიორგი შუბლაძესთან მიმართებაში პალატის გადაწყვეტილებაზე განსაკუთრებული პრეტენზიები არა აქვს, თუმცა თამარ გოგიაშვილის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმის აღძვრაზე პროკურატურაში მოთხოვნის წარდგენას აპირებს. იგი ასევე თავისი მეორე ვაჟის – სოსო კრიხელის უფლებების დაცვას მოითხოვს, რომელიც მკვლელობის დღიდან უნივერსიტეტში გამოცხადებასა და სწავლის გაგრძელებაზე უარს ამბობს, რათა გოგიაშვილთან არასასურველი შეხვედრები თავიდან აიცილოს. ლიანა კრიხელის თქმით, მს სათანადო მასალები სტრასბურგის სასამართლოში უკვე გაგზავნილი აქვს და პასუხს ელის. თუ რა ნაბიჯს გადადგამს მომავალში მსჯავრდებულის მხარე, ჯერჯერობით უცნობია, რადგან ამ ეტაპზე ისინი კომენტარისგან თავს იკავებენ.

„ლაიკა“

ანუ ყახური ოინი

მარინა ბაბუნაშვილი

ერთლად შეხმატკბილებულნი ვერ ცხოვრობდნენ არსენა და ქიტესა, მაგრამ უბრად ყოფნაც არ გამოდიოდა, რადგან მეზობლები იყვნენ. მათ შორის დავის მთავარი მიზეზი კი მხოლოდ ერთი რამ იყო: ქიტესა ძაღლებს ვერ იტანდა, არსენას ძაღლი კი დღედაღამ ყეფა-ყმუილში იყო.

ერთხელაც, შეღამებულზე კვლავ ყურის ძირში რომ გაიგონა ძაღლის ყმუილი, ნახევრად შიშველი გამოვარდა ქიტესა, კართან მიყუდებულ კეტს ხელი სტაცა და სნაიპერისთვის შესაშური სიზუსტით ესროლა ბოღრიას. ძაღლმა საცოდავი წკავწკავით თავის ეზოს მიაშურა, თითქოს პატრონს საშველად უხმობსო, არა და არ გაჩერდა, სანამ კარმა არ გაიჭრიალა და არსენას გაბურძგნილი თავი არ გამოჩნდა.

— კაცო, ქიტეს, რას ერჩოდი ამ ჩემს ბოღრიას, რად მოსტეხე ფეხი, ეგრე უნდა მეზობლობა?

— ეგ მუდრეგი, მუდამჟამ ჩემს სახლ-კარს შემოჰყმუის. შავღონდი, კაცო... დაბერდა, ადამიანო, ქალაქში მაინც წაიყვა და იქ ვინმეს ჩააბარე! — ურჩია ქიტესამ.

არსენამ ახლა კი იფიქრა, ჩემი დრო დადგაო და ეშმაკურად ჩაიცინა:

— ცოტაც დაიცა და მე ვიცი, სადაც ჩავაბარებ. მადლობასაც მეტყვიან და ფულსაც გავაკეთებ.

— მაინც სად აპირებ ფეხმოტეხილი ძაღლის ჩაბარებას, „ბოინში“ ხომ არა? — ჩაიქირქილა ქიტესამ.

— ალბათ, არ გაგიგია, სოფლსაბჭოში განცხადება რომ გამოაკრეს, ომსკის ტყავის ქარხანა ძაღლებს იბარებს და იმისგან ტყავის პალტოებს კერავს, „ლაიკას“ რომ ეძახიან, იმასა.

ქიტესამ ყელში გაჩხერილი ნერწყვი ძლივს გადაყლაპა. თავისი ცოლი იმდენად არ ენაღვლებოდა, როგორც ქალაქში სასწავლებლად გახიზნული გოგო-ბიჭი, ტყავებში გამოწყობილ ახალგაზრდებს რომ შეავლებდა თვალს, სულ გული ეთანაღრებოდა, რადგან ვერა და ვერ მოაქუჩა „უკანასკნელი“ მოდის ტყავეულობისთვის ფული. არსენა კი არხეინად განაგრძობდა:

— პალტოსთან ერთად, ფულსაც იძლევიან ჯილდოდ!

— რას ამბობ, კაცო, მაშ ის ტყავის პალტოები ძაღლის ტყავისგან იკერება? — გამომცდელად მოჭუტა თვალი ქიტესამ.

— მაა, კაცო! „ლაიკა“ რუსულად „მყეფარას“ ნიშნავს, ე.ი. ძაღლსა, გაიგე? რაც უფრო მეტ ძაღლს მოუყრი თავს და ჩააბარებ, მით მეტ ტყავის პალტოს მოგცემენ. თუ ტყავის პალტო არ გენდომება, შეგიძლია, მისი საფასურის ფული მოითხოვო! მაშა!

— თუ ეგეთი ხეირიანი საქმეა, შენ რად არ აგროვებ ძაღლებსა; შენ რა, ფული მუთაქებში გაქვს გადანახული?

— ეჰ, ქიტეს, შენ ხომ იცი, მე ერთი აუწყობელი ვინმე ვარ. „ტაქსაობით“ პურის ფულსაც ვშოულობ და ცოტა მეტსაც. აი, ამ ჩემს ბოღრიას მოგაშორებ, შენც დაწყნარდები და მეცა.

ქიტესამ შუბლიდან ცივი ოფლი მოიწმინდა, კეფა მოიფხანა და საბოლოოდ რომ დარწმუნებულიყო არსენას ნათქვამში, ერთხელაც იკითხა:

— მე ჭორი მგონია მაინცა!

— რა ჭორი, რის ჭორი? უკვე გითხარი, სოფლსაბჭოს შენობაზე განცხადებაა-მეთქი გაკრული. წადი და ნახე.

ეჰ, კი უნდოდა ქიტესას წასვლა და ნახვა, მაგრამ გვიანი იყო, ბნელოდა და დილისთვის გადადო ეს საქმე. მთელი ღამე თვალი ვერ მოხუჭა. ოცნებობდა და ეჩვენებოდა, როგორ მოასხა ძაღლები, გაგზავნა ომსკში, მერე იქიდან გამოიძახეს, დაასაჩუქრეს ტყავეულობითა და ფულით, ბოლოს მედალიც დაჰკიდეს. მერე ომსკიდან დაბრუნებულმა ქიტესამ ხელი მოჰკიდა „სარფიან“ საქმეს... ააშენა ძაღლების ფერმა (?!) და როგორ ფიქრობთ, ვინ დანიშნეს „ფერმის“ გამგედ? — ჩვენი ქიტესა.

ჯერ კიდევ დილაბნელი იყო, რომ ზეზე წამოხტა და ხუსხუსით დაადგა სოფლსაბჭოს გზას.

სოფლსაბჭოში არავინ ჭაჭანებდა. განცხადება კი მართლა იყო გაკრული. ქიტესამ სათვალე ამოიღო, მოჩვენებითი სიდინჯით გაწმინდა და ათრთოლებული ხელით ცხვირზე წამოისკუპა. დაწერილი მარცვალ-მარცვალ ამოიკითხა:

„განცხადება:

ომსკის ტყავის ქარხანა მოსახლეობისგან იბარებს ძაღლებს.

დიდი ძაღლი — 100 მანეთი.

საშუალო ძაღლი — 50 მანეთი.

პატარა ძაღლი — 25 მანეთი.

ლეკვი — 10 მანეთი.

ის პირები, რომლებიც 25 ძაღლს (ან მეტს) ჩააბარებენ ქარხანას, ფულადი ანაზღაურების გარდა, დასაჩუქრდებიან ტყავის პალტოებითა და ლაბადებით. ძაღლების ჩაბარება თელავის რკინიგზის სადგურში ხდება. დაინტერესებულთ შეუძლიათ, მიმართონ თელავის რკინიგზის უფროსს.

ომსკის ტყავის ქარხნის დირექცია“.

იქვე ბეჭედიც იყო დასმული, რაც ეჭვის ნატამალსაც კი მთლიანად აქარწყლებდა. ახლა საბოლოოდ ირწმუნა ქიტესამ არსენას ნათქვამი. მერე ქურდულად მიიხედ-მოიხედა, განცხადება ფრთხილად ჩამოხსნა და შინისკენ „გაფრინდა“. აღმართს რომ აუყვა, წინ ნიკა შემოეფეთა.

— საიდან მოდიხარ, ქიტეს? — მხიარულად შეეხმიანა.

— იქიდანა! — დაიბნა ქიტესა.

— მაინცა, მაინცა!

— რას ჩამაცივდი, კაცო, ჩემი ქალი არ მეკითხება მაგასა და შენ ვინა მყავხარ? — ადუღდა ქიტესა.

— ჰო, კაი, ნუ ხარ შარიანი. შენ ახალი ამბავი გაიგე?

— რა ამბავი? — მუხლები აუკანკალდა ქიტესას.

— რა და, ძაღლებს რო აგროვებენ. განცხადება ყოფილა გამოკრული და უნდა ვნახო, ეგება სარფიანი საქმეა.

— იჰ, ერთი შენცა... ათას რამეს იტყვიან, განა ყველაფერი უნდა დაიჯერო! — მიაძახა თანასოფლელს და კვლავ ჩქარი ნაბიჯით აუყვა აღმართს.

„ეჰ, ამ ქვაწვიას გამოსწორება არ იქნება. რაც ბიჭობაში იყო, იგივე დარჩა. ვენაცვალე არსენას, რა ოინი უყო? მაგრე უნდა მაგასა," — თავისთვის ქირქილებდა ნიკა.

„ჰო კარგად გავაცურე? აი ენგრე. რაღა გამოვა, ყველამ თუ გაიგო? მერე მე სადღა ვიშოვო ძაღლები?" — თავისას „უბერავდა" ქიტესა. შინ გულამოვარდნილი შევარდა.

— ქალო, მელანო, რა უნდა გახარო?!

მელანო დაფეთებული წამოვარდა ზეზე.

— რა იყო, კაცო, ადამიანის ფერი აღარ გადევს სახეზე.

— რა იყო და, ამ სატიალე ძაღლებს ოქროს ფასი დასდებიათ.

— ვაიმე, ჩემო საცოდავო ქიტესავ! — ლოყა ჩამოიხოკა მელანომ.

— ი, ქალო, ხმა გამე, სულელი ხომ არ გგონივარ? განცხადება ჩემი თვალით ვნახე. აჰანდე, წაიკითხე! — ჯიბიდან ქაღალდი ამოაძვრინა ქიტესამ.

მელანომ წაიკითხა. მერე კი ისევ ქმარს მიაშტერდა.

— რამე ოინი არ იყოს, ქიტეს!

— რა ოინი, დედაკაცო, თელავში ვაგონები ჩამოუყენებიათ უკვე! — თქვა ქიტესამ, ბავშვივით შეიკუნტრუშა და სადღაც გაკურცხლა.

ქიტესამ იმ საღამოსვე მოინახულა არსენა.

— ძალიან ხათრი კი მაქვს შენი, მარა ხვალ რო უცებ დამჭირდეს მანქანა, რაღა ვქნა. ბოღრიას კი ისე მოგცემ, მეზობელი კაცი ხარ და ფულს არ გამოგართმევ. — — კაცო, არსენ, ხვალინდელი „ხალტურის" ფულს მე მოგცემ, ახმეტაში ავალ, სოფლებს დავივლი და და ზეგ დილას მანქანას უვნებლად, თანაც ბენზინჩასხმულს ჩაგაბარებ, მეტი რა გინდა?

— კარგი, რაც არი — არი. ჯანი გავარდეს, წაიყვა მანქანა! — უთხრა ყოყმანის მერე არსენამ.

ხელი ხელს დაჰკრეს. არსენამ ქიტესასგან ფული მიითვალა, ბოღრიაც ჩაუსვა სატვირთო მანქანაში და წარმატება უსურვა.

ქიტესამ მთელი ახმეტა მოიარა. 27 ძაღლი რის ვაი-ვაგლახით მოაგროვა; იმათგან უმეტესობა უპატრონო იყო, ზოგიც მოპარული, ზოგიც კიდევ — ნაყიდი.

მესამე დღეს თელავის რკინიგზის სადგურში არსენასთან ერთად წაასხა ძაღლები. სადგურის უფროსმა ჯერ ქიტესას შეხედა — ჭკუაზე მწყრალად ხომ არ არისო — მერე არსენას გადახედა და, იმან რომ თვალი ჩაუკრა, მიხვდა, რაშიც იყო საქმე და კვლავ ქიტესას მიუბრუნდა:

— ერთი კვირის მერე გამოგვიარე. ვაგონები უკვე გავისტუმრეთ. მეორე წყება კვირის თავზე იქნება.

შეწუხდა ქიტესა, მაგრამ რაღას იზამდა. ბედნიერი მომავლის იმედით ერთ კვირას როგორმე გაუძლებდა.

ქიტესას ეზოში დაბმული ძაღლების ღრენამ, ყეფამ და გნიასმა მთელი სოფელი გააყრუა. ერთი კვირა ძაღლების სალაფავზე ზრუნვამ სიქა გააცალა ქიტესას. როგორც იქნა, დადგა ნანატრი დღე. რკინიგზის უფროსმა ამდენ ძაღლთან ერთად ისევ რომ დაინახა, ამჯერად გამოენთო:

— თავიდან მომწყდი, შე უსაქმურო, თორემ ამ ძაღლებს მიგაკლავ, იცოდე!

ქიტესას მიტკლისფერმა გადაჰკრა.

— კაცო, არ გესმის შენა? შენს გზაზე წადი და ეს ძაღლებიც მომაშორე, თორემ მილიციას დავუძახებ და სადაც საჭიროა, იქ წაგაბრძანებენ.

ახლა კი იკადრა ქიტესამ წასვლა. თოკით მიბმული ძაღლები დახსნა და გაუშვა, მაგრამ გაგიგონია? სხვაგან სად წავიდოდნენ, როცა ამისთანა პატრონი იშოვეს და „მზრუნველ" ქიტესას აედევნენ...

იმ საღამოს ქიტესას მიცემული ფულით არსენამ, ნიკამ და სადგურის უფროსმა ზუზუმბოს რესტორანში კარგა გვარიანად მოილხინეს. ბევრი სადღეგრძელო დალიეს, მათ შორის, გაცუცურაკებული ქიტესასი, საძაღლეთიც ახსენეს და ფეხმოტეხილ ბოღრიასაც გამოჯანმრთელება უსურვეს.

■

ერთგული მკითხველი

თქვენ, ერთგულ მკითხველს, უთუოდ გემახსოვრებათ ჩვენი ჟურნალის სხვადასხვა ნომერში დაბეჭდილი წერილების შინაარსი და არც ამ ტესტის კითხვებზე გაგიჭირდებათ პასუხის გაცემა...

1. II მსოფლიო ომის დროს რას ეძახდნენ ამერიკელები გერმანელებს?

ა) ჰანსებს;
ბ) ფრიცებს;
გ) იანკებს.

2. ვინ იყო ფრიდა კალო?

ა) მხატვარი;
ბ) რეჟისორი;
გ) მანეკენი.

3. რუსეთის რომელმა მეფემ მიჰყიდა ალასკა ამერიკელებს?

ა) ეკატერინე მეორემ;
ბ) პეტრე პირველმა;
გ) ალექსანდრე მეორემ.

პასუხები იხილეთ 61-ე გვერდზე

ამერიკელ ვარსკვლავთან და ჯერ კიდევ უცნობ ქართველ გოგონასთან ერთად

თბილისი მუდამ განებივრებული იყო საინტერესო ადამიანების სტუმრობით.

... 1960 წლის ზაფხული იწურებოდა. იწყებოდა ბარაქიანი ქართული შემოდგომა ფერთა სიმრავლითა და ამ პერიოდისთვის დამახასიათებელი საოცარი მუსიკალური საღამოებით. ქართველთა მთელი ყურადღება მიპყრობილი იყო ტალანტად აღიარებული ახალგაზრდა პიანისტისკენ: ამჯერად თბილისი ამერიკელ ვან კლაიბერნს მასპინძლობდა. სამი კონცერტი იყო დაგეგმილი, რომელიც უნდა გამართულიყო ე.წ. გოფილექტის ბაღში მდებარე ძველი ფილარმონიის საზაფხულო თეატრის სცენაზე. ქართული მუსიკალური საზოგადოება მოუთმენლად ელოდა ახალი ვარსკვლავის ხილვასა და მოსმენას.

ვან კლაიბერნის კონცერტები საქართველოს ტელევიზიის დიქტორს, ლია მიქაძეს მიჰყავდა. თავად ქალბატონი ლია იხსენებს:

– როდესაც მის წინაშე წარმადგინეს, იმ წუთშივე ვიგრძენი, რომ დიდ მუსიკოსთან ერთად, ჩემ წინ იდგა ნამდვილი ჯენტლმენი. მას დახვეწილობა ყველაფერში ეტყობოდა: საუბარში, მიხრა-მოხრაში, სიარულსა და შესრულების მანერაშიც. იგი ყველასთან თავაზიანი იყო და ირგვლივმყოფთ თავისი მომხიბლავი ღიმილით ასაჩუქრებდა.

ერთ-ერთი კონცერტის შემდეგ კლაიბერნს ქართველი მოსწავლე გააცნეს და უთხრეს: ეს გოგონა ჩვენი ამომავალი ვარსკვლავიაო. გოგონა ლიანა ისაკაძე გახლდათ და მართლაც, მან მალე მიაღწია წარმატების მწვერვალს, რასაც ადრეულ ასაკში უწინასწარმეტყველებდნენ. ეს სურათიც მაშინ არის გადაღებული...

სტუმარს ვთხოვეთ, მისთვის საყვარელი ნაწარმოები შეესრულებინა. მარცხნივ ლიანა დგას და აღტაცებული უსმენს, მარჯვნივ კი ფილარმონიის კულტურის განყოფილების გამგე შურა ზლატალინსკაია გახლავთ.

მშვენიერია შეჩერებული წამის ყურება. გუშინდელი დღესავით მახსოვს ის საღამო. გამომშვიდობებისას ვან კლაიბერნმა დიდი მადლობა გადამიხადა და გულითადად დამპატიჟა ამერიკაში. ერთი წლის შემდეგ, მართლაც ვესტუმრე მას და აღტაცებული დავრჩი მისი მასპინძლობით...

მარინა ბაბუნაშვილი



განსაზღვრეთ თქვენი გონებრივი პოტენციალი

ჩვენ მიერ შემოთავაზებული პატარა სავარჯიშოები დაგეხმარებათ განიტვირთოთ ჩვეული სამუშაოსგან, დაასვენოთ გონება და იმავდროულად განსაზღვროთ თქვენი გონებრივი პოტენციალი.

სასურველია, სავარჯიშოები შეასრულოთ 3 წუთში. მეტი დრო იმის მაჩვენებელია, რომ თქვენი გონება გადაღლილია ან სხარტ აზროვნებას გადაეჩვიეთ.

ნუ აღელდებით, ჩვენ რეგულარულად შემოგთავაზებთ მსგავს თამაშებს. მუდმივად შეასრულეთ ისინი და შედეგით კმაყოფილი დარჩებით:

თამაში №1

ყურადღება! პასუხი გვერდის ბოლოშია, ამიტომ ამოცანის ამოხსნამდე ქვემოთ ნუ ჩაიხედავთ.

აღმოაჩინეთ კანონზომიერება და, ამ კანონზომიერებიდან გამომდინარე, მოცემული ფიგურებიდან გამოყავით ზედმეტი:



პასუხი: თეთრი ოვალების ისრები მიმართულია ზემოთ და მარჯვნივ (1 და 5, 6 და 8), შავი ოვალების ისრები მიმართულია ქვემოთ და მარცხნივ (3 და 7, 2 და 9).

ამრიგად, ზედმეტი – მე-4 შავი ოვალია, რომლის ისარი ზემოთ არის მიმართული.

თამაში №2

იპოვეთ კანონზომიერება და ჩასვით საჭირო რიცხვი:



4+2=6
6+3=9
9+4=13
13+5=18
18+6=24

პასუხი: 24

ბაკოთი ისრის ბანთაულგ-დეგო ვიგაოთულეგეთ ოთეგბის ეგაგეგბა: 2, 3, 4, 5, 6.



კარნავა

წლის მოვლენა





რიოს კარნავალს ზუსტ განსაზღვრებად „დედამიწის გრანდიოზული შოუ“ შეეფერება. კარნავალი რიოში, უპირველეს ყოვლისა, სიცოცხლის ტრფიალის გამოვლინებაა, სულისა და სხეულის დღესასწაულია, ზეიმში გაერთიანებული დღეები და ღამეებია. ამ დროს ყოველდღიური პრობლემები უკანა პლანზე გადადის და ბრაზილიელები საყოველთაო ზეიმს ეძლევიან.

გაბატონებული „ფილოსოფია“ დაახლოებით ასეთია: რადგან, ამქვეყნიური სიცოცხლე მხოლოდ ერთხელ გვეძლევა, მოდით მაქსიმუმი მივიღოთ მისგან.

ბრაზილიელებს ნამდვილად შეუძლიათ დაიტრაბახონ, რომ კარნავალის მოწყობა სხვებზე უკეთ შეუძლიათ. ქვეყანა კარნავალის სინონიმად იქცა, ბევრისთვის კი კარნავალი — ბრაზილიის სინონიმია, მაგრამ ეს ასე არ არის: კარნავალი მთელ მსოფლიოში უძველესი დროიდან მიღებული ზეიმის ფორმაა.

მართალია, რიო-დე-ჟანეიროში გამართული კარნავალი ბრაზილიური ფიესტის „სავიზიტო ბარათი“ გახდა, მაგრამ მთლიანი ზეიმი ისეთივე მრავალფეროვანია, როგორიც თვით ეს უზარმაზარი ქვეყანა: იმ დროს, როცა რიო „სამბებით“ ცხოვრობს, მის ჩრდილო-აღმოსავლეთ, „შავ“ ნაწილში აფრიკული რიტმები და კრეოლთა მხიარული მუსიკა მეფობს: ტიმბალადა და ფრევო, სამბა-რეგეი და ლამბადა, აშემიუზიკი და სხვა მრავალი სტილი. ჩრდილო-აღმოსავლეთის „ქუჩის კარნავალი“ ამჟამად არანაკლებ პოპულარულია, ვიდრე ფიესტა „სამბას დედაქალაქში“, მარტო სალვადორში მან ნახევარ მილიონზე მეტი უცხოელი ტურისტი მიიზიდა.

მაგრამ არის კიდევ ტრადიციული — თოკინების კარნავალი: უზარმაზარი თოკინები, მძიმედ რომ „დადიან“ ქუჩებში — ეს ოლინდაში (პორნამბუკუს შტატი) ხდება, იქვე სრულდება ინდიელების სარიტუალო ცეკვები, სან-პაულუს ჩინურ კვარტალში დიდი მსვლელობა ეწყობა ქაღალდის უზარმაზარი მონსტრებით. ყველაფერ ამას ემატება კოსტიუმების კონკურსი — „ფანტაზია“, მასკარადები, მეჯლისები, რომელიც ყოველდღე და ყოველღამე იმართება სასტუმროებსა და კლუბებში.

განსაკუთრებით აღსანიშნავია განუსაზღვრელი რაოდენობის სილამაზის კონკურსები, ყველა შესაძლო დასახელებითა და ნომინაციით, რომელთა მონაწილეების ჩაცმულობა ძალზედ სიმბოლურია: ზოგი სამოსი ასანთის კოლოფშიც კი შეიძლება მოთავსდეს. ეს იმ ულამაზესი გოგონების თავყრილობაა, რომლებმაც თავიანთ შტატებში ჩატარებულ მსგავს კონკურსებში გაიმარჯვეს.

ყველაფერი ეს ბრაზილიის კარნავალია, მაგრამ რაც უფრო გადის დრო, მით უფრო ნაკლებია იმპროვიზაციის ელემენტები, სტიქიურობა და მეტი — კომერციული შოუსთვის დამახასიათებელი ნიშან-თვისებები. 1950 წელს კარნავალზე დასასწრები ბილეთები იყიდებოდა, 1984 წელს კი, ოსკარ ნიმეიერის პროექტით, უზარმაზარი ბეტონის სამ-

ჩაჩქანი	ქვის დიდი სეტი	3,14...	დ. კლდიაშვილის პერსონაჟი	ციფრი	გაუტკივარება დაძინებით

შინაგონების ქალღმერთი	პოპოვის გამოგონება	ბათვის შვილი	გამხსნელი მძაფრი სუნით	ჯარი (ძგ.)	ბუღისტური ლეტარება	მუსის ნაკეთი	

ბადრომი აშენდა.

ამჟამინდელ კარნავალს თავისი „კრიმინალურ-საორგანიზაციო ასპექტებიც“ აქვს. ბოლო ოციოდე წლის განმავლობაში ის ორგანიზებული დამნაშავეობის კონტროლის ქვეშ მოექცა – თუ, რა თქმა უნდა, ასე შეიძლება ეწოდოს ოფიციალურად აკრძალულ, მაგრამ ბრაზილიაში მეტისმეტად პოპულარულ იატაკქვეშა-ლატარიას – ე.წ. „ბიშუს“. როდესაც უბრალო ბრაზილიელი მდიდრდება ის სახლს ან მანქანას იძენს, ხოლო როცა მდიდრდება „ბიშეირუსი“ – ამგვარი ლატარიის გამავრცელებელი ქსელის მეპატრონე, – ის საფეხბურთო კლუბს ან სამბას სკოლას იძენს. როგორც ზოგიერთები ამტკიცებენ, სამბას სკოლის შემოსავლები საკმარის მოგებას და კარნავალში სრულფასოვანი მონაწილეობის უფლებას იძლევა. ეს შემოსავლები ფირფიტებისა და ვიდეოკასეტების გაყიდვიდან, რეკლამიდან, ზეიმის ტრანსლირების უფლების მქონე ტელეკომპანიებისგან, მუნიციპალიტეტის სუბსიდიებისა და მრავალი სხვა თანხისგან შედგება. სამბას სკოლის სახელს ამოფარებული „ბიშეირუსი“ უზომოდ მდიდრდება და „სახალხო დღესასწაულის“ ჩატარების დამფინანსებლის, ქველმოქმედის სახელსაც იხვეჭს.

მაგრამ არსებობს მეორე ვერსიაც, რომლის თანახმადაც, „ბიშეირუსი“ მართლაც სოლიდურ თანხებს ხარჯავს ამ შოუში, რადგან თითოეული სკოლის გამოსვლა საშუალოდ, 1,5 მლნ დოლარი ჯდება. თუმცა, ასეა თუ ისე, „ბიშეირუსის“ კონტროლმა სამბას სკოლების პროფესიონალიზმი აამაღლა და კარნავალი ბიზნესის სფეროდ აქცია, რომელშიც ყოველწლიურად, მხოლოდ რიო-დე-ჟანეიროში 80 ათასი ადამიანია ჩართული და კაპიტალის ბრუნვა 40-დან 60 მილიონ დოლარამდე მერყეობს.

კარნავალი – ეს შეჯიბრიც გახლავთ, რომელიც საფეხბურთო სქემის მიხედვით არის აგებული. მოცეკვავეთა სკოლები 4 ლიგად იყოფა: პირველი და უმაღლესი ლიგის სკოლები რიოს მთავარ სამბადრომზე წარდგებიან და მათ გამოსვლას, 10 პოზიციის მიხედვით, 50 კაცისგან შემდგარი ჟიური აფასებს.

საკარნავალო კვირის წინა ხუთშაბათობით სამბადრომ „მარკეშ დი საპურიკაიზე“ კარნავალის საზეიმო გახსნის ცერემონია იწყება. რიოს მერი ქალაქის სიმბოლურ გასაღებს „მეფე მომოს“ გადასცემს. იგი სიმბოლური პერსონაჟია და ყველაზე მსუქან და მხიარულ მოქალაქეებს შორის (115 კგ და მეტი) ირჩევა. ზუსტად ეს „მეფე“ არის 4 დღე-ღამის განმავლობაში „ქალაქის მამა“ და ამ ფანტასტიკური, ხალისიანი და თავქარიანი ზეიმის მასპინძელი.

სამბას სკოლას 200-300 მუსიკოსი ამოძრავებს. ისინი „ანთებენ“ მუსიკის რიტმულ „ცეცხლს“ – დაფდაფებით, ტამტამებით, ტამბურინებითა და სხვა მრავალი მოგრუხუნე, მოწრიპინე და მკივანა ინსტრუმენტებით. კარგი მუსიკოსები – სკოლის წარმატების საფუძველია, მაგრამ არანაკლებ მნიშვნელოვანი როლი სამბას მომღერლებს აკისრიათ. ეს 5-6 ადამიანია, რომლებიც მუსიკასა და ტექსტს ქმნიან და სოლისტთან ერთად, სკოლის წარმატებას უზრუნველყოფენ.

მთელ სპექტაკლს, სკოლის პრეზიდენტთან ერთად, აკონტროლებს ე.წ. კარნავალესკუ. ეს ორი ადამიანი, თავის მრავალრიცხოვან დამხმარესთან ერთად, შოუს ჰარმონიულ განვითარებას ადევნებს თვალყურს.

ყოველი სკოლის გამოსვლას ტრადიციული, ეფექტური ფეიერვერკი აგვირგვინებს.

თითქმის შეუძლებელია იმ საოცარი ზეიმის, ეიფორიის, ბედნიერების განცდისა და აღტაცების გამოხატვა, რომელიც მოზეიმეთა გულში ისადგურებს.



...ბრა	... ლორეტი-ფანტე	ვისოცკი როგორც მომღერალი	ქალის დანიშვნის რიტუალი	... ცურტაველი	... ტექსტის დასაწყისი		გასიადი	
...ელი ...ბაზი	შალის საპალტოე ქსოვილი	ლაზათი	სალამურა და...	სტალინის პარტიული სახელი	რელიგიური მცენარე	პოლარული მოვლენა	ქალაქი რაჭაში	



ადამიანები ყველაზე ნაკლებად ვფიქრობთ ხოლმე იმაზე, რომ შეიძლება ოდესმე ექსტრემალურ სიტუაციაში აღმოვჩნდეთ. ბუნებრივია, ასეთ სიტუაციაში, საკუთარი თავის წარმოდგენა არც გვსურს და წარმოუდგენლადაც კი მიგვაჩნია... მაგრამ, ცხოვრება სავსეა უსიამოვნო მოულოდნელობებით და ამ დროს ჩვენ გვერდით ჩნდებიან ადამიანები, რომლებიც მუდამ მზადყოფნაში არიან, ხიფათს აგვაშორონ და, თუ საჭირო იქნა, საკუთარი სიცოცხლე საფრთხეშიაც ჩააგდონ. ადამიანთა ამ კატეგორიას უპირველესად მეხანძრეები მიეკუთვნებიან.

რატომ არის მეხანძრის ვედრო წვეტიანი?

ნინო შევარდნაძე

თამაზ მახარაძე მეხანძრის ოჯახში გაიზარდა. დედამისი 30 წელი მუშაობდა კავშირგაბმულობის პულტის უფროს დისპეტჩერად, მამა კი – სახანძროში, ნაწილის უფროსის მოადგილედ. სწორედ მამისაგან ისმენდა იგი მეხანძრეთა თავდადებისა და მამაცობის მაგალითებს.

– თამამად შემიძლია ვთქვა, – ამბობს თამაზი, – რომ მეხანძრეებმა გამზარდეს მთაწმინდის რაიონის „პირველ კამანდაში“ – ასე ეძახდნენ ადრე მამაჩემის სამსახურს. დაბადებით, განათლებით, აზროვნებით, გაგებით თბილისელი ვარ. 1977 წელს, ხარკოვის სახანძრო სასწავლებელში ჩავაბარე; 1980 წელს, ეს სასწავლებელი წითელ დიპლომზე დავამთავრე და ჩამოსვლის შემდეგ დავიწყე სამსახური ქალაქის უფროს ინსპექტორად. თავდაცვის დეპარტამენტშიც ვმუშაობდი ინჟინრად, 1982 წლიდან კი ხანძრის ქრობის შტაბში მოვედი. იქიდან მოყოლებული, სულ ხანძარში, ცეცხლში და მის ჩაქრობაში ვარ.

— ბატონო თამაზ, ნაპოლეონი ამბობდა: ვინც არ რისკავს, ის შამპანურს არ სვამსო. გამოდის, თქვენ ხშირად გიწევთ შამპანურის გახსნა...

– ცეცხლი არის სულიერი არსება, ისიც იკვებება, ჩვენ მისი მტრები ვართ და ამ საკვებს ვაცლით მას. მეხანძრე კი ის ადამიანია, რომელიც მშვიდობიან დროსაც ბრძოლასა და ომშია. ხანძარს როცა ჩავაქრობთ, შემდეგ, მოგებული კაცის პოზიციიდან შამპანურსაც ვსვამთ. რა თქმა უნდა, როცა ჩვენი რისკის შედეგით კმაყოფილები ვართ და ხანძარს ადამიანთა მსხვერპლი არ ახლავს თან – ასეთ დროს გამარჯვებას ვულოცავთ ერთმანეთს.

— მეუღლე და შვილები ადვილად ეგუებიან თქვენს ჯარისკაცულ, ფათერაკიან სამსახურს?

– მე და ჩემი მეუღლე პირველი კლასიდან მოყოლებული ვიცნობთ ერთმანეთს. მეხანძრე რომ უნდა გამოვსულიყავი და ამ პროფესიისადმი სიყვარული რომ სისხლსა და ხორცში მქონდა გამჯდარი, ეს ადრიდანვე იცოდა. ამიტომაც ყველაფერს ადვილად შეეგუა. 22 წელია, რაც ჩემი მეუღლეა. მან 15 წელიწადი იმუშავა კავშირგაბმულობის პულტზე, რადიომეელსმენედ. ჩვენი უფროსი ვაჟი 18 წლის არის, სწავლობს ტექნიკურ უნივერსიტეტში – რკინიგზის ფაკულტეტზე. მანაც ჩემსავით, თავისი თანაკლასელი მოიყვანა ცოლად, მალე პაპა გავხდები. მეორე ვაჟი 17 წლისაა, ქალიშვილი კი – 7-ის. კვირაში ორჯერ, ხანაც სამჯერ მიწევს მორიგეობა. მე მათზე ამომდის მზე და მთვარე, იმათ ჩემზე და ასე – ვძლევთ ყველანაირ წინააღმდეგობას. ცხოვრების ოინები ხომ იცით, რაც არის, არა?

— ახლა ოინები რომ ახსენეთ, ქართული მხატვრული ფილმი „სიყვარული, ხანძარი და პომპიერო“ გამახსენდა. რამაზ ჩხიკვაძე შესანიშნავად ასრულებს მეხანძრის როლს, თქვენ თუ მოგწონთ ეს ფილმი?

– იუმორიც მიყვარს და კომედიური ჟანრის ფილმებიც. მართალია, ეს ფილმი დიდი ხანია არ მინახავს, მაგრამ იმ სასაცილო მეხანძრეების „უჩენიები“ და თაფლოს ოინები კარგად მახსოვს. ჩვენს პროფესიულ საქმიანობაში, რა თქმა უნდა, ხდება ამგვარი კურიოზებიც, მაგრამ გულთან ახლოს არ მიგვაქვს, გვავიწყდება.

— ბატონო თამაზ, ცეცხლი რა ასოციაციას იწვევს თქვენში?

– საერთოდ, წითელი ფერი ძალიან მომწონდა ბავშვობიდან. მართალია, ცეცხლს თაყვანს სცემდნენ, აღმერთებდნენ, მისგან წამოსული სინათლისა და სითბოს გამო, მაგრამ ჩვენ, მეხანძრეები მხოლოდ ისეთ ცეცხლს ვცემთ პატივს, რომელიც კონტროლს ექვემდებარება. სხვა შემთხვევაში იგი უბედურების მომტანი ხდება.

— თქვენს გაზეთში — „ხაზზეა-01“ წავიკითხე წერილი „ხანძარი უშიშროებისათვისაც საშიშროებაა“, რამაც კიდევ ერთხელ დამარწმუნა იმაში, რომ ცეცხლის წინაშე მხოლოდ მეხანძრეა უშიშარი.

– საქართველოს უშიშროების სამინისტროს თხოვნით და ხანძარსაწინააღმდეგო სამსახურის მთავარი სამმართველოს ძალისხმევით 1 ნოემბერს, მართლაც მოეწყო შეხვედრა-სემინარი უშიშროების სამინისტროს ობიექტების დაცვის წევრებთან. უშიშროების ერთ-ერთ ჩინოსანს მოუწონებია ობიექტის ხანძარსაწინააღმდეგო რეჟიმის განმტკიცებისაკენ მიმართული ორი უწყების ძალისხმევა, წასვლისას კი ხუმრობით უკითხავს: აბა თუ მეტყვით, რატომ არის „პაჟარნიკების“ ვედრო წვეტიანიო? პოლკოვნიკ ზურაბ ნაფეტვარიძეს ასე უპასუხია: – წვეტიანი იმიტომ არის, რომ მუდამ მოუცლელი მეხანძრე ზედ არ ჩამოჯდესო...

— რადგან ჩინოსნები ახსენეთ, იქნებ დღევანდელ „პოლიტიკურ აალებად“ სიტუაციაზე გვითხრათ რამე.

— მეხანძრეებს პოლიტიკა არ გვაინტერესებს. თბილისის ომის დროს ცეცხლი რომ გააჩაღეს, ჩვენ მაშინ მოწინააღმდეგეებს შორის ვიდექით და რუსთაველის პროსპექტი გადავარჩინეთ. ჩვენ აქეთა მხარეს რომ ვაქრობდით, იქითა მხარე გვესროდა, იქითას ვაქრობდით, აქეთა გვესროდა. ჩვენი მაინც გავიტანეთ და ოპერის თეატრი, რუსთაველის თეატრი, სახელმწიფო მუზეუმი გადაწვას გადავარჩინეთ. სწორედ მაშინ მოგვიკლეს ეს ახალგაზრდა, სურათზე რომ ხედავთ — სერგო ბაიდაშვილი, მეორე კი ჩვენი შტაბის უფროსი იყო. მას სულხან-საბას ქუჩაზე მომხდარი ხანძრის დროს გული გაუსკდა და დაიღუპა. გულიანი კაცი იყო... საერთოდ, მეხანძრეები გულიანი ხალხი ვართ. იცით, რა, ჩვენ აქ შეიძლება ვხუმრობდეთ ან ტელევიზორს ვუყურებდეთ, მაგრამ ეს წითელი ტელეფონი რომ დარეკავს, ყველას ეცვლება სახე. ზამთრის სეზონი ხანძრების პიკია ყოველთვის. უშუქობის გამო ხშირია გაზის ბალონების აალება, არის მოკლე ჩართვები, „ლევი“ შუქები რომ გაჰყავთ-გამოჰყავთ, ეს საშიშია: ძლიერი ქარი სადენებს საიზოლაციო სახვევს აცლის, გაწყვეტისას ცეცხლი სახურავს ედება. თუ დაგვირეკეს ღამის 4 სთ-იდან დილის 7 სთ-მდე — ეს 100%-იანი ძლიერი ხანძარია. ამ დროს ადამიანებს ღრმად სძინავთ და იშვიათად თუ მიეხმარება ვინმე.

— „ტყუილი“ ზარები ხშირად არის ხოლმე?

— რამდენიც გნებავთ! ტყუილიც რომ იყოს, ჩვენ ვალდებულები ვართ, მანქანა გავაგზავნოთ. ვთქვათ, დატოვებული ნომერი გადავამოწმეთ — ყურმილსაც რომ არ იღებდნენ, მაინც გავდივართ. არადა, ხომ შეიძლება, ეს მანქანა სხვას დასჭირდეს, ვინც მართლა საფრთხეშია, ვთქვათ, ბავშვს, რომელიც ალმოდებულ ოთახშია უმეთვალყურეოდ დატოვებული. ასეთი შემთხვევა, სამწუხაროდ, ბევრია და მას ხშირად ტრაგიკული დასასრული აქვს.

— ამ ყალბი გამოძახებებისათვის პასუხს არავინ აგებს?

— ვინც დარეკავს, იმის ნამუსზე იყოს, პასუხისგებაში კი ამისათვის ჯერ არავინ მიუციათ. ჩვენ ყველას მოვუწოდებთ, ხელი აიღონ ასეთ „გართობაზე“ — ეს უზნეობის გამოხატულებაა.

— თქვენი მუშაობის სისტემაზეც გვითხარით ორიოდე სიტყვა.

— შეიძლება, დღე ისე გავიდეს, გამოძახება საერთოდ არ იყოს და მანქანა ნაგავზე გავუშვათ, შეიძლება 64 გამოძახება გვქონდეს. სამორიგეო შტაბში 4 ცვლაა. ბრიგადაში — 3 კაცი ვართ: ხანძრის ქრობის ხელმძღვანელი, შტაბის პირველი მოადგილე და მეორე მოადგილე. მე ვარ ხანძრის ქრობის ხელმძღვანელი. წელს არა, მაგრამ საერთოდ ახალ წელს 12-ჯერ შევხვედრივარ ხანძარში. ზაფხულის პერიოდში ბევრი მუშაობა გვიწევს. შარშან 3-4 ღამე გავათენეთ მცხეთაში. ხშირად იწვის ტყეები. უწყლო რაიონები, ციცაბო კლდეები ხელისშემშლელია ჩვენთვის, მაგრამ ცეცხლს მაინც ვერევით. საქმეში ისიც ძალიან მეხმარება, რომ სპორტსმენი ვარ: მოკრივე, სპორტის ოსტატი — საბრძოლო იარაღით სროლაში, ვარ აგრეთვე ექვსჭიდელი. გამოვდიოდი შსს-ს ნაკრებში 10 წლის მანძილზე, სანამდის დაინგრეოდა „ჩვენი ლამაზი“ კომუნისტური ქვეყანა... ხანძრის ქრობისას ვიყენებთ საიერიშე კიბეებს, 50 მეტრიან ამწეებს, ზოგჯერ ხალხი თოკებით გამოგვყავს. ერთდროულად ხდება ხოლმე ადამიანთა გადარჩენაც და ხანძრის ჩაქრობაც. საერთოდ, ჯერ ხანძრის ლოკალიზება ხდება და მერე მისი ლიკვიდაცია. ეს უნდა მოხდეს 10 წთ-ის განმავლობაში. თუ 10 წუთში ცეცხლი „გაგვეპარა“, მერე ძნელია ხანძრის ჩაქრობა.

— ბატონო თამაზ, ადამიანი გაჭირვებისას გამოიცნობაო. თქვენი ბრიგადის წევრებზე რას გვეტყვით?

— აქ, თუ მეგობარი არ არის, ისე კაცი ვერ გაჩერდება. ვიმეორებ — ხანძარი არის გაჭირვება და როცა ცეცხლში შევდივარ, მე იმის იმედი უნდა მქონდეს, რომ ვინც უკან მომყვება, თუ საჭირო გახდა, ის გამომიყვანს. ხალხს ჩვენი იმედი აქვს და ექნება ყოველთვის. ეს არის ნომერ პირველი სამსახური მთელ მსოფლიოში, შემდეგ მოდის „02“ და „03“.

— წყლის პრობლემას არ უჩივით?

— წყლის მომარაგებასთან დაკავშირებით ყოველთვის ჩხუბი გვაქვს წყალსადენთან — იმიტომ, რომ უშუქობის გამო, დაბალი წნევაა. რეზერვი მუდამ გვაქვს, მაგრამ წყალი შეიძლება ხან ჭუჭყიანი იყოს, ხან გაყინული. ჩვენი ჭებიც გვეხმარება — მარტო წყალსადენის იმედად არა ვართ.

— მეხანძრის ქართული ფორმა თუ არსებობს?

— მეხანძრის ქართული ფორმა არ არსებობს. საბჭოთა კავშირში ერთიანი ფორმები იყო. არც ქართული სახანძრო მანქანები არსებობს. არის ამერიკული, გერმანული, ფინური და შემოგვრჩა რუსეთის მანქანებიც. სახანძროს სახელი გაუთქვეს სწრაფი რეაგირების მანქანებმა, რომელსაც თანამედროვე კლასის, სუპერმძღოლები მართავენ. აი ეს ქურთუკი, ახლა რომ მაცვია, ახლახან ჩამოგვიტანა ჩვენმა უფროსმა ინგლისიდან.

— მეხანძრის საშუალო ხელფასი რამდენია?

— ახალბედა მეხანძრეს, რომელიც აუცილებლად ჯარმოვლილი უნდა იყოს, 70-75 ლარი აქვს, ოფიცერს — 100-125 ლარი. მოკლედ, წოდებას და თანამდებობას გააჩნია. ჩვენი ხელფასების საქმე სექტემბრიდან უფრო აეწყო — ყოველ თვეში გვაძლევენ. საერთოდ, 1 წლის და 3 თვის დავალიანება აქვს სამინისტროს.

— მამაცობისათვის თუ გაქვთ ჯილდო მიღებული?

— ორი ორდენი მაქვს. ერთი ხარკოვში სწავლის დროს, კურსანტი რომ ვიყავი, მაშინ გადმომცეს: პუშკინის სახელმწიფო დრამატულ თეატრში გაჩენილი ხანძარი ჩავაქრეთ. მეორე კი მაშინ, როცა გლდანში ძლიერი ხანძრის დროს მე-7 სართულიდან ბავშვი გამოვიყვანე. ჩვენთან არის ჯილდო პროფესიაში გამოჩენილი მამაცობისათვის, არის რომბის ფორმის სამკერდე ნიშნები.

— ბატონო თამაზ, სადმე საქართველოში თუ დგას მეხანძრის ძეგლი?

— არა, ასეთი რამ არ გამიგია. ამერიკაში რომ არის, ვიცი. ■



როცა წინამდებარე თემაზე დავიწყე მუშაობა, თავში უნებურად ქართული ტელესერიალის ერთ-ერთი პერსონაჟის ფრაზა ამომიტივტივდა, რეფრენივით რომ გასდევს მთელ ფილმს: „რა სექსუალური თავი გაქვს, გიო...“ ცნობილი გამონათქვამისა არ იყოს — ზოგს მღვდელი მოსწონს, ზოგს კიდევ — მღვდლის ცოლიო, აქაც გემოვნების საკითხია. მაგრამ მაინც თმაქოჩორა მამაკაცები თითქოს მუდამ მეტი პოპულარობით სარგებლობენ, ვიზუალურადაც უფრო მიმზიდველად გამოიყურებიან და ქალების გულის მოგების უფრო მეტი შანსიც აქვთ. ალბათ ამიტომაც არის, რომ „მოდის“ მიუხედავად, ბევრს მაინც აწუხებს გამელოტების პრობლემა.

ნინო ჯავახიშვილი

„მთელი ცხოვრება თავს არასასურველ ქალად ვთვლი...“

ამ მოვლენას საკმაოდ სერიოზული მიზეზები აქვს და წარმოიდგინეთ, მამაკაცებზე მეტად, მშვენიერი სქესის წარმომადგენლებს აწუხებთ, რაც ხშირად მნიშვნელოვანი ფსიქოლოგური გადახრების საფუძველი ხდება. ვესაუბრები თმის გადანერგვის სამეცნიერო-სამკურნალო განყოფილების ხელმძღვანელს, პროფესორ ***თამაზ თამაზაშვილს****.*

— გამელოტების მიზეზი ბევრი რამ შეიძლება იყოს. მაგალითად, ადამიანს შეიძლება სტრესულ მდგომარეობაში დაეწყოს თმის ცვენა. რაც შეეხება ქალებს — აქ ქიმიურ მიზეზთან გვაქვს საქმე: ქალები ხშირად იყენებენ სხვადასხვა იაფფასიან საღებავს, ან უხარისხო შამპუნს. ხშირად, გამელოტებას კანისა და ნაირ-ნაირი ვენერიული დაავადებებიც იწვევს. არსებობს ანდროგენული თმის ცვენა, რომლის წარმოშობა და გამომწვევი მიზეზები ჯერ კიდევ გაურკვეველია. ცნობილია მხოლოდ ის,

რომ ანდროგენები (მამაკაცის სასქესო ჰორმონები, რომელთაც თმა ამოჰყავს) გარკვეულ როლს ასრულებს გამელოტების პროცესშიც. ანდროგენული თმის ცვენა (როდესაც გამელოტება შუბლის არიდან იწყება) უფრო ხშირად მამაკაცებში აღინიშნება. ასეთ შემთხვევაშიც კი თმის ტრანსპლანტაცია, ანუ გადანერგვა სასურველი შედეგის მომტანია.

— როგორც ვიცი, თმის ინტენსიურ ცვენას ქალები უფრო ტრაგიკულად განიცდიან და თითქოს უფრო აგრესიულებიც ხდებიან.

— ეს ბუნებრივიცაა... წარმოიდგინეთ — სრულიად რადიკალურად იცვლება ადამიანის გარეგნობა, იმიჯი. უმეტესობა ამ უცაბედ „მარცხს“ მართლაც ძალიან ტრაგიკულად განიცდის — ქალიც და კაციც. განსაკუთრებით ახალგაზრდებს უჭირთ შეგუება და მათში ბუნებრივად ღვივდება გაუცნობიერებელი, აგრესიაცა და შურიც — პრაქტიკულად უმისამართო, — ყველას მიმართ. ძალიან ბევრი პაციენტი მყავდა, რომელიც თურმე წლების მანძილზე არ იხდიდა ქუდს — ლოგინშიც კი თავსაბურავით წვებოდა. ზოგი იმდენად დათრგუნვილია ფსიქოლოგიურად, რომ ხშირად ნევროზამდე, ისტერიკამდეც კი მიდის... თმის გადანერგვის შემდეგ კი პაციენტებს ყოველგვარი კომპლექსი ეხსნებათ და თავს კვლავ სრულყოფილ ადამიანებად გრძნობენ.

— როგორ ხდება თმის გადანერგვა და საერთოდ, როგორ აკეთებთ ოპერაციას?

— ოპერაცია რამდენიმე საათის განმავლობაში, უნარკოზოდ მიმდინარეობს, პაციენტს გამაყუჩებელს ვუკეთებთ. ეს არც ისე მტკივნეულია, როგორც ჰგონიათ. თუ მასობრივი გადანერგვა ხდება, ოპერაციაში 10-15 ასისტენტიც მონაწილეობს. გადანერგვის დროს უახლეს ამერიკულ ხელსაწყოებს ვიყენებთ. გადანერგვა კეფიდან ხდება, რადგან ძირითადი მარაგი იქ არის (თავდაპირველად ხდება თმის ამოღება და დამუშავება) და თუ ეს მარაგი მწირია, მაშინ მკერდიდან...

— არ შეიძლება, პაციენტმა სხვისი თმა რომ გადაინერგოს?

— თითოეულ ადამიანს აქვს შეუთავსებლობა სხვისი ორგანიზმის მიმართ. წინათ უფრო დაუხვეწავ, უხეშ მეთოდებს იყენებდნენ და ამიტომაც თვალში საცემი იყო გადანერგილი თმა. მე თვითონ ამერიკაში გადავინერგე თმა (ბ-ნი თამაზი თვალსაჩინოებისთვის სურათებს მიჩვენებს — ოპერაციამდე და ოპერაციის შემდეგ).

— რატომ ამერიკაში?

— ტრანსპლანტაციის დიდი გამოცდილება აქვთ. 5 წელი კანადის საუკეთესო კლინიკებში ვმუშაობდი. საქართველოში კი „პირველი მერცხლები“ ჩვენ ვართ...

— ალბათ, კაცები უფრო ხშირად მოდიან თქვენთან...

— კი, 15-20 კაცზე ერთი ქალი მოდის (სხვათა შორის, გამელოტება მარტო ახალგაზრდებს როდი აწუხებთ — ხანში შესულ ადამიანებსაც ეხამუშებათ და დისკომფორტსაც გრძნობენ.

— ცნობილი ადამიანები თუ მოსულან თქვენთან?

— პოლიტიკოსები, მომღერლები თუ

მსახიობებიც ისეთივე ადამიანები არიან, როგორიც სხვები, მაგრამ კონკრეტულ პიროვნებებს ვერ დაგისახელებთ...

— თმის გადანერგვა საკმაოდ ძვირი სიამოვნებაა. ალბათ, პაციენტების სიმცირეს უჩივით?..

— თმის ერთი ღერის გადანერგვა 60 თეთრი ღირს, მაგრამ ამის მიუხედავად პაციენტების სიმცირეს სულაც არ ვუჩივით. არაერთი ადამიანი მოსულა აქ და გალამაზებული გაგვიშვია სახლში...

და მაინც, ბევრი ცდა წარუმატებლად მთავრდება. ამის სამწუხარო მაგალითად, ახალგაზრდა ქალის მონათხრობს გთავაზობთ:

— ხომ იცით, ქალის მშვენება თმაა. როდესაც კაცები ქალს კომპლიმენტს ეუბნებიან, — ერთი ქალის ფასი მარტო თმა გაქვსო, შურით ვივსები ხოლმე... ზოგჯერ ისიც კი მაღიზიანებს, ნაცნობ ქალს კარგ ფორმაში რომ ვხედავ... ალბათ, ვერასდროს გავთხოვდები... ადამიანებთან ურთიერთობისას უკომპლექსო და თავისუფალი ადამიანის როლს ვთამაშობ, არადა, მთელი ცხოვრება მტანჯავს არასრულფასოვნების შეგრძნება. რა აღარ ვცადე და სად აღარ ვიყავი, მაგრამ ამაოდ... თმის გადანერგვა ბოლო იმედი იყო, ფული როგორღაც მოვაგროვე, მაგრამ მაინც არაფერი გამომივიდა — 2000 ლარი წყალში გადავყარე. გადანერგილი თმა მალე ისევ გამცვივდა და უარეს დღეში ჩავვარდი. როგორც ჩანს, არაფერი მეშველება... ყოველ ფეხის ნაბიჯზე ლამაზ-ლამაზ სალონებს რომ ვხედავ, იცით, როგორ მინდა ხოლმე მეც შევიდე და გავლამაზდე?! ვატყობ, საკუთარ თავში ჩავიკეტე... თითქმის ერთი წელი გახდება, რაც თავიდან „ბენდენა“ აღარ მომიხსნია. შემოდგომაზე და ზამთარში ეს კიდევ იმდენად თვალში საცემი არ არის, მაგრამ ახლა გაზაფხული მოდის და აღარ ვიცი, რა ვქნა...

ბატონ თამაზს ამ შემთხვევის კომენტარიც ვთხოვეთ, რაზეც გვიპასუხა: უპირველეს ყოვლისა, იმის გამო მეძნელება რაიმეს თქმა, რომ ისიც არ ვიცი, სად იმკურნალა ქალბატონმა. ალბათ სწორად გამიგებთ, თუ ვიტყვი — უმჯობესი იქნებოდა, ჩვენთვის რომ მოემართა. ცხადია, განკურნების სრული, უპირობო გარანტიის მიცემა, ნებისმიერი ექიმისგან ზედმეტი იქნებოდა, მაგრამ, როგორც მოგახსენეთ, ჩვეულებრივ, კარგი შედეგები გვაქვსო... ■

„გაზაფხულის სინდრომი“ — როგორ დავძლიოთ იგი?..

ათასწლეულის პირველი ზამთარი თოვლის ფანტელივით „შემოგვადნა“ და მზიანქარიან „დივერტისმენტში“ უკვე იგრძნობა გაზაფხულის შორეული, თბილი სუნთქვა. ბევრ ჩვენგანს დაეუფლა ფიზიკური მოთენთილობა — უფრო მალე ვიღლებით, ძილიც აღარ გვყოფნის და დღის განმავლობაშიც გვიპყრობს „თვალის მოტყუების“ სურვილი.

ნებისმიერი მედიკოსი აგიხსნით — ეს ძალზე ჩვეულებრივი მოვლენაა, ზამთრისგან „მოღლილ“ ორგანიზმში ვიტამინთა დეფიციტის შედეგია. სწორედ ეს გახლავთ სიცივიდან სითბოსკენ გარდამავალ პერიოდში „უქეიფოდ“ ყოფნის მიზეზი.

მედეა გოგსაძე

ვიტამინების მაცოცხლებელი ძალა

ბევრისთვის, ალბათ, მოულოდნელი იქნება, რომ სულ რაღაც ასიოდე წლის წინ წარმოდგენაც არ ჰქონდათ ვიტამინების არსებობაზე. XX საუკუნის დამდეგს, რუსი მეცნიერი ნ. ლუნინი ალაპარაკდა „რაღაც“ ნივთიერებებზე, რომელთა გარეშეც შეუძლებელი იყო ორგანიზმის სიცოცხლე. მის ექსპერიმენტებში თაგვების ერთ ჯგუფს კვებავდნენ ნატურალური რძით, ხოლო მეორეს — ცილების, ცხიმების, ნახშირწყლების, მინერალური მარილების წყალხსნარით. მეორე ჯგუფის თაგვები დაიხოცნენ, მაშინ, როცა პირველი ჯგუფი თავს ფრიად მხნედ და ხალისიანად გრძნობდა.

მოგვიანებით გაირკვა, რომ ვიტამინები ხელს უწყობს ბიოქიმიური პროცესების შეუფერხებელ მიმდინარეობას, ანუ ნივთიერებათა ცვლას. საცოდავი თაგუნები! აი, თურმე, რისთვის გაუწირავს ეს უცოდველი არსებები „სადისტ“ ლუნინს. მაგრამ მისი ექსპერიმენტების შედეგი იმდენად რევოლუციური აღმოჩნდა, რომ მსხვერპლად შეწირული მღრღნელები, უდავოდ, იმსახურებენ მადლიერი კაცობრიობისაგან ბრინჯაოში უკვდავყოფას.

ახლა — ალბათ — გასაგებია, რა მექანიზმს ეფუძნება ყველასათვის კარგად ცნობილი „გაზაფხულის სინდრომი“. მისი დამარცხების უტყუარი იარაღია ვიტამინების გაძლიერებული მიღება, რომელიც შეავსებს ზამთრის პერიოდში გაჩენილ დეფიციტს და აღადგენს საჭირო ბალანსს, მაგრამ მაქსიმალური ეფექტის მისაღწევად აუცილებელია ვიტამინების „ანაბანის“ თუნდაც ზედაპირული ცოდნა, რაც ყოველდღიური რაციონის შედგენაში დაგვეხმარება.

ვიტამინ A-ს „სილამაზის ელექსირს“ უწოდებენ, რამეთუ ის აძლიერებს კანის დამცავ სისტემას და ხელს უწყობს მცირე დეფექტების გამოსწორებას, მაგრამ ამით როდი ამოიწურება მისი სასიკეთო თვისებები. ვიტამინი A ამახვილებს მხედველობას ბინდბუნდში, ხელს უწყობს კბილების, ფრჩხილების, ძვლების გაჯანსაღებას. თუმცა, მისი მიღებისას აუცილებელია სიფრთხილე: დოზის გადამეტებამ შეიძლება მოწამვლა გამოიწვიოს. ეს ვიტამინი ჭარბად არის ცხოველური წარმოშობის პროდუქტებში, როგორიცაა: კვერცხი, თირკმელი, ღვიძლი, რძე, მაგრამ მოსახლეობის ხელმოკლე ნაწილის საყურა-

დღეებად დავაზუსტებთ, რომ ამ ვიტამინს კაროტინის სახით ხილ-ბოსტნეულიც შეიცავს. ამ მხრივ აღსანიშნავია: სტაფილო, გოგრა, ისპანახი, სალათის ფურცელი, პამიდორი, გარგარი, ჭერამი, ატამი. ამდენად, ხსენებული ვიტამინის ნაკლებობის შევსებას ჩინებულად მოახერხებთ ბოსტნეულის სალათებით.

B ჯგუფის ვიტამინები დაგვიცავს სტრესისგან, რამეთუ ამაგრებს გულ-სისხლძარღვთა და ნერვულ სისტემას. ამ მხრივ, განსაკუთრებით გამოირჩევა B1, რომელიც, გარდა ამისა, არეგულირებს მადას, ხელს უწყობს საჭმლის მონელებას. იგი ჭარბად არის პარკოსნებში, აგრეთვე მსხვილად დაფქულ ჭვავისა და ხორბლის პურში. B6 ამაგრებს ჩვენს იმუნურ სისტემას, გვიცავს ათეროსკლეროზისგან. იგი საკმაოდ ბევრია ხორცში, თირკმელში, ღვიძლში, კვერცხის გულში, მაგრამ არანაკლებ ჭარბია მისი შემცველობა პარკოსნებში, ამდენად, „მამაპაპური“ ლობიო ფასდაუდებელ სამსახურს გაგვიწევს, ხოლო გურმანებს შეუძლიათ გაორმაგებული ენთუზიაზმით მიირთვან კლასიკური მაიონეზიანი სალათი „ოლივიე“. ვიტამინი B12 სისხლში ერითროციტების (წითელი ბურთულების) რაოდენობას ზრდის, ამდენად, მისი მიღება „გაზაფხულის სინდრომის“ დასაძლევად განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. იგი მხოლოდ ცხოველური წარმოშობის პროდუქტებში გვხვდება (ხორცი, თევზი, რძე, კვერცხი). B2 ხელს უწყობს სისხლში ანტისხეულების გამომუშავებას, ამდენად აძლიერებს ინფექციების მიმართ ორგანიზმის მდგრადობას. B2 მრავლად არის მწვანილში, ამ მხრივ საინტერესოა, აგრეთვე თხილი და კაკალი.

C ვიტამინი — იგივე ასკორბინის მჟავა, აძლიერებს ორგანიზმის მდგრადობას. მისი ნაკლებობა იწვევს სურავანდს — მძიმე დაავადებას, რომლის დროსაც ავადმყოფი სუსტდება, ღრძილებიდან სისხლის დენა აწუხებს, კბილები ერყევა და ცვივა, იკლებს წონაში. თუ ვიტამინის ნაკლებობა დროულად არ შეივსო, ადამიანი შეიძლება კიდეც დაიღუპოს. ამ ვიტამინის მისაღებად მირთვით ციტრუსები, კომბოსტო, ხახვი, ისპანახი, ოხრახუში.

ვიტამინი D ხელს უწყობს ორგანიზმში კალციუმისა და ფოსფორის ცვლას. მისი ნაკლებობა უარყოფითად აისახება ძვლებისა და კბილების მდგომარეობაზე. ამ ვიტამინით მდიდარია თევზის ქონი, კვერცხი, ღვიძლი, რძის პროდუქტები.

E ვიტამინი „ახალგაზრდობის ელიქსირია“ — არეგულირებს და აძლიერებს სექსუალურ მოთხოვნილებას. მას ფართოდ იყენებენ კოსმეტოლოგიაში, A ვიტამინთან ერთად. მას დიდი რაოდენობით შეიცავს ქერი, ამიტომ მირთვით „ჰერკულესის“ ფაფა, რომელიც ჰოლივუდელ ლამაზმანთა დილის საუზმეს წარმოადგენს. სასარგებლოა, აგრეთვე კვერცხი, ნუში, მარგარინი, მზესუმზირა.



მანდილოსნებს ვთავაზობთ „სილამაზის სალათის“ რეცეპტს:

3 სუფრის კოვზ ქერს დავასხათ 3 სუფრის კოვზი მდუღარე წყალი, გავაცივოთ, შევურიოთ გახეხილი ვაშლი და ერთი სუფრის კოვზი ქიშმიში. გემოვნების მიხედვით შეიძლება დავუმატოთ დანაყილი კაკალი, თაფლი და ლიმონის წვენი. ბოლოს მოვასხათ ცოტა მაწონი ან კეფირი.

საგაზაფხულო რაციონის ძირითადი პირობაა, ნაკლები ცხიმი და მეტი ვიტამინები. მოხარშული ბოსტნეულისა და კვერცხისაგან დამზადებული, ცოცხალი ხახვითა და მწვანილით შეკაზმული უბრალო სალათი საიმედო იარაღია „გაზაფხულის სინდრომის“ დასაძლევად. მისი „დამრტყმელი ძალა“ გაორმაგდება, თუ ძმრის ნაცვლად, ვიხმართ ლიმონის წვენს, ხოლო რაფინირებული ზეთის ნაცვლად — მამაპაპურ კახურს მისი განუმეორებელი სურნელით. გურმანთა აზრით, წვრილად დაჭრილი ვაშლი, კივი და ბანანი ბოსტნეულის სალათს პიკანტურობას მატებს. ზეთისა და ძმრის ნაცვლად შეგიძლიათ იხმაროთ, აგრეთვე, არაჟანი, მაწონი, ან კეფირი. დაძაბეთ ფანტაზია და შექმენით თქვენეული ვერსიები!

დამატებითი პროცედურები

სპეციალისტების მტკიცებით, ზამთარ-ზაფხულის გასაყარზე დიდად სასარგებლოა პოლივიტამინების მიღება. თუ უცხოურ პრეპარატებზე ხელი არ მიგიწვდებათ, შეცვალეთ „ძველი ნაცნობებით“. „გენდევიტი“, „უნდევიტი“, „ჰექსავიტი“, „კომპლივიტი“ და სხვა. რომლებიც უცხოურებს, ფაქტობრივად, მხოლოდ რეკლამის ხარისხით თუ ჩამოუვარდება, თანაც უფრო იაფია. დოზა ანოტაციაზეა მითითებული.

ძალზე სასარგებლოა აგრეთვე, ბუნებრივი ადაპტოგენების მიღება. მათ რიგს განეკუთვნება „ჟენ-შჩენი“, „როდასკონი“, „სპლატი“ და ვირატონი“. ყველა ეს პრეპარატი უნიკალურ მცენარეულ ნედლეულზეა დამზადებული, ამდენად, აძლიერებს იმუნურ და დამცავ ფუნქციას, აწესრიგებს ნივთიერებათა ცვლას და ნერვულ სისტემას, ამაღლებს შრომისუნარიანობას.

„გაზაფხულის სინდრომის“ დასაძლევად, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება თვითმობილიზაციას. დილის, თუნდაც, ოცწუთიანი ვარჯიში, ორიოდე გაჩერების ფეხით გავლა, სასიამოვნო ემოციებზე გადართვა, ფაქტობრივად, არც ისე ძნელია. ამისათვის სულ ცოტა რამ არის საჭირო — საკუთარი თავის სიყვარული...

თვითმობილიზაციის ყველაზე მარტივი ხერხი ასეთია: დილით თუნდაც ნახევარი საათით ჩვეულებრივზე ადრე აბრძანდით ლოგინიდან, სარკის წინ წაივარჯიშეთ, საკუთარ ორეულს გაუღიმეთ და უთხარით:

„ყველაფერი არც ისე ცუდად არის; მე ძალ-ღონით სავსე და ხალისიანი ადამიანი ვარ — მტრის ჯინაზე! გაზაფხული მოვიდა, ყველაფერი ახლიდან იწყება... და ყველაფერი საუცხოოდ იქნება!“ ■



ძირძველი ქუთაისელი, ყოფილი სპორტული მიმომხილველი, კოლორიტების ძველი თაობის „უკანასკნელი მოჰიკანებიდან“ ერთ-ერთი, ბატონი ანზორ დემეტრაძე — იგივე „ბიძინიჩი“ უკვე 30 წელია თბილისში ცხოვრობს, თუმცა ყოველდღე ქუთაისზე ფიქრითა და ოცნებით სავსე, არაჩვეულებრივი მეხსიერების წყალობით, საოცარი სიზუსტით იხსენებს სიყმაწვილისა და ახალგაზრდობის დროინდელ ქუთაისს.

მარცხნიდან:
ოთარ ალავიძე, „ბიძინიჩი“ და თამაზ კენჭაძე
ქუთაისის ცენტრალურ ბაღში

«ბიძინიჩი»

ეკა ლომიძე

— ქუთაისში, ჯაფარიძის ქუჩაზე ერთ დიდ ეზოში 14 ოჯახიდან 13 ებრაელებისა იყო და ერთი, ქართული. თითოეულს 7-8 შვილზე ნაკლები არ ჰყავდა და მეც მათთან ერთად ვიზრდებოდი. მაშინ რომ ჩემი მეზობლისთვის ისრაილ მესენგისერისთვის დამეჯერებინა და მათ ბავშვებთან ერთად ივრითი მესწავლა, კარგად წამადგებოდა, მაგრამ ცუღლუტობაზე და რიონში ბანაობაზე გაგიჟებული, იმ დროს ამაზე არ ვფიქრობდი.

— და ხშირად თქვენი ოხუნჯობით მოთმინებიდან გამოგყავდათ ზოგიერთი თქვენი მეზობელი?

— (იცინის) ჰო, იუმორის შემოქმედნი და კარგი გამგებნიც არიან ებრაელები. ჩემი მეზობელი შალვა მირელაშვილი მთელი ზაფხული ისვენებდა ოჯახთან ერთად, ხან მთაში, ხან ზღვაზე. ერთხელაც, ასე რომ გაიკეტა კარი, ავდექი და ჩვენი ელექტროსადენი მის მრიცხველს მივუერთე. ორი თვე შალვას დენს ვხარჯავდით. სექტემბერში რომ ჩამოვიდა, მის დანახვაზე მოუთმენლობამ შემიპყრო, კონტროლიორი ანგია მინდოდა გამოჩენილიყო, რომელსაც, დარწმუნებული ვარ, სახელმწიფოსთვის კაპიკი არ მიჰქონდა — სულ თვითონ იჯიბავდა. ანგია კორუფციის პირველი მერცხალი თუ არა, მესამე მაინც იქნებოდა. არ იფიქროთ, რომ ეს უბედური სენი ახლა დაიბადა...

მოკლედ, ანგიაც მოადგა ჩვენს მრიცხველებს და შალვა გარეთ გამოიხმო, რომელმაც თავისთავად ეს ფაქტი შეურაცხყოფად მიიღო, მაგრამ მრიცხველზე დაწერილი ციფრის ნახვისას გაშრა. ანგია მეორე დღისათვის დაიბარა და ჩვენთან შემოვიდა. მეორე ოთახში კედელზე აკრული ვისმენდი დედაჩემისა და შალვას დიალოგს, რომლის დანახვაზეც დედა ჩვეულ კითხვას სვამდა — რა დააშავა? შალვა დედას სთხოვდა, რომ მე, როგორც „გადავამსევე“ ჩვენი ხაზი მის მრიცხველზე, ისე „გადმომემსევებინა“, თუ არა, მისი დენი უნდა „დაგვებრუნებინა“ უკან. ბევრი წვალების მიუხედავად, შალვამ მაინც გადაიხადა ფული — აბა, დენს ვინ „დაუბრუნებდა“?! შეკლული მყავდა კაცი ხელში, ვამწარებდი და მაინც ვუყვარდი იმ ცხონებულს. ერთხელ მთხოვა, ქუთაისის „ტორპედოს“ თამაშის რადიორეპორტაჟის დაწყების დრო მითხარიო. დასრულების დრო ვუთხარი, მარშისთვის მოუსმენია, საწყალს, და ჰგონებია, ახლა იწყებაო. მთელი ორი საათი იჯდა და ელოდა თურმე, მეორე დღეს ნირუცვლელად მითხრა — „ბიძინიჩ“, მადლობელი ვარ, ი ბოლო მარშ რო მიმასწარიო.

— გამიგია, ებრაელების შესახებ თქვენ მიერ მოყოლილი ბევრი ამბავი ანეკდოტად ქცეულა.

— ალბათ. მეზობლები მყავდნენ, მწარე წყევლა იცოდნენ. ერთხელაც დედაშვილი დგას და ერთმანეთს წყევლის, თითოეული მათგანის ნათქვამზე ეზოში მდგომი, ცხვირს ვაცემინებ — იმის ნიშნად, რომ „აღსრულდეს“. მიმიხვდნენ და მომაძახეს — „ბიძინიჩ“, გაცივებული ხარ, ოჯახში შებრძანდიო...

ერთი მეზობელიც სპეკულაციის გამო დააპატიმრეს. „ობეხეესი“ სახლში მოადგა და მოწმედ მიმიწვიეს. ოჯახის დიასახლისს საბინაო წიგნი მოსთხოვეს. ებრალები ხომ იცით, რა ჭკვიანი ხალხია, როცა საჭიროა, გენიალურად „იდებილებენ“ თავს. მოხერხებულმა ქალმა ილია ჭავჭავაძის წიგნი გამოიტანა. როცა კვლავ საბინაო წიგნზე მიუთითეს, ვითომ ვერ გაიგო და აკაკი წერეთლის ტომი მიართვა ძალოვნებს, რომლებმაც ქალს აუხსნეს: ბევრი ბეჭედი და მარკა რომაა ჩარტყმული, ის წიგნი მოიტანეო. მანაც „გულუბრყვილოდ“ გაიცინა: უი, დაგენაცვლეთ, ჩემმა ბიჭმა ერუბენმა, ეგ წიგნი წასაკითხად წაიღო ქობულეთშიო...

— ბატონო ანზორ, ებრაელების გარდა, თქვენს გულში და გონებაში ვიცით, რომ უდიდესი ადგილი უკავია იმ ადამიანების ხსოვნას და სიყვარულს, რომელთაც წიგნიც კი მიუძღვენით.

— მინდა ქუთაისელმა ახალგაზრდებმა იცოდნენ, ვის ნაკვალევზე დადიან. ოთარ ქორქია, ოთარ სულაბერიძე, ბოჭოლია ლომიძე, ნოდარ ჯორჯიკია, სულიკო თორთლაძე, უშანგი სალდაძე და სხვები. ზოგი მამაჩემის მეგობარი იყო, ზოგთანაც თვითონ მაკავშირებდა მეგობრობა, განუმეორებელი, დიდებული სახელი ჰქონდათ.

— თითოეული მათგანი გამორჩეული პიროვნება გახლდათ. ოთარ სულაბერიძე — „მეობა“, თქვენს მეხსიერებას კარგად შემორჩებოდა მასზე მოგონებები.

ვაჟა ჭყონია და „ბიძინიჩი“

— საოცარი ვაჟკაცი იყო. თუ რაიმე ღირსება მაქვს, მისი დამსახურებაა. შვილივით გამზარდა და არა მარტო მე — უამრავი ახალგაზრდა. მათ შორის იყო ერთი რაფიკ მათუსიანი, შემდგომში ერევნის „არარატის“ მეკარე. 1963 წლის აპრილის 27-ში ქუთაისში „ტორპედოსა“ და „არარატის“ თამაშის დროს რაფიკამ თავის კარში სასაცილო ბურთი გაატანინა ხაჟალიას. ეს მისგან დაბადების დღის საჩუქარი იყო აღმზრდელის მისამართით. ოთარ სულაბერიძე რიგაში კალათბურთის თამაშის დროს, მაყურებელმა გოგონებმა მოიტაცეს და თამაშის შეწყვეტა გახდა აუცილებელი, რომ „ტყვეობიდან“ დაეხსნათ მოთამაშე. ერთხელ ჩემი „კაშნე“ მოეწონა, ვაჩუქე. იმ ღამეს სადღაც დამთვრალა და იქ დარჩენია, მეორე დღეს, სანამ ისე არ დავათვრე, როგორც წინა დღეს, ვერ გაიხსენა, რომ „კაშნე“ კაფეში დარჩა.

— ვიცი, ახლო ურთიერთობა გქონდათ ოთარ მამფორიასთან.

— საოცარი სიტყვის მთქმელი თამადა იყო პოეტი. ხუმრობაც მოსწრებული იცოდა. ამ გაჭირვების წლებში, გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე, ქუთაისიდან პურმარილით საქეიფოდ სწვევიან ქუთათურები. რომ დამთვრალან, დაუწყიათ — ოთარს ძეგლი უნდა დავუდგათ ცენტრალურ ბაღშიო. ვიღაცას უთქვამს — გორაზე რომ არის, იმ პარკშიო. მოკლედ, ადგილზე ვერ მორიგებულან და ოთარს უთქვამს — თქვე ოხრებო, რად მინდა ძეგლი — „ფეჩი“ დამიდგით, რომ სანამ ცოცხალი ვარ, ძვლები გავითბოო... ერთხელ ოთარი და სოსო ხარაბაძე — ცნობილ ქორწილში მოხვდნენ ერთად. ოთარი აირჩიეს თამადად, სოსო ამას ვერ ეგუებოდა და „კბენდა რეპლიკებით“. ოთარმა იქვე მიულექსა — „თამადობა მე გასწავლე, გზრდიდი უმცროს ძმასავით, ახლა თურმე ამ ჩემს ამაგს მითვლი თურმე არადა, სოსოია, იქ გაგკარი, საცა იყო თამადა“.

— არ შეიძლება, დიდ ლოტბარზე, ბიძინა ღოლობერიძეზე რომ არ გკითხოთ.

— რადგან „ანარქისტ“ ვაჟკაცთან, ჟორჟიკა იაშვილთან მეგობრობდა, მაშინდელი პარტკომი ამრეზით უყურებდა ბიძინას. ერთხელაც ქალაქის კომიტეტის პირველმა მდივანმა, მიშა ნარსიამ დაიბარა ბიძინა და უთხრა — შენზე ცუდი ხმები მომდის, ამიტომაც მოხვალ და ყოველდღე შენი გაკეთებული საქმეების შესახებ მომახსენებო.

მეორე დღეს ბიძინა ფეხზე ძლივს დგებოდა თურმე, ისეთი მთვრალია. შესულა ნარსიასთან კაბინეტში და ეუბნება — უფროსო, გუშინ ცოტა დავლიეო. გადარეულა მისი შემხედვარე მიშა: გუშინ — კარგი, დღეს რა ქენიო? — უკითხავს. მაგაზე ხვალ ვილაილაოთო — უპასუხია ბიძინას. ერთხელაც, ბიძინა და შალიკო ახვლედიანი — ულამაზესი ვაჟკაცი, საოცარი მომღერალი, ქეიფის მერე რუსების „გარადოკში“ წასულან შალიკოს ახირებით — იქ, კაი ქალები მყავსო. ქარი ამტვრევდა იმ ღამით თურმე ყველაფერს. დაუკაკუნებიათ ერთ კარზე, გამოსულა ვიღაც უფროსი ლეიტენანტი. შემცბარან, მობოდიშებით გამობრუნებულან, მეორე კარზე დაუკაკუნებიათ, კაპიტანს გაუღია კარი. მესამეზეც უცდიათ ბედი და მაიორი შეჰგებებიათ... გადარეულა ბიძინა, უყვირია — შალიკო, სანამ ვოროშილოვი არ გაგიღებს კარს, არ წამოხვალ სახლშიო?

— ქუთაისში ბაღს ულამაზესი რკინის ღობე ჰქონდა შემოვლებული, როგორ მოხსნეს ის ღობე?!

— ჯერ ერთი, ისტორიული რომ იყო, იმიტომ უნდა გაფრთხილებოდნენ, მერე კიდევ იმიტომ, რომ ცნობილ მოჭიდავეს კოლია ქვარიანს იმ ღობეზე ცერის სიმსხო რკინა ჰქონდა გადაღუნული. მოკლედ, ბაღს ოთხი ჭიშკარი ჰქონდა. ერთხელაც რუსი ტურისტები შესულან ბაღში და გაჰკვირვებიათ ჭიშკრების დაკეტვის ამბავი. ამ დროს კონცერტიდან გამოსული, ბიძინა ღოღობერიძე, ეროვნულ ტანისამოსში გამოწყობილი მიდის. შეუჩერებიათ და უკითხავთ — ჭიშკრები რატომ არის დაკეტილი? ბიძინას თავიდან რომ მოეშორებინა არამკითხეები, მოკლედ უთქვამს — ყველა რომ გავაღოთ, ორპირი ქარი იქნებაო.

— ბატონო ანზორ, ქართლოს კასრაძე როგორ ესალმებოდა ქუთაისელ მაყურებელს?

— ქუთაისში საგასტროლოდ ჩამოსულ ყველა საესტრადო ჯგუფსა და ანსამბლს კონფერანსიედ ქართლოსი ახლდა. ყველა კონცერტს შაყირით იწყებდა. მაყურებელს ლექსით ესალმებოდა — „იცოცხლეთ, სანამ რიონი მის კალაპოტში დიოდეს და ქუთაისის „ტორპედო“ „ა“ კლასში გამოდიოდეს“. რიონი კი დაეტია მის კალაპოტში, მაგრამ „ტორპედომ“ დატოვა „ა“ კლასი. ამის გამო ქართლოსმა ფეხბურთელებს დაუწერა ლექსი „11 მეტრიანი ბოდიში“.

— თქვენ რეზო გაბრიაძის თანაკლასელიც ბრძანდებოდით მგონი?

— არა, პარალელურ კლასებში ვსწავლობდით. ეგეთი ჩუმი და ჭკვიანი კაცი, თურმე ჩვენს სიახლოვეს არ ჭაჭანებდა, „მიმინოში“ ანზორის ფეხის ზომაზე რომაა ლაპარაკი, ის ჩემი ცხოვრებიდან აქვს აღებული. ვალიკო რომ თელ-ავივში

ისაკას ელაპარაკება, ეგეც ჩემი ცხოვრებისეული შემთხვევის კინოვარიანტია.

— ის როგორ იყო, თქვენი მეგობრის, ქუთაისელი კოლორიტის ნოგენი თორდაძის სარდაფში რომ შეიპარეთ?

— ჰო, ჯერ იყო, ნოგენი მოვიდა და მეუბნება — „ბიძინიჩ“, ხომ იცი, რა ძვირფასი ღვინო მაქვს „პადვალში“, მაგრამ სტუმრებთან რომ ავიტან, შავდება, ბიჭო. ადექი შენც და სტუმრები დაავჯინე „პადვალში“-მეთქი. ვიცინეთ მაშინ, მაგრამ მის „პადვალში“ ჩასვლის ოცნება მტანჯავდა. ნოგენი „გეპეიში“ მუშაობდა და სტუდენტებისგან საქმის ჩასაკვარახჭინებლად მირთმეულ ძღვენს „პადვალში“ ინახავდა. ერთხელაც, მასთან სტუმრად მყოფმა, გასაღები „დავითრიე“ და შევიპარე. რას ვხედავ, — თაროებზე შემოლაგებულ ღვინიან ბოცებს შემოწნულ ბადეებში ქაღალდები აქვს გაჩრილი წარწერებით: „ეს იმისგან, ქე რო ფიზიკა უჭირდა“, „ქე რო რექტორთან შევყევი“, „ქე რო დაუსწრებლიდან დასწრებულზე გადმევიყვანე“ და ა.შ. მაშინ არ გამიხმაურებია ეს ამბავი. ახლა „ვჭრი“ თავს სიყვარულით ჩემს ნოგენს.

— არ შეიძლება თქვენი გატაცების — კოლექციების შესახებ არ გკითხოთ.

— მაქვს მარკების უნიკალური კოლექცია, უტექსტო ხუმრობების უზარმაზარი კოლექცია და კიდევ ბევრი რამ. ძვირფასი განძია ჩემთვის „ცისფერყანწელთა“ ჟურნალის ორად-ორი უიშვიათესი ნომერი, გამოცემული პაოლო იაშვილის რედაქტორობით, ქუთაისზე სიმღერების ჩანაწერები. ამ მარკებში აღმოვაჩინე ქართველების დოყლაპიობის დამამტკიცებელი ამბავი. საბჭოეთის დროს იყო ციმბირის რეგიონი და ა.შ. მაგრამ არ არსებობდა კავკასიის რეგიონი. 1959 წელს კი, რუსების გამოცემულ მარკაზე, სადაც რიწის ტბაა გამოსახული, წარწერაა: „კავკასია, ტბა რიწა“. მაშინ წაურთმევიათ ჩვენთვის აფხაზეთი... კავკასია კი არა, საქართველო უნდა ეწეროს. ამაზე ერთი ამბავი უნდა ამტყდარიყო, მაგრამ... უარესს გეტყვით. 1938 წელს რუსების მიერ რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ მარკაა გამოშვებული, დიდი მგოსნის 750 წლის იუბილის აღსანიშნავად, მაშინ, როცა 1966 წელს რუსთაველის, 800

ოთარ სულაბერიძე

წლის იუბილეს ვზეიმობდით ქართველები. ე.ი. 750 წელი 1916 წელს უნდა გვზეიმა, როცა საბჭოთა კავშირზე ლაპარაკიც არ შეიძლებოდა... აი, ამას ვუწოდებ დოყლაპიობას, ჩვენი მაშინდელი სათანადო ორგანოების მხრიდან.

— ბატონო ანზორ, ბოლოს იმ ქუთაისს ხომ ვერ გაიხსენებდით, რომლის ქუჩებშიც სულ პატარა ბიჭი დარბოდით?

— სიამაყით გავიხსენებდი, ქუთაისში 6 კინოთეატრი იყო ჩემს ბავშვობაში. ეს რომ გიორგი დოლიძეს (კინომცოდნე, თეატრისა და კინოს ინსტიტუტის პროორექტორი — ავტ.) ვუთხარი, კინაღამ სიხარულით გაგიჟდა — მაგ დროს ერევანში 2 კინოთეატრი ჰქონდათო. მახსოვს „არსენას“, „გიორგი საკაძის“ პრემიერები. გადაჭედილი იყო დარბაზები. მამაჩემი კინოთეატრ „დამკვრელის“ დირექტორი იყო. მამასთან სამმაკაცოდ იქაჩებოდა ყველა, კინოთეატრში რომ მოხვედრილიყვნენ. მათთვის სპეციალური „ლოჟა“ ჰქონდა. მახსოვს, მამას კონტროლიორი მარო ჰყავდა. თუ ფილმზე 16 წლამდე ასაკის ბავშვების დაშვება აკრძალული იყო, მარო კარში გაიფარჩხებოდა და, მთელი სანათესავო რომ გხლებოდა, მაინც არ შეგიშვებდა დარბაზში.

— რას უჩვენებდნენ იმ ფილმებში, რამე ეროტიკულს?

— არა, რას ამბობ?! მოსკოვიდან დაჭრილ-დაკუწული ფილმები მოდიოდა ჩვენამდე. კოცნა არ გვინახავს ეკრანზე, თორემ ალბათ დავამტვრევდით სიხარულით ყველაფერს, ისე, როგორც ეს პირველად ტრუსებში გამოწყობილი კალათბურთელი ქალების დანახვაზე დაემართა ხალხს...

ამას ყველაფერს ღიმილით ვიხსენებ, მაგრამ გული მწყდება, ჩემს ქალაქში იუმორის მუზეუმი რომ ვერ გავაკეთე — მაშინდელმა პარტკომმა შემიშალა ხელი. მერე ირაკლი ჯაოშვილს ქუთაისში იუმორის საერთაშორისო ფესტივალის ჩატარება უნდოდა და არც ეს აგვიხდა. ახლა ვოცნებობ ჩემი იუმორისტული კოლექციის გამოფენის მოწყობაზე. მაგრამ, აბა როგორ შევძლებ 3.000-4.000 ლარის გადახდას გამოფენისთვის.

ბატონ ანზორთან საუბარი აქ მინდა დროებით შევწყვიტო, არ ვიცი, ჟურნალის ფურცლებზე მას კვლავ შეგახვედრებთ თუ არა, მაგრამ მერწმუნეთ, თქვენ წინ იმის მცირე ნაწილი დევს, რაც საუბარში მოვისმინე და ჩავიწერე. „ბიძინიჩს“ ფურცლები როგორ ამოწურავს — ის ხომ ქუთაისის ცოცხალი მემატიანეა. დასასრულს ერთ-ორ კურიოზს მოგითხრობთ, რომელთა შემსწრე თვითონ ბატონი ანზორი ყოფილა.

ერევნის „არარატმა“ ქუთაისში თამაშის პირველი ნახევარი ყველა მაჩვენებლით წააგო. შესვენებისას, ადგილობრივი რადიოს რეპროდუქტორებში განუწყვეტლივ გაისმოდა სიმღერა: „Каким ты был, таким остался“.

„ტორპედოს“ სატურნირო მდგომარეობა ძალიან ცუდი იყო. მოსკოვიდან უფროს მწვრთნელად ბლინკოვი მოიწვიეს. კარლო ხურციძეს საქალაქო კომიტეტში ჰკითხეს — რას იზამს მაგის ჩამოყვანაო. მას უპასუხია — გუნდი ისწავლის რუსულს, ბლინკოვი კი ქართულსო... ■

„ბიძინიჩი“

საჭესიჯო სახლში

ვენის სახელგანთქმულ ორკესტრსაც უდირიჟორებ

ვენის უნიკალურ მუსიკალურ მუზეუმ „მუსიკის სახლში“ ბგერის არა მარტო მოსმენა, არამედ დანახვაც შეიძლება

ერთი შეხედვით, მუსიკის მსოფლიოს დედაქალაქში „მუსიკის სახლის“ გახსნა კანონზომიერიც არის და იმავდროულად აბსურდულიც: ვენა ხომ ისედაც სახელოვანი კომპოზიტორებისა და შემსრულებლების ერთი დიდი მუზეუმია. ეკლესია, სადაც მოინათლა შუბერტი; გოვირდის წყარო, სადაც სიყრუეს მკურნალობდა ბეთჰოვენი; ბაღი, სადაც ორკესტრს დირიჟორობდნენ შტრაუსები. არაფერი შეცვლილა. აქვეა ყავახანები, სადაც ისინი ისვენებდნენ და თხზავდნენ. საკონცერტო დარბაზები, სადაც ბრწყინავდნენ. კაზინოები, სადაც თავიანთ ჰონორარებს ხარჯავდნენ მაესტროები. სასაფლაო, სადაც ისინი განისვენებენ.

ვენა თავისთავად მუსიკის უზარმაზარი სახლია. მაგრამ აქამდე მის მცხოვრებლებსა და მრავალრიცხოვან ტურისტებს შეეძლოთ მხოლოდ პასიურად ედევნებინათ თვალი ქალაქის საკონცერტო ცხოვრებისათვის. 2000 წლის ზაფხულს გახსნილ მუზეუმში კი, ყველას ეძლევა ამ ცხოვრებაში უშუალო მონაწილეობის შანსი. მუზეუმის ყოველ დამთვალიერებელს საშუალება ეძლევა, თავად გამოვიდეს კომპოზიტორის როლში, თავად იმღეროს და უდირიჟოროს სახელგანთქმულ ვენის ორკესტრს.

ბგერა ვიტრინაში

ვენის მუსიკალურ მუზეუმთა უმეტესი ნაწილი ტრადიციულია: ბინები და სახლები, სადაც კლასიკოსი კომპოზიტორები ცხოვრობდნენ. როგორც წესი, ეს შენობები ნახევრად ცარიელია — როიალი და კედელზე ჩამოკიდული რამდენიმე პორტრეტი. „ჩვენ მუსიკოსების სახლებს ვინარჩუნებთ და ვუვლით არა იმიტომ, რომ ხალხს მათი ყოველდღიური ცხოვრების წესი გავაცნოთ, არამედ იმისათვის, რომ მნახველმა გაიგოს, თუ როგორ წერდნენ ისინი მუსიკას“ — ამბობენ მეზეუმების თანამშრომლები.

„მუსიკის სახლი“ ვენის ოპერის მეზობლად მდებარეობს. იგი კომპოზიტორ ოტო ნიკოლაის სახლ-მუზეუმის ბაზაზე აღმოცენდა და დღეს უზარმაზარი სასახლის ექვსი სართული უკავია.

ნიკოლაი ვენის ფილარმონიის ორკესტრის დამაარსებელია. ორკესტრმა თავისი პირველი კონცერტი 1842 წელს გამართა და დროთა განმავლობაში არა მხოლოდ საუკეთესო მუსიკალურ კოლექტივად, არამედ ავსტრიული კულტურის სიმბოლოდაც იქცა. ამჟამად მთელი სართული, სადაც კომპოზიტორის მემორიალური ოთახებია განლაგებული, ორკესტრის მუზეუმად არის ქცეული.

„მუსიკის სახლში“ ერთადერთი — ნიკოლაის ექსპოზიცია მოგვაგონებს ტრადიციულ მუზეუმს. დანარჩენ სართულებზე განლაგებულია ჩაბნელებული, უცნაურად დახლართული დერეფნები და დარბაზები, რომლებშიც ორიენტირებას მხოლოდ ბგერების საშუალებით თუ შეძლებთ. ყოველი დარბაზის შესასვლელში დგას პლასტმასის ღეროები, რომლებზეც, ყვავილების ნაცვლად — გამჭვირვალე ყურის ნიჟარებია. ეს ნიჟარები დამთვალიერებლებისაკენ მიიწევენ მედუზის საცეცე-



„დაგრეხილი“ დარბაზების განლაგება იმგვარად არის დაგეგმილი, თითქოს გიგანტური სამუსიკო საკრავის შიგნით იმყოფებით

გადიდებულ საკრავებს შორის, ბავშვებში ყველაზე დიდი პოპულარობით დოლი სარგებლობს

ბივით — ისე, რომ სუსტი ნერვების ადამიანებს, ნაბიჯის აჩქარებასაც კი აიძულებენ.

განსაკუთრებით მგრძნობიარეებს (თუკი, რა თქმა უნდა, ვენაში მოხვდებით და „მუსიკის სახლში“ შეივლით) ვურჩევთ, სულ არ შევიდნენ მხოლოდ ვიტრინებისა და მონიტორების ციმციმით განათებულ „ხმის ლაბირინთში“, სადაც გაისმის შიშის მომგვრელი შრიალი, კვნესა, შემაძრწუნებელი კივილი და სხვა ამგვარი. ერთ-ერთი პირველი ატრაქციონია „ხილვადი ბგერა“ — ძალზედ მსუბუქი ფხვნილით სავსე — გამჭვირვალე მილაკი. მასში რამდენიმე წამის ინტერვალით გაისმის სხვადასხვა სიხშირის ბგერები. ჰაერის ტალღა მიკროსკოპული მტვრის კორიანტელს აყენებს. მაღალი ნოტები ოდნავ შესამჩნევად აფარფატებს ფხვნილის ყველაზე მსუბუქ ნამცეცებს, დაბალი ნოტები კი მილაკის მთელ შემადგენლობას აფორიაქებს. მეზობელ მონიტორებზე არის ყველაფერი, რაც ბგერის ფიზიკურ თვისებებს ეხება: სიხშირე, გავრცელების სიჩქარე წყალში, ჰაერსა თუ კოსმოსში. ეკრანზე შესაძლებელია აფეთქების სურათებისა და აკუსტიკური სქემების გამოძახებაც.

მეზობელი დარბაზები საოპერაციოს მოგაგონებთ. მონიტორებზე მოჩანს ადამიანისა და ცხოველის სასმენი აპარატის რენტგენული და ტომოგრაფიული გამოსახულება. შეგიძლიათ ნახოთ, როგორ მუშაობენ ადამიანის შინაგანი ორგანოები ლაპარაკისა და სიმღერის დროს, როგორ იცვლება ხმოვანი ტალღების გავრცელება ხველებისა და გაცივებისას. სანახაობა ძალზედ მოულოდნელია, მაგრამ არა საზიზღარი: გამოსახულება მონოქრომულია, ფერი შეგიძლიათ სურვილისამებრ აირჩიოთ. ხანდახან მოზარდები კომპიუტერულ შიგნეულობას ისეთ საზარელ ფერებად „ღებავენ“, რომ ამის შემხედვარე უფროსები დარბაზიდან გარბიან.

ხანში შესულ დამთვალიერებელს უფრო მეტად იზიდავს მუსიკის ისტორიისადმი მიძღვნილი დარბაზები.

მუსიკოს-კლასიკოსთათვის განკუთვნილი ოთახები ძალზედ თავისებურად არის გაფორმებული. მაგალითად, მოცარტის დარბაზში შეგიძლიათ ნახოთ კომპოზიტორისა და მისი მეუღლის კომპიუტერზე რეკონსტრუირებული, გასაოცრად თანამედროვე ფოტოები. აქ ღილაკზე ხელის დაჭერით შეგიძლიათ „ღამის პატარა სერენადიდან“ ნებისმიერი ინსტრუმენტის პარტია ააჟღეროთ, ან მოუსმინოთ სიმფონიას და იმავდროულად უყუროთ მონიტორს, სადაც ვიღაცის ხელი სინქრონულად აღადგენს პარტიტურის ავტოგრაფის სტრიქონებს. მომავალში ამ სათამაშოს დახვეწასაც უპირებენ: იმისათვის, რომ ნებისმიერმა მსურველმა ნაცნობი მელოდია იმღეროს, ხოლო მონიტორზე ასახულ სანოტო ჩანაწერში შემსრულებლის შეცდომები გამოჩნდეს, მონიტორს კარაოკეს შეუერთებენ.

ბეთჰოვენის დარბაზში კომპოზიტორის მუსიკის ისეთი სასმენი მილებით მოსმენა არის შესაძლებელი, როგორებითაც თავად კომპოზიტორი სარგებლობდა. მილები რამდენიმენაირია: ზოგში ნორმალურად ჟღერადი ჩანაწერი ისმის, სხვებში კი დამახინჯებული — ისეთი, როგორიც ნახევრად ყრუ ადამიანს ესმის.

ისტორიული დარბაზების გვერდით როიალისა და ვიოლონჩელოს რამდენჯერმე გადიდებული შინაგანი ნაწილების მაკეტებია.

სიცილის ოთახი

„მუსიკის სახლის“ ერთ-ერთი ცენტრალური დარბაზი წამების საკანს ჰგავს. კედლის ღრმა ნიშებში თავშეყოფილი, ან წარმოუდგენელ პოზებში მდგომი, მილაკებზე ყურმიბჯენილი

ბეთჰოვენის მუსიკას ამ მილაკებით მოისმენთ — ისე, როგორც თავად კომპოზიტორი

კლასიკოს კომპოზიტორებს „მუსიკის სახლში“ პერსონალური, სხვადასხვაგვარად გაფორმებული დარბაზები აქვთ დათმობილი



უნიკალური მოწყობილობის საშუალებით მუსიკის ფერადოვანი ხორცშესხმა ხდება

მუზეუმის დამთვალიერებლები იკრუნჩხებიან. მილებში ძალიან სასაცილო ხმები ისმის: ხველება, ხარხარი, ცემინება, მუცლის ბუყბუყი, ხვრინვა, ფხანა. მრგვალ ნიშებში კი მსოფლიოს უდიდესი ქალაქების ხმოვანი „პორტრეტებია". ზოგიერთებს მაშინვე ამოიცნობთ: მაგალითად, ვენეციაში არ არის ავტომობილების ხმაური, სამაგიეროდ, ისმის წყლის დგაფუნი, კატერების ძრავების ღმუილი და გონდოლიერთა შემახილები. შესაძლებელია აგრეთვე ნიუ-იორკის მეტროში ან სტამბოლის ბაზარზე „მოხვედრაც".

ყველაზე პოპულარული ის ატრაქციონებია, რომლებიც დამთვალიერებლებს საშუალებას აძლევს, თავად გამოსცენ და შეადგინონ ბგერები. აქ ნახავთ უზარმაზარ, მიკროფონიან ჩაფხუტებს, რომლის ჩამოცმისას შეგიძლიათ იმღეროთ და საკუთარი ხმა ორკესტრის თანხლებით მოისმინოთ. მუზეუმში არის აგრეთვე ხმაურის ეფექტების ინსტრუმენტები, რომლებიც გამოსცემს ყიყინის, ბუყბუყის, მეხის გავარდნის, წვიმის ხმას, და კიდევ მრავალი უცნაური და თავშესაქცევი სათამაშო, რომელთა შორის ყველაზე დიდი მოწონებით მაინც უზარმაზარი ეკრანის წინ მოთავსებული სადირიჟორო პულტი სარგებლობს. ეკრანზე – ვენის ფილარმონიის ორკესტრია, თავისი სრული შემადგენლობით. ელექტრონული ჯოხის აქნევით შეგიძლიათ, უდირიჟოროთ ეკრანზე მითითებულ ნებისმიერ ნაწარმოებს: რადეცკის მარშს, „ღამის პატარა სერენადასა" თუ რომელიმე პოლკას. ნაწარმოების შესრულების შემდეგ ორკესტრანტები თქვენს დირიჟორულ მონაცემებს აფასებენ. თუ პიესას, ასე თუ ისე ნორმალურად გაუძეხით – ქათინაურებით შეგამკობენ. თუ რამე არ გამოგივიდათ – თანაგიგრძნობენ, თუკი მთლად ჩაფლავდით, მუსიკოსები თქვენ კი არა, საკუთარ თავს დაადანაშაულებენ და იტყვიან: „ეს რა მოგვივიდა?! ჩვენ ხომ 100 წელია ამას ვუკრავთ! ეტყობა, რეპეტიციები დაგვაკლდა".

მოკლედ როგორც ვნახეთ, „მუსიკის სახლში" მართლაც ბევრი რამ არის საინტერესო, ახლებური და მეტისმეტად ორიგინალური, იგი დამთვალიერებელთა დეფიციტსაც არ განიცდის და მაინც წამგებიანია. მაგრამ ვენა ხომ სწორედ იმიტომ ინარჩუნებს „მუსიკის დედაქალაქის" სტატუსს, რომ სოლიდური ასაკის მიუხედავად, არაჩვეულებრივად ახერხებს ტრადიციისა და ყველაზე რადიკალური მხატვრული იდეების შერწყმას. ამის ნათელი დადასტურებაა მუსიკის ინტერაქტიული მუზეუმის გახსნა. სუპერთანამედროვე „მუსიკის სახლი" ხომ მუსიკის სფეროში იზიდავს ახალ აუდიტორას, რომელიც ტრადიციულ აკადემიურ კონცერტებზე არ დადის. და ამით იგი ავსტრიის დედაქალაქის მთავარ დევიზს ადასტურებს: „მსოფლიოში ბევრია „მუსიკალური" ქალაქი, მაგრამ ვერსად მუსიკა „ვერ გრძნობს" თავს ისე კარგად, როგორც ვენაში".

მოამზადა ნატული ჩხაიძემ

საკრავების კლავიშებზე დაჭერით ბავშვები ყიყინისა და ბუყბუყის ხმებისგან პიესებსაც კი თხზავენ

მუსიკის გარდა, ერთ-ერთ დარბაზში წარმოდგენილია სასაცილო ხმების უნიკალური კოლექცია: ხარხარი, ხვრინვა, დაცემინება...



ოცი წლის წინ, ისევე, როგორც დღეს, იტალიის ჩემპიონატი უძლიერესად ითვლებოდა მსოფლიოში.

ბევრი „წინასწარმეტყველებდა", რომ გამოჩენილი ფრანგი ფეხბურთელი, 1982 წელს „სენტ-ეტიენიდან" ტურინის „იუვენტუსში" გადასვლის შემდეგ, ვერ გაუძლებდა „იტალიურ გამოცდას". გაუძლო და მერე როგორ! ევროპის საუკეთესო ფეხბურთელის „ოქროს ბურთი" სამჯერ ზედიზედ (!) მოიპოვა! და დღემდე, პლატინი „იუვენტუსის" ყველა დროის საუკეთესო ფეხბურთელად ითვლება!

„რომანტიკული ფეხბურთის

კლასიკოსი" ჩნდა

ბვიად გურული

70-იანი წლების ბოლოს რომ ვინმეს ეთქვა, საფრანგეთში ისეთი ფეხბურთელი გამოჩნდება, ვინც გერმანელ, ჰოლანდიელ ან იტალიელ სუპერვარსკვლავებს ტოლს არ დაუდებსო, ეს განცხადება უეჭველად სკეპტიკურ ღიმილს გამოიწვევდა. მართლაც, საფრანგეთი მაშინ ერთ-ერთი რიგითი საფეხბურთო ქვეყანა იყო, მისი ნაკრები გაცილებით სუსტად თამაშობდა, ვიდრე, თუნდაც საბჭოთა კავშირისა. ფრანგული კლუბებიც, რომლებიც საერთაშორისო ტურნირებში მონაწილეობდნენ, მეტოქეთათვის როგორც წესი, „იოლ ლუკმას" წარმოადგენდნენ.

ერთი სიტყვით, ფრანგული ფეხბურთი მსოფლიო კლასიფიკაციის მეორე თუ მესამე ათეულში ტკეპნიდა ადგილს.

სწორედ მაშინ გამოჩნდა მიშელ პლატინი თავისი ქვეყნის ნაკრების შემადგენლობაში, მაგრამ ისიც თავისი მელოდიური იტალიური გვარით, ცოტა არასერიოზულად მიიღეს სპეციალისტებმა – იგი ზედმეტად მსუბუქი, რომანტიკული, მუდამ მოღიმარი და სათუთი ჩანდა იმ „სასაკლაოს" ფონზე, რომელსაც დიდი ფეხბურთი ეწოდება. ისეთებს, როგორიც პლატინი იყო, მეტოქეები განსაკუთრებული სიამოვნებით „ჩეხდნენ" და შემდეგ, გაღიზიანებულები ასე ხსნიდნენ თავიანთ საქციელს: „ფეხბურთი ბალეტი არ არის"...

მაგრამ პლატინი მაინც ავიდა საფეხბურთო ევერესტზე. თუმცა, ამისთვის ბევრი „ძვლებისმსხვრეველი" მცველის ფეხებზე გადახტომა მოუხდა, თანაც ისე, რომ სხვა დიდი ფეხბურთელებისაგან განსხვავებით, არასოდეს მიუღია სერიოზული ტრავმა. დღევანდელი გადასახედიდან ეს აღმასვლა იოლი და ძალდაუტანებელი ჩანს, მაგრამ როდესაც ახალგაზრდა პლატინი მწვერვალის ძირთან იდგა, ცოტა ვინმე თუ წარმოიდგენდა მას მწვერვალზე, „პელესა და კომპანიის" გვერდით.

თვით პლატინისაც სიზმარშიც არ უოცნებია ასეთ მიღწევებზე – დაქანცვამდე ურტყამდა კედელს გაცვეთილ ბურთს პატარა ფრანგული დაბის ძველ ეზოში და თავისი მამიკოს – ალდოს „ფანტასტიკური" კარიერის გამეორებაზე ოცნებობდა, რომელიც სამსახურიდან თავისუფალ დროს, თავისი უბნის გუნდს კაპიტნობდა. პატარა მიშელი მამამისის გოლებისა და შედეგიანი გადაცემების დაწვრილებით სტატისტიკას აწარმოებდა და ძალიან ამაყობდა ამით. რასაკვირველია, მამამისმა უმცროსი შვილი სპორტულ სკოლაში მიიყვანა (მიშელის უფროს ძმას ფეხბურთისადმი ინტერესი არასოდეს გამოუვლენია) და ისიც წარმატებით გადადიოდა კლასიდან კლასში – ფიზიკურ მომზადებაში უცვლელი „სამიანით" (თანაც მინუსით), მაგრამ ტექნიკურში – სტაბილური „ხუთიანით".

8 წლის მიშელ პლატინი

„ფიზიკურად არასოდეს ვყოფილვარ ძლიერი, – ამბობს თვით პლატინი, – სხვებზე მეტი მუშაობა მიხდებოდა, რათა რამისთვის მიმეღწია." და მიაღწია კიდეც – 17 წლისამ იუნიორთა ნაკრებში თამაშისას ისეთი გოლი გაუტანა „მეცს" 20 მეტრიდან, რომ ამ სოლიდური გუნდის ხელმძღვანელებმა უყოყმანოდ მიიწვიეს გუნდში გასასინჯად, მაგრამ ახალგაზრდა პლატინის პირველსავე დღეს იმედგაცრუება ელოდა – სამედიცინო კომისიამ იგი დაიწუნა: 90 წუთიან დატვირთვას ვერ გაუძლებსო. მიშელმა გული არ გაიტეხა და ნანსიში გაემგზავრა, რომელიც მისი დაბიდან 70 კმ-ით იყო დაშორებული. იქ უფრო შორსმჭვრეტელი ხალხი აღმოჩნდა და პლატინი პროფესიული გუნდის (პირველი დივიზიონი) სათადარიგოთა სკამზეც კი დასვეს: „ცოტა მოითმინე, მეგობარო, სკოლას დაამთავრებ და ძირითადშიც გათამაშებ" – უთხრა მას „ნანსის" მთავარმა მწვრთნელმა.

მაგრამ ეს სკოლის დამთავრებამდე მოხდა: სეზონის ბოლოს, პლატინი „ნიმის" წინააღმდეგ მარცხენა ფრთაზე, მე-11 ნომრით ათამაშეს. იმ მატჩში თავი არაფრით გამოუჩენია, თუმცა, არც „თამაში გაუფუჭებია" და მისმა გუნდმაც გაიმარჯვა – 2:1. შემდეგი შეხვედრა „ნანსის" სახელოვან „ლიონთან" ჰქონდა და ეს დღე გახდა პლატინის ბრწყინვალე კარიერის საწყისი წერტილი. მან ორი გოლი გაიტანა, პირველი – მარცხენა ფეხით „პატ-

არა სარკმელში“ (ასე უწოდებენ ფრანგები „ცხრიანს“) და მეორე – აკრობატული ნახტომით.

ამის შემდეგ გარკვეული ჩავარდნა ჰქონდა – იგი სათადარიგო შემადგენლობაში გადაიყვანეს, თუმცა მალე დააბრუნეს ძირითადში, მაგრამ სეზონის განმავლობაში მხოლოდ ორი გოლის გატანა მოახერხა, „ნანსი“ კი მეორე დივიზიონში „გავარდა“.

სწორედ მეორე დივიზიონში „დაიჭირა“ თავისი თამაში ახალგაზრდა პლატინიმ, რომელიც ხანგრძლივი კარიერის ბოლომდე აღარ „გაუშვია“ – 17(!) გოლი სეზონში და „ნანსი“ ისევ პირველ დივიზიონშია.

პლატინის მშობლები ამაყობდნენ თავიანთი შვილით – მამამისი მზად იყო საათობით ელაპარაკა მის წარმატებებზე და მისი ქება-დიდება ესმინა სხვებისგან. პოპულარული გაზეთები მუდმივად წერდნენ მიშელის შესახებ, რომელიც დღითი დღე სულ უფრო აზრიანად თამაშობდა და პროგრესირებდა, მას დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებდნენ, მაგრამ ვერც წარმოედგინათ, რამდენად დიდი იქნებოდა ეს მომავალი.

მას შემდეგ პლატინიმ უამრავი გოლი გაიტანა ოფიციალურ მატჩებში. საშუალოდ – 0,6 გოლი ერთ თამაშში. აი, ქრონოლოგიური ნუსხა მის მიერ მხოლოდ ჩემპიონატებში გატანილი გოლებისა იმ გუნდების შემადგენლობაში, სადაც უწევდა თამაში: „ნანსი“ – 17, 22, 25, 18, 12; „სენტ-ეტიენი“ – 16, 20, 22; „იუვენტუსი“ – 16, 20, 18, 12, 2. ფანტასტიკური შედეგიანობაა! ისიც გასათვალისწინებელია, რომ პლატინი არასოდეს ყოფილა თავდამსხმელი. საერთოდ, მოკლედ რომ განვსაზღვროთ – ვინ იყო პლატინი, ცხადია, არ ვიტყვით – ბომბარდირიო. იქნებ, უბრალოდ გამთამაშებელი, გუნდის „დირიჟორი“, ჭკვიანი ფეხბურთელი? ან იქნებ, სულაც საფეხბურთო გენიოსი, როგორებიც თითო-ოროლა თუ ახსოვს ამ თამაშის ისტორიას? არ გვინდა გამოვიყენოთ დაშტამპული ტერმინი – „მოაზროვნე ფეხბურთელი“, რადგან ასეთები ძალიან ბევრნი არიან. თანაც, აზროვნება გონებისთვის რაღაც ძალდატანებასაც გულისხმობს. „პლატოში“ კი (ასე უწოდებენ ფრანგები სიყვარულით) სრულიად ძალდაუტანებლად და ბუნებრივად მოქმედებდა, როდესაც ნამდვილ შედევრებს ქმნიდა საფეხბურთო მოედნებზე: ყოველთვის იქ გაჩნდებოდა, სადაც

საჭირო იყო, პარტნიორისაკენ გაუხედავად „არიგებდა“ სანტიმეტრებში გამოზომილ პასებს, „არალოგიკური“ გოლები გაჰქონდა, ხოლო ხანდახან მეტოქეებსაც „აჰიპნოზებდა“ (თვითონვე ამბობდნენ ასე). მაგალითად, 1984 წლის ევროპის ჩემპიონატის ფინალში, როდესაც საჯარიმო დარტყმიდან ბურთი პირდაპირ ესპანელთა მეკარე არკონადასკენ გაგზავნა, სახელოვანმა გოლკიპერმა ხელებში ვერ შეიმაგრა ბურთი და ეს შემდეგ პლატინის ჯადოქრობით „ახსნა“... ხანდახან, იმავე საჯარიმოების შესრულებისას, მეტოქის „ცოცხალ კედელს“ აიძულებდა ოდნავ ამხტარიყო, რათა კარის ზედა კუთხეები დაეფარა, ხოლო ბურთი მათი ფეხების ქვეშ მიძვრებოდა და გაბითურებული მეკარე მხოლოდ თვალს გააყოლებდა ხოლმე...

გავიხსენოთ ევროპის 1984 წლის ჩემპიონატი (მართლაც „პლატინის ჩემპიონატი“ – ხუთ თამაშში 9 გოლი!) და მაშინდელი ნახევარფინალური მატჩი – საფრანგეთი-პორტუგალია. დამატებით დროში, როდესაც ფრანგები 1:2-ს აგებდნენ (მაშინ ჯერ კიდევ არ მოქმედებდა „ოქროს გოლის“ წესი) პლატინი ისეთ სიტუაციაში აღმოჩნდა, როცა აუცილებელია ბურთი მიიღო და, დამუშავების შემდეგ, კარში დაარტყა. მაგრამ საჯარიმო მოედანზე მდგარმა ფრანგმა, ყველასთვის მოულოდნელად, ფეხებშუა გაატარა ბურთი, თითქოს „კეფაზე გაჩენილი“ თვალით იგრძნო მცველ დომერგის მოძრაობა, რომელიც დიდი სისწრაფით შეიჭრა საჯარიმოში და უძლიერესი დარტყმით კინაღამ გახია პორტუგალიელთა ბადე. იმავე, დამატებითი დროის ბოლო წამებზე კი, როდესაც უკვე ყველა, მატჩის შემდგომი პენალტების საყურებლად ემზადებოდა, პლატინიმ ზედ მეკარის მოედნის ხაზზე დაიწყო „კლოუნობა“: ადგილიდან დაუძვრელად მეტოქის სამი (!) მცველი დააწვინა მინდორზე ცრუ მოძრაობებით, მერე მეკარეც მიაყოლა და უძლიერესად დაარტყა ზედა ძელის ქვემოთ...

აი, კიდევ ერთი დაუვიწყარი ეპიზოდი: ამხანაგური მატჩი – საფრანგეთი-იტალია, 1978 წელი. თამაშის დამთავრებამდე ხუთი წუთით ადრე მსაჯმა საჯარიმო დარტყმა დანიშნა სახელგანთქმული დინო ძოფის კარ-



ში. პლატინი – მოკლე გამორბენი (სულ ორი ნაბიჯი) – გოლი „ცხრიანში“! მაგრამ არბიტრი არ თვლის – პლატინიმ მსაჯის სასტვენამდე დაარტყა. ისეთივე გამორბენი და... ისეთივე გოლი იმავე „ცხრიანში“ – მილიმეტრის სიზუსტით! ცხადია, ასეთი სპექტაკლების შემდეგ მთელი საფრანგეთი დითირამბებს უმღერდა პლატინის, სწორედ ისე, როგორც მანამდე რაიმონ კოპას და როგორც ახლა – ზინედინ ზიდანს.

სხვათა შორის, სავსებით უპრიანია მოედანზე თავისი ფუნქციის მიხედვით პლატინის შედარება ზიდანთან (თუმცა არა შედეგიანობით – ამაში „ალჟირელი ფრანგი“ ვერასოდეს შეედრება პლატინის) – ორივენი დირიჟორებიც არიან და მთავარი სოლისტებიც ერთდროულად. ამასწინანდელ ინტერვიუში პლატინიმ დანანებით თქვა, რომ ისეთი მოთამაშეები, როგორიც ზიდანია (ცხადია, საკუთარი თავიც იგულისხმა), თანამედროვე – სულ უფრო „მექანიკურ“ ფეხბურთში ძალიან ცოტანი დარჩნენ.

1982 წელს ბევრი იტალიური გუნდი სთავაზობდა კონტრაქტს ვირტუოზს, მაგრამ პლატინიმ „იუვენტუსი“ არჩია. როდესაც იგი ამ დიდ გუნდში მივიდა, ვერავინ წარმოიდგენდა, რომ ეს ადამიანი „ბებერი სენიორას“ უცვლელი კაპიტანი და „მთავარი კოზირი“ გახდებოდა. პირველ ხანებში პლატინი მხოლოდ თვალს ადევნებდა თავის თანაგუნდელებს, ძალიან ფრთხილობდა და ამის დადასტურება ის იყო, რომ არასოდეს ებმებოდა ძალისმიერ ბრძოლაში, თუმცა თავისი სტილის მიუხედავად, არასოდეს უჭირდა უხეშ მცველებთან თამაში.

პირველსავე სეზონში 16 გატანილი გოლის შემდეგ, პლატინი ტურინელი „ტიფოზების“ კერპი გახდა. მათ არა მხოლოდ მისი იტალიური გვარი მოეწონათ, არამედ შეუპოვრობა, სიმშვიდე და სიმსუბუქეც. სწორედ ამ წელს შეამჩნია ბევრმა პლატინის გარეგნული იმიჯის საინტერესო თავისებურება – ყოველთვის ზემოდან გადმოშვებული მაისურით თამაშობდა, რაც გუნდში დამკვიდრებული ტრადიციით, „არაეთიკურად“ ითვლებოდა (ახლა საერთოდ აიკრძალა ფიფას მიერ), მაგრამ ამით მიშელი თავისი სხეულის არაპროპორციულობის დაფარვას ცდილობდა – მას ტანთან შედარებით, გაცილებით მოკლე ფეხები ჰქონდა. ამიტომ ეს „დარღვევა“ ადვილად აპატიეს გულშემატკივრებმა.

კიდევ ერთი თავისებურებით გამოირჩეოდა პლატინი – ამჯერად საყოველთაო განსჯის საგანი მისი სიარულის მანერა გახდა – ის თითქოს ზანტი, მოუქნელი იყო. მაგრამ ესეც მისი ფიზიკური ნაკლით ახსნეს – ტერფის არანორმალური სიგანით. სამაგიეროდ, ეს „ნაკლი“ ფეხბურთელს სხვაგვარად ეხმარებოდა – ძალიან მყარად იდგა ფეხზე და მძლეოსანს არ ჩამოუვარდებოდა სიმაღლეზე ხტომაში...

პლატინის ძალიან უყვარდა მარტოობა – ერთხელ ის კაფეში იჯდა და საუზმობდა. მასთან მისი თანაგუნდელი, ასევე დიდი იტალიელი ფეხბურთელი პაოლო როსი მივიდა და მეგობრების მაგიდასთან მიიპატიჟა. პლატინიმ უპასუხა:

– მე ყოველთვის მარტო ვჭამ. კარგად დაიმახსოვრე!

მის ხასიათში ერთმანეთს ერწყმოდა სიმორცხვე და გულჩახვეულობა, ბანალურობა და პატივმოყვარეობა... ამ წინააღმდეგობრიობას კი იმით ხსნიდნენ, რომ პლატინი ტყუპების ზოდიაქოში იყო დაბადებული.

1983-84 წლების სეზონი საუკეთესო იყო მის კარიერაში: „იუვენტუსი“ იტალიის ჩემპიონი გახდა, საფრანგეთმა კი – ევროპის პირველობაზე იმარჯვა. ამ დროს მსოფლიო ფეხბურთში, „სამხელისუფლებიანობა“ დამყარდა: მარადონა, ზიკო, პლატინი. ცხადია, ძნელი იყო მათში საუკეთესოს გამორჩევა, მაგრამ ერთი რამ ნათელია – პლატინი ისტორიაში შევიდა!

პლატინი უკვე მნიშვნელოვანი პერსონა გახდა და თავისი „ხუშტურების“ გამოვლენასაც აღარ ერიდებოდა, მაგრამ ყველაზე მეტად პაპარაცებს ვერ იტანდა, რადგან ძალიან დიდ ყურადღებას აქცევდა საზოგადოებრივ აზრს, მტკივნეულად განიცდიდა პრესაში გამოჩენილ მსუბუქ კრიტიკასაც კი.

თუმცა ხალხთან, გულშემატკივრებთან იგი ყოველთვის გულგახსნილი და უშუალო იყო, თუკი ისინი მის პირად ცხოვრებაში არ ჩაერეოდნენ...

ბოლო ორი სეზონი პლატინისთვის შედარებით წარუმატებელი აღმოჩნდა, იგი დიდ დაღლილობას გრძნობდა, თანაც ხედავდა, რომ მისი დიდება მთლიანად დაფარა მარადონამ და პლატინიმ ფეხბურთიდან წასვლა გადაწყვიტა...

პლატინის ბედი და ცხოვრება ფეხბურთის გარეთაც საოცრად გაწონასწორებული და უშფოთველია. იგი საფრანგეთის ნაკრებსაც წვრთნიდა, საფეხბურთო კომენტატორადაც მუშაობდა, სხვადასხვა თანამდებობაც ეკავა ეროვნულ ფედერაციასა და ფიფაში, 1998 წელს საფრანგეთში ჩატარებული მსოფლიო ჩემპიონატის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარეც იყო...

პლატინი ყოველთვის პროგრესისკენ მიისწრაფვის – იგი ერთ-ერთი ინიციატორი იყო ახალი წესის დანერგვისა, რომლითაც მოთამაშეს საკუთარი მეკარისთვის ბურთის დაბრუნება აეკრძალა, ახლა კი ფიფაში საკუთარ პროექტებს ახორციელებს: ეროვნული ფედერაციებისთვის თანხების გამოყოფა, რათა ისინი უფრო დამოუკიდებელნი გახდნენ ხელისუფლებისაგან, და ნაკრებებისა და კლუბების თამაშების ჰარმონიული კალენდრის შექმნა – რითაც ფეხბურთელები ნაკრების ინტერესებსაც სრულად დაიცავენ და არც საკლუბო მატჩების გამოტოვება მოუწევთ.

თუმცა ზოგჯერ პლატინი აღიარებს, რომ „ყელში ამოუვიდა“ ფეხბურთი და მართლაც – იგი სულ უფრო ხშირად გოლფის პატარა ბურთს არჩევს ფეხბურთის ბურთს...

მან ეს დასვენება ნამდვილად დაიმსახურა...



1940 წლის 18 ნოემბერს თბილისში, ხელოვნების მუშაკთა სახლში დანიშნული იყო აკადემიკოს ივანე ჯავახიშვილის ლექცია თემაზე: „ქართული ფილოლოგიისა და ძველი მხატვრული მწერლობის ისტორიის ამოცანები“. დარბაზი გადავსებული იყო. ბატონმა ივანემ ლექციის კითხვა დაიწყო. სამწუხაროდ, მხოლოდ 38 წუთი კითხულობდა. თავი ცუდად იგრძნო, მაგრამ არ უნდოდა, ტკივილს დამორჩილებოდა. ერთი თვითმხილველი იხსენებდა — ის „თითქოს მსმენელთ ერიდებაო, უნდა თავი არ ჩაქინდროს და თავი ჯერ მარცხნივ გადაიქნია, მერე მარჯვნივ, იდაყვზე დაყრდნობით ხელისგულზე დადო“... პირველი სცენაზე აკაკი შანიძე აიჭრა თურმე... „ყველა იქ მყოფთ ძარღვებში სისხლი გაუშრათ, გონება დაებნათ, ყველა შიშის ზარმა აიტანა... მთელი საზოგადოება შეშფოთდა და შეძრწუნდა, მღელვარებამ მოიცვა მთელი თბილისი...“ ლექციის კითხვისას გარდაიცვალა ივანე ჯავახიშვილი. 21 ნოემბერს ღვაწლმოსილი მეცნიერი უნივერსიტეტის ბაღში დაკრძალეს.

ივანე ჯავახიშვილი:

„ძძიმე ტვირთის გამნაწილებელი არავინ მყოლია“

ლელა ჩიყამვილი

ივანე ჯავახიშვილი თბილისში 1876 წლის 11 აპრილს დაიბადა. მამა — ალექსანდრე ჯავახიშვილი პედაგოგი იყო, დედა — სოფიო ვახვახიშვილი — მშვენიერი, მჭევრმეტყველი ქალბატონი. მშობლები თავიანთ შვილებს (მათ 6 შვილი ჰყავდათ) ქართული ხალხური სიტყვიერებისა და ცეკვა-სიმღერების სიყვარულით ზრდიდნენ. თურმე მთელი ოჯახი შეიკრიბებოდა, ჰყვებოდნენ ზღაპრებს, მღეროდნენ. აქ შეიყვარა ივანე ჯავახიშვილმა „ძუძლი ძუხასა“, რომელიც სიცოცხლის ბოლომდე მისი უსაყვარლესი სიმღერა იყო.

1885 წელს თბილისის მესამე გიმნაზიაში შევიდა. სამი წლის შემდეგ კი პირველ გიმნაზიაში განაგრძო სწავლა. მისი საყვარელი საგნები ყოფილა ბერძნული ენა და მწერლობა, ისტორია. მეხუთე კლასიდან ისტორიას საბინ-გუსი ასწავლიდა. ბატონი ივანე იხსენებდა: „კლასში ამხანაგებს შორის ისტორიის საუკეთესო მცოდნის სახელი მქონდა მოხვეჭილი... მთელ ჩემს დროს სამეცნიერო წიგნებისა და ჟურნალების კითხვას ვანდომებდი“.

ივანე ჯავახიშვილი შესანიშნავად ხატავდა. იმდენად, რომ დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებდნენ ამ სფეროში, მაგრამ მეცნიერულმა ინტერესმა სძლია. მალე მიხვდა, რომ გიმნაზიაში მიღებული დავალებების შესრულება არ შეეძლო. მასწავლებელი გაკვირვებული ეკითხებოდა: რა დაგემართა, რა მოგივიდა, წინათ თხზულებებს ისე კარგად წერდი, ახლა კი ასე ცოტას წერო... „მრცხვენოდა და ვერ ვუთხარი, რა მიზეზიც იყო: სასკოლო ვარჯიშობა მომბეზრდა და აღარ მაკმაყოფილებდა, სამეცნიერო თხზულებები მაინტერესებდა“.

გიმნაზიის დამთავრების შემდეგ, პეტერბურგის უნივერსიტეტში განაგრძო სწავლა. მისი პედაგოგები იყვნენ პროფ. ალექსანდრე ცაგარელი და პროფ. ნიკო მარი. 1895 წლის 5 სექტემბერს ივანე ჯავახიშვილი დებს „ხელწერილს მასზედ, რომ საიმპერატორო ს. პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტად ყოფნის პერიოდში ვალდებულებას ვიღებ არა თუ არ გავხდე წევრი რომელიმე საიდუმლო საზოგადოებისა, არამედ თითოეულ ცალკეულ შემთხვევაშიც, უშუალო უფროსების ნებართვის გარეშე არ შევიდე წევრად კანონით დაშვებულ საზოგადოებაში, ასევე არ მივიღო მონაწილეობა რაიმე ფულადი შენატანებით. ჩემ მიერ ამ აღთქმის გატეხვის შემთხვევაში ვექვემდებარები დაუყოვნებლივ გარიცხვას დაწესებულებიდან და მერომევა ყველა უფლება ჩემ მიერ იმ ფულადი თანხების მიღებაზე, რომლებიც ნებადაურთველი მიზნისთვის შეიკრიბა“. ივანე ჯავახიშვილმა ამ დოკუმენტს თურმე ღიმილით მოაწერა ხელი და... არასოდეს შეუსრულებია ზემოთ ჩამოთვლილი პირობები. პეტერბურგში ჩასვლისთანავე, ქართველ სტუდენტთა სათვისტომოს ერთ-ერთი ყველაზე აქტიური წევრი გახდა.

1898 წლის არდადეგების გატარება კენიგსბერგში გადაწყვიტა. მთელი ოჯახი მხარში ამოუდგა. მატერიალურადაც დაეხმარნენ, მორალურადაც... საოცრად თბილ წერილებს სწერდნენ ოჯახიდან ივანე ჯავახიშვილს. დედა ყოველ წერილს ასე ამთავრებდა: „დაგკოცნი უანგარიშოდ“... და — ეკატერინე კი სთხოვდა: „არ გვინდა შენი პროფესორობა, თუ ჯანმრთელობა არ დაგრჩა“... ცნობილია, რომ ივანე ჯავახიშვილს ჯანმრთელობა მართლაც შეერყა. სტუდენტობისას კრემიანი ფუნთუშით მოიწამლა. ამის შემდეგ კუჭ-ნაწლავი საბოლოოდ დაუზიანდა და მთელი სიცოცხლის მანძილზე დიეტაზე უწევდა ყოფნა. თუმცა, ეს ამბავი მეცნიერს ნაკლებად აწუხებდა და შრომის ნაყოფიერებასაც ვერ უქვეითებდა.

მესამე კურსზე იყო, როცა სერიოზული სამეცნიერო ნაშრომი დაწერა და კონკურსზე წარადგინა. ოქროს მედლით დააჯილდოეს. მედლის გადაცემა უნივერსიტეტში, საზეიმო ვითარებაში ხდებოდა. ამ სიტუაციაში, ბუნებით მოკრძალებულმა ივანემ, უარი თქვა ჯილდოს მიღებაზე. „არა ვარ ამგვარ დემონსტრაციულ გამოსვლებს დაჩვეული“. ეს ოქროს მედალი ჯავახიშვილს რამდენიმე დღის შემდეგ კანცელარიაში მიუღია. ეს იყო ერთადერთი პრემია, რომელიც მან თავისი ნაშრომისათვის სიცოცხლეში მიიღო. თურმე ძალიან აფასებდა და სათუთად ინახავდა ამ ჯილდოს. მაგრამ ერთხელ, გაუსაძლის გაჭირვებაში მყოფს, დაუგირავებია 120 მანეთად. გამოსატანად მხოლოდ ერთი დღის დაგვიანებით მისულა. გავყიდეთო, მოუტყუებიათ და მედალი არ მიუციათ... ასე დაკარგა ის ერთადერთი ჯილდო დიდმა ივანე ჯავახიშვილმა.

ცოდნის სრულყოფისათვის ბერლინში იყო მივლინებული. საქართველოში დარჩენილი დედა დიდი შიშითა და სიყვარულით სწერდა: „ჩემო სიხარულო, შვილო ვანო! როდის დაბრუნდები პეტერბურგში? მაშინვე ლექციებს მოგცემენ, თუ არა, თუ რომ არ დაიწყებ კითხვას ლექციებისას, საღდგომოდ აქ ხომ არ მოხვალ? თუ აქ დაბრუნ-

დები, ისევ თბილისში დავიჭერ სახლს, რადგან მანც შენთვისაც საჭირო იქნება ოთახიც და სადილიც...“ ისევ ვერ ახერხებენ ბინის შეძენას. ალექსანდრე ჯავახიშვილის ოჯახს საკუთარი სახლი არასოდეს ჰქონია თბილისში...

მთელი არსი მეცნიერის ცხოვრებისა, მუშაობაში იყო. პალესტინაში გაემგზავრა ნიკო მართან ერთად. იქაც კვლევა-ძიებით იყო დაკავებული. ტიტანური სამეცნიერო შრომა მას სულაც არ უბიძგებდა ე.წ. „მეცნიერული განდეგილობისაკენ“. 1905 წელს, ზაფხულში გაიცნო მუსიკალური ნიჭით დაჯილდოებული 22 წლის ქალიშვილი, ანასტასია ჯამბაკურ-ორბელიანი. ის ვიოლინოზე უკრავდა მთელი გრძნობით. 30 წლის ივანე კი აღფრთოვანებული და შეყვარებული უყურებდა. 1906 წლის 30 ოქტომბერს პეტერბურგში ახალგაზრდებმა ჯვარი დაიწერეს. 1908 წელს მათ პირველი ქალიშვილი – ნათელა შეეძინათ, შემდეგ ვაჟიშვილები – კახა და ალექსანდრე (ლალი).

მუდმივ მატერიალურ სიდუხჭირეს განიცდიდა ივანე ჯავახიშვილი. ორბელიანებისეულ სახლში, სადაც მისი ოჯახი ცხოვრობდა, მუდმივად ჭერიდან წვიმა ჩამოსდიოდა. ოჯახის წევრებს სახლში ქოლგებით სიარული უწევდათო – იხსენებს წლების შემდეგ ბატონი ივანეს შვილიშვილი. ხელნაწერები რომ არ გაჰფუჭებოდა, დიდი მეცნიერი ოთახის ერთი კუთხიდან მეორეში „მიაცურებდა“ თავის სამუშაო მაგიდას. მთელი სიცოცხლე ასეთ სიდუხჭირეში გაატარა... მაგრამ არასოდეს დაუჩივლია...

გაზეთი „მეგობრობა“ იმ პერიოდში წერდა: „ამას წინათ, ერთმა ჩვენმა ახალგაზრდა მეცნიერმა ასი თუმანი ვერ იშოვნა, რომ დაებეჭდა თავისი გამოკვლევა, ორ-სამ ტომად დაწერილი ისტორია საქართველოსი“. ალბათ მიხვდით – ეს ახალგაზრდა მეცნიერი ივანე ჯავახიშვილი იყო... ბოლოს, ნანატრი დღეც დადგა: დაიწყო ქართველი ერის ისტორიის გამოცემა. არსებობს ერთი სახუმარო წერილი, ივანე ჯავახიშვილის მიერ დაწერილი: „1908 წ. სექტემბრის ე-სა, მე, ქვემორე ამის ხელისმომწერმან, ივ. ჯავახიშვილმა მოგყიდეთ თქვენ, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას „საქართველოს ისტორიის“ სახელმძღვანელოს I ნაწილი და მივიღე ფასი სრული, რითაც ჩემი გული შესჯერდებოდა (10 თუმანი). გქონდეთ და გიბედნიეროთ ღმერთმან. მოვალე ვარ ამ თხზულების მეორე ნაწილიც თქვენ მოგყიდოთ. არის ამის მოწმე თავად ღმერთი, ხოლო კაცთაგან გამგეობის წევრი პ. სურგულაძე და მდივანი ს. ფირცხალავა.“

ივანე ჯავახიშვილი ზაქარია ფალიაშვილთან მეგობრობდა. კომპოზიტორმა მეგობარს ილია ჭავჭავაძის სიტყვებზე დაწერილი რომანსი „ნანა, შვილო, ნანინავ“ მიუძღვნა. ბატონი ივანე აღფრთოვანებულა. ზაქარიას კი მიუწერია: „რაც შეეხება, „ნანა, შვილო, ნანინას“, რომელიც მე თქვენ გიძღვენით, სრულიად მადლობად არა ღირს და მერწმუნეთ, თქვენ როგორც ერთადერთი გულწრფელი მოტრფიალე ქართული ხელოვნებისა, ბევრად მეტის ღირსი ხართ“.

დიდი ტრავმა იყო ივანე ჯავახიშვილისათვის უმცროსი ძმის გარდაცვალება. თურმე ყოველთვის ახსენდებოდა მოხუცი მამის შეძრწუნებული თვალები, რომელიც დაინახა სადგურში, ძმის ნეშტი რომ ჩამოასვენეს... ერთ წელიწადში ალექსანდრე ჯავახიშვილიც გარდაიცვალა.

ივანე ჯავახიშვილს უდიდესი ღვაწლი მიუძღვის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გახსნაში. 1918 წლის 26 იანვარს (ახ. სტ. 8 თებერვალს) თბილისში „საზეიმო შეკრებილობამ“ დაადგინა: მადლობა გადავუხადოთ ქართული უნივერსიტეტის დამაარსებელს ივანე ჯავახიშვილსო. ხალხი ხანგრძლივი ტაშითა და ოვაციებით შეხვდა ახალგაზრდა – 42 წლის მეცნიერს, რომელმაც უდიდესი ძალისხმევით იხსნა საუნივერსიტეტო საზოგადოება დაშლისაგან და უნივერსიტეტის გახსნის თარიღი უვადო გადადებისაგან.

უნივერსიტეტი გაიხსნა. მაშინ ვარაზის ხევი ამოვსებული არ იყო. უნივერსიტეტამდე ხიდით გადიოდნენ. თანამედროვეებს ახსოვდათ, როგორ მოჰქონდათ მაშინდელი „კონკით“ წიგნები უნივერსიტეტისათვის აკაკი შანიძეს, გიორგი წერეთელს, ივანე ჯავახიშვილს. ისინი კოფოზე ისხდნენ და თავში აზრად არ მოსდიოდათ, რომ მათი შრომისათვის ვინმეს შეიძლებოდა ანაზღაურება დაენიშნა... ან უბრალოდ საკუთარი წიგნები უსასყიდლოდ არ გადაეცათ „ცოდნის ტაძრისათვის“. ეს იყო უზადო, უანგარო ენთუზიაზმი, რომელმაც ერის სული იხსნა.

1919 წ. 17 დეკემბერს ივანე ჯავახიშვილი რექტორად აირჩიეს.

სისხლსავსე ცხოვრებით ცხოვრობდა. სიკვდილამდე 3 წლით ადრე უთქვამს: „ჩემდა საუბედუროდ, შრომისა და მძიმე ტვირთის გამნაწილებელი არავინ მყოლია და მოუცლელობის გამო ისეთ მდგომარეობაში ვიყავი ჩავარდნილი, რომ ერთხელ დაწერილის შემოწმებისთვისაც დრო არ მქონია“.

საშინელი 20-იანი, 30-იანი წლები ივანე ჯავახიშვილისთვისაც მძიმე იყო და ტკივილით აღსავსე. ფიზიკურად არ გაუნადგურებიათ, მაგრამ საშინელ ცილს სწამებდნენ, როგორც მეცნიერს, მოაზროვნეს მისი არც ერთი ნაშრომი ხომ არანაირი პრემიით, ჯილდოთი აღარავის აღუნიშნავს სტუდენტობის შემდეგ. მაგრამ სულით ძლიერი მეცნიერი წერდა: „ამაზე მეტი ვეღარაფერი გადამხდება... ბედმა ბევრი უსიამოვნება მარგუნა, მეტადრე უკანასკნელ ათეულში და ერთადერთი ნუგეში ჩემთვის კვლევა-ძიება იყო. ყოველთვის ასეთ შემთხვევაში საშინელი მღელვარება მიმშვიდდებოდა და მოყენებული უსამართლობის სიმწარე მავიწყდებოდა ხოლმე“.

მუდამ მორიდებული, ჩუმი, მაგრამ დაუღალავი მამულიშვილი პირნათლად ასრულებდა საკუთარ ვალს. ყველაფრის მიუხედავად, განაგრძობდა შრომას. ქართველი ერის ცნობიერების გადარჩენაშიც მას უდიდესი ღვაწლი მიუძღვის. ■

სხედან: ალ. წერეთელი, ა. შანიძე, ი. ჯავახიშვილი, გრ. ნათაძე,
დგანან: ი. ცინცაძე, ლ. ანთაძე, გ. გოზალიშვილი, ლ. მუსხელიშვილი. 1932 წ.

ლიმონი

ბესიკ კეკელიძე

გურამ კალანდაძე მაყაშვილის ქუჩის ბოლოში, მთაწმინდის ძირში, მამაპაპისეული სახლის მეორე სართულზე ცხოვრობდა. ორმოცდაცხრა წლის კაცი ბავშვობიდანვე მიწის სიყვარულით იყო გაჟღენთილი. საკუთარ პატარა ეზოში ყვავილებისა და სხვადასხვა მცენარის გაუთავებელი მოვლა-პატრონობით იყო დაკავებული. აკი ამიტომაც, მამამისმა სასოფლოში ჩაბარებინა. უმაღლესის დამთავრების შემდეგ, ოცდაორი წლის ბიჭი, ფუნიკულიორზე ასასვლელი ტრამვაის სადგურის ძირში, ნიაღვრის ქუჩაზე, ერთ პატარა, ბოტანიკის კვლევით ინსტიტუტში გაანაწილეს. იმ დღიდან დაწყებული, საყვარელმა საქმემ მორევივით ჩაითრია, ჩაიყოლა და შთანთქა. რამდენიმე წელიწადში საკანდიდატო დისერტაცია დაიცვა. მისი ნაშრომის თემა ოთახის პირობებში ლიმონის ახალი ჯიშის გამოყვანას ეხებოდა.

სახლის შუშაბანდი ლიმონარიუმად აქცია. უამრავი ჯიშის ლიმონის ხეებს შვილივით უვლიდა. ყველას თავისი სახელი დაარქვა, განსაკუთრებით მისივე გამოყვანილი „ქართული ლიმონი“ უყვარდა, რომელსაც მოფერებით „ჯუჯიკოს“ ეძახდა.

სამსახურისგან თავისუფალ დღეებში, შაბათ-კვირას, ყველა ხეს ნამიანი ტილოთი ტყავისებრი ფოთლებიდან მტვერს აცლიდა, ელოლიავებოდა, საათობით გვერდით ედგა და ესაუბრებოდა. თვეში ერთხელ რაიონიდან სასუქიანი მიწა ჩამოჰქონდა და მცენარეებს ნიადაგს უახლებდა.

გაზაფხულიდან დაწყებული, გვიან შემოდგომამდე, ლიმონები თეთრი ყვავილებით გადაიპენტებოდნენ ხოლმე. მთელ ბინაში სასწაული, არომატული სუნი იდგა. შრომამ ნაყოფი გამოიღო და ყოველწლიურად საკმაოდ კარგ მოსავალს იღებდა. მთელ ნათესაობას, სამეგობროსა და სამეზობლოს ლიმონით ამარაგებდა. ბედნიერი იყო გურამი. მისი ცნობიერება „ანი“-დან „ჰაე“-მდე ლიმონით იყო დაკავებული.

სამსახურში ფეხით დადიოდა. ხელებს უკან დაიწყობდა და დინჯი, აუჩქარებელი ნაბიჯით მიუყვებოდა ვერიდან მთაწმინდაზე მიმავალ გზას. ტვერელის ეკლესიასთან აუცილებლად შეჩერდებოდა, პირჯვარს გადაიწერდა და ჩაფიქრებული გზას განაგრძობდა. პანთეონის ასასვლელ ქვაფენილთანაც შეჩერდებოდა, მამადავითს ახედავდა, იქაც პირჯვარს გადაიწერდა და თავდაღმართს ჩაუყვებოდა. არა, იგი მორწმუნე არ იყო. მას ისეთ დროს მოუწია ცხოვრება, როდესაც ბავშვობიდანვე სარწმუნოების მიმართ გრძნობა გაუსულერთეს. გურამმა იცოდა, რომ ყოველი ეკლესია სამყაროს შემოქმედის სახლი იყო. გულის სიღრმეში პატივს მიაგებდა ღმერთს, იტყოდა ხოლმე:

— შენ სამყარო შექმენი, დიდი შემოქმედი ხარ. მე „ქართული ლიმონი“ შევქმენი, პატარა შემოქმედი ვარ, — მაგრამ შიგნით შესვლის სურვილი არასოდეს დაჰბადებია.

სამსახურში მისი საქმიანობა ლიმონს დასტრიალებდა. საბჭოთა კავშირის სხვადასხვა კუთხიდან გამოყვანილი ნერგების შეკვეთებს ვერ აუდიოდა. შესაბამისად, შემოსავალიც დიდი ჰქონდა, მაგრამ მატერიალური სიმდიდრე მისთვის არაფერს წარმოადგენდა. მთელი ფული შემნახველ სალაროში შეჰქონდა.

გზადაგზა მშობლები შემოეცალნენ. ორმოცი წლის ასაკში ეულად დარჩა თავის ლიმონებთან ერთად. მაშინღა გადაწყვიტა დაოჯახება. მის თანამშრომელ დალის, რომელიც ფარულად სულ მოსწონდა, მაგრამ ამ საქმისთვის არასოდეს ეცალა, ხელი სთხოვა. ქალს ბევრი არ უფიქრია, გურამს მშვენივრად იცნობდა და დასთანხმდა. ბინას სახელდახელო კოსმეტიკური რემონტი ჩაუტარა. ერთ მშვენიერ დღეს დალი თავის ახლობლებთან ერთად სახლში დაპატიჟა. ნათესავი ქალები მიეხმარნენ ბინის დალაგებასა და პურმარილის მომზადებაში.

გურამი წვერის პარსვის დროს, შეიძლება ითქვას პირველად დააკვირდა საკუთარ თავს სარკეში. ოდესღაც კუნაპეტ შავ თმას ჭაღარა სარეველასავით მოსდებოდა, ლოყები ჩასცვენოდა, სახის ფერი გაფერმკრთალებოდა.

— პატრონი მჭირდება, ოჯახს დიასახლისი უნდა, — ჩაილაპარაკა და აბაზანიდან შუშაბანდში ლიმონებთან გასწია, — ჯუჯიკო, ხომ მოგეწონება და დაუმეგობრდები დალის? ვილიკო, შენც? ჯენო, შენც? — ეჩურჩულებოდა ხეებს. ვერც კი გაიგო, თავს ისე წამოადგა დალი თავისი მაყრით. გურამი სტუმრებს შეეგება და გაშლილ სუფრასთან მიიპატიჟა. შემდეგ დალის მიმართა:

— წამოდი, ჩვენი ოჯახის წევრები უნდა გაგაცნო, — ქალს ხელკავი გაუყარა და შუშაბანდისკენ გაუძღვა, — აბა, გაიცანით, — წარუდგინა მომავალი მეუღლე შვილებივით ნაზარდ მცენარეებს, — ეს ჩვენი დიასახლისი, უკაცრავად, მომავალი დიასახლისი, დალია. გთხოვთ, პატივი მიაგოთ მის მობრძანებას, — ოდნავ დაბნეული გამოიყურებოდა მასპინძელი. შემდეგ ყოველი ხე დიდი სიყვარულითა და მონდომებით დაახასიათა. ბოლოს, თავის შექმნილ „ქართულ ლიმონთან“ შეჩერდა, — შეხედე, რა ლამაზია. როგორ ყვავის. რა სქელი ღერო და ტოტები აქვს. პატარა კი არ არის, მეთექვსმეტე წელიწადშია. სამას ლიმონამდე იძლევა ერთი ძირი. მოგწონს?

— ძალიან, — გაუღიმა დალიმ და

ლიმონის ყვავილების არომატით გაჯერებული ჰაერი ღრმად ჩაისუნთქა.

— ჰო, სულ დამავიწყდა, ჯუჯიკო ჰქვია. ეს დალია, რომ გიყვებოდი, — შუშაბანდიდან გასვლისას გადაულაპარაკა ციტრუსის ხეს.

***

ერთ თვეში გურამმა და დალიმ იქორწინეს. მათ შეუღლებას საბჭოთა კავშირის დაშლა მოჰყვა. ქვეყანა აირია, დაირია და გადაირია. ქაოსი, რომელიც ირგვლივ დამკვიდრდა, ყველას ბატონი გახდა. ადრე არსებული ფასეულობები შეიცვალა, გაუფერულდა და ვითომც არარსებულა, უკვალოდ გაქრა. ცხოვრებამ სხვა პირობები წაუყენა ხალხს.

ქორწილიდან ერთი წლისთავზე ვაჟი შეეძინათ. გურამმა შვილს მამამისის სახელი, შოთა დაარქვა. ერთადერთი, რაც შემნახველ სალაროში შეტანილი ფულით შეიძინა, ავეჯი იყო, ისიც დალის დაჟინებული თხოვნით. დარჩენილი ოცი ათასი მანეთი, როგორც გველეშაპმა, ისე ჩაყლაპა სახელმწიფომ.

ქვეყანაში აგორდა, აზვირთდა უბედურება და გაჭირვება.

— დალი, ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, თითქოს მთელი ცხოვრება კონსერვის ქილაში ვცხოვრობდი, — შეშფოთებული ეტყოდა ხოლმე მეუღლეს.

ოჯახს საშინლად გაუჭირდა. გურამი სამსახურში თვეში ერთი-ორჯერ თუ გაივლიდა, ისიც თანამშრომლებთან სალაზღანდაროდ, თორემ ბოტანიკა, მით უმეტეს ლიმონები, არავის სჭირდებოდა. ხელფასიც ოცდათხუთმეტი ლარი ჰქონდა.

ბავშვი კი სოკოსავით იზრდებოდა. მას არ აინტერესებდა გაჭირვება. იგი თავისას ითხოვდა. ცოლ-ქმარმა ოჯახიდან ყველაფერი ფასეული გაყიდა, ქორწინების ბეჭდების ჩათვლით.

***

როგორც ქვეყანა, ისევე ღაფავდა სულს შემოდგომა. გურამმა ზამთრისთვის თადარიგი დაიჭირა და თუნუქის შეშის ღუმელი შეიძინა. ვაჟიშვილთან ერთად მთაწმინდის ფერდობებზე დაეხეტებოდა და შეშას აგროვებდა.

— მამიკო, მასწავლებელმა დაგვავალა, რომ ორშაბათს ორი ლარი მივიტანოთ, — ზურგზე მოკიდებული ფიჩხის პატარა შეკვრა გაისწორა შოთიკომ.

— რისთვის სჭირდება?

— ზამთრისთვის ნავთქურა უნდა ვიყიდოთო.

— აა, — ჩაფიქრდა გურამი, — რაღაცას ვიზამ, მამიკო, — გადაუსვა თავზე ხელი.

სახლში დაბრუნებულმა მამა-შვილმა ხმელი ტოტები და ფიჩხი კიბის ქვეშ დააბინავა.

— დალი, ერთი ცელოფანის პარკი გამომიტანე, — ტანთ არც გაუხდია, ისე გადაულაპარაკა მეუღლეს და შუშაბანდში გავიდა.

ცოლმა პარკი მიუტანა:

— რაში გჭირდება?

— ლიმონებს შევაგროვებ და ბაზარში ჩავბარებ, — გურამი ციტრუსის კრეფას შეუდგა. ასოცი ცალი პარკში ჩააწყო და სახლიდან გავიდა. მეტროთი დეზერტირების ბაზართან მივიდა. ასასვლელ კიბეზე უამრავი ლიმონი იყიდებოდა. ჩასუქებულ მამაკაცს მიუახლოვდა:

— უკაცრავად, ლიმონს ჩაიბარებთ? — იკითხა მორიდებით.

— რა ლიმონი გაქვს, ძია? — კბილებში გამოსცრა უცნობმა.

— ქართული ლიმონი, — თითქოს ხმა ჩაუწყდაო, ძლივს ამოღერღა გურამმა.

— მერე, რამდენად ჩამაბარებ?

— თქვენ ათ ცალს ლარად ყიდით, მე თხუთმეტს ჩაგაბარებთ ლარად, — პასუხის მოლოდინში გაირინდა, თვალები გაუფართოვდა გურამს.

— არა, ძმაო, — ხროტინა ხმით ჩაილაპარაკა ვაჭარმა, — ვის რად უნდა შენი ქართული ლიმონი. თურქულ და ბერძნულ ლიმონს მიაქვს ბაზარი...

— იცით, ჩემი ლიმონი განსაკუთრებული ჯიშისაა, — გააწყვეტინა დამცინავი საუბარი ლიმონით მოვაჭრეს.

— აბა, მანახე, — ლიმონებზე მიუთითა უცნობმა.

გურამმა პარკი გახსნა. ვაჭარმა თავისი ბანჯგვლიანი ხელი ჩაყო, რამდენიმე ციტრუსი ამოიღო და ხელისგულზე დადებულ სამ ლიმონს დააცქერდა:

— რა? რითია შენი ლიმონი განსაკუთრებული? მღერის თუ ცეკვავს? — ახლა უკვე ღიმილი დაედო სახეზე, — ჯანგირას ლიმონს ასწავლი? დავბერდი კაცი ამ საქმეში.

გურამს ისეთი შთაბეჭდილება დარჩა, თითქოს მთელი განვლილი ცხოვრება ამ ვაჭრის ხელისგულზე იდო. სიმწრისგან ნერწყვი გადაყლაპა და წყნარად ჰკითხა:

— ჩაიბარებ?

— ბიძა, ბერძნულ და თურქულ ლიმონს ოც ცალს ვიბარებ ლარში. აი, შენსას კი — ოცდაათს ჩავიბარებ ლარში. თუ გაწყობს გავსწორდეთ, თუ არა და, კარგად იყავი.

გურამმა ერთი ამოიოხრა და დასთანხმდა. უცნობმა ოთხი ლარი გადაუხადა. იქვე, ბაზარში ორი ლარის ბოსტნეული შეიძინა და სახლში დაბრუნდა.

— შოთიკო, მოდი, მამა, აი, ორი ლარი და სკოლაში წაიღე, — ფული გაუწოდა ბავშვს.

მამა-შვილი ორშაბათ დილით სახლიდან ერთად გავიდა. ჩვეული, დინჯი ნაბიჯით გაუყვნენ გზას. ტვერელის ეკლესიასთან ორივემ პირჯვარი გადაიწერა. პანთეონის ასასვლელ ქვაფენილთან გაკვირვებულმა გურამმა თვალები დაჭყიტა. ორი კვირის მანძილზე, რაც ამ ადგილას არ გაუვლია, ვიღაცას იმხელა სახლი წამოეჭიმა, რომ მამადავითი გადაესანსლა, ეკლესია აღარ მოჩანდა. უსახური კედლების მიღმა, ტაძრის სახურავზე აღმართული ჯვარი თოფის სამიზნესავით გამოიყურებოდა. გააჟრჟოლა. ბიჭი სკოლამდე მიაცილა და სამსახურისკენ გასწია. შენობაში შესულს მთელი თანამშრომლები დერეფანში დახვდნენ, ყველა რაღაცაზე აღელვებულად საუბრობდა.

— რა მოხდა? — იკითხა გაკვირვებულმა.

— რა მოხდა და შენობას გვართმევენ, საელჩო უნდა გახსნან, — აღშფოთებულმა მიუგო ერთ-ერთმა.

— რაა? — ფერი წაუვიდა გურამს, — როგორ, კაცო?

— როგორ და ფეხებზე ვკიდივართ.

გურამი დირექტორის კაბინეტისკენ წავიდა. კარის სახელურს დაეჯაჯგურა და მთელი ძალით გამოაღო. ოთახში დირექტორი თავის ორ მოადგილესა და ბუღალტერთან ერთად რაღაცას ბჭობდა. ერთი წამით თვალებში ჩააშტერდა, შემდეგ ძალა მოიკრიბა და დაიღრიალა:

— ქუჩაში გვყრი? აღარ გჭირდებით?! ტუალეტის ქაღალდივით ამოგვისვი და მოგვისროლე?!

— არა, დაწყნარდი, გურამ. სანაცვლოდ სხვა შენობას მოგვცემენ, — დამშვიდება სცადა დირექტორმა.

— უსინდისოები ხართ! — კარი გამოიჯახუნა, აჩოჩქოლებულ თანამშრომლებს ნაჩქარევად ჩაუარა და გარეთ გავარდა. ჰაერი არ ჰყოფნიდა, სუნთქვა უჭირდა. ნიაღვრის ქუჩა აილია და ფუნიკულიორზე ასასვლელი ტრამვაის სადგურში შევი-

და. ვაგონი მგზავრებს ელოდა. ბილეთი არც აუღია, თავისუფალი ადგილი დაიკავა. იდაყვებით მუხლებს დაეყრდნო და თავი ხელებში ჩარგო. ვაგონი დაიძრა. ისე აღმოჩნდა ზევით, რომ ვერც გაიგო. ოდესღაც ენით ალოკილ ბაღში გავიდა, რომელიც ახლა გაუბედურებული, გაპარტახებული და უპატრონო იყო.

მთელი ბავშვობა მამამისს აქ დაჰყავდა. სასწაულად ბედნიერი იყო, როდესაც საქანელებზე ქანაობდა. გაძარცულ „ეშმაკის ბორბალს“ ახედა, შემდეგ საღებავჩამოყრილ, ცალყბად მომზირალ ნავებს დააცქერდა. სიმწრისგან გადააფურთხა:

— მკვდარი ბედნიერება, — ჩაილაპარაკა და თბილისზე გადმოსახედი მოაჯირისკენ წავიდა. დიდხანს დაჰყურებდა ქალაქს, — ესეც შენი თავისუფლება, გაგვაგიჟეს. თუმცა, გიჟი ხომ თავისუფალია. ჰოდა, ამიტომაც, გიჟური თავისუფლება გვაქვს. რატომ, რისთვის, რა დავაშავეთ?! — ბუტბუტებდა უაზროდ.

***

გურამს ცხოვრება საშინლად გაუდუხჭირდა, აუბობოქრდა და გაუსასტიკდა. კედელთან მიამწყვდია და მიჩიხა. ერთი პერიოდი, ნაცნობ ვაჭართან ლიმონის ჩაბარებით არჩენდა ოჯახს, შემდეგ მოსავალი მიილია. ბოლოს, გაზეთში განცხადება გამოაქვეყნა და ჯუჯიკოს გარდა, ყველა ხე გაყიდა. ფული, რომელსაც თითოეულ ხეში უხდიდნენ, თვალის დახამხამებაში ეხარჯებოდა.

აღმართში ქვა წამოეწია და მკაცრი ზამთარი დაუდგა. ნაგროვი შეშა ორ კვირაში თვალსა და ხელს შუა შემოეწვა.

— გურამ, — ძლივს ჩაძინებული, გააღვიძა მეუღლემ.

— ჰა, რა მოხდა? — წამოჯდა საწოლზე.

— ბიჭს სიცხე აქვს, — გაურკვეველი სახით შესცქეროდა დალი, რომელსაც ხელში სანთელი ეკავა.

— რას ამბობ? — წამოხტა საწოლიდან მამაკაცი და საცვლების ამარა ბავშვის ოთახისკენ გაიქცა, — რა გჭირს, მამიკო? — შუბლზე ტუჩები მიადო.

— მამა, მცივა, — მისუსტებული ხმით უპასუხა შოთიკომ.

— ნუ გეშინია, მამა, ნუ გეშინია, — დაამშვიდა ბავშვი, თავზე ხელი გადაუსვა და შუშაბანდში გავიდა. სანთელი აანთო, ხერხს დაუწყო ძებნა. იპოვა და ჯუჯიკოს წინ ჯალათივით დადგა. თვალებზე ცრემლი მოაწვა, გული საგულედან ამოვარდნას ლამობდა, ბაგაბუგი ყურებში ესმოდა:

— მაპატიე, ჯუჯიკო, — ერთი ჩაილაპარაკა და ხე ძირში მოჭრა. ღუმლის ზომაზე დახერხა, მკლავებში დაიგროვა და ცეცხლის დასანთებად გასწია. ნედლ ტოტებს ალი ძლივს მოედო. მცენარე თავისი ბოლო მოვალეობის შესრულებას შეუდგა. ოთახში დათბა.

— რამდენი აქვს სიცხე? — იკითხა გურამმა.

— ოცდაცხრამეტი, — დალის სახეზე დაბნეულობა აღბეჭდვოდა.

— არაფერია, ალბათ გაცივდა, სიცხის დამწევი დავალევინოთ.

— არა გვაქვს.

— მაშინ ძმრიანი წინდები ჩაცვი. მე გადავალ, გულიკოს გავაღვიძებ. ექიმია, რაღაცას გვირჩევს.

— უხერხულია, ღამის სამი საათია. დილით დავუძახოთ.

გურამი სამზარეულოში გავიდა. სიბნელეში სკამს ფეხი წამოჰკრა. გამწარებულმა წიხლი ჩააზილა და სადღაც, კუთხეში მოისროლა. კარადა გამოხსნა, ბოთლი გამოიღო, ძმარი მათლაფაზე დაასხა:

— დალი, ბავშვის წინდები გამომიტანე, — გასძახა მეუღლეს.

ქალმა მიუტანა. გურამმა ძმარში ჩაალბო, გაწურა და შოთიკოსკენ ნაჩქარევად წაიღო. წინდები ჩაცვა, შემდეგ ცხელი საფეთქლები ძმრით დაუზილა. ცოტა ხანში სიცხე დაეწია. ცოლქმარმა შვებით ამოისუნთქა, ბავშვს ჩაეძინა.

ირიჟრაჟა. გურამმა საათს დახედა, შვიდი სრულდებოდა.

— ნახევარ საათში გადავალ, დავუძახებ, — ჩაილაპარაკა და აბაზანისკენ წავიდა, პირი დაიბანა. რაც ხელში მოხვდა, ტანთ გადაიცვა და ეზოში გავიდა.

— მობრძანდით, ქალბატონო გულიკო, — კარში შეეგება დალი ექიმს.

ქალმა ბავშვი გასინჯა, შემდეგ პასუხის მოლოდინში გარინდულ მშობლებს მიუბრუნდა:

— ფილტვებში არაფერი აქვს, უბრალოდ გაცივებულია, თან დასუსტებული მეჩვენება. მე გამოგიწერთ სიცხის დამწევს და ვიტამინებს. უყიდეთ საქონლის ღვიძლი და შეუწვით, აგრეთვე ბროწეული გაუწურეთ, მიეცით ლიმონი, კანიანად დაღეჭოს და ჩვენი შოთიკო ორ-სამ დღეში ჩიტივით გახდება, — ბავშვს საბანი გაუსწორა ექიმმა და წამოდგა. გურამმა კარამდე მიაცილა, მადლობა გადაუხადა.

ოთახში შებრუნებულმა, დალის გადაულაპარაკა:

— რა ვქნათ? ფული სად ვიშოვოთ?

— არ ვიცი, — მხრები აიჩეჩა ქალმა.

— ერთი, დათოს იმედი მაქვს, მაგრამ მოსკოვში იყო წასული, ნეტა თუ ჩამოვიდა?

— თავის თავს ესაუბრებოდა გურამი. შემდეგ ტელეფონის ყურმილი აიღო, — ჯინაზე რაღა ახლა გამორთეს, — დაკიდა ყურმილი, — წავედი, — გადახედა ცოლს, — პირდაპირ სახლში, ქავთარაძის ქუჩაზე მივადგები, — ნაჩქარევად გავიდა გარეთ. ფიქრით დამძიმებული, თავდაღმართს ჩაუყვა. მეტროთი ვაჟა-ფშაველას ძეგლთან გავიდა. დათოს სახლისკენ მიმავალს, მსუბუქმა მანქანამ ჩაუარა, სახურავზე დადებულ საბარგულზე თოკებით კუბო ჰქონდა დამაგრებული. გურამმა თვალი გააყოლა და სიმწრით ჩაილაპარაკა:

— მოუსვენია ვიღაცას, ბედნიერი, — ფეხს აუჩქარა. იზოტოპების ინსტიტუტის წინ, საცხოვრებელ კორპუსში შევიდა. მეორე სართულზე, დათოს სახლის კარზე დააკაკუნა. არავინ უპასუხა. გვერდით კარიდან მეზობელი გამოვიდა:

— დათო არ ჩამოსულა, ბატონო, — სხვათა შორის გადაულაპარაკა გურამს და კიბეზე დაეშვა.

მამაკაცმა ერთი ამოიოხრა. საკუთარი უსუსურობის სახეში შეფურთხება მოუნდა. ასეთ გაურკვეველ სიტუაციაში არასოდეს ყოფილა. ქუჩაში გავიდა და იქვე, ავტობუსის გაჩერებაზე დადგა.

— გურამ, — დაუძახა ვიღაცამ.

საკუთარი სახელის გაგონებაზე ფიქრი ნისლივით შემოეფანტა. დამძიმებული თავი ასწია და წინ მდგომ მამაკაცს შეხედა. სახეზე ეცნო, მაგრამ სახელი ვერაფრით გაიხსენა:

— ააა, გამარჯობა, — თავს ძალა დაატანა, გაუღიმა.

— ბიჭო, ვერ მიცანი? შენი ჯგუფელი, ილო ვარ, — ხელი ჩამოართვა.

— არა, როგორ ვერ გიცანი. უბრალოდ ჩაფიქრებული ვიყავი. როგორ ხარ, ილო? სად მუშაობ, რას აკეთებ?

— არაფერს, — მოკლედ მოუჭრა ილომ, — ორი წელია უმუშევარი ვარ. დონორი გავხდი, — ფერწასულ სახეზე კანტიკუნტად დარჩენილი ჩაყვითლებულ-ჩაშავებული კბილები ღიმილმა გამოუჩინა.

— დონორი? რას ნიშნავს? — ვერ გაერკვა გურამი.

— აქვე, — ხელით მიანიშნა ილომ, — სისხლის გადასხმის სადგურია, ჰოდა,

ოთხას გრამ სისხლს ვაბარებ. მიხდიან თხუთმეტ ლარს, ტკბილ ჩაისაც მასმევენ და ერთ პატარა ფილა შოკოლადსაც მაჭმევენ. მერე მივდივარ კამოს ქუჩაზე და იქაც ვაბარებ. თუ ჩაიზე და შოკოლადზე უარს ვიტყვი, მაშინ ჩვიდმეტ ლარს მაძლევენ. ოცდაათი ლარი, ძმაო, ფულია.

— დაა, — ჩაფიქრდა გურამი, შემდეგ ძლივს გასაგონად გადაუჩურჩულა, — ახლა სად მიდიხარ?

— აქ უკვე ჩავაბარე, ახლა კამოზე მივდივარ.

— თუ ძალიან არ გეჩქარება, ამყევი, მეც ჩავაბარებ და მერე კამოზეც წამოგყვები, — მუდარით შესთხოვა გურამმა.

— კი, ბატონო, — დასთანხმდა ილო. ხელკავი გაუყარა და სისხლის გადასხმის სადგურისკენ წაიყვანა.

გურამს ჯერ თითიდან აუღეს სისხლი და ლაბორატორიაში გამოსაკვლევად გაგზავნეს. ნახევარ საათში, დადებითი პასუხის მიღების შემდეგ, სისხლის ჩასაბარებელ ოთახში შეიყვანეს.

— არ ინერვიულო, მე აქ გელოდები, — ზურგს უკან მიაძახა ილომ.

გურამი სავარძელში ჩასვეს და მარცხენა ხელი პატარა სარკმელში შეაყოფინეს. ნემსის ჩხვლეტას თვალი აარიდა, საწინააღმდეგო მხარეს მიაპყრო მზერა. ვერანაირი ტკივილი ვერ შეიგრძნო. სარკმლის იქით მდგომი ქალი პერიოდულად ეკითხებოდა:

— როგორ ბრძანდებით? ცუდად ხომ არ ხართ?

— ვბრძანდები? — საკუთარ თავზე ჩაეცინა გურამს, — გადასარევად ვბრძანდები.

ორმოციოდე წუთში ექთანმა ნემსი გამოაძრო.

— მორჩა? — იკითხა გურამმა. თავბრუს ხვევა იგრძნო, მაგრამ სავარძლიდან წამოდგა და დერეფანში გავიდა.

— როგორ ხარ? — შეეგება ილო.

— ისე რა, ცოტა თავბრუ მეხვევა, — წაილუღლუღა.

— წამოდი, — წინ გაუძღვა ილო და გვერდით ოთახში შეიყვანა.

გურამმა ცხელი, ზომაზე მეტად ტკბილი ჩაი დალია. შემდეგ დრო იხელთა, რათა არავის დაენახა და შოკოლადის ფილა ჯიბეში ჩაიცურა.

— ახლა ფული ავიღოთ და წავედით, — გადაულაპარაკა ჯგუფელმა.

თხუთმეტი ლარი გულის ჯიბეში ჩაიდო და ილოს მიუბრუნდა:

— თუ შეიძლება, ხელკავს გაგიყრი.

— კი, ძმაო, დამეყრდენი. ნუ გეშინია, ჰაერზე რომ გავალთ, კარგად გახდები, — დაამშვიდა მეგობარმა.

ავტობუსის გაჩერებაზე დაბრუნდნენ, სკამზე ჩამოსხდნენ. როგორც იქნა, ძველი, გაუბედურებული ავტობუსი მოხრიგინდა. მარჯანიშვილის მოედანზე ჩამოვიდნენ და სისხლის ჩასაბარებლად ნელი, მძიმე ნაბიჯით ქუჩას გაუყვნენ. ნაცნობი პროცედურა ორივემ რიგრიგობით გაიარა. შემდეგ გურამი ილოს დაემშვიდობა და პლეხანოვისკენ წავიდა. თითქოს სული ჰქონდა გამოცლილი, სხეული საშინლად დამძიმებოდა. თითოეული ნაბიჯის გადადგმისთვის თავს ძალას ატანდა, მთვრალივით მიბარბაცებდა.

ტროლეიბუსს დაელოდა და სადგურის ქუჩამდე გაჰყვა. რომელიღაც აფთიაქში ექიმის ჩამოწერილი წამლები შეიძინა და ბაზრისკენ წაბანცალდა. კიბეზე ასულს, გვერდი ისე გაჰკრეს, რომ კინაღამ თავით ძირს გადმოეშვა. ვიღაცას ხელი წაავლო.

— ვაჰ, გურამ, — მოესმა ნაცნობი ხროტინა ხმა, — ცუდად ხომ არ ხარ? რა ფერი გადევს?

— ცუდად ვარ, ჯანგირ, — ნახევრად მოჭუტული თვალებით მიაშტერდა ლიმონით მოვაჭრეს.

— მერე, შე კაცო, ასე ცუდად თუ იყავი, აქ რაზე მოხვედი? — ხელი შეაშველა ჯანგირამ.

— კაცურად, რაღაც მაქვს საყიდელი, წამომყევი და მერე ტაქსიში ჩამსვი.

— კი, გურამ, — დაეთანხმა ვაჭარი, — რა გაქვს საყიდელი?

— საქონლის ღვიძლი და ბროწეული.

— მოიცა, — სკამზე ჩამოსვა, — მაიტა ფული და ახლავე მოგიცუნცულებ.

გურამმა დარჩენილი ოცი ლარი მიაწოდა.

— რამდენი ვიყიდო?

— ორი კილო ღვიძლი და ერთი, სამი კილო ბროწეული. ოღონდ, კარგი შეარჩიე, — საზურგეზე მიესვენა გურამი.

— რაზეა, გურამ, ლაპარაკი. ახლავე მოვალ, — საყიდლებზე გაიქცა ჯანგირა.

რამდენიმე წუთში უკან მობრუნდა. ხელში პარკი ეკავა.

— რა ქენი?

— ყველაფერი ვიყიდე.

— ხურდა რამდენი დაგრჩა?

— შვიდი ლარი.

— ლარის ლიმონიც ჩამიწყვე.

— ლიმონი უკვე ჩავდე, ჩემგან საჩუქრად, — გაუღიმა ჯანგირამ, — მართალია, შენნაირი კარგი ქართული ლიმონი ამ ბაზარში არავის მოუტანია, მაგრამ აღარ მაქვს. დიდი ხანია გამითავდა. ბერძნულს გატან, — ფული ჩაუჯიბა.

— ჯანდაბას მაგის თავი, — ესიამოვნა შექება გურამს.

ლიმონით მოვაჭრემ ხელი შეაშველა, წამოაყენა და ტაქსიმდე მიაცილა.

— სად ცხოვრობ?

— მაყაშვილის ქუჩაზე, — მანქანის სავარძელზე დაენარცხა გურამი.

— აი, ძმაო-ჯან, სამი ლარი და სახლამდე აიყვანე, ჯანგირამ მძღოლს ფული გადაუხადა, — კარგი კაცია, — მიაჯახუნა კარი და დასამშვიდობებლად ხელი აუწია გურამს.

სახლის კიბეზე ძლივს ავიდა. კარში მეუღლე შეეგება:

— რა გჭირს? რა ფერი გადევს? — გამოართვა ცელოფანის პარკი.

გურამმა ჯიბიდან წამლები და შვიდი ლარი ამოიღო და დალის მიაწოდა:

— ბავშვი როგორ არის?

— სიცხე ნაკლები აქვს.

— მადლობა ღმერთს, — ჩაიბურტყუნა და შოთიკოს ოთახისკენ წალასლასდა, — მამიკო, შოკოლადი მოგიტანე, — გაუწოდა ორი პატარა ფილა.

— რა კარგია, როგორ მომენატრა, — სიხარულისგან მამას ჩაეკრა ბიჭი. ■

Dodge RAM-მა Chrysler Group-ი უნდა გადაარჩინოს

ამ მანქანის დასახასიათებლად საუკეთესოა სიტყვა „ვეებერთელა“. მოდელი ჩიკაგოს საიუბილეო ავტოშოუზეა წარმოდგენილი.

ეს თავის კლასში ყველაზე დიდი ოთხკარიანი, ე.წ. სრულზომიანი პიკაპია, რომელზეც დიდ იმედებს ამყარებს კონცერნი. მწარმოებლები იმედოვნებენ, რომ ბაზრის ამ სეგმენტში, მათი წილი, ამჟამინდელი 18-დან 21%-ამდე გაიზრდება.

DODGE RAM-ს ისეთ სრულზომიან პიკაპებთან მოუწევს პაექრობა, როგორიცაა FORD-ი და CHEVROLET-ი, ცოტა ხნის წინ კი ძველ კონკურენტებს, იაპონური „ტოიოტას“ მოდელი – TUNDRA-ც შეუერთდა.

„კრაისლერის“ ხელმძღვანელები დარწმუნებულნი არიან, რომ RAM-ის დიზაინი, მისი ახალი თავისებურებანი და გაზრდილი სიმძლავრე ბაზრის ამ სექტორში მოწინავე პოზიციების დაკავებაში შეუწყობს ხელს კომპანიას.

მანქანის ძარა, მის წინამორბედთან შედარებით უფრო არის დაგრძელებული, უკანა სავარძელს მოძრაობის დიდი ამპლიტუდა აქვს, საჭიროების შემთხვევაში კი მთლიანად შეიძლება მოიხსნას, რაც საგრძნობლად გაზრდის სატვირთო სექციის ისედაც დიდ ფართს.

მძღოლისა და მგზავრთა უსაფრთხოებას, წინა ბალიშების გარდა, გვერდითი – ფარდების ფორმის უსაფრთხოების ბალიშები უზრუნველყოფს.

RAM-ის პიკაპების „საგვარეულო“ ნიშნად, რადიატორის წინა გისოსია ქცეული – მისი ფორმა ამ მოდელის ოთხ ახალ ნიმუშში მეორდება.

ახალ RAM-ს უფრო მაგარი შასი და დამოუკიდებელი, რეგულირებადი წინა საკიდარი აქვს.

მანქანისთვის დამზადებულია ორი უახლესი ძრავა, რომლებიც მეტი სიმძლავრითაც გამოირჩევა და უფრო ეკონომიურიც არის. 3.7 ლიტრიან V6-ს, რომელიც JEEP LIBERTY-სთვისაც არის გათვალისწინებული, 210 ცხ. ძალა აქვს, 4.7 ლიტრიანი V8 კი 235 ცხ. ძალიანია. მყიდველის დაკვეთით, ავტომობილი 5.9 ლიტრიანი V8, RAM-ის ძრავითაც შეიძლება აღიჭურვოს, რომელიც 245 ცხ. ძალას ავითარებს.

პიკაპს DODGE-ის იმ ქარხნებში ააწყობენ, რომლებიც ქალაქებში – უორენსა და სენტ-ლუისში, აგრეთვე მექსიკის სალტილიოში მდებარეობს. RAM-ის 2500 და 3500 მოდელების წარმოება 2003 წლისთვის არის დაგეგმილი. ■

"Batmobile" General

საავტომობილო შოუ ჩიკაგოში თავის ასწლოვან იუბილეს ზეიმობს. წლევანდელ გამოფენაზე, კონცეპტუალურ და სერიულ ავტომობილებთან ერთად, დიდი ადგილი უკავია არაჩვეულებრივ ექსპონატებს, რომლებიც ზოგიერთმა კომპანიამ წარმოადგინა.

თავისი ახალი სისტემის – ONSTAR-ის პრეზენტაციამდე „ჯენერალ მოტორსმა“ გადაწყვიტა, დამსწრე საზოგადოება BATMOBILE-ით გაეცნებინა.

როცა გოთჰემის მოქალაქეებს ბეტმენისა და მისი „ბეტმობილის“ დახმარება სჭირდებათ, მათ უბრალოდ, ღამურის ფორმის შუქნიშანი უნდა ჩართონ. სწორედ ამგვარი მიდგომაა ხორცშესხმული ONSTAR-ის სისტემაში, რაც ავტოშოუზე წარმოდგენილი „ბეტმობილისკენ“ მიაპყრობს დამთვალიერებელთა ყურა-

JEEP Wrangler-ი გვეთხოვება

საავტომობილო კოლექციონერები კმაყოფილნი უნდა იყვნენ: WRANGLER JEEP-ი, როგორც იქნა, „თადარიგში გადის“, თუმცა, კომპანია მისი შემცვლელის გამოშვებას აპირებს – ძველ ჯიპზე აღმოცენებულ JEEP LIBERTY-ს ამზადებს.

მეორე მსოფლიო ომის დროს, მოკავშირეთა ჯარებისთვის შექმნილი მანქანა WILLYS JEEP-ი, როგორც ცნობილია, ძალიან ნელა ვითარდებოდა: ათწლეულების მანძილზე მას დიდი ცვლილებები არ განუცდია. ამჯერად კი, ავტომწარმოებლები მხოლოდ გარეგნული იერის შეცვლას (ე.წ. FACE-LIFTING) არ დასჯერდებიან: 2002 წელს „ვრანგლერი“ აბსოლუტურად ახალ მანქანად მოგვევლინება – ცვლილებები როგორც შასისა და ძრავას, ასევე მის დიზაინს შეეხება.

საქმეში ჩახედული ადამიანები ამბობენ, რომ VJ-ის სახელის მქონე „ვრანგლერს“ იგივე კომპონენტები ექნება, რაც „ლიბერტის“, რომელიც დეტროიტში ა. წ. იანვარში იყო წარმოდგენილი.

მანქანა აღჭურვილია 210 ცხ. ძალიანი 3.7 ლიტრიანი ძრავით POWERTECH V6, რომელიც WRANGLER 4.0-ზე გაცილებით კომპაქტური და ეკონომიურია. ევროპელ მყიდველებს შესთავაზებენ 2.4 ლიტრიან ოთხცილინდრიან ბენზინის ძრავას, რომლის სიმძლავრე 154 ცხ. ძალაა, და აგრეთვე 2.5 ლიტრიან ტურბოდიზელის ძრავას.

ძველი ჯიპის ვიზუალური მიმზიდველობის გათვალისწინებით, კომპანიის ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა, შეენარჩუნებინა მთავარი „საგვარეულო ნაკვთები“ – კლასიკური გისოსი და ბრტყელი საქარე მინა. ყავლგასული სახურავი კი მოდერნიზებულია: ნაჭრისა თუ პლასტიკის საფარის ნაცვლად, VJ-ში ექვსი სეგმენტის შემცველ მსუბუქ პლასტიკურ სახურავს ვიხილავთ.

ავტოსიახლეს „ყველგანმავლის“ ყველა ძირითადი თვისება ახასიათებს. ახალი გადაცემათა კოლოფი და წევის ელექტრონული კონტროლი კი უფრო მოსახერხებელს ხდის მანქანის მართვას. ■

Motors-ში „მსახეობს“

დღებას: სტენდზე წარმოდგენილი ეს მანქანა, ONSTAR-ისა და ღამურის სიმბოლოს პერიოდული გამონათებებით იზიდავს დამთვალიერებლებს.

თავად ONSTAR-ი აერთიანებს გლობალური პოზიციონირების სისტემას (GPS) და უმავთულო კავშირგაბმულობის ტექნოლოგიებს, რაც იმას ემსახურება, რომ დააკავშიროს მძღოლი და ავტომობილი ONSTAR-ის ცენტრთან, რომელიც პერსონიფიცირებულ დახმარებას გაუწევს 24 საათის განმავლობაში – 365 დღის მანძილზე.

ONSTAR-ი მომხმარებელს სთავაზობს ინფორმაციული მომსახურების ბევრ სახეობას, რომლებიც უკვე დღეს არის ხელმისაწვდომი მძღოლებისათვის: ლაპარაკია ავტომატურ შეტყობინებაზე უსაფრთხოების ბალიშების გახსნის შესახებ, გატაცებული ავტომანქანის თვალთვალზე, ექსტრემალურ შემთხვევაში დახმარების გაწევაზე, ავტომობილის დისტანციურ დიაგნოსტიკასა და უამრავ სხვა მომსახურებაზე.

ჩიკაგოს გამოფენის ასწლოვანი იუბილეს აღსანიშნავად, დამთვალიერებლებს საშუალება ეძლევათ, გაეცნონ და ერთმანეთს შეადარონ ბოლოდროინდელი რეტრო-კონცეპტები და ნამდვილი რეტრო-ავტომობილები – მაგალითად, უნივერსალი BUICK WOODY - DESOTO ADVENTUREr-თან ერთად არის წარმოდგენილი, CADILLAC MODEL 30 კი – FORD MUSTANG-ის გვერდით. ■

Buik Woody



CADILLAC M30

ჯარგ განწყობაზე მყოფ რობინ რაითს შესანიშნავი ტორტის გამოცხობა შეუძლია, მაგრამ თუ უცებ ვინმემ გააბრაზა, შეუძლია, ეს ტორტი სახეში ესროლოს. შონ პენს სიფხიზლეში ფოლკნერისა და ჯაფკას ციტირება და ცხოვრებისეულ საკითხებზე საუბარი უყვარს, მაგრამ თუ მთვრალია, უმჯობესია, წინ არავინ გადაეღობოს. რა შეიძლება მოხდეს, როცა ორი ასეთი ადამიანი ერთ სახლში ცხოვრობს? ეს მხოლოდ იმაზეა დამოკიდებული, რამდენად ძლიერ უყვართ მათ ერთმანეთი.

ჰოლივუდური ცხოვრების ბოგოლიუბური რომანი

1990 წელი იყო. ახალგაზრდა, მაგრამ უკვე სახელგანთქმული მსახიობი (რობინ რაითი სერიალ „სანტა-ბარბარაში“ რამდენიმე წლის მანძილზე კელი კეპველის როლს ასრულებდა) ახალ ფილმში გადასაღებად ემზადებოდა. მეგობრები გულწრფელად თანაუგრძნობდნენ, რადგან გადასაღებ მოედანზე შონ პენს უნდა შეხვედროდა. რობინს არ ესმოდა, რა საფრთხე ელოდა და ახლობლებმა აუხსნეს, რომ შონ პენი უზომოდ ბევრს ეწეოდა, უზომოდ სვამდა, გაუთავებლად ეჩხუბებოდა პაპარაცებს და ურჩიეს, კაცს სამი მეტრის მანძილზე უფრო ახლოს არ მიჰკარებოდა. შონ პენს თავი ნამდვილ ვარსკვლავად წარმოედგინა და ამის გამო, ვერ იტანდა ტელესერიალებში მონაწილე მსახიობებს. „საპნის ოპერის“ ხსენებაც კი აცოფებდა და ამის გამო, მეგობრების აზრით, რობინს მისგან ბევრი დაცინვისა და დამცირების ატანა მოუწევდა. „თუ უსიამოვნებები არ გინდა, პენს ნუ შეეწინააღმდეგები.“ „მე მას არ შევეწინააღმდეგები, მე ის უნდა მოვხიბლო“, – გადაწყვიტა რობინმა.

„შენ რა, გაგიჟდი?! – აღშფოთდნენ მეგობარ-ახლობლები. – შონი ყველაზე შეუფერებელი ადამიანია რომანის გასაბმელად. ის არანორმალურია. ყოველი დათრობისას იმით ერთობოდა, რომ უმოწყალოდ სცემდა თავის მაშინდელ ცოლს, მადონას (!!!). ის ისეთივე ეჭვიანია, როგორც ათი ოტელო, ერთად აღებული“. ამის მოსმენისას რობინს თვალები სულ უფრო მეტი აზარტით ენთებოდა.

რობინი და შონი ერთმანეთს გადასაღებ მოედანზე უნდა შეხვედროდნენ, მაგრამ მათი შეხვედრა ოდნავ ადრე, კაფეში მოხდა, სადაც რაითი თავის ნაცნობთან ერთად შევიდა. „აი, ეს არის შენი შონ პენი“ – უჩურჩულა ნაცნობმა გოგონამ და ყოველი შემთხვევისთვის, ოდნავ მოშორებით დადგა. რობინმა გაიხედა და ოცდაათიოდე წლის მაღალი, საკმაოდ სიმპათიური მამაკაცი დაინახა, გამბედაობა მოიკრიბა და მიუახლოვდა.

შონ პენი ფანჯარასთან მდგარ მაგიდასთან იჯდა, სიგარეტს სიგარეტზე ეწეოდა და თავისი მეგობრის, ჩარლზ ბუკოვსკის წიგნს კითხულობდა. კითხვაში გართულიც კი მოგონებებში იყო ჩაძირული.

მადონა... შონი ცდილობდა, მისი სახელიც კი დაევიწყებინა, მხოლოდ „ყოფილ ცოლად“ მოიხსენიებდა, მაგრამ წარსული, კოშმარივით მუდამ სდევნიდა შონს.

სამი წელი იყო გასული მას შემდეგ, რაც ფოტორეპორტიორის უმოწყალო ცემისთვის შონმა თვეზე მეტი ხანი ციხეში გაატარა. მასში დიდი ცვლილებები გამოიწვია იმ დღეებმა, როცა ცას მხოლოდ გისოსებიდან უმზერდა...

რობინი პენს თბილად მიესალმა, კაცმა თვალები ასწია, მის წინ სასიამოვნო გარეგნობის ქერა გოგონა იდგა. „აჰ, ეს ბუკოვსკია?“ – „დიახ, თქვენთვის ნაცნობია ეს ავტორი?“ – დამცინავად იკითხა კაცმა. რობინმა სერიოზული გამომეტყველება მიიღო და სცადა ჭკვიანურად ეპასუხა, მაგრამ შონზე შთაბეჭდილება მაინც ვერ მოახდინა. უეცრად კაცს, მძიმე დღეების შემდეგ პირველად, სიცილი წასკდა. რობინმა ლაპარაკი შეწყვიტა. „რობინ! რატომ უნდა ისუნთქოთ ჩემი სიგარეტის კვამლი, როცა ქუჩაში მშვენიერი ამინდია და ქალაქში გასეირნება სჯობს?“

ისინი გარეთ გავიდნენ და ქუჩას გაუყვნენ. შონს დიდი ხანია სწყუროდა ვინმესთან ლაპარაკი. მან რობინს ყველაფერი უამბო: ბევერლი-ჰილზზე, თავის ბავშვობაზე, მამის – რეჟისორ ლეო პენის შესახებ, რომელიც ასწავლიდა, რომ საყვარელი ადამიანის ღალატს ნებისმიერი უსიამოვნება სჯობს, რომ მას, შონს ვერც ერთი მისი ქალი ვერ უგებდა. ერთადერთი თემა, რომელსაც ის გვერდს უქცევდა – მადონასთან

ქორწინება იყო. რობინი უმეტესად დუმდა. თავად მას არ გასჩენია სურვილი, შონისთვის თავისი წარსულის შესახებ მოეთხრო, თუმცა მოსაყოლი კი ჰქონდა. სამაგიეროდ, ყურადღებით და თანაგრძნობით უსმენდა შონს. გამთენიისას პენმა ქალი სახლამდე მიაცილა და საყვარელი ბარისკენ გაემართა, მაგრამ ვისკის ნაცვლად, სოდიანი წყალი შეუკვეთა: რატომღაც დათრობის სურვილი აღარ ჰქონდა.

1990 წლის შემოდგომაზე ყველას შონ პენისა და რობინ რაითის რომანი ეკერა პირზე. „ეს რომანი არ არის, — ირწმუნებოდა რობინი, — ეს სიყვარულია, ეს ბედისწერაა“. „ჩვენ შორის თითქოს ნაპერწკალმა გაიელვა“, — ამბობდა შონი. „ნაპერწკალი საშიში რამ არის, — ამბობდნენ სკეპტიკოსები, — განსაკუთრებით როცა საქმე შონ პენს ეხება. ის ხომ დენთის კასრია და შეიძლება აფეთქდეს კიდეც“.

მალე წყვილი საცხოვრებლად მალიბუში მდებარე ვილაში გადავიდა. ეს სწორედ ის სახლი იყო, რომელიც განქორწინების შემდეგ პენს მადონასგან ერგო. შონმა და რობინმა გადაწყვიტეს, თავი არ დაეტვირთათ ისეთი „უაზრო ფორმალობით“, როგორიცაა ქორწინება. გამოცდილება ორივეს კარნახობდა, რომ ოფიციალური კავშირი არასაიმედო იყო და სულაც არ უწყობდა ხელს ურთიერთგაგებას.

1991 წელს მათ პირველი შვილი — გოგონა დილან ფრენსისი შეეძინათ, ხოლო ორი წლის შემდეგ — ვაჟი, ჰოპერ-ჯეკი. უსიამოვნებებიც სწორედ მაშინ დაიწყო. სანამ რობინი ფეხმძიმედ იყო, პრესაში გაჩნდა მინიშნებები შონ პენის ახალი გატაცების — მსახიობ სიუზენ სარანდონის შესახებ, შემდეგ კი პენი ბრიუს სპრინგსტინის დამ — პემმა მოხიბლა. რობინი ბრაზობდა, კიოდა და ჭურჭელს ამსხვრევდა, ეჩვენებოდა, რომ პენი მას არ აფასებდა და არც არასდროს უყვარდა, თითქოს მას ერთადერთი ქალის — მადონას ერთგულება შეეძლო.

„ბრიუსი — ჩემი მეგობარია, მე მომწონს მისი სიმღერები და თუ მასთან სტუმრად დავდივარ, ეს სულაც არ ნიშნავს, რომ მისი დით ვარ გატაცებული, — თავს იმართლებდა შონი. — რაც შეეხება სიუზენს, ჩვენ უბრალოდ, ერთად გვიღებდნენ ფილმში. შენ „ფორესტ გამპში“ თამაშობდი — ვინ იცის, იქნებ ტომ ჰენკსთან ერთად გეძინა?! მადონასთან დაკავშირებით კი, ჩვენ ხომ შევთანხმდით, არ შევხებოდით ამ „აკრძალულ თემას“!

ატმოსფერო სახლში დაიძაბა, ეს არ შეიძლებოდა კარგად დამთავრებულიყო და საბოლოოდ, ხანძრით დასრულდა: 1993 წელს მათი მალიბუს სახლი ცეცხლმა გაანადგურა. ჭორად ამბობდნენ, თითქოს ხანძარი სპეციალურად, აღელვების მომენტში რობინმა გააჩინა. სხვა ვერსიით, შონმა სიგარეტის ნამწვი ხალიჩაზე დააგდო. „ხანძარმა ჩემი სახლი გაანადგურა, ჩემი და რობინის სიყვარული კი, სიგარეტის კვამლივით გაქრა“ — ამბობდა პენი.

შონი მარტო გადავიდა საცხოვრებლად — ტრაილერში, რომელიც სახლის ადგილას დადგა, რობინმა კი ბინა იყიდა და შვილებთან ერთად იქ გადაბარგდა.

1996 წლის პირველ აპრილს, დილით პროდიუსერ არტ ლინსონის სახლში ტელეფონის ზარი გაისმა, ეს შონ პენი იყო. „გამარჯობა, არტ, შეიძლება რაღაც გთხოვო? ორ კვირაში ცოლი მომყავს და ქორწილზე ბევრი ხალხის დაპატიჟება მსურს, ასი კაცის მაინც, ჩემი ტრაილერი კი ამდენ სტუმარს ვერ დაიტევს. შეიძლება, ქორწილი შენს სახლში გავმართო?“

ლინსონი დარწმუნებული იყო, რომ შონი ეხუმრებოდა — იმ დღეს ხომ პირველი აპრილი იყო. ის კიდევ უფრო გაოცდა, როცა მეორე დღეს უორენ ბიტიმ, მარლონ ბრანდომ, ჯეკ ნიკოლსონმა და ნიკოლას ქეიჯმა დაურეკეს და დაინტერესდნენ, ვინ მოჰყავდა ცოლად შონ პენს. „შონი ამბობს, რომ სურს, ის ერთადერთი ქალი დაიბრუნოს, რომელიც თურმე ნამდვილად ჰყვარებია. ნუთუ ის მადონას შეურიგდა?“ — დაბნეულიყვნენ შონის მეგობრები...

მადონა კი არაფერ შუაში იყო. არტთან საუბრამდე ორი კვირით ადრე, პენი რობინს ესტუმრა. ქალი გაოცდა: სამი წელი იყო, რაც შონი არ ენახა. საბავშვო ოთახიდან დილანი გამოვიდა: „მამა, გამარჯობა, დიდი ხნით მოხვედი?“ „სამუდამოდ!“ — უპასუხა შონმა...

ქორწილზე კინომოღვაწეთა მთელი ბრბო შეიკრიბა. სახლის წინ, სადგომზე მანქანების ტევა არ იყო. შონის ძმა, მსახიობი კრისტოფერ პენი ბუზღუნებდა: „ქორწილი კი არა, „ოსკარის“ „ფილიალია“, კინოვარსკვლავების ცვენაა, მათი უმეტესობა ნასვამია და სიტყვით გამოსვლა სურს“. ყველას მაინც ჯეკ ნიკოლსონმა „აჯობა“: „შესანიშნავი ქორწილია, — ოდნავ ქანაობდა ჯეკი, — გახსოვს, წინა ქორწილის დროს, შვეულმფრენით პაპარაცები რომ მოფრინდნენ, შენ კი მათ სროლა აუტეხე?“ — სიჩუმე ჩამოვარდა, შონს უსიამოვნო თემა — მადონა გაახსენეს. „მართალი ხარ, ჯეკ, — უეცრად მშვიდად წარმოთქვა შონმა, — ის ქორწილი თავიდან ბოლომდე ყალბი იყო, სამაგიეროდ ეს — ნამდვილია!“

უკვე ოთხ წელზე მეტია, რაც შონი და რობინი ერთად არიან. მათ ყოფას უღრუბლოს ვერ უწოდებ — კვირაში ერთხელ მაინც, მათი სახლიდან ჭურჭლის მსხვრევის ხმა ისმის. ცოლ-ქმარი კი ხმამაღლა უმტკიცებს ერთმანეთს რაღაცას და კამათის აზრიც კი არ ესმის. ამასთანავე, ორივე ბედნიერია. „თქვენ ისევ ეჭვიანობთ შონზე?“ — ჰკითხეს ცოტა ხნის წინ რობინ რაითს. „არა, მე უკვე გავიზარდე, თანაც შონმა დამიმტკიცა, რომ ნამდვილად ვუყვარვარ, მეც უზომოდ მიყვარს იგი!“

■

შონ პენს არ უყვარს ფილმებში ტელესერიალის მსახიობებთან ერთად მონაწილეობა, თუმცა, „სანტა-ბარბარას“ ვარსკვლავთან, რობინ რაიტთან არაერთხელ უთამაშია ფილმში. კადრი ფილმიდან „განრისხების მდგომარეობაში". მარცხნივ — გარი ოლდმენი

1935 წლის 6 თებერვალს ამერიკის მაღაზიების დახლებზე ახალი სამაგიდო თამაში გაჩნდა. თეთრი, წითელი და შავი ფერებით გაფორმებულ ყუთზე დახატული ულვაშა, ცილინდრიანი მსუქანი კაცუნა — „მონოპოლიის“ საფირმო ნიშანი მალე სხვადასხვა ქვეყნის მცხოვრებლებმაც ისევე თბილად მიიღეს, როგორც ამერიკელებმა. ეს საოცარი თამაში მილიონობით ადამიანისთვის არა მარტო დროის სასიამოვნოდ გატარების საშუალება, არამედ საბაზრო ეკონომიკის კარგი „მასწავლებელიც“ გახდა. თამაში კი, დიდი ეკონომიკური კრიზისის პერიოდში, ერთმა უმუშევარმა კაცმა და მისმა ფეხმძიმე ცოლმა გამოიგონეს.

«მონოპოლია»

– TamaSi, romelic msoflios moedo

1934 წელს ჩარლზ დაროუს, რომელიც ადრე ჯერმანტანში (პენსილვანიის შტატი) ელექტროხელსაწყოების გამყიდველად მუშაობდა, ძალიან მძიმე დრო დაუდგა. მილიონობით თანამემამულის მსგავსად, დაროუმ სამუშაო დაკარგა და თავს შემთხვევითი შემოსავლებით ირჩენდა. მან ბევრი რამ სცადა: სახლებში მცირე რემონტებს აკეთებდა, რეცხავდა ჭურჭელს, ასეირნებდა ძაღლებს, მაგრამ ოჯახის სარჩენ ფულს მაინც ვერ შოულობდა (დაროუს მეუღლე იმხანად მეორე ბავშვზე იყო ფეხმძიმედ). უცებ კაცს იდეა დაებადა და რამდენიმე თვის შემდეგ ფირმა PARKER BROTHERS-ს მიმართა. ეს სამაგიდო თამაშების აშშ-ში უმსხვილესი მწარმოებელი ფირმა იყო.

განაცხადში დაროუ ამტკიცებდა, რომ მან და მისმა ცოლმა პრინციპულად ახალი საშინაო თამაში – „მონოპოლია“ შექმნეს და რომ თამაშის ასობით თვითნაკეთი ეგზემპლარი წარმატებით გაიყიდა ფილადელფიის უნივერსალური მაღაზიების ქსელის საშუალებით.

იდეამ თავიდან მართლაც დააინტერესა ფირმის ხელმძღვანელობა, მაგრამ მას შემდეგ, რაც ექსპერტებმა თამაშს გულმოდგინე ტესტირება ჩაუტარეს (როგორც წესი, ყველა სიახლეს თავიდან ფირმის ხელმძღვანელობა თამაშობდა) – „მონოპოლია“ უარყვეს.

უარის მიზეზად სამი მოტივი დაასახელეს და სამივე დამაჯერებლად ჟღერდა: პირველ რიგში, ფირმის სტრატეგია გულისხმობდა მაქსიმუმ 45 წუთზე გათვლილი საშინაო თამაშის წარმოებას, „მონოპოლიის“ თამაში კი, საათობით შეიძლებოდა. მეორე მოტივი ის იყო, რომ ხელმძღვანელთა აზრით, ამერიკელებს მოსწონდათ ისეთი თამაშები, რომლებიც უდავო, გარკვეული და პოზიტიური შედეგით მთავრდებოდა. „მონოპოლიის“ თამაშის დროს წარმატება პერიოდულად, ერთი მოთამაშიდან მეორეზე გადადიოდა და დასასრულისკენ სწრაფვის ნაცვლად, ყველა მოთამაშე უსასრულოდ ერთვებოდა საბაზრო სტიქიაში. დაბოლოს, ექსპერტებმა თამაშის წესები მომხმარებელთა მასისთვის რთულად ჩათვალეს, რადგან თურმე ხალხის უმეტესობა ვერ ერკვევა უძრავი ქონების, ოჯარისა და ვაჭრობის წვრილმანებში.

ამგვარად, განაცხადი დაიწუნეს. ფირმის სპეციალისტები განსაკუთრებით აღნიშნავდნენ, რომ გამომგონებელმა თამაშში 52 ფუნდამენტური ლოგიკური შეცდომა დაუშვა.

ეს შემთხვევა ამერიკული ბიზნესის მატიანეში შევიდა და იმის ნათელი მაგალითი გახდა, რომ „შეცდომა ყველას შეიძლება მოუვიდეს“, მაგრამ თვით დაროუ ამ შედეგს არ შეუშფოთებია: მან დანამდვილებით იცოდა, რომ მისი „მონოპოლია“ საკმაოდ დიდი წარმატებით გაიყიდებოდა.

ახალი თამაშის იდეა გამომგონებელს მოწყენილი უქმეების დროს დაებადა. დაროუს სახლში, მის მსგავსად კრიზისის მსხვერპლი მეზობლები იკრიბებოდნენ. ორშაბათამდე ყველა ფედერალური და საქალაქო დასაქმების ცენტრი დაკეტილი იყო, კინო, თეატრი და რესტორანი კი – უმუშევართათვის მიუწვდომელი. რჩებოდა მხოლოდ ერთი რამ: შეკრებილიყვნენ რომელიმეს სახლში და კოლექტიურად გაეხსენებინათ ახლო წარსულის ბედნიერი დღეები.

გასახსენებელი კი მართლაც ჰქონდათ. მაგალითად, თვით სახლის პატრონს კარგად ახსოვდა, რომ რამდენიმე წლის წინ შეეძლო ერთი-ორი კვირა ცოლთან ერთად, ატლანტიკ-სიტიში, ოკეანის სანაპიროზე გაეტარებინა. აშშ-ის აღმოსავლეთ სანაპიროზე განლაგებული ამ ფეშენებელური კურორტის ქუჩების დასახელება დაროუს არ ავიწყდებოდა – BOARD WALK, PARK PLACE, BALTIC და სხვა. ერთ-ერთ საღამოს მან ხუმრობით დახაზა მართკუთხედები და შიგნით ქუჩების დასახელებები ჩაწერა, შემდეგ გაიფიქრა – რა კარგი იქნებოდა, იქ სახლების, სასტუმროების, ფასიანი ავტოსადგომების გაშენება და შემდეგ მათი ოჯარით გაცემა. თუ ფული არ ეყოფოდა, კრედიტისთვის ბანკს მიმართავდა...

ასე დაიბადა „მონოპოლია“. სტამბაში მომუშავე მეგობრის დახმარებით დაროუმ სათამაშოსთვის მუყაოს ნაჭრების წარმოება თავად დაიწყო და ფილადელფიის სუპერმარკეტების – WANAMAKER-ის საშუალებით, თითო ეგზემპლარს 4 დოლარად ასაღებდა. მორიგი შობის წინ კი მას გაუმართლა: „მონოპოლიის“ 5 ათასი კოლოფი ისევე უცებ გაიყიდა, როგორც ნაყინი – ცხელი ივლისის დღეებში. უნივერმაღებმა კი ახალი, ათასობით შეკვეთა მიიღეს. ნიუ-იორკის ცნობილმა შვარცის სათამაშოების მაღაზიამაც კი 200 ეგზემპლარი შეუკვეთა.

ასეთ პირობებში დაროუმ გადაწყვიტა, რომ კუსტარული წარმოების დრო აღარ იყო და კვლავ PARKER BROTHERS-ს

მიმართა. იქ უკვე იცოდნენ დაროუს გამოგონების სენსაციური წარმატების შესახებ – განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ახალგაზრდა ქალმა სალი ბარტონმა ქმარს ახალი შესანიშნავი თამაშის შესახებ უამბო, რომელიც მისმა ახლობლებმა საკუთარ გოგონას საშობაოდ, შვარცის მაღაზიაში უყიდეს. სალის ქმარი კი რობერტ ბარტონი – PARKER BROTHERS-ის პრეზიდენტი იყო. მან მაშინვე შეიძინა „მონოპოლია“ და მთელი ოჯახი თამაშს შუაღამემდე ვერ მოსწყდა.

ამჯერად ჩარლზ დაროუმ პასუხი PARKER BROTHERS-იდან ელვისებურად მიიღო. მას აცნობეს, რომ სპეციალისტებმა კიდევ ერთხელ საგულდაგულოდ განიხილეს განაცხადი და თამაშში მართლაც აღმოაჩინეს საკმაო კომერციული პოტენციალი. წერილის ბოლო სტრიქონებში მისტერ დაროუს, ფირმის ნიუ-იორკის ოფისში იწვევდნენ, საავტორო უფლების გაყიდვაზე მისთვის მისაღები პირობებით კონტრაქტის გასაფორმებლად.

დაროუმ და PARKER BROTHERS-მა კონტრაქტი 1935 წლის იანვარში გააფორმეს, 6 თებერვლიდან კი ქვეყნის მაღაზიების დახლებზე თეთრი, წითელი და შავი ფერებით გაფორმებულ ყუთში მოთავსებული ახალი სამაგიდო თამაში გაჩნდა. იმ დროიდან „მონოპოლიის“ ყუთზე გამოსახული ულვაშა, ცილინდრიანი, მსუქანი კაცუნა ამერიკელებმა ისევე კარგად გაიცნეს, როგორც ვისკი JOHNNY WALKER-ის ეტიკეტზე გამოსახული ბრიტანელი ჯენტლმენი ან სიგარეტ MARLBORO-ს მწეველი კოვბოი.

მალე, როგორც საერთოდ ხდება ხოლმე, საავტორო უფლებაზე პრეტენზია სხვებმაც გამოთქვეს. თურმე ჯერ კიდევ 1904 წელს კვაკერების თემის აქტიურმა წევრმა ელისაბედ მერჯი-ფილიპსმა გამოიგონა და დააპატენტა მსგავსი „მიწათმფლობელთა თამაში“. ამ ორი თამაშის შედარება საკმარისი იყო იმ დასკვნის გამოსატანად, რომ დაროუმ მხოლოდ გაუმჯობესა და გამოაცოცხლა კვაკერების მოსაწყენი თამაში. „მონოპოლიაში“ ამის გარდა, კიდევ ერთი თამაშის – „ფინანსები“ კვალი აღმოაჩინეს, რომელიც 1932 წელს ELECTRONIC LABORATORIES – კომპანიის თანამშრომელმა გამოიგონა.

დაროუს საავტორო უფლების ეჭვქვეშ დაყენების ყველა ცდა სასამართლოებში უშედეგოდ დამთავრდა. როგორც კი PARKER BROTHERS-მა იგრძნო, რომ მათი მაღალშემოსავლიანი ბიზნესი საფრთხის წინაშე აღმოჩნდა, სასწრაფოდ შეისყიდა „მიწათმფლობელთა თამაშისა“ და „ფინანსების“ საავტორო უფლებები. თვით დაროუ მალე მილიონერი გახდა – პირველი, ვინც ქონება სამაგიდო თამაშებით დააგროვა. მისი მემკვიდრეები კი დღესაც მთელ მსოფლიოში „მონოპოლიის“ რეალიზაციიდან არცთუ ისე მცირე შემოსავალს იღებენ.

თამაშის შემოსავლებზე კი ციფრებით შეიძლება მსჯელობა: პირველი ასი ათასი ეგზემპლარი, გაყიდვის პირველსავე წელს წარმატებით გასაღდა (თებერვლის შუა პერიოდში PARKER BROTHERS-ი თვეში დაახლოებით ოცი ათას ყუთს აწარმოებდა), რაც კრიზისული ეკონომიკის პირობებში გასაკვირი იყო. სულ კი 65 წლის მანძილზე „მონოპოლიის“ 200 მილიონზე მეტი ეგზემპლარი გაიყიდა. ამგვარად, ამ თამაშის საშუალებით საბაზრო ეკონომიკის სიბრძნეს დაახლოებით ნახევარი მილიარდი ადამიანი ეზიარა.

ეს ყველაფერი კი იმის მიუხედავად მოხდა, რომ PARKER BROTHERS-ის ექსპერტების თავდაპირველი დასკვნები, ასე თუ ისე, მართებული იყო. „მონოპოლიის“ პირველი აჟიოტაჟი ამერიკაში მოხდა, ამერიკელებს კი მართლაც ისეთი თამაშები უყვართ, რომელშიც შედეგი სწრაფად და დამაჯერებლად მიიღწევა. ამიტომ არის იქ ძალზედ პოპულარული მაღალშედეგიანი და დინამიური ამერიკული ფეხბურთი, ბეისბოლი, ჰოკეი, კალათბურთი და ამიტომ ვერ შეიყვარეს იქ ევროპული ფეხბურთი, რომელიც 90 წუთის თამაშის შემდეგ შეიძლება ნულოვანი ფრეთი დასრულდეს.

„მონოპოლიის“ თამაში კი, პრინციპში, შეიძლება უსასრულოდ გაგრძელდეს და გამარჯვებული არც ერთი მოთამაშე არ გამოვიდეს (ჯერჯერობით, რეკორდი 70 დღე-ღამეს შეადგენს, რომლის დროსაც ოთხი მონაწილე თამაშს მხოლოდ დასაძინებლად წყვეტდა და გამარჯვებული არ გამოვლენილა).

თუმცა ბევრისთვის თვით პროცესი უფრო საინტერესო აღმოჩნდა, ვიდრე საბოლოო შედეგის მიღება.

ექსპერტები ერთ რამეში შეცდნენ: თავისდა უნებურად, ჩარლზ დაროუმ პრინციპულად ახალი ტიპის თამაში გამოიგონა. დღეს მას შეიძლება ვუწოდოთ იმიტაციური, სიმულაციური, სტრატეგიული. მასში მთავარია არა ის, რომ სწრაფად მიხვიდე ფინიშამდე, არამედ ქცევის იმ ერთადერთი სწორი სტრატეგიის შემუშავება, რომელიც „ზედაპირზე“ ყოფნის საშუალებას იძლევა.



როცა სპეციალისტებმა აღმოაჩინეს, რომ „მონოპოლია“ კაპიტალისტური ეკონომიკის მთავარი პრინციპების იდეალურ იმიტაციას ახდენს, დაროუს გამოგონებას მეცნიერებმა და პროფესორ-ეკონომისტებმა მიაქციეს ყურადღება.

რას წარმოადგენს თამაში?

მართკუთხა დახაზული სათამაშო დაფა, რომელზეც სხვადასხვა ფერის უჯრედები ქალაქის ქუჩებს აღნიშნავს. არის კიდევ უჯრედები – „ავტოსადგომი“, „რკინიგზა“ (ბოლო ვერსიებში შეცვლილია „აეროპორტით“) და სხვადასხვა უძრავი ობიექტი. შეიძლება მათი შეძენა, გაყიდვა, იჯარით გაცემა. სათამაშო დაფის კუთხეებში განსაკუთრებული უჯრედებია: „თამაშის დასაწყისი“ (GO), „ციხე“ (JAIL), „შანსი“ (CHANCE) და „საზოგადოებრივი ფონდები“ (COMMUNITY CHEST). იქვეა ორი სათამაშო კამათელი, პერსონალური „ფიშკები“ (თითოეული მოთამაშისთვის თითო), 32 სათამაშო „სახლი“, 12 „სასტუმრო“ და ფული, ასევე დახურული ბარათების ორი დასტა: ერთი იხსნება, როცა მოთამაშე ხვდება უჯრედზე – „შანსი“, მეორე – თუ მოთამაშე მოხვდება უჯრედზე – „საზოგადოებრივი ფონდები“. ამის შემდეგ, მოთამაშე ბარათზე მოცემული მითითებების მიხედვით უნდა მოიქცეს.

მოთამაშეები აგორებენ კამათლებს და ამოძრავებენ თავიანთ ფიშკებს. ერთ-ერთ „ქუჩაზე“ მოხვედრისას შეიძლება სახლის ყიდვა ან იჯარით აღება. მოთამაშის განკარგულებაში არსებული ერთნაირი ფერის ქუჩებზე განლაგებული სახლების გარკვეული კომბინაცია მას სასტუმროს ყიდვის საშუალებას აძლევს. თუ თქვენი სახლის და სასტუმროს უჯრედზე სხვა მოთამაშე მოხვდება, მან მფლობელს საიჯარო ქირა უნდა გადაუხადოს.

შეიძლება ასევე ავტოსადგომების შეძენა. სახლებისგან და სასტუმროებისგან განსხვავებით, მათზე საიჯარო გადასახადი არ ვრცელდება. სამაგიეროდ, ამ უჯრედებზე მოხვედრისას, ავტოსადგომის მფლობელი თავადაც არავის არაფერს უხდის. მოკლედ, ეს ის იდეალური ადგილია, სადაც ყოფნა ხელსაყრელია, განსაკუთრებით მაშინ, თუ ქუჩები მოწინააღმდეგეთა მიერ არის ნაყიდი და იქ სახლები და

სასტუმროებია აშენებული.

თამაშის მნიშვნელოვანი ელემენტი – ბანკის არსებობაა. თამაშის დასაწყისში ბანკი თითოეულ მოთამაშეს 1.500 დოლარს გამოუყოფს, შემდეგ კი გადასახადებს (ივჯარა, უძრავი ქონების საფასური, ჯარიმები, „საზოგადოებრივი ფონდების“ სასარგებლოდ გადახდილი თანხები) იღებს, ხელფასებს, პრემიებსა და სადღესასწაულო „საჩუქრებს“ გასცემს. ბანკი აგრეთვე აწყობს აუქციონებს და გასაყიდად გააქვს გაკოტრებული მოთამაშის ქონება. გაკოტრებულად კი ის ითვლება, ვის განკარგულებაშიც არსებული ფული და ქონება საკმარისი აღარ არის გადასახადების გასასტუმრებლად.

თამაშის მიზანია მოწინააღმდეგეების გაკოტრება და, ყოველგვარი უძრაობის შეძენის გზით, ერთადერთ „მონოპოლისტად“ ქცევა. ეს „მონოპოლიის“ ყველა ნიუანსი არ არის. აღსანიშნავია თუნდაც ის, რომ მოთამაშე, რომელსაც ზედიზედ სამჯერ ამოუვა კამათელზე წყვილი, ავტომატურად ციხეში ხვდება. არის კიდევ მოთამაშეთა დაბეგვრის რთული სისტემა, ციხიდან გამოსვლის სხვადასხვა ხერხი (ქრთამის ჩათვლით), მოთამაშეებს შორის ბანკის გვერდის ავლით მომხდარი ყიდვა-გაყიდვის გარიგებები და მრავალი სხვა.

თუმცა, საერთო სტრატეგია ნათელია: თუ გაქვს კაპიტალი, შეიძინე უძრავი ქონება, შემდეგ მიიღე შემოსავალი მისი ივჯარიდან. როცა გადასახადი უნდა გადაიხადო და ფული არ გაგაჩნია – გაყიდე ქონება. ეცადე, არ მოხვდე ციხეში და თუ მაინც მოხვდი – რაც შეიძლება მალე დააღწიო თავი. მზად იყავი გაუთვალისწინებელი ხარჯებისთვის და სწორად მოიხმარე დაუგეგმავი დივიდენდები. კრედიტის აღებისას გახსოვდეს – ის პროცენტებთან ერთად უნდა დააბრუნო. ამავე დროს, თუ არ გარისკავ, ვერ აიღებ კრედიტს და ვერ მოახდენ ინვესტირებას – კონკურენტები გაგრიყავენ. ერთი სიტყვით, ყველაფერი ისეა, როგორც ცხოვრებაში...

ამჟამად „მონოპოლია“ ლიცენზიით, მსოფლიოს თითქმის 100 ქვეყანაში იყიდება, 1980 წელს კი ბრმათათვის განკუთვნილი ბრაილის ანბანითაც ამოქმედდა. ამასთან, რა თქმა უნდა, ვალუტის ტიპი და ქუჩების დასახელება ყველა ქვეყანაში სხვადასხვაა. თვით ამერიკის ყველა ქალაქი საკუთარი „მონოპოლიის“ გამოშვებას ცდილობს.

უკანასკნელ ათწლეულში ჩარლზ დაროუს გამოგონებამ კლონირების ნამდვილი ეპიდემია განიცადა. ამის ყველაზე სერიოზული მაგალითი გახდა თამაში-კონკურენტი – „ანტიმონოპოლია“. ის სან-ფრანცისკოს უნივერსიტეტის ეკონომიკის პროფესორმა რალფ ანსპაჰმა მოიგონა. იგი ებრაელი, აშშ-ში ნაცისტური გერმანიიდან 1938 წელს ემიგრირებული, მეორე მსოფლიო ომისა და არაბეთ-ისრაელის 1949-1950 წლების ომის ვეტერანი იყო (ისრაელის არმიაში იბრძოდა). მანვე დაწერა წიგნი-ბესტსელერი – „თამაში „მონოპოლია“ – მილიარდდოლარიანი თაღლითობა“. პროფესორი ანსპაჰი, მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, მრავალი წელი ცდილობდა სამართლიანობის აღდგენას. მან ფართო საზოგადოებას დეტალურად გააცნო მოვლენები, რის შედეგადაც ელისაბედ მერჯი-ფილიპსის თამაში ჩარლზ დაროუს აღმოჩენად იქცა. ამის შემდეგ დაუღალავმა პროფესორმა საკუთარი კონტრ-თამაში შექმნა. დაროუს თამაშისგან ის იმით განსხვავდებოდა, რომ მოთამაშე ცდილობს არა მარტო თვითონ გახდეს მონოპოლისტი, არამედ მოწინააღმდეგეთა მოსალოდნელი „მონოპოლია“ დაამსხვრიოს. ანსპაჰი დიდხანს ცდილობდა, სამაგიდო თამაშების მწარმოებლები თავისი თამაშით დაეინტერესებინა, ხოლო შემდეგ მიატოვა უნივერსიტეტის კათედრა და თავად ჩამოაყალიბა ფირმა – მისი საშუალებით კი საკმაოდ წარმატებულად შეძლო საკუთარი თამაშის რეალიზაციის აწყობა. „ანტიმონოპოლიის“ მილიონობით გაყიდული ეგზემპლარი, მართალია, „მონოპოლიას“ ვერ შეედრება, მაგრამ ანსპაჰის მიერ მიღწეული შედეგი მაინც შთამბეჭდავია.



დაროუმ კი ანსპაჰს სასამართლოში უჩივლა. ათწლიანი სასამართლო პროცესის შედეგად, პროფესიონალმა ეკონომისტმა გაიმარჯვა. სასამართლომ ოფიციალურად დაადგინა, რომ ანსპაჰის თამაშს „მონოპოლიის“ უფლებები არანაირად არ შეულახავს.

თვით „მონოპოლიის“ წარმოებამ იმხანად სტიქიური ხასიათი მიიღო. გამოდიოდა შოკოლადის „მონოპოლია“ (ნატურალური ზომის, მისი ფასი 600 დოლარი იყო), ძვირფასი (სათამაშო დაფა წითელი ხისგან, ხოლო ფიგურები – ოქროსა და ვერცხლისგან იყო დამზადებული). ელექტრონული და წყალგაუმტარი, მინიატურული – 5X5 სმ და უზარმაზარი – ქალაქის მოედნის ზომის. „მონოპოლიას“ თამაშობდნენ ყველგან – წყლის ქვეშ და მთის მწვერვალზე, ლიფტში და კოსმოსში.

70-იანი წლებიდან სხვადასხვა ქვეყანაში ეროვნული ჩემპიონატები და კლასიკურ „მონოპოლიაში“ მსოფლიო ჩემპიონატიც ტარდება.

არსებობს თამაშის სახეობები – სამეცნიერო ფანტასტიკის ან ლუდის მოყვარულთათვის, მაგრამ ყოველი კოლექციის ყველაზე ფასეული ექსპონატი – ძველი, გახუნებული, 1935 წელს გამოშვებული „მონოპოლიის“ ორიგინალური ეგზემპლარია.

თამაშის გამომგონებელი 1967 წელს გარდაიცვალა. 1970 წელს ატლანტიკ-სიტის ქალაქის მესვეურებმა BOARDWALK-ზე, PARK PLACE-ის გადაკვეთასთან ახლოს ავტორის სამახსოვრო მემორიალური დაფა აღმართეს. ორი წლის შემდეგ ქალაქის ხელმძღვანელები იძულებულნი გახდნენ, დათმობაზე წასულიყვნენ და ორი „მონოპოლიზებული“ ქუჩისთვის BALTIC და MEDITERRANEAN AVENUE – სახელი არ შეეცვალათ. მთელი ქვეყანა აქტიურმა პროტესტმა მოიცვა და სხვა ქვეყნებშიც გავრცელდა.

„მონოპოლია“ ხომ სათამაშო არ არის!

■

ᲙᲕᲘᲠᲘᲡ (5 – 11 ᲛᲐᲠᲢᲘ) ᲐᲡᲢᲠᲝᲚᲝᲒᲘᲣᲠᲘ ᲞᲠᲝᲒᲜᲝᲖᲘ

ᲗᲔᲕᲖᲔᲑᲘ – 20/I-20/II

თქვენმა მიმზიდველობამ და მომხიბვლელობამ, შესაძლოა, სიძნელეებიც კი შეგიქმნათ. მაგალითად, არის შანსი, რომ მხოლოდ და მხოლოდ ლამაზი თვალებისთვის, ისეთი მაღალანაზღაურებადი სამუშაო შემოგთავაზონ, რომლისაც არაფერი გაგეგებათ... სიყვარულში კი, წარმატება გარანტირებული გაქვთ.

ᲛᲔᲠᲫᲘ – 21/III-20/IV



საქმეში გაგიმართლებთ. ინტუიცია სწორ სვლებს გიკარნახებთ, ხოლო ენერგია ჩანაფიქრის განსახორციელებლად გეყოფათ. მაგრამ გაითვალისწინეთ, რომ ყოველივე ეს მხოლოდ უმნიშვნელო და მოკლევადიან პროექტებს ეხება. სტრატეგიული გადაწყვეტილებების მიღებისგან კი, ჯერჯერობით თავი შეიკავეთ.

ᲙᲣᲠᲝ – 21/IV-21/V

კვირის დასაწყისში მხოლოდ მეხსიერების იმედად ნუ იქნებით. ჩაიწერეთ ყველაფერი, რაც დაგეგმილი გაქვთ და გულდასმით შეამოწმეთ ხელმოსაწერი დოკუმენტები. ძალზედ დაძაბული დღეები გელით. ფრთხილად იყავით, რაიმე მნიშვნელოვან საქმეში შეცდომა არ დაუშვათ.

ᲛᲐᲠᲭᲕᲘᲗᲘ – 22/V-21/VI



დასვენების კვირაც რომ გქონდეთ, შინ მაინც ვერ მოისვენებთ. ადამიანებთან ურთიერთობის წყურვილის გამო, სამსახურში მისვლა და კოლეგებთან შეხვედრაც კი, დღესასწაულად გექცევათ. აღარაფერს ვამბობთ საქმიან მოლაპარაკებებსა და ელიტურ ღონისძიებებზე.

ᲙᲘᲠᲩᲮᲘᲗᲘ – 22/VI-22/VII

კვირის დასაწყისში, შესაძლოა, მზურვალე თაყვანისმცემელი ან გავლენიანი მფარველი გამოგიჩნდეთ, რომლის წყალობითაც ძალზედ სასიამოვნო დღეებს გაატარებთ. მაგრამ ბედნიერებით დიდხანს ვერ დატკბებით – პარასკევს ოჯახში კონფლიქტი გემუქრებათ.

ᲚᲝᲛᲘ – 23/VII-23/VIII



ეს თქვენთვის სავსებით ჰარმონიული კვირაა, რომლის ერთადერთი ნაკლი – თქვენი სულსწრაფობაა. ნუ აჩქარდებით, თორემ ხუთშაბათს და პარასკევს უსიამოვნებას ვერ ასცდებით. ცოტათი დათრგუნეთ თქვენი ჩვეული თავდაჯერებულობა, სიდინჯე გამოიჩინეთ და წარმატებასაც მალე მიაღწევთ.

ᲥᲐᲚᲬᲘᲚᲘ – 24/VIII-23/IX



საკმაოდ უცნაურ სიტუაციაში აღმოჩნდებით: ერთი მხრივ – საქმეში წარმატება და დამსახურებული წახალისება გელით, გამოწვეული თქვენი ჩვეული შრომისმოყვარეობით, მეორე მხრივ – იმ ადამიანების ცუდად შენიღბული შური, ვინც ყოველივე ამას ვერ მიაღწია. მოთმინება გმართებთ!

ᲡᲐᲮᲔᲚᲬᲝᲠᲘ – 24/IX-23/X

თუკი დიდი ხანია ერიდებით რაღაც ძნელი პრობლემის გადაჭრას, დროა საქმეს შეუდგეთ. კვირის პირველი ნახევარი საუკეთესო პერიოდია ყოველგვარი დაბრკოლების გადასალახად. ოღონდ, კარგი იქნება, თუ პრობლემებს პარასკევამდე მოაგვარებთ და შაბათ-კვირას კარგად დაისვენებთ. ოქტომბრის პირველ დეკადაში დაბადებულებს ხუთშაბათს ოჯახში უსიამოვნო საუბარი არ აგცდებათ.

ᲓᲠᲝᲨᲐᲜᲯᲐᲚᲘ – 24/X-22/XI

როგორც წესი, ამ ნიშნის ქვეშ დაბადებულები დიდი შრომისმოყვარეობით არ გამოირჩევიან. მაგრამ გამონაკლისი ყველა წესს აქვს და თქვენც ამ კვირაში წარმოუდგენლად პროდუქტიულად იმუშავებთ – მაშინაც კი, როცა თქვენგან ამას სრულებით არ მოელიან.

ᲛᲔᲗᲕᲘᲚᲓᲝᲡᲐᲜᲘ – 23/XI-21/XII

რაღაც ძალიან ჩახლართულ და სერიოზულ პრობლემას მოაგვარებთ. შესაძლოა, ამხილოთ და გააუნებელყოთ არაკეთილმოსურნე კოლეგა, რაშიც, სხვათა შორის, დაგეხმარებიან ოჯახის წევრები და ახლო მეგობრები, რომელთაც თქვენს სამსახურთან არანაირი შეხება არა აქვთ. გაითვალისწინეთ, პრობლემების მოსაგვარებლად აუცილებელი იქნება თქვენთვის უჩვეულო, სექსუალური თავშეკავება.

ᲗᲮᲘᲡ ᲠᲥᲐ – 22/XII-20/I

ენერგიის მოზღვავებას განიცდით, რის გამოც, შესაძლოა, ნაჩქარევი გადაწყვეტილებები მიიღოთ და ზედმეტი პრობლემები შეუქმნათ საკუთარ თავსაც და გარშემომყოფთაც. მხოლოდ ოთხშაბათისთვის შეძლებთ ამ ენერგიის კეთილგონივრულად გამოყენებას და უკვე შაბათ-კვირისთვის სასიამოვნო შედეგებს მიიღებთ.

ᲛᲔᲠᲜᲬᲣᲚᲘ – 21/I-19/II

შემოქმედებითი აღმავლობის ხანა დაგიდგებათ. ისეთ ნიჭსა და შესაძლებლობებს გამოამჟღავნებთ, რომლის შესახებ წარმოდგენაც არ გქონდათ. თქვენი უსაზღვრო ფანტაზია და საოცარი გამჭრიახობა აღაფრთოვანებს როგორც ახლობლებს და მეგობრებს, ისე არაკეთილმოსურნეებსაც.

გემუქრებათ თუ არა ნერვული სტრესი?

ამას იმ შემთხვევაში გაიგებთ, თუ გულწრფელად უპასუხებთ აღნიშნული ტესტის შეკითხვებს:

1) გიჭირთ თუ არა, დახმარებისთვის მიმართოთ ვინმეს?
ა) დიახ, ყოველთვის – 3 ქულა;
ბ) ძალიან ხშირად – 2;
გ) ხანდახან – 0;
დ) არასოდეს – 0.

2) გაქვთ თუ არა ჩვევა, თავისუფალ დროსაც გამუდმებით იფიქროთ პრობლემებზე?
ა) ძალიან ხშირად – 5;
ბ) ხშირად – 4;
გ) ხანდახან – 2;
დ) არასოდეს – 0.

3) როცა ხედავთ ადამიანს, რომელიც რაღაც საქმეს ვერ ართმევს თავს, გიჩნდებათ თუ არა სურვილი, საქმე მის მაგივრად შეასრულოთ?
ა) დიახ, ყოველთვის – 5;
ბ) ძალიან ხშირად – 4;
გ) ხანდახან – 2;
დ) არასოდეს – 0.

4) დიდხანს განიცდით თუ არა მომხდარ უსიამოვნებას?
ა) დიახ, ყოველთვის – 5;
ბ) ხშირად – 4;
გ) ხანდახან – 2;
დ) არასოდეს – 0.

5) რამდენ დროს უთმობთ საკუთარ თავს საღამოს?
ა) ორ-სამ საათს – 0;
ბ) ერთ-ორ საათს – 0;
გ) საათზე ნაკლებს – 2;
დ) არც ერთ წუთს – 4.

6) აწყვეტინებთ თუ არა საუბარს ადამიანს, რომელიც ცდილობს, ზედმეტად დეტალურად მოგიყვეთ რაიმე ამბავი?
ა) დიახ, ყოველთვის – 4;
ბ) ხშირად – 3;
გ) გარემოებისდა მიხედვით – 2;
დ) იშვიათად – 1;
ე) არა – 0.

7) თქვენზე ამბობენ, რომ ყოველთვის სადღაც გეჩქარებათ?
ა) დიახ, ეს ასეა – 5;
ბ) ხშირად ჩქარობთ – 4;
გ) როგორც ყველა, ხანდახან თქვენც ჩქარობთ – 1;
დ) არასოდეს არ ჩქარობთ – 0.

8) გიჭირთ თუ არა, გემრიელი საჭმლის დანახვისას, ცდუნების დაძლევა?
ა) დიახ, ყოველთვის – 3;
ბ) ხშირად – 2;
გ) იშვიათად – 0;
დ) არასოდეს – 0.

9) გიხდებათ თუ არა რამდენიმე საქმის ერთდროულად შესრულება?
ა) დიახ, ყოველთვის – 5;
ბ) ხშირად – 4;
გ) ხანდახან – 3;
დ) იშვიათად – 1;
ე) არასოდეს – 0.

10) ხდება თუ არა, რომ საუბრის მოსმენისას თქვენი აზრები სადღაც სხვაგან ქრიან?
ა) ძალიან ხშირად – 5;
ბ) ხშირად – 4;
გ) ხდება ხოლმე – 3;
დ) არასოდეს – 0.

11) გეჩვენებათ თუ არა ხანდახან, რომ ადამიანების საუბარი და მოქმედება ფუჭი და ამაოა?
ა) ძალიან ხშირად – 5;
ბ) ხშირად – 4;
გ) ხანდახან – 1;
დ) არასოდეს – 0.

12) ნერვიულობთ თუ არა რიგში დგომისას?
ა) ძალიან ხშირად – 4;
ბ) ხშირად – 3;
გ) იშვიათად – 2;
დ) ძალიან იშვიათად – 1;
ე) არასოდეს – 0.

13) გიყვართ თუ არა სხვებისთვის რჩევების მიცემა?
ა) დიახ, ყოველთვის – 4;
ბ) ძალიან ხშირად – 3;
გ) ხანდახან – 1;
დ) არასოდეს – 0.

14) დიდხანს თუ ფიქრობთ და ორჭოფობთ, სანამ გადაწყვეტილებას მიიღებდეთ?
ა) ყოველთვის – 3;
ბ) ძალიან ხშირად – 2;
გ) ხშირად – 1;
დ) არასოდეს – 0.

15) საუბრის როგორი სტილი გაქვთ?
ა) ჩქარი, თითქმის გაურკვეველი – 3;
ბ) უბრალოდ ჩქარი – 2;
გ) წყნარი – 0;
დ) ნელი და დინჯი – 0.

შეაჯამეთ მიღებული ქულები:

45-63 ქულა: თქვენ შეიძლება რეალურად გახდეთ ნერვული სტრესის ობიექტი. ხშირად გაიზომეთ წნევა და სისხლში ქოლესტერინის შემცველობასაც ადევნეთ თვალყური. დაფიქრდით, იქნებ ღირს ცხოვრების სტილი შეიცვალოთ?!

20-44 ქულა: თქვენთვის უმჯობესი იქნება, ცხოვრებას უფრო რეალურად შეხედოთ, სიმშვიდე მოიპოვოთ და შინაგანად განიმუხტოთ, უმჯობესია, საღამოობით მთელი დღის დაძაბულობა მოიხსნათ.

19 ქულამდე: თქვენ ახერხებთ შეინარჩუნოთ სიმშვიდე და იყოთ გაწონასწორებული. ეცადეთ, მომავალშიც აარიდოთ თავი ნერვიულობას, არ მიაქციოთ ყურადღება წვრილმანებს და გულში არ ჩაიხვიოთ წარუმატებლობა.

0 ქულა: თუ ტესტის კითხვებს გულწრფელად უპასუხეთ, მაშინ ერთადერთი საშიშროება თქვენთვის – მეტისმეტი გულგრილობა და, რა თქმა უნდა, მოსაწყენი და ერთფეროვანი ცხოვრებაა.

იმქვეყნიური მნერი



ავსტრალიის აღმოსავლეთ სანაპიროზე, განცალკევებულ პატარა კუნძულ ლორდ ჰოუზე გავრცელებული იყო მოზრდილი მწერი — DRYCOCELUS AUSTRALIS. მისი სიგრძე 15 სანტიმეტრს, ხოლო სიგანე — 1,5 სანტიმეტრს აღწევდა. 1918 წელს კუნძულზე ხომალდის ვირთხები მომრავლდნენ და ორიოდე წელიწადში მუსრი გაავლეს ამ მეტისმეტად ზანტ არსებებს. და აი, სულ ახლახან, თებერვლის დასაწყისში, ავსტრალიელმა მეცნიერებმა ისევ აღმოაჩინეს ეს მწერი. გაუგებარია, სად იმალებოდნენ 80-ზე მეტი წლის განმავლობაში მწერები, რომლებიც დღეს საკმაოდ „ყოჩაღად“ გამოიყურებიან.

ევროპელი ფალსიფიკატორები

მილანის სავაჭრო პალატამ გამოაქვეყნა თავისი მცირე ბიზნესის განვითარების ანგარიში, რომლითაც ირკვევა, რომ ცნობილი ფირმების ტანსაცმლის ფალსიფიკაციის ბიზნესი ყველაზე მეტად იტალიაშია გავრცელებული. აღმოჩნდა, რომ ტყავის ნაწარმის ფალსიფიკატორების წლიურმა ბრუნვამ 1,5 მლრდ დოლარი შეადგინა. იტალიელი „ხელმარჯვე“ ოსტატები ყოველწლიურად 50 მლრდ ევროს ღირებულების სამოსელს აწვდიან ევროპელებს, რაც ამ კონტინენტის ტანსაცმლის ბაზრის 11%-ს შეადგენს.



პირველი გამარჯვება

გლუვბეწვიანმა რეტრივერმა და ბლად-ჰაუნდმაც კი, გამარჯვება, ფოტოსურათზე გამოსახულ თოჯინასავით ძაღლს დაუთმეს, რომლის სახელია SPECIAL TIMES JUST RIGT (შემოკლებით J.R.): ის აშშ-ის ძაღლების ყველაზე პრესტიჟული გამოფენის — WESTMINSTER KENNEL CLUB-ის საუკეთესო „ექსპონატად“ აღიარეს. J.R. ე.წ. ბიშონ-ფრიზის ჯიშის არის და აღნიშნულ შოუზე, რომელიც ნიუ-იორკში ასოცდამეხუთედ ტარდება, პირველად გაიმარჯვა. ბიშონ-ფრიზი კეთილი ძაღლია, მაგრამ ჩვენში ჯერ პოპულარობით არ სარგებლობს და საქართველოში არავის ჰყავს — შესაძლოა, იმიტომ, რომ მისი შენახვა საკმაოდ ძვირი ჯდება: პროფესიონალი კინოლოგის მეთვალყურეობის, კარგი პარიკმახერებისა და სხვადასხვა შამპუნ-კონდიციონერის გარეშე ბიშონ-ფრიზის ყოლა უაზრობაა.

ფანტაზია · ფანტაზია · ფანტაზია · ფანტაზია

ჩვენი ჟურნალის წინა ნომერში შემოთავაზებული რუბრიკის — „ფანტაზიის“ პასუხად მკითხველთა მიერ გამოგზავნილი ქვითრების მიხედვით, გაიმარჯვეს ბატონებმა — ზურაბ ჟვანიამ, გიორგი ბარამიძემ და ედვარდ სურმანიძემ.

ვულოცავთ ბატონ ზურაბს, ბატონ გიორგის და ბატონ ედვარდს და ვუსურვებთ წარმატებებს!

უკან გავშვობისკენ...

(მკითხველის გვარი, სახელი)

(ცნობილი პიროვნება)

ამ რუბრიკით თქვენი წარმოსახვის გავარჯიშებას გთავაზობთ. გაითვალისწინეთ ჩვენი კომენტარი და ფოტოზე აღბეჭდილ სახეს ის ცნობილი პიროვნება მოარგეთ, რომელიც ყველაზე მეტად მოუხდება. ჟურნალის შემდეგ ნომერში ფოტო იმ პიროვნების სახით გამოქვეყნდება, რომელიც ყველაზე მეტ ხმას დააგროვებს.

გთხოვთ, შეავსოთ ქვითარი და პასუხები გამოგვიგზავნოთ, თბილისში განთავსებული „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთების საშუალებით. ქვითარი ჩააგდეთ სამშაბათის (6 მარტის) 13 საათამდე.



მაშუკა გიორგაძე:

უცებ სულ სხვა თვალით შევხედე. აღმოვაჩინე, რომ ის „ის“ იყო და გულში რაღაც „აფართხუნდა“... მივხვდი, შეყვარებული ვიყავი...

გ3.14

ახალი სახე
მარიშა ჯიბლაძე
თეატრისა და კინოს ინსტიტუტი (კინოფაკულტეტი)
დიზაინერი ქეთა დარსაველიძე